 47. Vladimirov L., (1957). for the investigation of the runoff of Tusheti rivers. Bulletin of the Academy of the USSR, vol. XVIII, No. 3, 311-312.
 48. *Ibid.*, 313.
 49. Vakhania E., (1957). On the age of the Colchis series. Bulletin of the Academy of the USSR, vol. XVIII, No. 3, 318.
 50. *Ibid.*, 319.

მონალექი, როგორც საკუთრების უფლების შეძენის საშუალება რომაულ და ძველ ქართულ სამართალში

ანა წიგნაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის დოქტორანტი, ასისტენტი

საკვანძო სიტყვები: საკუთრების უფლების შეძენა, მონალექი,
ნიაღვისეული

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია მონალექი, როგორც საკუთრების უფლების შეძენის ერთ-ერთი წყარო რომაულ და ძველ ქართულ სამართალში. ჯერ კიდევ რომაელმა იურისტებმა მიაქციეს იმ საკითხს ყურადღება, რომ მდინარის დინებას ზოგჯერ მისი კალაპოტის მოსაზღვრე ნაკვეთების გაზრდა ან შემცირება მოჰყვებოდა. შედეგად, მდინარის მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე წარმოქმნილი ახალი გარემოებები, უწინდელი მდგომარეობისგან განსხვავებულ ქონებრივ შედეგებს აყენებდა. შესაბამისად, საჭირო გახდა სამართალს კანონმდებლობაში შემოეტანა მონალექის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები. სტატიაში შესწავლილია რომის სამართალსა და ქართულ ფეოდალურ სამართალში მონალექთან დაკავშირებული წესები, რომელთა ანალიზის საფუძველზე გამოიყო მონალექის სახეები, დროთა განმავლობაში მიწის უმნიშვნელო ნამატისა და სხვისი ნაკვეთისგან მოგლეჯილი მიწის მიერთების სახით. ასევე ყურადღება გამახვილებულია იმ უფლების ფარგლებზე, რომლებიც მდინარის კალაპოტის დაშრობის შედეგად მის ფსკერზე წარმოშობილ ხმელეთზე ვრცელდებოდა.

კვლევამ აჩვენა, რომ რომის სამართლით, მდინარის მომიჯნავე ნაკვეთების მფლობელთა უფლებები სრულად იყო დამოკიდებული იმაზე, რა ადგილზე გაიყოფოთა ხმელეთი, შუაზე თუ რომელიმე ნაპირისკენ უფრო ახლოს, მდინარის მეორე მხარეს მივარდნის გამო. რომის სამართლისა და ძველი ქართული სამართლის შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მათ მიდგომებს შორის არსებული ფუნდამენტური განსხვავება. ეროვნული სამართალი მდინარის კალაპოტის ცვლილების გამო წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისას მეტ კონსერვატიზმს იჩენს, რაც სტატიაშიცაა ხაზგასმული. მონალექის შესახებ საკანონმდებლო ბაზის სიმცირის გამო, კვლევის მიზნის მისაღწევად, კანონის ანალოგიის გამოყენებით, განხილულია წიაღისეულზე საკუთრების უფლების მოპოვების წესები, ვინაიდან ის თავისი სამართლებრივი ხასიათით ყველაზე ახლოს დგას მონალექთან.

შესავალი

სტატია წარმოადგენს მონალექის, როგორც საკუთრების უფლების შექმნის საშუალების შესწავლის პირველ ცდას ძველ ქართულ სამართალში, რაც ამ საკითხის აქტუალობითაა განპირობებული. სტატიის კვლევის საგანია მონალექის სახეები და მათი თანმდევი სამართლებრივი შედეგები. კვლევა განხორციელდა რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, შედარებით-სამართლებრივი ანალიზის მეთოდის გამოყენებით. კვლევის ამოცანაა დადგინდეს – რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ახასიათებს ამ ორ სამართლებრივ სისტემას მონალექთან მიმართებაში. კვლევის სირთულეს განაპირობებდა როგორც პირველწყაროების, ასევე, მეორეული და მესამეხარისხოვანი წყაროების სიმცირე ძველ ქართულ სამართალში, რის გამოც საკითხის შესწავლისას გამოვიყენეთ კანონის ანალოგია – წიაღისეულზე საკუთრების უფლების შექმნის მეშვეობით.

1. მონალექის სამართლებრივი დახასიათება

მონალექის სამართლებრივი ხასიათის შესასწავლად უმნიშვნელოვანესი წყაროა რომის სამართალი, რადგან მასში ყველაზე თვალსაჩინოაა მოცემული – რას გულისხმობს მონალექი და რა სახის სამართლებრივ ურთიერთობებს წარმოშობს იგი.

რომაელები თვლიდნენ, რომ თუ მდინარე დიდი ხნით ადიდებისას თავისი დინებით კალაპოტს გაჭრიდა, ის საჯარო ნივთი ხდებოდა.¹ საჯარო ქონება პირთა საერთო „საკუთრებაში“ იმყოფებოდა და მათ თანაზომიერად შეეძლოთ ამ ქონებიდან სარგებლის მიღება.² რომაელები ერთმანეთისაგან მიჯნავდნენ საჯარო სიკეთეს, ქონებას, რომელზეც საკუთრების უფლების გავრცელება შესაძლებელია ისეთი სიკეთისგან, რომლის ბუნებიდან გამომდინარე, მასზე საკუთრების უფლების ქონა შეუძლებელია.³ ასეთებად რომის სამართალს მიაჩნია ბუნებითი სამართლით საერთო ნივთები – „ჭაეხი, გამდინახე წყარი, ზღვა და, აქედან გამომდინახე – ზღვის ნაპირი“.⁴ ეს უკანასკნელიც არავის საკუთრებას წარმოადგენს და მისი სიკეთით სარგებლობა ყველას ისევე შეუძლია, როგორც ზღვით.⁵ ვერც ზღვის ქვეშ არსებული მიწა და ქვიშა გახდებოდა საკუთრების ობიექტი.⁶ თუმცა, როცა მდინარე ტოვებდა თავის ძველ კალაპოტს, მისი ფსკერი ხდებოდა მდინარის ნაპირზე მდებარე მიწის

1 Дернбург Г., (1956). Пандекты, Вещное право. Т. 1, ч. 2. С.Петербург: университетская типография, 101.
 2 კერესელიძე დ., (2009). კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბილისი: ეშსი, 227. Sead. Windscheid, Lehrbuch des Pandektenrechts, Band I, 1887, §146, 468.
 3 კერესელიძე დ., (2009). კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბილისი: ეშსი, 227.
 4 იუსტინიანეს დიგესტები, რომის სამართლის ძეგლები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე. (2012). სურგულაძე ნ. (მთარგ., წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.). თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ გამომცემლობა, 109.
 5 იუსტინიანეს ინსტიტუციები, (2002). რომის სამართლის ძეგლები. სურგულაძე ნ. (მთარგ., წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.), თბილისი: მერიდიანი, 53.
 6 იქვე.

მფლობელთა საკუთრება.⁷ როგორც იუსტინიანეს ინსტიტუციებშია აღნიშნული, ამ მომიჯნავე ნაკვეთის მეპატრონეები უფლებას შეიძენდნენ „*პროპოციიდან თითოეული მიწის ნაკვეთის კუთვნილი ნაპირის სიგხდისა*“, ახლად გაჭრილი კალაპოტი კი ისევ საჯარო სამართალს დაექვემდებარებოდა.⁸ შესაბამისად, თუ მდინარე ისევ უწინდელ კალაპოტს დაუბრუნდებოდა, ახალ, ხმელეთად ქცეულ კალაპოტზე უწინდელი სამართლებრივი რეჟიმი გავრცელდებოდა.

მდინარის ადიდებას განსაკუთრებული სარგებელი მოჰქონდა იქ, სადაც სოფლის მეურნეობის არსებობა მთლიანად მორწყვაზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, ეგვიპტეში, ნაპირებიდან გადასული ადიდებული ნილოსი წყლის გარდა ნიადაგს ჩამონალექი მიწითაც ამდიდრებდა. ამიტომ მოიხსენიებდნენ ეგვიპტელები თავიანთ ქვეყანას როგორც „შავ მიწას“ – ეგვიპტურად „ქემეთ“.⁹

2. მონალექის სახეები

იუსტინიანესა და გაიუსის ინსტიტუციებით, მონალექი ის მიწაა, რომელსაც წყალი მიწის ნაკვეთს მონაყარი მიწის სახით ისე მიუმატებს,¹⁰ რომ მატების დროის განსაზღვრა შეუძლებელია.¹¹ რომის სამართალი ერთგვარად უდგებოდა მიწის მონაყარზე საკუთრების უფლების მოპოვების საკითხს, იმის მიუხედავად, მიწის მატება თანდათან ხდებოდა, თუ ერთიანად. თუ მიწის ნაკვეთს მდინარე რალაც ნაწილს ერთბაშად მოაგლეჯდა და

მეზობელი მიწის ნაკვეთს მიაყრიდა, ეს ამ ნაკვეთის შემადგენელ ნაწილად მაინც ჩაითვლებოდა.¹² ეს ეხებოდა მინაყარს არა მთელი სანაპიროს გასწვრივ, არამედ ნაპირის ცალკეულ ადგილებზე, კონცხის სახითაც.¹³ გაიუსის ინსტიტუციებით, ბუნებითი სამართლით, ამგვარ ნამატზე მაშინვე მიწის შესაკუთრის უფლები ვრცელდება,¹⁴ იუსტინიანეს ინსტიტუციები კი, ამავდროულად, მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოწყვეტილი მიწის ნამატის სხვის მიწასთან რაც შეიძლება დიდი ხნით დარჩენას ისე, რომ თუ მიწის ნაგლეჯზე ხეები იყო დარგული, მათ ფესვები ძირითად ნაკვეთზეც გაიდგან.¹⁵

აქედან გამომდინარე, როდესაც მდინარის დინების ან სხვა პროცესების გავლენით მდინარის ნაპირი წყდება და ვინმეს მიწას მიემატება, საკუთრების უფლების წარმოშობა მოწყვეტილ ნაწილზე განისაზღვრება იმით, როგორ დაემატება ის სხვა პირის მიწას.¹⁶ აქ მნიშვნელოვანია, რამდენად მტკიცედ დამაგრდა მოწყვეტილი მიწა იქ, სადაც მდინარემ მიაგდო.¹⁷ მ. ბარტოშეკის განმარტებით, *avulsio*, ანუ მდინარის დინებით მოწყვეტილი მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება მხოლოდ საბოლოო მიერთების შემდეგ წარმოიშობოდა,¹⁸ მაგალითად, თუ მათი შეერთების ადგილები საერთო მცენარეულობით დაიფარებოდა ან, როგორც უკვე აღინიშნა, მიერთე-

7 Дернбург Г., (1956). Пандекты, Вещное право. Т. 1, ч. 2. С.Петербург: университетская типография, 102.

8 იუსტინიანეს ინსტიტუციები, (2002). რომის სამართლის ძეგლები. სურგულაძე ნ. (მთარგ., წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.). თბილისი: მერიდიანი, 57-58.

9 გარიშვილი მ., ხოფერია მ., (2014). საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია. თბილისი: მერიდიანი, 36.

10 იუსტინიანეს ინსტიტუციები, (2014). რომის სამართლის ძეგლები, სურგულაძე ნ. (მთარგ., წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.). თბილისი: მერიდიანი, 57.

11 გაიუსის ინსტიტუციები, (2011). რომის სამართლის ძეგლები. სურგულაძე ნ. (მთარგ., წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.). თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 70.

12 იუსტინიანეს ინსტიტუციები, (2002). რომის სამართლის ძეგლები. სურგულაძე ნ. (მთარგ., წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.). თბილისი: მერიდიანი, 57.

13 Дернбург Г., (1956). Пандекты, Вещное право. Т. 1, ч. 2. С.Петербург: Университетская типография., 1956, 102.

14 გაიუსის ინსტიტუციები, (2011). რომის სამართლის ძეგლები, სურგულაძე ნ. (მთარგ., წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.). თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 70.

15 იუსტინიანეს ინსტიტუციები, (2002). რომის სამართლის ძეგლები, სურგულაძე ნ. (მთარგ., წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.), თბილისი: მერიდიანი, 57.

16 Пухта Г.Ф., (1874). Курсь римского гражданского права, типография «Соврем. Изв.», 432.

17 Дернбург Г., (1956). Пандекты, Вещное право. Т. 1, ч. 2. С.-Петербург: университетская типография, 102.

18 Бартошек, М., (1989). Римское право, понятия, термины, определения. Москва: Юридическая литература, 54.

ბულ მიწაზე არსებული ხე ფესვებს ამ ნიადაგშიც გაიდგამდა.¹⁹

ის ნაკვეთი, რომელსაც მონალექის სახით მიწა მიემატებოდა, იმის მსგავსი ნაწილი ხდებოდა, რასაც მიემატა.²⁰ იუსტინიანეს დიგესტების მეექვსე წიგნში მითითებულია, რომ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული სასარჩელო წარმოებისას, თუ ხდებოდა ასეთი მიწის მოთხოვნა, ეს მოთხოვნა გადადიოდა მონაყარ მიწაზეც.²¹ ძირითადი მიწის ნაკვეთი, მონალექ მიწასთან ერთად, ერთ მთლიან ნაკვეთად განიხილებოდა.

რომის სამართალი მსჯელობს მდინარესა და ზღვაში გაჩენილი კუნძულის შესახებ. კუნძულის წარმოქმნა მდინარის კალაპოტში სხვაგან მოწყვეტილი მიწის ჩამოტანით ან კალაპოტის დაწვევით შეიძლება მომხდარიყო. მდინარის შუა ნაწილში წარმოქმნილი კუნძული, რომის სამართლის თანახმად, მდინარის ორივე მხარის ნაპირზე არსებული მომიჯნავე მიწის ნაკვეთების მფლობელების თანასაკუთრება ხდება.²² თუ კუნძული არა შუაგულში, არამედ რომელიმე ნაპირისკენ უფრო ახლოს მდებარეობს, მაშინ მას ის პირები დაისაკუთრებენ, რომლებიც სანაპირო მიწის ნაკვეთს ფლობენ,²³ ხოლო „თუ მდინარე სადმე იყოფა და შემდეგ ქვევით ისევ ერთიანდება, რის შედეგადაც ვინმეს მიწის ნაკვეთს კუნძულად აქცევს, მიწის ეს ნაკვეთი“ იმ პირისაა, ვისაც ის მანამდე ეკუთვნოდა.²⁴

19 Дернбург Г., (1956), Пандекты, Вещное право. Т.1, ч.2. С.-Петербург: университетская типография, 102.

20 იუსტინიანეს დიგესტები. (2014). რომის სამართლის ძეგლები, წიგნი მეექვსე. სურგულაძე ნ., (წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.). თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ გამომცემლობა, 144. იქვე.

21 გაიუსის ინსტიტუციები, (2011). რომის სამართლის ძეგლები. სურგულაძე ნ. (მთარგ., წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.), თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 71; იუსტინიანეს ინსტიტუციები, (2002). რომის სამართლის ძეგლები. სურგულაძე ნ. (მთარგ., წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.), თბილისი: მერიდიანი, 57.

22 გაიუსის ინსტიტუციები, (2011). რომის სამართლის ძეგლები. სურგულაძე ნ. (მთარგ., წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.), თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 71. იუსტინიანეს ინსტიტუციები, (2002). რომის სამართლის ძეგლები. სურგულაძე ნ. (მთარგ., წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.). თბილისი: მერიდიანი, 57.

23 გაიუსის ინსტიტუციები, (2011). რომის სამართლის ძეგლები. სურგულაძე ნ. (მთარგ., წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.), თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 71. იუსტინიანეს ინსტიტუციები, (2002). რომის სამართლის ძეგლები. სურგულაძე ნ. (მთარგ., წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.). თბილისი: მერიდიანი, 57.

24 იუსტინიანეს ინსტიტუციები, (2002). რომის სა-

მინის მფლობელი საკუთრებას მოიპოვებდა იმ ნივთებზეც, რასაც მდინარე მის მიწაზე გამორიყავდა,²⁵ მაგალითად, ხის საშეშე და სამშენებლო მასალა. მდინარეთა ნამატზე სანაპიროს მეზობლების უფლებები კანონით იყო განსაზღვრული და დაუფლებას არ საჭიროებდა.²⁶

ამგვარად, დამშრალი კალაპოტი და მდინარეში წარმოშობილი კუნძული დამოუკიდებელ მიწის ნაკვეთებად ითვლებიან, განსხვავებით Alluvio-სა და avulso-სგან, რომლებიც ითვლებიან გაზრდილი სანაპირო ნაკვეთების შემადგენელ ნაწილებად. შესაბამისად, ამ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნის განსხვავებული რეჟიმები მოქმედებდა. კუნძულის სანაპირო ზოლზეც იგივე ნორმები მოქმედებდა, როგორც ხმელეთის მდინარეთა ნაპირზე.

3. მონალექი ძველ ქართულ სამართალში

3.1. პირველი ცნობები მონალექის შესახებ

ძველ ქართულ სამართლის წყაროებსა და ეთნოგრაფიულ მასალებში მდინარის მონალექის შესახებ ინფორმაცია თითქმის არ იძებნება. თუმცა, მის შესახებ პირველი ცნობები უკვე უცხოელ ავტორთა შრომებში გვხვდება.

სტრაბონი წერდა, რომ მას გაგონილი ჰქონდა სვანეთში ოქროს მადნის მოპოვების შესახებ: „ამბობენ, რომ ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ბახბახოსები აგხოვებენ (ოქროს) დახეხეტილი ვახცდებით და ბანჯვვლიანი ტყავებით: აქედან მომდინარეობს

მართლის ძეგლები. სურგულაძე ნ. (მთარგ., წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.). თბილისი: მერიდიანი, 57.

25 კილასონია ი., (2004). საკუთრების უფლება რომაულ და ძველ ქართულ სამართალში. ქუთაისი, 2004, 33. იხ. Гарсия-Гаридо М.Х. (2005). Римское частно право, М., 351.

26 Дернбург Г., (1956).Пандекты, Вещное право. Т. 1, ч. 2. С.Петербург: университетская типография, 103.

მითი ოქროს საწმისიან²⁷ ვეხძე.²⁸

აპიანეს ცნობით, „კავკასიონიდან ჩამომდინარე ნაკადულებს ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები მდინარეებში ხშირბენვიან ცხვრის ტყავებს აგებენ და აგროვებენ ქვიშას, რომელიც მათზე ილექება.“²⁹

II საუკუნის ავტორი, გაიუს პინიუსის აღნიშნავდა, რომ „სვანეთსა და საერთოდ სახელმწიფოს“ მდინარეებში ოქროს აიეტის მემკვიდრე სავლაკი მოიპოვებდა.³⁰

წყაროებში ოქროს მოპოვება მდინარე ენგურის მყინვართა დნობით გამოწვეულად იდებდას უკავშირდებოდა, რომელსაც მნიშვნელოვანი ქონებრივი შედეგები მოჰქონდა სვანეთში მცხოვრები მოსახლეობის, და, განსაკუთრებით, მმართველი ფენისთვის.

3.2. მონალექზე საკუთრების უფლების შექმნის წესები

ვახტანგის სამართლის წიგნის გარდა, ძველი ქართული სამართლის არცერთი ადგილობრივი ძველი არ ითვალისწინებს მონალექის მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებს. ვახტანგის სამართალიც ამ საკითხს

„წყლის სამძღვრის ცილების“ ფარგლებში განიხილავს, რომლის შემადგენელი ორი მუხლიდან სამართლებრივ ნორმებს მხოლოდ ერთი, 184-ე მუხლი შეიცავს. 185-ე მუხლის სათაურად გამოტანილი „მენყერი რომ მოგლეჯდეს“, მხოლოდ სჯულმდებლის სურვილს ასახავს, სამართლებრივად მოწესრიგებინა ეს საკითხი, ვინაიდან ამ მუხლში იურიდიული ნორმები შეტანილი საერთოდ არ არის. როგორც ი. დოლიძე განმარტავს, მის ტექსტს ამ სამართლის წიგნის არცერთი სხვა ხელნაწერი შეიცავს.³¹

საქართველოში მოქმედი უცხოური სამართლის წყაროები, ბერძნული და სომხური სამართლის ქართული ვერსიები, მცირედით ავსებენ ამ ხარვეზს. აქვე შევნიშნავთ, რომ მონალექის საკითხში ბერძნულ სამართლის შესაბამისი ნორმები რომის სამართალს ეყრდნობა. სამართლის 269-ე მუხლი „ზღვის კუნძულისა და მდინარისათვის“ რამდენიმე სამართლებრივ ნორმას მოიცავს, მაგალითად, ბერძნული სამართლის ეს ვერსია ცნობს ოკუპაციის უფლებას ზღვის კუნძულის შუა ნაწილზე: „ვინცაჲ ვინ იმ შუაზედ ალაგს პირველად დაიჭერს, ის ალაგი მისი იქნება და სხვას ხელი არავისა აქუს“.³² ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ წყარო არაფერს ამბობს კუნძულის სხვა დანარჩენი ნაწილების შესახებ, მაგალითად, სანაპირო ზოლის დასაკუთრების წესი როგორია. ვფიქრობთ, აქ სრულიად უადგილოა კუნძულის „შუა ალაგის“ მიკუთვნების საკითხი, რადგან კუნძულის დაუფლებისას, ოკუპაციის უფლებით, მთელი კუნძული მისი მიმთვისებლის ხდებოდა. ბერძნული სამართლის ქართული ვერსია პრაქტიკულად იმეორებს იუსტინიანეს ინსტიტუციების მეორე წიგნის 22-ე პარაგრაფის დასაწყისის ზღვასა და მდინარეში კუნძულთა წარმოშობის შესახებ,³³ ოღონდ შინაარსო-

27 ახ. წ-ის II საუკუნის ანონიმი ავტორი თვლიდა, რომ ოქროს საწმისი ცხვრის ტყავზე დაწერილი ქიმიის წიგნი იყო, რომელშიც ოქროს ქიმიური გზით მიღების წესებია მოცემული. ზარაქს პერგამონელის აზრით, ოქროს საწმისში ეტრატებში აღნუსხული ოქროდამწერლობის ხერხი იყო გადმოცემული. თუმცა სტრაბონის ცნობა უტყუარი უნდა იყოს, რადგან გეოგრაფის ბიძა, დედის ძმა, გარკვეული დროის მანძილზე კოლხეთსაც მართავდა და სტრაბონს რეალური ცნობები ექნებოდა ხელთ. იხ. ჩაგუნავა რ., ოქროს საწმისი, საქართველოს ქალი, 2006, №1-2, 39.

28 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, (1970). საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე. მელიქიშვილი გ. (რედ.), (1970). თბილისი: საბჭოთა საქართველო, 324. შუად. Strabo, XI, 2, 19.

29 გამყრელიძე გ., ფირცხალავა მ., ყიფიანი გ., (2005). ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, თბილისი: არტანუჯი, 6. შუად. აპიანე, მითრიდატეს ომები, 103.

30 გამყრელიძე გ., ფირცხალავა მ., ყიფიანი გ., (2005). ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, თბილისი: არტანუჯი, 6. შუად. NH, XXXIII.

31 სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, (1963). ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ქსძ, I, დოლიძე ის. (მთ. რედ., გამოკვ. და ლექსიკ.), თბილისი, 527.

32 ბერძნული სამართალი, (1963). ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ქსძ, I, დოლიძე ის. (მთ. რედ., გამოკვ. და ლექსიკ.), თბილისი, 190.

33 იუსტინიანეს ინსტიტუციები, (2002). რომის სამართლის ძეგლები, სურგულაძე ნ. (მთარგ., წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.). თბილისი: მერიდიანი, 57.

ბრივი უზუსტობით, რომელიც გადამწერის, მთარგმნელის ან, თუნდაც, შემდგენელის შეცდომას შეიძლება მიეწეროს.

ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 269-ე მუხლის ერთ-ერთი ნორმა, იუსტინიანეს ინსტიტუციების მსგავსად, ასევე მსჯელობს მდინარის დინების თავისებურებაზე, რაც კალაპოტის ორ ნაწილად გაყოფაში მდგომარეობს. ამის საფუძველზე, ის ადგენს მდინარის შუაში წყლის ბუნებრივი დანრეტისას გამოყოფილი ადგილის მიკუთვნების ამგვარ წესს: „ვისიც გაღმით და გამოღმით სოფლებია, ოხთავ შუა უნდა გაიყონ ის ადაგი“ (269-ე მუხ.).³⁴ მდინარის შუა წელის ხმელეთზე, მისი მოსაზღვრე სოფლები, როგორც დამოუკიდებელი სამართლის სუბიექტები, საკუთრების უფლების თანაბარ წილს შეიძენდნენ მიწაზე. საკუთრების უფლების მოპოვების საფუძველი ახლად გამოყოფილი მიწის ადგილმდებარეობაა. შესაბამისად, თუ მდინარე ისევ დაფარავდა ამ ხმელეთს წყლით, სოფლების საკუთრების უფლება მასზე შეწყდებოდა.

ამავე მუხლით, მონესრიგებულია უფლების მოპოვების საკითხი ისეთი მოცემულობის დროს, როდესაც მდინარე კალაპოტიდან რომელიმე სოფლის მხარეს მივარდებოდა და ამის გამო მეორე მხარის ნაპირს ხმელეთი მიემატებოდა. ბერძნული სამართალი ასეთი ნამატის ახალ მესაკუთრედ იმას მიიჩნევს, ვის მიწასაც წყლის დინების ცვლილების გამო ახალი მიწის ნაკვეთი შეემატა. კანონმდებელი განმარტავს, რომ ეს უფლება, შესაძლებელია, სულაც დროებითი იყოს, რადგან: „წყადს სახწმუნოება ახა აქუს, დღეს იქით გახდავახდა, ხვად აქეთვე გადმოვახდება“.³⁵ წყლის ამ ბუნებას ითვალისწინებს ვახტანგის სამართალიც, თუმცა უფლების დადგენისას საპირისპირო შეხედულებას გამოხატავს. მისი სამართლის 184-ე მუხლის პირველი ნორმა ამგვარად არის ფორმულირებული: „იქნების და ქნიღა, მდინა-ხემ წყადმა ძველი ნადენი ადაგი დაავდოს, ხან იქით გახდავახდეს და ხან აქეთ, და ამაზე ცილება მოჰადეს, ჩვენი სამძღვახი წყადი ახისო და

ხაც ჩემვენ დაჩა, ჩემი ახისო. მაგხამ ამით სამძღვახი ახ შეიშდების. ხოდესაც თაობიდან ამ მდინაახის პიხს აშენებუდა, გაღმა თუ გამოღმა, სადაც მაშინ წყადს უდენია და ამ სოფლებს იმ წყდის პიხამდი სჭეხია, ისხევ უნდა ეჭიხოსთ“.³⁶

ნორმის შინაარსი აჩვენებს, რომ ვახტანგი უგულებელყოფს წყლის კალაპოტის ცვლილებით გამოწვეულ ახალ გარემოებას და იცავს მდინარის მომიჯნავე ნაკვეთების მფლობელთა ქონებრივ უფლებებს ზუსტად იმ ფარგლებში, რომლებშიც ის მათ „თაობი-დამ“ უჭირავთ. ამ შემთხვევაში, საზღვრის უცვლელობის საფუძველს წარმოადგენდეს ორი გარემოება. პირველი მიზეზი ისაა, რომ ეს ნაკვეთები მემკვიდრეობით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეჭირათ მფლობელებს და მათ შორის საზღვრის მოშლას ბუნებრივი მოვლენების გამო, კანონმდებელი მიზანშეწონილად არ მიიჩნევს, და, მეორე მხრივ, – მდინარის კალაპოტის ხშირი ცვლილების გამო, ყოველ ჯერზე წარმოშობილი დავის განხილვა სასამართლო ხელისუფლების ინტერესებში არ შედიოდა.

აქვე აღსანიშნავია, რომ წყლის გადაგდება ნებართვის გარეშე აკრძალული იყო და სასჯელს ითვალისწინებდა. ბიჭვინთის იადგარით, ვინც კათალიკოზის უკითხავად ბიჭვინთის წყალს ინადირებდა „მოსადებლითა“, ანუ მდინარეს კალაპატს ხელოვნურად შეუცვლიდა, ოცი ათასი თეთრი საყდრისთვის უნდა დაეურვებინა.³⁷

4. კანონის ანალოგია – საკუთრების უფლება წინაღისეულზე

ნაშრომის შესავალშივე აღვნიშნეთ, რომ დასაშვებად მიგვაჩნია მსჯელობა, მონალექ მიწას შერეულ ძვირფას ლითონსა და სხვა ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნაზე გავრცელდეს ის კანონის ანალოგიით გავ-

34 ბერძნული სამართალი, (1963). ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ქსძ, I, დოლიძე ის. (მთ. რედ., გამოკვ. და ლექსიკ.). თბილისი, 190.
35 ბერძნული სამართალი, (1963). ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, დოლიძე ის. (მთ. რედ., გამოკვ. და ლექსიკ.). თბილისი, 190.

36 სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, (1963). ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, დოლიძე ის. (მთ. რედ., გამოკვ. და ლექსიკ.), თბილისი, 527.
37 ბიჭვინთის იადგარი [1525-1550 წწ.], (1965). II, დოლიძე ის. (მთ. რედ., შენიშვ. და საძიებ.). თბილისი: მეცნიერება, 182.

რცელდეს ის სამართლებრივი ნორმები, რაც წიაღისეულზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად იყო განსაზღვრული.

მხითარ გოშის სამართალი ნებისმიერ ადგილზე, ქალაქსა თუ სოფელში „გამოჩენილი“ ქალებისა თუ სხვა ნივთიერებების მესაკუთრედ მეფეს, დედოფალს და ზოგჯერ თავადებს ასახელებს.³⁸ მეფეს ეკუთვნის ოქრო და თვალმარგალიტი, დედოფალს – ვერცხლი, თუ ეს ძვირფასი ქანები სათავადოში გამოჩნდებოდა, მეფეს თავისი სურვილით შეეძლო თავადისთვის წილი მიეცა, ან უკლებლივ თვითონ აეღო; სპილენძი, კალა, რკინა, მარილი, შაბი, ბორაკი, ნავთი და კუპრი თავადების იყო, „დიდის წყალობით და პატივისცემით ხელმწიფისაგან“, რისთვისაც თავადებს მაღლიერება უნდა გამოეხატათ მეფის მიმართ.³⁹ ეს მაღლიერება, ალბათ, მეფისთვის წილის მიცემაში გამოიხატებოდა. გოგირდი, საკმელი, გუნდა, ჯაოზი და სხვა ამგვარი ნივთიერებებით სარგებლობა და ვაჭრობა ყველასთვის დასაშვები იყო. აქვე აღნიშნულია, რომ მათ შეუძლიათ „იათისთაონ“, ანუ ვაჭრობისას ფასნამატად მეთადი განსაზღვრონ.

საკუთრების ამ ობიექტებს შორის დასახელებული თვალმარგალიტი მართო ზღვაში ან ზღვის ნაპირზე მოიპოვება. რომის სამართლისგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც ზღვის ნაპირზე ნაპოვნი ძვირფასი ქვები და მარგალიტები, ბუნებითი სამართლის საფუძველზე მაშინვე მპოვნელის საკუთრება ხდებოდა,⁴⁰ ფეოდალური სამართლით მათზე საკუთრების უფლება მხოლოდ ქვეყნის მთავარ მეპატრონეს, მეფეს ჰქონდა.

იოანე ბატონიშვილის სჯულდებით, წიაღისეულის მოპოვება ან მეფეს უნდა ეწარმოებინა თავისი ხარჯით, ან იჯარით უნდა გაე-

ცა. მიღებული მადანი, იქნებოდა ეს ოქრო, ვერცხლი თუ სპილენძი, შუაზე უნდა გაეყოთ, მუშების ხარჯი კი მოიჭარეს უნდა გაეწია.⁴¹

წიაღისეულიდან შემოსავალი მნიშვნელოვანი იყო ცალკეულ სამეფო-სამთავროთა მმართველებისთვის. სოლომონ მეორეს ერთ-ერთი პირველი სათხოვარი რუსეთის იმპერატორისადმი იყო ის, რომ იმერეთში მოპოვებულ-დამუშავებული ყველა მადნიდან – ოქრო იქნებოდა ეს, ვერცხლი თუ სხვა ნებისმიერი, მეფე წილის გარეშე არ დაერჩენილიყო.⁴²

5. ნალექების ბავლენა მონალექა

სხვა პირველწყაროები მონალექის შესახებ თითქმის არ მოიძებნება და არც სამართლის ისტორიის მკვლევართა მიერაა ეს თემა შესწავლილი. ლიტერატურაში გაბნეული ცნობები დასავლეთ საქართველოს მდინარეების – რიონის, ტეხურასა და ცხენისწყლის, ასევე ქვემო ქართლში, მდინარე მაშავერას კალაპოტებში მონალექ ქვოში ოქროს შემცველობის შესახებ, საკითხის შესასწავლად არასაკმარისია. შესაბამისად, პირველ რიგში, აუცილებელია გაირკვეს, რატომ უთმობდნენ ასეთ მცირე ყურადღებას კანონმდებლები მინის მონალექის რეგულირების საკითხს და რატომ არ გამომუშავდა მდინარეებით მდიდარ ქვეყანაში თუნდაც შესატყვისი ხასიათის ადათები. ამ მხრივ, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებსაც: ნალექების სიხშირე, მოცულობა და მდინარეთა ბუნება, ქმნიდნენ თუ არა ეს გარემო ფაქტორები აუცილებლობას, ჩვეულებით სამართალს მაინც შეევსო მდინარის მონაყარი მინის შესახებ არსებული მწირი საკანონმდებლო სივრცე.

38 სამართალი მოსესი, (1963). მხითარ გოშის სამართლის ვერსია, ვანტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ქსძ, I, ი. დოლიძე (მთ. რედ., გამოკვ. და ლექსიკ.), თბილისი, 289.

39 სამართალი მოსესი, (1963). მხითარ გოშის სამართლის ვერსია, ვანტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ქსძ, I, ი. დოლიძე (მთ. რედ., გამოკვ. და ლექსიკ.), თბილისი, 290.

40 იუსტინიანეს დიგესტები, (2012). რომის სამართლის ძეგლები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე. სურგულაძე ნ., (მთარგ., წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.), თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ გამომცემლობა, 109.

41 იოანე ბატონიშვილი, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), (1975). სურგულაძე ივ. (მთ. რედ., შეს., ლექსიკ. და საძიებ.), სტალინის სახელობის თსუ გამომცემლობა, 8.

42 მუხლნი სათხოვარნი სოლომონ II-ისა ალექსანდრე I-სადმი იმერეთის სამეფოზე მისი უფლებების დამტკიცების შესახებ [1804 წ.], (1965). ქსძ, II, დოლიძე ის. (მთ. რედ., შენიშ. და საძიებ.). თბილისი: 561.

დადგენილია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე თავსხმა წვიმები, რომლებიც უფრო ადგილობრივი ხასიათისაა, მიუხედავად მათი მოკლე ხანგრძლივობისა, საკმაო ზიანს აყენებდა მცირე მდინარეების ხეობებს, მაგალითად, თბილისის ტერიტორიაზე ხშირად წამოიშობოდა ღვარცოფები, ასევე, მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირებზე,⁴³ მაგრამ დიდ მდინარეთა წყალმოვარდნისთვის მთავარი მნიშვნელობა ხანგრძლივ და დიდ ტერიტორიაზე გაშლილ ნალექს ჰქონდა.⁴⁴ წყალდიდობა-ნიაღვარი გავრცელების ტერიტორიის მხრივ დამოკიდებულია წვიმების ხანგრძლივობაზე, ვიდრე ხანმოკლე დროის განმავლობაში მოსული ნალექების რაოდენობაზე. ასეთი წყალდიდობა და წარმოქმნილი ნიაღვრები დიდ ზიანს აყენებდა მდინარის ნაპირებს და აცლიდა მიწას, რომელიც მონაყარის სახით სხვა ტერიტორიაზე გადაჰქონდა.⁴⁵ ასეთი წვიმებით განსაკუთრებით ზარალდებოდა დასავლეთ საქართველო, რადგან აღმოსავლეთ საქართველოსგან განსხვავებით, თავსხმა წვიმები აქ გაბმულ და გარშემო მოდებულ ნალექებში გადადის.⁴⁶

მთის მდინარეთა ბუნების კვლევამ, მაგალითად, თუშეთში აჩვენა, რომ წყალდიდობა მხოლოდ თოვლიანი და ყინულოვანი წყლების ხარჯზე ფორმირდებოდა თუშეთის ალაზანსა და პირიქითის ალაზანში.⁴⁷ მასში ზაფხულის სეზონების ნალექიც კი არ იწვევს ჩამონადენის საგრძნობ ზრდას.⁴⁸ მონალექის ჩამოტანა უფრო იმ მდინარეებზე ხდება, რომლებსაც ვარდნის საკმარისი დაქანება აქვთ; ასეთია, ენგურის, ხობისწყლის, ოჩხომურასა და ტეხურას შორის მდებარე წყალგა-

მყოფები.⁴⁹ გამორკვეულია, რომ გრანიტული ქვარგვალეები ენგურის ძლიერი დინების მიერაა სამეგრელოში ნალექების ნაშალი მასალის სახით ჩამოტანილი.⁵⁰

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ ეროვნული სამართლის ძეგლებიდან, მხოლოდ ვახტანგის VI-ის სამართალს და ისიც ნაწილობრივ, ჩაუთვლია საჭიროდ სპეციალური მოწესრიგების საგნად გაეხადა მონალექის იურიდიული რეჟიმი. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხს არც უცხოურიდან ნათარგმნი ძეგლები უთმობენ განსაკუთრებულ ყურადღებას. ვფიქრობთ, ვახტანგის სამართლის შესაბამისი დებულების წყარო უნდა იყოს ადგილობრივი ჩვეულებითი სამართალი, რომელიც სჭულმდებელმა მეფემ თავისი ნორმის საფუძვლად გამოიყენა. რომის სამართლისგან განსხვავებით, რომელიც, თავის მხრივ, ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის წყაროსაც წარმოადგენს, ძველი ქართული ადგილობრივი სამართალი არ ითვალისწინებდა მდინარის კალაპოტის ცვლილების გამო მომიჯნავე ნაკვეთებზე უწინდელისგან განსხვავებული უფლების დადგენას. რაც შეეხება მონალექის მიერ გამოტანილ ნივთებს, შესაძლებელია მათზე გავრცელებულიყო ნაპოვარის, უპატრონო ნივთებისა და წიაღისეულისთვის დადგენილი წესები ნივთების სამართლებრივი ბუნების შესაბამისად.

43 კორძახია მ., (1948). ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების კლიმატური რეჟიმი საქართველოში. ვსგი შრომები. თბილისი: სსსრმ აკადემიის გამომცემლობა, ტ. III, ნაკვეთი 1, 59.

44 იქვე; იხ. Фигуровский Н. (1928). Ливны на Кавказе, Москва.

45 კორძახია მ., (1948). ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების კლიმატური რეჟიმი საქართველოში. ვსგი შრომები. თბილისი: სსსრმ აკადემიის გამომცემლობა, ტ. III, ნაკვეთი 1, 61.

46 იქვე.

47 ვლადიმეროვი ლ., (1957). თუშეთის მდინარეთა ჩამონადენის გამოკვლევისთვის. სსსრმ აკადემიის მოამბე, ტ. XVIII, № 3, 311-312.

48 იქვე, 313.

49 ვახანია ე., (1957). კოლხიდის სერიის ასაკის შესახებ. სსსრმ აკადემიის მოამბე, ტ. XVIII, № 3, 318.

50 იქვე, 319.

ბიბლიოგრაფია:**წყაროები:**

1. ბერძნული სამართალი, (1963). ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ქსდ, I, დოლიძე ის. (მთ. რედ., გამოკვ. და ლექსიკ.), თბილისი.
2. ბიჭვინტის იადგარი [1525-1550 წწ.], (1965). II, დოლიძე ის. (მთ. რედ., შენიშვ. და საძიებ.). თბილისი: მეცნიერება.
3. გაიუსის ინსტიტუციები, (2011). რომის სამართლის ძეგლები სურგულაძე ნ. (მთარგ., წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.). თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. იოანე ბაგრატიონი, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), (1975). სურგულაძე ივ. (მთ. რედ., შეს., ლექსიკ. და საძიებ.), სტალინის სახელობის თსუ გამომცემლობა, 8.
5. იუსტინიანეს დიგესტები, რომის სამართლის ძეგლები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე. (2012). სურგულაძე ნ. (მთარგ., წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.). თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ გამომცემლობა.
6. იუსტინიანეს დიგესტები. (2014). რომის სამართლის ძეგლები, წიგნი მეექვსე. სურგულაძე ნ., (წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.). ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ გამომცემლობა. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ გამომცემლობა.
7. იუსტინიანეს ინსტიტუციები, (2002). რომის სამართლის ძეგლები. სურგულაძე ნ. (მთარგ., წინასიტ., შენიშ., ლექს. და საძიებ.), თბილისი: მერიდიანი.
8. მუხლნი სათხოვარნი სოლომონ II-ისა ალექსანდრე I-სადმი იმერეთის სამეფოზე მისი უფლებების დამტკიცების შესახებ [1804 წ.], (1965). ქსდ, II, დოლიძე ის. (მთ. რედ., შენიშვ. და საძიებ.). თბილისი.
9. სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, (1963). ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ქსდ, I, დოლიძე ის. (მთ. რედ., გამოკვ. და ლექსიკ.), თბილისი.
10. სამართალი მოსესი, (1963). მხითარ გოშის სამართლის ვერსია, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ქსდ, I, ი. დოლიძე (მთ. რედ., გამოკვ. და ლექსიკ.), თბილისი.

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. Bernhard Windscheid, Lehrbuch des Pandektenrechts, Band I, 1887.
2. Гарсия-Гаридо М.Х. (2005). Римское частно право, М., 351.
3. Дернбург Г., (1956), Пандекты, Вещное право. Т. 1, ч. 2. С.-Петербург: университетская типография.
4. Пухта Г.Ф., (1874). Курсь римского гражданского права, типографія «Соврем. Изв.».
5. Фигуровский Н. (1928). Ливны на Кавказе, Москва.
6. გამყრელიძე გ., ფირცხალავა მ., ყიფიანი გ., (2005). ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, თბილისი: არტანუჯი, 6. შეად. აპიანე, მითრიდატეს ომები.
7. გარიშვილი მ., ხოფერია მ., (2014). საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია. თბილისი: მერიდიანი.
8. ვახანია ე., (1957). კოლხიდის სერიის ასაკის შესახებ. სსსრმ აკადემიის მოამბე, ტ. XVIII, № 3.

9. ვლადიმროვი ლ., (1957). თუშეთის მდინარეთა ჩამონადენის გამოკვლევისთვის. სსსრმ აკადემიის მოამბე, ტ. XVIII, № 3.
10. კერესელიძე დ., (2009). კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბილისი: ეშსი.
11. კილასონია ი., (2004). საკუთრების უფლება რომაულ და ძველ ქართულ სამართალში. ქუთაისი.
12. კორძახია მ., (1948). ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების კლიმატური რეჟიმი საქართველოში. ვსგი შრომები. თბილისი: სსსრმ აკადემიის გამომცემლობა, ტ. III, ნაკვეთი.
13. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, (1970). საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე. მელიქიშვილი გ. (რედ.), (1970). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
14. ჩაგუნავა რ., (2006). ოქროს სანძისი. საქართველოს ქალი, №1-2.

ლექსიკონი:

1. Бартошек, М., (1989). Римское право, понятия, термины, определения. Москва: Юридическая литература.

IMPACT OF COVID-19 ON HUMAN RIGHTS

Levan Meskhoradze

Associate Professor of the European University

KEYWORDS: Human Rights, Defence of Freedom, European Court

ABSTRACT

On March 11, 2020, the World Health Organization declared a coronavirus pandemic. The economy stopped, the lives of billions of people changed. As a result of pandemic, a number of constitutional rights have been restricted. Restrictions imposed during the state of emergency affected public life and threatened the implementation of international human rights instruments at the national level. Number of States declared state of emergency to tackle with pandemic. Herewith, a few states refrained from doing so.

The foregoing article reviews the impact of COVID-19 on the rights and freedoms protected by the European Convention on Human Rights, relevant state practice of derogating from obligations under the Convention, statistical data and the supervisory role of the European Court of Human Rights (ECtHR) against abuse of the derogation mechanism.

INTRODUCTION

Since the end of 2019, the new coronavirus COVID-19 has spread globally. On January 30, 2020, the Secretary General of the World Health Organization announced the outbreak of the new coronavirus. On March 11, 2020, the World Health Organization declared a coronavirus pandemic. The economy stopped, the lives of billions of people changed. “We have no experience of a pandemic caused by the coronavirus, and there has not been a pandemic that could be controlled” – said the head of the World Health Organization, Tedros Adhanom Ghebreyesus.

The created situation led to the need to impose restrictions in various areas. As a result of the pandemic, a number of human rights guaranteed by the European Convention on Human Rights (European Convention) have been restricted.

As a highly infectious disease, COVID-19 required and requires special measures to stop the spread of the virus. Across the Council of Europe, ten states (Georgia, Estonia, Armenia, Romania, Moldova, Latvia, North Macedonia, Albania, Serbia and San Marino) declared a state of emergency and, in accordance with Article 15, made a decision to derogate from their obligations under the Convention (derogation). Restrictions imposed during the state of emergency affected public life and threatened the implementation of international human rights instruments at the national level.

DECLARING A STATE OF EMERGENCY AND DEROGATING FROM THE RIGHTS GUARANTEED BY THE CONVENTION

essential requirements established by the European Convention and case law

According to Article 15 of the European Convention, a High Contracting Party may derogate from its obligations under the Convention if it meets three conditions. First, derogation is permitted only “in time of war or other public emergency threatening the life of the nation.” Second, deviation from obligations is allowed only “to the extent strictly required by the exigencies of the situation”. Third, the derogation must be consistent with the State’s “other obligations under international law.”

It is important to note that according to Article 15, paragraph 2 of the Convention, it is not allowed to derogate from some of the rights. The Convention does not allow for derogations from Articles 2 (right to life), 3 (prohibition of torture), 4 (prohibition of slavery and forced labour) and 7 (no punishment without law). In addition, each High Contracting Party making a derogation shall

inform the Secretary General of the Council of Europe of the measures taken.

The European Court of Human Rights in the case *Lawless v. United Kingdom* defined “war or other emergency situation threatening the existence of the nation” as “a particular crisis or other emergency situation affecting the population and constituting a threat to the community of which the State is composed.”¹ A state of emergency must be based on an immediate and real danger.² However, the declaration of a state of emergency is legitimate when the usual restrictions provided for by the Convention are considered insufficient.³ The Convention does not establish the terms and duration of declaring a state of emergency. However, the Court’s case law makes it clear that for the purposes of Article 15, a state of emergency can be extended for many years.

It is the job of the national government to decide the existence of a state of emergency, the nature and extent of the deviation. In this regard, Article 15 provides a wide scope of action.⁴ However, states do not have unlimited powers. To determine whether the authorities have crossed the red line, the court considers the following factors:

- Whether it was possible to deal with the danger caused by the emergency situation under the applicable law, bypassing the derogation provided for in Article 15;⁵
- Whether the measures have been used for the purposes for which they were adopted;⁶
- Whether the measures taken were proportionate and whether there were other alternative, lighter means of achieving the intended goal;⁷
- What is the extent of the derogation from the obligations of the Convention;⁸

1 *Lawless v. Ireland*, Application 332/57, 14 November 1960, §26.

2 *Ireland v. the United Kingdom*, Application 5310/71, 1978, § 205.

3 *Denmark, Norway, Sweden and the Netherlands v. Greece*, Commission Report, 1969, § 153.

4 *Supra* note 2, § 207.

5 *Lawless v. Ireland*, § 212.

6 *Ibis*. §38.

7 *A and Others v. the United Kingdom*, Grand Chamber, 2009, § 190.

8 *Brannigan and McBride v. the United Kingdom*, 1993, § 66.

- Whether the need for derogation was subject to periodic review;⁹
- Whether there was a possibility of judicial control over such measures.¹⁰

As the court explained, “a state of emergency that threatens the nation” should not become an excuse for arbitrary interference with rights. Even during a state of emergency, any measure must serve to protect democratic order and values, human rights and freedoms.¹¹

The cases considered by the court regarding the state of emergency so far were related to terrorist activities or armed conflict. Although the Court has not considered health-related issues in the context of the state of emergency, the aforementioned rules established by the Court’s case law are unconditionally relevant to restrictions caused by the pandemic.

THE SUPERVISORY ROLE OF THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS IN CASE OF ABUSE OF THE STATE OF EMERGENCY BY THE AUTHORITIES

The decision of the authorities to derogate from the obligations imposed by the Convention must meet the principle of good faith in order to exclude the danger of arbitrariness and abuse of the state of emergency. However, before the implementation of the adopted measures, the European Court cannot assess the legality of the implemented measure. The necessity and proportionality of the restrictive measures are assessed only after the relevant complaint reaches the European Court. This leads to long delays in responding to abuses of these measures.

One of the important safeguards established by Article 15 is the principle of notification. In particular, according to paragraph 3 of Article 15 of the Convention “Any High Contracting Party availing itself of this right of derogation shall keep the

Secretary General of the Council of Europe fully informed of the measures which it has taken and the reasons therefore. It shall also inform the Secretary General of the Council of Europe when such measures have ceased to operate and the provisions of the Convention are again being fully executed.”

It should be noted that the convention does not provide for the deadline and form of notification. The Court’s case law does not contain an explicit requirement that such notice be given “immediately, without any delay”. The obligation provided for in paragraph 3 of Article 15 is actually translated into the registration of the notification. Accordingly, the essential assessment of the restrictions during the state of emergency cannot take place until the applicant appeals it before the European Court. This indicates the formal nature of the state of emergency notifications.

Based on the above, there is a need to introduce new means of non-judicial supervision of the state of emergency or to strengthen the existing means. 4 years ago, the long-term derogation from the Convention by France, Ukraine and Turkey made clear to the Parliamentary Assembly of the Council of Europe (PACE) the necessity to use other mechanisms of the Council of Europe.

Accordingly, Council of Europe Parliamentary Assembly No. Resolution 2209 (2018) emphasized the authority of the Secretary-General, in the context of Article 52 of the Convention¹², to supervise existing derogations “through dialogue with the State concerned to ensure the compliance of the measures taken during the state of emergency with the principles established by the Convention.”

Article 52 of the Convention obliges the States, upon the request of the Secretary General, to submit explanations of how the High Contracting Party ensures the effective implementation of the provisions of the Convention in national law.

The provisions of Article 52 were used six times. Finally, in 2005, the Secretary General requested clarifications from 47 member states regarding

9 Ibis, § 66.

10 Demir and others v. Turkey, application 21380/93, 23 September 1998, §52.

11 Şahin Alpay v. Turkey, Application 16538/17, June 20, 2018, §180.

12 Pursuant to Article 52, at the appropriate request of the Secretary General of the Council of Europe, each High Contracting Party shall provide an explanation of the manner in which its domestic law ensures the full implementation of the provisions of the Convention.

alleged violations of the European Convention on Human Rights related to the alleged presence of US Central Intelligence Agency (CIA) secret detention centers in Council of Europe member states. A special rapporteur was appointed to investigate the allegations. These reports established a high probability that CIA operational detention centers existed in Poland and Romania. As a result, the Parliamentary Assembly adopted several resolutions regarding this issue.

Article 52 was used only in three cases in relation to a specific participating state: in 1999, regarding the implementation of the provisions of the Convention by the Russian Federation in Chechnya; In connection with the suspension of the registration of a political party in the Republic of Moldova in 2002 for violating the rules on assembly and demonstrations; in 2015 to Azerbaijan. In the latest case, the Secretary-General requested clarifications regarding the implementation of the final decision of the European Court of Human Rights in the Ilgar Mammadov v. Azerbaijan case,¹³ which concerned the illegal detention of a political opposition activist.

STATE PRACTICE

Across the Council of Europe, many countries have declared a state of emergency to take unprecedented measures to tackle the COVID-19 pandemic. However, many states refrained from taking such a step. Ten states (Georgia, Estonia, Armenia, Romania, Moldova, Latvia, North Macedonia, Albania, Serbia and San Marino) used the option to derogate from the Convention due to the threat of the spread of COVID 19.

Derogation from the Convention affected a number of rights, including the right to freedom (Article 5), the right to a fair and public trial (Article 6); the right to privacy (Article 8), the right to participate in religious gatherings and the enforcement of religious rules (Article 9), Article 10 (freedom of expression), the right to assembly and demonstrations (Article 11), freedom of movement (Article 2 of Protocol 4).

¹³ Ilgar Mammadov v. Azerbaijan, application 15172/13, 13 October 2014.

As for the terms, all the states that used the right of derogation, submitted information about the declaration of the state of emergency and the measures taken within a few days. An exception is North Macedonia, which submitted such notification 2 weeks late. For reference, in *Greece v. United Kingdom*, the Commission emphasized that the three-month period between the declaration of a state of emergency and notification was unjustified.¹⁴

There are legitimate questions as to whether the notifications submitted include sufficient and reasonable grounds to demonstrate that the diversion was a necessary and proportionate measure given the dangers posed by the pandemic. Most of the messages are based on the World Health Organization's declaration of March 11, 2020, stating that the measures taken are necessary to stop the spread of the virus, which may not be sufficient justification to justify a derogation.

Finally, taking into account that Articles 8, 9, 10, 11 of the Convention and Article 1 of Additional Protocol 1 do not constitute absolute rights, it is important to determine the extent to which it was necessary to depart from these Articles using the mechanism under Article 15. Obviously, the provisions of the above-mentioned convention provide for the possibility of interfering with protected rights if the criteria of legality, necessity and proportionality are met. Presumably, the court will, first of all, consider whether there are justified circumstances to interfere with these rights. If answered in the affirmative, the court may not even consider the legitimacy of derogating from Article 15. Thus, the court will continue to examine the reasonableness of the derogation unless the restrictive measures are justified by the above-mentioned 3-step test.

LIMITATIONS ON SPECIFIC RIGHTS

– Article 2 of the Convention (right to life)

The right to life is one of the fundamental rights protected by the Convention. According to Article 15 of the Convention, derogation from the obligations of Article 2 is not allowed.

¹⁴ *Greece v. United Kingdom*, § 158.

Although the right to health is not a right protected by the European Convention, Articles 2 and 8 of the Convention impose a positive obligation on the High Contracting Parties to ensure the supervision of the health sector through the adoption of appropriate regulations.¹⁵ Article 2 also covers a situation where it is established that the authorities of a contracting state endanger human life by refusing to provide health care, while they have undertaken the obligation to make health care available to the population.¹⁶

In two exceptional cases, the Court established state liability for the actions and omissions of the medical service provider: first, when the patient's life was knowingly endangered by the refusal of emergency medical care;¹⁷ Second, when due to systemic and structural deficiencies in medical facilities, a patient is deprived of the right to access emergency medical treatment, when the authorities knew or should have known about this risk and did nothing to eliminate it.¹⁸

Given the dire situation caused by the pandemic, which is affecting many people, it is essential that the authorities ensure effective enforcement of health regulations and equal access to medical services, especially for those who need emergency medical care.

– Article 5 of the Convention (right to liberty and security)

In the case of *Enhorn v. Sweden*,¹⁹ the applicant, who was suffering from AIDS, indicated that he had been involuntarily hospitalized after having sexually transmitted the virus to another man.

In the decision made in the mentioned case, the court established the following important criteria to assess the legality of arresting persons “to prevent the spread of infectious diseases”:

...whether the spread of infectious diseases is dangerous to the health and safety of the public,

15 Vasileva v. Bulgaria, application 23796/10, 17 March 2016, § 63.

16 Cyprus v. Turkey, application, 25781/94, 10 May 2001, § 219.

17 Mehmet Şentürk and Bekir Şentürk v. Turkey, Application 13423/09, April 9, 2013, § 80.

18 Aydoğdu v. Turkey, application 40468/09, 30 August 2016, § 79.

19 Enhorn v. Sweden, application 56529/00, 25 January 2005.

whether the arrest of an infected person is the last resort to prevent the spread of the disease, for the reason that less severe measures have been considered and regarded as insufficient to protect the public interest.

In the *Einhorn* case, the Court found a violation of Article 5 § 1 on the basis that the applicant's forced isolation did not constitute an extreme measure to prevent him from spreading the AIDS virus, as less severe measures were not even considered. It is also significant that he stayed in the medical institution involuntarily for 1 year and 6 months. Therefore, the Swedish authorities have rightly failed to balance the prevention of the spread of the virus with the applicant's right to liberty.

The quarantine regime, based on the objectives of Article 5 of the Convention, leads to the “deprivation of liberty” of many people. Such deprivation of liberty shall be in accordance with the practice of the European Court of Human Rights if the deprivation of liberty is in accordance with national procedural law; Imprisonment is limited in time; Imprisonment serves a legitimate purpose, namely the prevention of the spread of infectious diseases.

– Article 6 of the Convention (right to a fair trial)

Unless there are exceptional circumstances, the right to a public hearing is a right under Article 6 at least in one instance.²⁰

As a result of pandemic, the publicity of the meetings is limited, in order to prevent the spread of the virus. Participants of the process, defendants, media representatives, in most cases, are involved in the discussion of cases remotely. In this case, the use of remote involvement would be justified if the rights of a defendant will be adequately protected.²¹

– Article 8 of the Convention (right to protection of private and family life)

Physical, psychological and moral inviolability is part of the right to privacy, one of the

20 Lundevall v. Sweden, application 38629/97, 12 November 2002.

21 Marcello Viola v. Italy, Application 45106/04, 5 January 2007.

components of which is health care and medical treatment. Free and informed consent to medical treatment is one of the most important issues in the court case law.

The case of *Glass v. United Kingdom* concerned the performance of a medical procedure (taking diamorphine) on a disabled child by medical personnel without the mother's consent. In this case, the issue before the court was whether the medical institution's decision to perform a medical procedure without clear, free and informed consent was valid. The European Court found that the decision of the state authorities to ignore the applicant's refusal to receive treatment violated Article 8 of the Convention.²²

On April 8, 2021, the European Court issued one of its landmark judgments in the case of *Vavrichka et al. v. Czech Republic* concerning compulsory vaccination of children.²³

In this case, the applicants complained that the imposition of fines on the parents of the child and the refusal to admit them to kindergarten for failure to comply with the legal obligation of compulsory vaccination violated Article 8 of the European Convention.

The applicants claimed that mandatory vaccinations unreasonably limited their right to autonomy in making decisions about their own health. The children's parents pointed out that compulsory vaccination unjustifiably restricted the right to free development and the right of parents to ensure the upbringing of their children in accordance with their conscience, beliefs and opinions. In this regard, the applicants believed that the best interest of the child should be assessed first and foremost by the parents and that the intervention of the authorities should be allowed only in extreme cases.

The court explained that compulsory vaccination, as an involuntary medical intervention, represented an interference with the right to privacy.²⁴

Regarding the legal obligation to vaccinate, the court explained that the purpose of the rel-

evant legislation is to protect people from diseases that may pose a serious threat to health. This applies both to those who are subject to appropriate vaccinations and to those who have not received the vaccine and are vulnerable. This purpose is consistent with the purposes of protecting health and protecting the rights and freedoms of others.

States therefore have an obligation to act in the best interests of the child in all decisions affecting the child's health and development. When it comes to immunization, the goal should be to protect the child from serious diseases. In most cases, this is achieved by compulsory vaccination of children. Those who cannot afford such treatment are indirectly protected from infectious diseases when they develop herd immunity.

Taking the above and other reasons into account, the European Court found that mandatory vaccination did not violate the right to privacy.

– Articles 9 and 11 of the Convention (right to religion and assembly)

The above rights are not absolute. The European Convention clearly allows interference with these rights under certain conditions. The burden of proof is on the respondent state, which must justify the reasonableness of the interference with these rights.

When assessing the proportionality of a specific measure, the court will take into account whether there is another alternative means or means of achieving the intended goal. The court will assess whether the restrictive measures are "adequate" and "sufficient." An important factor in assessing proportionality is also the existence of an effective system of control of the restrictive measures.

Several states have banned public gatherings to prevent the spread of the virus. These events include, among others, religious gatherings, political rallies, concerts, sporting events, and more. The imposition of such restrictions is highly likely to be a proportionate measure, as it aims to protect the health, rights and freedoms of others in a democratic society.

22 *Glass v. UK*, application 61827/00, 9 March 2004, §70.

23 *Vavrichka et al. v. Czech Republic*, application 37621/13, April 8, 2021.

24 *Solomakhin v. Ukraine*, application 24429/03, March 15, 2012, § 33.

– **Article 10 of the Convention (freedom of expression)**

Media outlets play an important role in disseminating information related to Covid-19. At the same time, in order to prevent the spread of inaccurate information, some states were forced to take specific steps that limited freedom of expression and the right to spread information (for example, Armenia). This raises the question: whether the restrictions established in terms of freedom of expression meet the criteria of proportionality and necessity, as required by paragraph 2 of Article 10 of the Convention.

Undoubtedly, if such limitations are imposed, the court will apply a strict standard of assessment. Although some aspects of freedom of speech may be limited, the main core of this right must remain intact and must be protected. According to the Court's assessment, even during a state of emergency, all government efforts should serve to protect democratic values and not limit them.²⁵

– **Article 2 of the 4th additional protocol of the Convention (freedom of movement)**

As a result of the pandemic, many states have restricted movement. International travel has been restricted, including the entry of foreign nationals into the country.

In the context of the coronavirus pandemic, the contracting states of the Convention have significantly taken into account the interest of protecting public health, which led to restrictions on the freedom of movement and travel of people. As stated in paragraph 3 of this article, restrictions on freedom of movement can be imposed if this restriction is provided for by law and is necessary to achieve a legitimate goal in a democratic society.

In case law, the European Court has repeatedly emphasized that restrictions on freedom of movement, such as quarantine restrictions, should be temporary measures that should be stopped as soon as possible. The long-term use of such a restrictive measure may be disproportionate if the maintenance of this measure is not

a necessary and extreme measure to achieve a legitimate aim.²⁶

CONCLUSION

The coronavirus pandemic is a global crisis that is costing the lives and health of many people.

Countries must act immediately to stop the spread of the virus. The strategy to fight the disease includes, among others, patient testing, contact tracing of infected patients, travel restrictions, isolation of citizens, which leads to the restriction of rights and freedoms guaranteed by the constitution and international human rights documents.

It is the national government's job to protect citizens from deadly diseases, including by declaring a state of emergency. Despite this, states should not cross the red line. A state of emergency that threatens the life of a nation should not become a pretext for arbitrary interference with rights. Even during a state of emergency, any measure should serve to protect democratic order and values, human rights and freedoms.

On the other hand, there is a danger of the government abusing the state of emergency and disproportionately restricting human rights in general. In this regard, the supervisory role of the European Court is important. However, as discussed above, before the implementation of the adopted measures and the submission of the relevant complaint to the European Court, the court cannot abstractly evaluate the legality of the implemented measure.

Accordingly, there is a need to strengthen other means of non-judicial supervision of the state of emergency. One such tool is Article 52 of the Convention, on the basis of which the Secretary General of the Council of Europe is authorized to supervise the existing derogations in order to ensure the compliance of the measures adopted during the state of emergency with the principles established by the Convention. Strengthening non-judicial mechanisms of supervision will contribute more to solving the complex problem of abuse of rights restrictions and protecting the rule of law – the main value of the Council of Europe.

25 Mehmet Hasan Altan v. Turkey, Application 13237/17, March 20, 2018, §210.

26 Kuimov v. Russia, application 32147/04, April 8, 2009.

BIBLIOGRAPHY;

1. European Convention on Human Rights. (In English)
2. Protocol 1 to the European Convention on Human Rights. (In English)
3. actsheet – Covid 19 health crises. available at: <https://www.echr.coe.int/Documents/FS_Covid_ENG.pdf> (In English)
4. Council of Europe Parliamentary Assembly No. Resolution 2209 (2018) (In English)
5. Ilgar Mammadov v. Azerbaijan, application 15172/13, 13 October 2014 (In English)
6. Vasileva v. Bulgaria, application 23796/10, 17 March 2016 (In English)
7. Cyprus v. Turkey, application, 25781/94, 10 May 2001 (In English)
8. Mehmet Şentürk and Bekir Şentürk v. Turkey, Application 13423/09, April 9, 2013 (In English)
9. Aydoğdu v. Turkey, application 40468/09, 30 August 2016 (In English)
10. Enhorn v. Sweden, application 56529/00, 25 January 2005 (In English)
11. Lundevall v. Sweden, Application 38629/97, November 12, 2002 (In English)
12. Marcello Viola v. Italy, Application 45106/04, 5 January 2007 (In English)
13. Glass v. UK, application 61827/00, 9 March 2004 (In English)
14. Vavrichka et al. v. Czech Republic, application 37621/13, April 8, 2021 (In English)
15. Solomakhin v. Ukraine, application 24429/03, March 15, 2012 (In English)
16. Mehmet Hasan Altan v. Turkey, Application 13237/17, March 20, 2018 (In English)
17. Lawless v. Ireland, Application 332/57, 14 November 196 (In English)
18. Ireland v. the United Kingdom, Application 5310/71, 1978 (In English)
19. Denmark, Norway, Sweden and the Netherlands v. Greece (In English)
20. A and Others v. the United Kingdom, Grand Chamber, 2009 (In English)
21. Brannigan and McBride v. the United Kingdom, 1993 (In English)
22. Demir and others v. Turkey, application 21380/93, 23 September 1998 (In English)
23. Şahin Alpay v. Turkey, Application 16538/17, June 20, 2018 (In English)

COVID-19 – ის გავლენა ადამიანის უფლებებზე

ლევან მესხორაძე

ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საკვანძო სიტყვები: ადამიანის უფლებები, თავისუფლების დაცვა, ევროპული სასამართლო

აბსტრაქტი

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა, რამაც მილიარდობით ადამიანის ცხოვრება შეცვალა. პანდემიის შედეგად, შეიზღუდა ადამიანის არაერთი კონსტიტუციური უფლება. საგანგებო მდგომარეობის დროს დადგენილმა შეზღუდვებმა გავლენა მოახდინა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და საფრთხე შეუქმნა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტების იმპლემენტაციას ეროვნულ დონეზე. ევროპის საბჭოს მასშტაბით, მრავალმა ქვეყანამ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, რათა მიეღოთ უპრეცედენტო ღონისძიებები COVID-19 პანდემიის დაძლევის მიზნით. ამასთან, ბევრმა სახელმწიფომ თავი შეიკავა ასეთი ნაბიჯის გადადგმისაგან.

წინამდებარე სტატია მიმოიხილავს COVID-19-ის გავლენას ევროპული კონვენციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებზე, სახელმწიფო პრაქტიკას, სტატისტიკურ მონაცემებს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ევროპული სასამართლო) საზედამხედველო როლს უფლებებიდან გადახვევის მექანიზმის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. როგორც ევროპულმა სასამართლომ განმარტა, „საგანგებო მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ერს“, არ უნდა გახდეს უფლებებში თვითნებური ჩარევის საბაბი. საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი, ნებისმიერი ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს დემოკრატიული წესრიგისა და ღირებულებების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

შესავალი

2019 წლის ბოლოდან მოყოლებული ახალი კორონავირუსი COVID-19 გლობალურად გავრცელდა მსოფლიოში. 2020 წლის 30 იანვარს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ახალი კორონავირუსის აფეთქების შესახებ განაცხადა. 2020 წლის 11 მარტს საერთაშორისო ორგანიზაციამ კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. შეჩერდა ეკონომიკა, მილიარდობით ადამიანის ცხოვრება შეიცვალა. „კოხონავიხუსით გამოწვეული პანდემიის გამოცდილება ახ გვაქვს, ასევე დღემდე ახ ყოფიდა პანდემია, ხომლის გაკონტროლება შესაძლებელი იქნებოდა“ – განაცხადა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ტედროს ადჰამონ ლებრეიესუსმა.

შექმნილმა მდგომარეობამ გამოიწვია შეზღუდვების დაწესების საჭიროება სხვადასხვა სფეროში. პანდემიის შედეგად, შეიზღუდა ადამიანის არაერთი უფლება, რომელიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (ევროპული კონვენცია).

როგორც ძლიერი ინფექციური დაავადება, COVID-19 მოითხოვდა და მოითხოვს სპეციალური ღონისძიებების მიღებას ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად. ევროპის საბჭოს მასშტაბით, ათმა სახელმწიფომ (საქართველო, ესტონეთი, სომხეთი, რუმინეთი, მოლდოვა, ლატვია, ჩრდილოეთ მაკედონია, ალბანეთი, სერბეთი და სან მარინო) გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და მე-15 მუხლის შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება კონვენციით ნაკისრი ვალდებულებიდან გადახვევის შესახებ (გადახვევა). საგანგებო მდგომარეობის დროს დადგენილმა შეზღუდვებმა გავლენა მოახდინა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და საფრთხე შეუქმნა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტების იმპლემენტაციას ეროვნულ დონეზე.

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და კონვენციით გარანტირებული უფლებებიდან გადახვევა ევროპული კონვენციითა და სასამართლო პრაქტიკით დადგენილი არსებითი მოთხოვნები

ლევან მესხორაძე

ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად, მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია გადახვევის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებიდან, თუ იგი აკმაყოფილებს სამ პირობას. პირველ რიგში, გადახვევა დაშვებულია მხოლოდ „ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს“; მეორე, ვალდებულებებიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ „იმ მოცულობით, რამდენადაც ამას მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე“; მესამე, გადახვევა უნდა შეესაბამებოდეს „სახელმწიფოს სხვა საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს“.

საგულისხმოა, რომ კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია ზოგიერთი უფლებიდან გადახვევა. კონვენცია არ უშვებს მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების აკრძალვა), მე-4 (მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა) და მე-7 (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე) მუხლებიდან გადახვევის შესაძლებლობას. ამასთან, ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც აკეთებს გადახვევას, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს აცნობებს გატარებული ღონისძიებების შესახებ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ლოლესი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ „ომის ან ერის არსებობისათვის საშიში სხვა საგანგებო მდგომარეობა“ განმარტა როგორც „განსაკუთრებული კიზისური ან სხვა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც გავლენას ახდენს მოსახლეობაზე და წახმოადგენს საფრთხეს იმ საზოგადოებისათვის, რომლისგანაც შედგება სახელმწიფო“.¹ საგანგებო მდგომარეობა უნდა ეფუძნებოდეს

1 ლოლესი ირლანდიის წინააღმდეგ (Lawless v. Ireland), განაცხადი 332/57, 1960 წლის 14 ნოემბერი, §26.

მყისიერ და რეალურ საფრთხეს.² ამასთან, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ლეგიტიმურია მაშინ, როცა კონვენციით გათვალისწინებული ჩვეულებრივი შეზღუდვები არასაკმარისად მიიჩნევა.³ კონვენცია არ ადგენს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების ვადებსა და ხანგრძლივობას. თუმცა, სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ცხადყოფს, რომ მე-15 მუხლის მიზნებისათვის, საგანგებო მდგომარეობის გაგრძელება შეაძლებელია მრავალი წლის განმავლობაში.

ეროვნულ ხელისუფლების საქმეა გადაწყვიტოს საგანგებო მდგომარეობის არსებობა, გადახვევის ხასიათი და მასშტაბი. ამ კუთხით, მე-15 მუხლი აწესებს მოქმედების ფართო ფარგლებს.⁴ ამის მიუხედავად, სახელმწიფოებს არ გააჩნიათ შეუზღუდავი უფლებამოსილება. იმის დასადგენად, გადაკვეთა თუ არა ხელისუფლებამ წითელი ხაზი, სასამართლო მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს:

- შესაძლებელი იყო თუ არა საგანგებო მდგომარეობით გამოწვეული საშიშროების გამკლავება მოქმედი კანონმდებლობით, მე-15 მუხლით გათვალისწინებული გადახვევის გვერდის ავლით;⁵
- გამოყენებული იქნა თუ არა ღონისძიებები იმ მიზნებისთვის, რისთვისაც ისინი იქნა მიღებული;⁶
- იყო თუ არა გატარებული ღონისძიებები პროპორციული და არსებობდა თუ არა დასახული მიზნის მიღწევის სხვა ალტერნატიული მსუბუქი საშუალებები;⁷

- როგორია კონვენციის ვალდებულებებიდან გადახვევის მასშტაბი (ბრენიგანი და მაკბრაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ);⁸
- გადახვევის საქროება ექვემდებარებოდა თუ არა პერიოდულ შემოწმებას;⁹
- არსებობდა თუ არა ასეთ ღონისძიებებზე სასამართლო კონტროლის შესაძლებლობა.¹⁰

როგორც სასამართლომ განმარტა, „საგანგებო მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ერს“, არ უნდა გახდეს უფლებებში თვითნებური ჩარევის საბაბი. საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი, ნებისმიერი ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს დემოკრატიული წესრიგისა და ღირებულებების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.¹¹

საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ აქამდე განხილული საქმეები ეხებოდა ტერორისტულ საქმიანობას ან შეიარაღებულ კონფლიქტს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს, საგანგებო მდგომარეობის კონტექსტში, არ განუხილავს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები, სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი ზემოხსენებული წესები უპირობოდ რელევანტურია პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებთან მიმართებით.

2 ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. the United Kingdom), განაცხადი 5310/71, 1978 წელი, § 205.

3 დანია, ნორვეგია, შვედეთი და ნიდერლანდები საბერძნეთის წინააღმდეგ (Denmark, Norway, Sweden and the Netherlands v. Greece), კომისიის ანგარიში, 1969 წელი, § 153.

4 ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. the United Kingdom), განაცხადი 5310/71, 1978 წელი, § 207.

5 ლოლესი ირლანდიის წინააღმდეგ, §36; ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 212.

6 ლოლესი ირლანდიის წინააღმდეგ, §38.

7 A და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (A and Others v. the United Kingdom), დიდი პალატა, 2009 წელი, § 190.

8 ბრენიგანი და მაკბრაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Brannigan and McBride v. the United Kingdom), 1993 წელი, § 66.

9 ბრენიგანი და მაკბრაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 66.

10 დემირი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Demir and others v. Turkey), განაცხადი 21380/93, 1998 წლის 23 სექტემბერი, §52.

11 შაჰინ ალპაი თურქეთის წინააღმდეგ (Şahin Alpay v. Turkey), განაცხადი 16538/17, 2018 წლის 20 ივნისი, §180.

აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საზედამხებელი როლი ხელისუფლების მიერ საგანგებო მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში

ხელისუფლებების გადანყვეტილება კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებიდან გადახვევის შესახებ უნდა აკმაყოფილებდეს კეთილსინდისიერების პრინციპს, რათა გამოირიცხოს თვითნებობისა და საგანგებო მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საფრთხე. თუმცა, მიღებული ღონისძიებების იმპლემენტაციამდე, ევროპულ სასამართლოს არ შეუძლია შეაფასოს გატარებული ღონისძიებების კანონიერება. შემზღუდავი ღონისძიებების აუცილებლობა და პროპორციულობა ფასდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესაბამისი საჩივარი მიაღწევს ევროპულ სასამართლომდე. ეს იწვევს ხანგრძლივ შეფერხებას ამ ღონისძიებათა ბოროტად გამოყენების ფაქტებზე რეაგირების კუთხით.

მე-15 მუხლით დადგენილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამცავი ელემენტია შეტყობინების პრინციპი. კერძოდ, კონვენციის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „ყოველი მაღალი ხელშემკვხედი მხახე, რომელიც იყენებს გადახვევის უფლებას, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანს აწვდის ამომწურავ ინფორმაციას გატარებული ღონისძიებებისა და მათი მიზეზების შესახებ. იგი აგხეთვე აცხადებს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანს ასეთ ღონისძიებათა შეწყვეტისა და კონვენციის დებულებათა სხუდად ამოქმედების თაჩილს.“

აღსანიშნავია, რომ კონვენცია არ ითვალისწინებს შეტყობინების ვაკეთების ვადასა და ფორმას. სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არ შეიცავს ასეთი შეტყობინების „დაუყოვნებლივ, ყოველგვარი შეფერხების გარეშე“ წარდგენის ექსპლიციტურ მოთხოვნას. მე-15 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება რეალურად შეტყობინების დარეგისტრირებაში ითარგმნება. შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის დროს შეზღუდვების არსებითი შეფასება ვერ მოხდება, ვიდრე განმცხადებელი მას

არ გაასაჩივრებს ევროპული სასამართლოს წინაშე. ეს საგანგებო მდგომარეობის შესახებ შეტყობინებების ფორმალურ ხასიათზე მიუთითებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩნდება საგანგებო მდგომარეობის არასასამართლო ზედამხედველობის ახალი საშუალებების დანერგვის ან არსებული საშუალებების გაძლიერების საჭიროება. 4 წლის წინ, საფრანგეთის, უკრაინისა და თურქეთის მიერ კონვენციიდან ხანგრძლივმა გადახვევამ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას (PACE) ნათლად დაანახა ევროპის საბჭოს სხვა მექანიზმების გამოყენების აუცილებლობა.

შესაბამისად, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის No. 2209 (2018) რეზოლუციით ხაზი გაესვა გენერალური მდივნის უფლებამოსილებას, კონვენციის 52-ე მუხლის¹² კონტექსტში, ზედამხედველობა გაუწიოს არსებულ გადახვევებს „დაინტეგრირებულ სახელმწიფოსთან დიპლომატიის გზით, ხათა უზუნვედყოფი იქნეს საგანგებო მდგომარეობის დროს მიღებული ღონისძიებების შესაბამისობა კონვენციით დადგენილ პრინციპებთან“.

კონვენციის 52-ე მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს, გენერალური მდივნის მოთხოვნის საფუძველზე, „წახადგინონ განმაჩვენებები თუ ხოგოხ უზუნვედყოფს მაღალი ხელშემკვხედი მხახე კონვენციის დებულებების ეფექტუხ იმპლემენტაციას ეხოვნულ სამახთადში.“

52-ე მუხლის დებულებები გამოყენებული იქნა ექვსჯერ. ბოლოს, 2005 წელს, გენერალურმა მდივანმა 47 წევრ სახელმწიფოს მოსთხოვა განმარტებები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდებოდა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) საიდუმლო დაკავების ცენტრების სავარაუდო არსებობას. დაინიშნა სპეციალური მომხსენებელი, რომელიც გამოიძიებდა ამ ბრალდებებს. ამ მოხსენებებით

12 52-ე მუხლის თანახმად, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის შესაბამისი მოთხოვნით, ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარე წარმოადგენს განმარტებას, თუ რა გზით უზრუნველყოფს მისი შიდა სამართალი კონვენციის დებულებათა სრულად განხორციელებას.

მაღალი ალბათობით დადგინდა, რომ CIA-ს ოპერატიული დაკავების ცენტრები არსებობდა პოლონეთსა და რუმინეთში. შედეგად საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რამდენიმე რეზოლუცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

მხოლოდ სამ შემთხვევაში იქნა გამოყენებული 52-ე მუხლი კონკრეტულ მონაწილე სახელმწიფოსთან მიმართებაში: 1999 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ ჩეჩნეთში კონვენციის დებულებების შესრულების თაობაზე; 2002 წელს მოლდოვას რესპუბლიკაში პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციის შეჩერებასთან დაკავშირებით, შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ წესების დარღვევის გამო; 2015 წელს აზერბაიჯანის მიმართ. ბოლო შემთხვევაში, გენერალურმა მდივანმა მოითხოვა განმარტებები ევროპული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით საქმეზე ილგარ მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ,¹³ რომელიც ეხებოდა პოლიტიკური ოპოზიციის აქტივისტის უკანონო დაკავებას.

სახელმწიფო პრაქტიკა

ევროპის საბჭოს მასშტაბით, მრავალმა ქვეყანამ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, რათა მიეღოთ უპრეცედენტო ღონისძიებები COVID-19 პანდემიის დაძლევის მიზნით. ამასთან, ბევრმა სახელმწიფომ თავი შეიკავა ასეთი ნაბიჯის გადადგმისაგან. ათმა სახელმწიფომ (საქართველო, ესტონეთი, სომხეთი, რუმინეთი, მოლდოვა, ლატვია, ჩრდილოეთ მაკედონია, ალბანეთი, სერბეთი და სან მარინო) გამოიყენა კონვენციიდან გადახვევის შესაძლებლობა COVID 19-ის გავრცელების საფრთხის გამო.

კონვენციიდან გადახვევა შეეხო არაერთ უფლებას, მათ შორის, თავისუფლების უფლებას (მე-5 მუხლი), საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლებას (მე-6 მუხლი); პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებას (მე-8 მუხლი), რელიგიურ შეკრებებში მონაწილეობისა და რელიგიური წესების აღსრუ-

ლების უფლებას (მე-9 მუხლი), მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება), შეკრებისა და მანიფესტაციების უფლებას (მე-11 მუხლი), მიმოსვლის თავისუფლებას (მე-4 ოქმის მე-2 მუხლი).

რაც შეეხება ვადებს, ყველა სახელმწიფომ, რომელმაც გამოიყენა გადახვევის უფლება, ინფორმაცია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ წარადგინა რამდენიმე დღეში. გამონაკლისია ჩრდილოეთ მაკედონია, რომელმაც ასეთი შეტყობინება 2 კვირის დაგვიანებით წარადგინა. ცნობისთვის, საქმეზე საბერძნეთი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამთვინი ვადა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და შეტყობინებას შორის გაუმართლებელი იყო.¹⁴

არსებობს ლეგიტიმური შეკითხვები – მოიცავს თუ არა წარდგენილი შეტყობინებები საკმარის და დასაბუთებულ მიზეზებს იმის დასადასტურებლად, რომ გადახვევა წარმოადგენდა აუცილებელ და პროპორციულ ღონისძიებას პანდემიით გამოწვეული საშიშროების გათვალისწინებით. შეტყობინებების უმეტესობა ეფუძნება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 2020 წლის 11 მარტის დეკლარაციას და აღნიშნავს, რომ მიღებული ღონისძიებები აუცილებელია ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად, რაც შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისი დასაბუთება გადახვევის გასამართლებლად.

და ბოლოს, იმის გათვალისწინებით, რომ კონვენციის მე-8, მე-9, მე-10, მე-11 მუხლები და 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლი არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებებს, მნიშვნელოვანია დადგინდეს – რამდენად აუცილებელი იყო ამ მუხლებიდან გადახვევა მე-15 მუხლის მექანიზმის გამოყენებით. ცხადია, ზემოხსენებული კონვენციის დებულებები ითვალისწინებს დაცულ უფლებებში ჩარევის შესაძლებლობას, თუ სახეზეა კანონიერების, აუცილებლობისა და პროპორციულობის კრიტერიუმები. სავარაუდოდ, სასამართლო, პირველ რიგში, განიხილავს სახეზეა თუ არა ამ უფლებებში ჩარევის საპატიო გარემოებები.

13 ილგარ მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Ilgar Mammadov v. Azerbaijan), განაცხადი 15172/13, 2014 წლის 13 ოქტომბერი.

14 საბერძნეთი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 158.

დადებითი პასუხის შემთხვევაში, შესაძლოა სასამართლომ არც კი განიხილოს მე-15 მუხლიდან გადახვევის ლეგიტიმურობა. ამრიგად, სასამართლო განაგრძობს გადახვევის მართლზომიერების შემოწმებას, თუ შემზღუდავი ღონისძიებები არ იქნება გამართლებული ზემოხსენებული 3 საფეხურიანი ტესტით.

შეზღუდვები კონკრეტული უფლებების მიმართ

– კონვენციის მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება)

სიცოცხლის უფლება კონვენციით დაცული ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებაა. კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად, მე-2 მუხლის ვალდებულებებიდან გადახვევა დაუშვებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის უფლება არ წარმოადგენს ევროპული კონვენციით დაცულ უფლებას, კონვენციის მე-2 და მე-8 მუხლები მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას უზრუნველყონ ჯანდაცვის სექტორის ზედამხედველობა სათანადო რეგულაციების მიღების გზით.¹⁵ მე-2 მუხლის ქვეშ ასევე ხვდება სიტუაცია, სადაც დადგინდება, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოები საფრთხეში აგდებენ ადამიანის სიცოცხლეს ჯანმრთელობის დაცვაზე უარის თქმით, მაშინ როდესაც მათ იკისრეს ვალდებულება, ჯანმრთელობის დაცვა ხელმისაწვდომი გაეხადათ მოსახლეობისთვის.¹⁶

ორ გამონაკლის შემთხვევაში, სასამართლომ დაადგინა სახელმწიფო პასუხისმგებლობა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის ქმედებებსა და უმოქმედობებთან დაკავშირებით: პირველი, როცა პაციენტის სიცოცხლე შეგნებულად აღმოჩნდა საფრთხის წინაშე გადაუდებელ სამედიცინო დახმარებაზე უარის თქმის გამო;¹⁷ მეორე, როცა სამედიცინო დაწესებულებებში არსებული

სისტემური და სტრუქტურული ხარვეზების გამო პაციენტს წაერთვა გადაუდებელ სამედიცინო მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის უფლება, როცა ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამ რისკის შესახებ და არაფერი გააკეთა ამ მის აღმოსაფხვრელად.¹⁸

პანდემიით გამოწვეული მწვავე ვითარების გათვალისწინებით, რასაც ეწირება არაერთი ადამიანი, არსებითად მნიშვნელოვანია ხელისუფლებამ უზრუნველყოს ჯანდაცვის რეგულაციების ეფექტიანი აღსრულება და სამედიცინო მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით იმ ადამიანებისათვის, ვისაც ესაჭიროება გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

– კონვენციის მე-5 მუხლი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება)

საქმეში ენჰორნი შვედეთის წინააღმდეგ.¹⁹ განმცხადებელი, რომელიც დაავადებული იყო შიდსით, მიუთითებდა, რომ იგი არანებაცოფლობით იქნა საავადმყოფოში მოთავსებული მას შემდეგ, რაც სქესობრივი კავშირის შედეგად ვირუსი სხვა კაცს გადასდო.

აღნიშნულ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში, „ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად“ პირთა დაპატიმრების კანონიერების შესაფასებლად, სასამართლომ დაანესა შემდეგი მნიშვნელოვანი კრიტერიუმები:

...აჩის თუ ახა ინფექციუხ დაავადებათა გავრცელება სახიფათო საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის, აჩის თუ ახა დაინფიცირებული პიჩის დაპატიმრება უკანასკნელი საშუალება დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად, იმ მიზეზით, რომ ნაკლებად მკაცრი ღონისძიებები იქნა განხილული და მიჩნეული ახასაკმაჩისად საზოგადოებრივი ინტეხის დასაცავად.

სასამართლომ ენჰორნის საქმეში მე-5 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა დაადგინა იმის საფუძველზე, რომ განმცხადებლის

15 ვასილევა ბულგარეთის წინააღმდეგ (Vasileva v. Bulgaria), განაცხადი 23796/10, 17 March 2016, § 63.

16 კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ (Cyprus v. Turkey), განაცხადი, 25781/94, 2001 წლის 10 მაისი, § 219.

17 მეჰმედ შენტურკი და ბეკირ შენტურკი თურქეთის წინააღმდეგ (Mehmet Şentürk and Bekir Şentürk v. Turkey), განაცხადი 13423/09, 2013 წლის 9 აპრილი, § 80.

18 აიღოგლუ თურქეთის წინააღმდეგ (Aydoğdu v. Turkey), განაცხადი 40468/09, 2016 წლის 30 აგვისტო, § 79.

19 ენჰორნი შვედეთის წინააღმდეგ (Enhorn v. Sweden), განაცხადი 56529/00, 2005 წლის 25 იანვარი.

იძულებითი იზოლაცია არ წარმოადგენდა უკიდურეს ღონისძიებას მის მიერ შიდსის ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ვინაიდან ნაკლებად მკაცრი ღონისძიებები არც კი განხილულა. საგულისხმოა აგრეთვე ის გარემოება, რომ იგი სამკურნალო დაწესებულებაში არანებაყოფლობით იმყოფებოდა 1 წლისა და 6 თვის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, შვედეთის ხელისუფლებამ სამართლიანად ვერ დააბალანსა ვირუსის გავრცელების შეჩერება და მომჩივნის თავისუფლების უფლება.

კარანტინის რეჟიმი, კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, იწვევს არაერთი ადამიანის „თავისუფლების აღკვეთას“. ასეთი თავისუფლების აღკვეთა შესაბამისობაში იქნება ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან თუ: თავისუფლების აღკვეთა შესაბამისობაშია ეროვნულ საპროცესო კანონმდებლობასთან; თავისუფლების აღკვეთა შეზღუდულია დროში; თავისუფლების აღკვეთა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენციას.

– კონვენციის მე-6 მუხლი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება)

გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს საგამონაკლისო გარემოებები, საქმის საჯარო განხილვის უფლება წარმოადგენს მე-6 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას მინიმუმ ერთ ინსტანციაში.²⁰

პანდემიის შედეგად სხდომათა საჯაროობა შეზღუდულია, იმის გამო, რომ არ მოხდეს ვირუსის გავრცელება. პროცესის მონაწილე პირები, ბრალდებულები, მედიის წარმომადგენლები, ძირითად შემთხვევებში, დისტანციური წესით ერთვებიან საქმეთა განხილვაში. ამ შემთხვევაში, დისტანციური ჩართვის გამოყენება გამართლებული იქნება იმ შემთხვევაში, როცა განსასჯელის უფლებები ადეკვატურად იქნება დაცული.²¹

– კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება)

პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების შემადგენელი ნაწილია ფიზიკური, ფსიქოლოგიური და მორალური ხელშეუხებლობა, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია ჯანდაცვა და სამედიცინო მკურნალობა. სამედიცინო მკურნალობაზე თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში.

საქმე გლასსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ეხებოდა სამედიცინო პერსონალის მიერ დედის თანხმობის გარეშე მისი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილის მიმართ სამედიცინო პროცედურის განხორციელებას (დიამორფინის მიღებას). ამ საქმეში სასამართლოს წინაშე განსახილველ საკითხს წარმოადგენდა რამდენად მართებული იყო სამედიცინო დაწესებულების გადაწყვეტილება, სამედიცინო პროცედურა განხორციელებინა აშკარა, თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილება უგულებელყო განმცხადებლის უარი ჩასატარებელ მკურნალობაზე არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლს.²²

2021 წლის 8 აპრილს, ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საქმეზე ვაზრიჩკა და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც შეეხება ბავშვების სავალდებულო ვაქცინაციას.²³

ამ საქმეში განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ ბავშვის მშობლებისთვის ჯარიმის დაკისრება და მათთვის ბავშვების საბავშვო ბაღში მიღებაზე უარის თქმა, სავალდებულო ვაქცინაციის შესახებ კანონისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, არღვევდა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს.

მომჩივნები აცხადებდნენ, რომ სავალდე-

20 ლუნდავლი შვედეთის წინააღმდეგ (Lundevall v. Sweden), განაცხადი 38629/97, 2002 წლის 12 ნოემბერი.

21 მარჩელო ვიოლა იტალიის წინააღმდეგ (Marcello Viola v. Italy), განაცხადი 45106/04, 2007 წლის 5 აპრილი.

22 გლასსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Glass v. UK), განაცხადი 61827/00, 2004 წლის 9 მარტი, §70.

23 ვაზრიჩკა და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, განაცხადი 37621/13, 2021 წლის 8 აპრილი.

ბულო ვაქცინაცია დაუსაბუთებლად ზღუდავდა საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ავტონომიურობის უფლებას. ბავშვების მშობლები უთითებდნენ, რომ სავალდებულო ვაქცინაცია დაუსაბუთებლად ზღუდავდა თავისუფალი განვითარების უფლებასა და მშობლების უფლებას უზრუნველყონ შვილების აღზრდა საკუთარი სინდისის, მრწამსისა და მოსაზრებების შესაბამისად. ამ კუთხით, განმცხადებლებს მიაჩნდათ, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესი, პირველი რიგში, მშობლების მიერ უნდა შეფასებულიყო და ხელისუფლების ჩარევა მხოლოდ უკიდურესად შემთხვევაში უნდა ყოფილიყო ნებადართული.

სასამართლომ განმარტა, რომ სავალდებულო ვაქცინაცია, როგორც არანებაყოფლობითი სამედიცინო ჩარევა, წარმოადგენდა პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევას.²⁴

რაც შეეხება ვაქცინაციის კანონისმიერ ვალდებულებას, სასამართლომ განმარტა, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მიზანია, ადამიანების დაცვა დაავადებებისგან, რომლებიც შეიძლება სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდეს ჯანმრთელობისთვის. ეს ეხება როგორც მათ, ვინც ექვემდებარება შესაბამის ვაქცინაციას, ასევე მათ, ვისაც ვაქცინა არ მიუღია და არის დაუცველი. ეს მიზანი შესაბამისაა ჯანმრთელობის დაცვისა და სხვისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნებს.

აქედან გამომდინარე, ქვეყნებს ეკისრებათ ვალდებულება იხელმძღვანელონ ბავშვის საუკეთესო ინტერესებით ყველა იმ გადაწყვეტილების მიღებისას, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებაზე. როდესაც საქმე ეხება იმუნიზაციას, მიზანი უნდა იყოს ბავშვის დაცვა მძიმე დაავადებებისაგან. უმრავლეს შემთხვევაში ეს მიიღწევა ბავშვების სავალდებულო ვაქცინაციით. ვისაც ასეთი მკურნალობა არ შეუძლია, ირიბად არის დაცული გადამდები დაავადებებისგან, როდესაც მათ გამოუმუშავდებათ ჯოგური იმუნიტეტი.

ზემოხსენებულ და სხვა მიზეზების მხედ-

ველობაში მიღებით ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სავალდებულო ვაქცინაცია არ არღვევდა პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებას.

– კონვენციის მე-9 და მე-11 მუხლები (რელიგიისა და შეკრების უფლება)

ზემოხსენებული უფლებები არ არის აბსოლუტური. ევროპული კონვენცია ნათლად უშვებს ამ უფლებებში ჩარევას გარკვეული პირობებით. მტკიცების ტვირთი აკისრია მოპასუხე სახელმწიფოს, რომელმაც უნდა დაასაბუთოს ამ უფლებებში ჩარევის მართლობიერება.

კონკრეტული ღონისძიების პროპორციულობის შეფასებისას სასამართლო მხედველობაში მიიღებს არსებობს თუ არა დასახული მიზნის მიღწევის სხვა ალტერნატიული საშუალება ან საშუალებები. სასამართლო შეაფასებს, შემზღუდავი ღონისძიებები არის თუ არა „ადეკვატური“ და „საკმარისი.“ პროპორციულობის შეფასებისას მნიშვნელოვანი ფაქტორია, ასევე, შემზღუდავი ღონისძიებების კონტროლის ეფექტური სისტემის არსებობა.

არაერთმა სახელმწიფომ აკრძალა საზოგადოებრივი შეკრებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ვირუსის გავრცელება. ეს ღონისძიებები მოიცავს, სხვებს შორის, რელიგიურ შეკრებებს, პოლიტიკურ აქციებს, კონცერტებს, სპორტულ ღონისძიებებს და სხვა. ასეთი შემზღუდავების გატარება, მაღალი ალბათობით, წარმოადგენს პროპორციულ ღონისძიებას, რადგან იგი მიზნად ისახავს დემოკრატიულ საზოგადოებაში ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

– კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება)

მედიასაშუალებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ Covid-19-თან დაკავშირებული ინფორმაციების გავრცელებაში. ამავდროულად, არაზუსტი ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ზოგიერთი სახელმწიფო იძულებული გახდა გადაეღვა კონკრეტული ნაბიჯები, რამაც შეზღუდა გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის გავრცელების უფლება (მაგალითად, სომხე-

24 სოლომახინი უკრაინის წინააღმდეგ (*Solomakhin v. Ukraine*), განაცხადი 24429/03, 2012 წლის 15 მარტი, § 33.

თი). აღნიშნული აჩენს კითხვას: აკმაყოფილებს თუ არა გამოსატვის თავისუფლების კუთხით დადგენილი შეზღუდვები პროპორციულობისა და აუცილებლობის კრიტერიუმებს, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.

უდავოა, რომ ასეთი შეზღუდვების დანესების შემთხვევაში, სასამართლო გამოიყენებს შეფასების მკაცრ სტანდარტს. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის თავისუფლების ზოგიერთი ასპექტი შესაძლებელია შეიზღუდოს, ამ უფლების მთავარი ბირთვი უნდა დარჩეს უცვლელი და უნდა იყოს დაცული. სასამართლოს შეფასებით, საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი ხელისუფლების ყველა მცდელობა უნდა ემსახურებოდეს დემოკრატიული ღირებულებების დაცვას და არა მის შეზღუდვას.²⁵

– კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი (მიმოსვლის თავისუფლება)

პანდემიის შედეგად, არაერთმა სახელმწიფომ შეზღუდა მიმოსვლა. შეიზღუდა საერთაშორისო მოგზაურობა, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეების ქვეყანაში შემოსვლა.

კორონავირუსის პანდემიის კონტექსტში, კონვენციის ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა მნიშვნელოვნად გაითვალისწინეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ინტერესი, რომელმაც ადამიანების გადაადგილებისა და მოგზაურობის თავისუფლების შეზღუდვა განაპირობა. როგორც ამ მუხლის მე-3 პუნქტშია მითითებული, მიმოსვლის თავისუფლებაზე შეზღუდვა შესაძლებელია დანესდეს, თუ ეს შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

პრეცედენტულ სამართალში, ევროპულმა სასამართლომ არაერთგზის გაუსვა ხაზი, რომ მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა, როგორც არის საკარანტინო შეზღუდვა, უნდა იყოს დროებითი ღონისძიება, რომელიც უნდა შეწყდეს მაშინვე, როგორც კი ამის შესაძლებლობა იქნება. შესაძლოა, ამგვარი შემზღუდავი ღონისძიების ხანგრძლივად გამოყენება არაპროპორციული აღმოჩნდეს თუ

ამ ღონისძიების შენარჩუნება არ წარმოადგენს აუცილებელ და უკიდურეს ზომას ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.²⁶

დასკვნა

კორონავირუსის პანდემია გლობალური კრიზისია, რასაც ეწირება არაერთი ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ქვეყნებმა დაუყოვნებლივ უნდა იმოქმედოს იმისათვის, რომ შეაჩერონ ვირუსის გავრცელება. დაავადებასთან ბრძოლის სტრატეგია, სხვებს შორის, მოიცავს პაციენტების ტესტირებას, დაინფიცირებული პაციენტების კონტაქტების კვლევას, მოგზაურობის შეზღუდვას, მოქალაქეების იზოლაციას, რაც იწვევს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას.

ეროვნული ხელისუფლების საქმეა დაიცვას მოქალაქეები მომაკვდინებელი დაავადებებისაგან, მათ შორის, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გზით. ამის მიუხედავად, სახელმწიფოებმა არ უნდა გადაკვეთონ წითელი ხაზი. საგანგებო მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს, არ უნდა გახდეს უფლებებში თვითნებური ჩარევის საბაბი. საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი, ნებისმიერი ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს დემოკრატიული წესრიგისა და ღირებულებების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

მეორე მხრივ, არსებობს ხელისუფლების მიერ საგანგებო მდგომარეობი ბოროტად გამოყენების და ზოგადად, ადამიანის უფლებათა არაპროპორციულად შეზღუდვის საფრთხე. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ევროპული სასამართლოს საზედამხედველო როლი. თუმცა, როგორც ზემოთ იქნა განხილული, მიღებული ღონისძიებების იმპლემენტაციამდე და შესაბამისი საჩივრის ევროპულ სასამართლოში წარდგენამდე, სასამართლო აბსტრაქტულად ვერ შეაფასებს გატარებული ღონისძიების კანონიერებას.

შესაბამისად, არსებობს საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი უფლებების დაცვის საფრთხე.

25 მეჰმეტ ჰასან ალტანი თურქეთის წინააღმდეგ (Mehmet Hasan Altan v. Turkey) განაცხადი 13237/17, 2018 წლის 20 მარტი, §210.

26 კუიმოვი რუსეთის წინააღმდეგ (KUIMOV v. RUSSIA), განაცხადი 32147/04, 2009 წლის 8 აპრილი.

მარეობის არასასამართლო ზედამხედველობის სხვა საშუალებების გაძლიერების საჭიროება. ერთ-ერთი ასეთი საშუალება კონვენციის 52-ე მუხლია, რომლის საფუძველზეც ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი უფლებამოსილია ზედამხედველობა გაუწიოს არსებულ გადახვევებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საგანგებო მდგომარეობის დროს

მიღებული ღონისძიებების შესაბამისობა კონვენციით დადგენილ პრინციპებთან. ზედამხედველობის არასასამართლო მექანიზმების გაძლიერება უფრო მეტად შეუწყობს ხელს უფლებათა შეზღუდვის ბოროტად გამოყენების კომპლექსური პრობლემის გადაჭრას და კანონის უზენაესობის – ევროპის საბჭოს მთავარი ღირებულების დაცვას.

ბიბლიოგრაფია:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი
3. Covid 19 ჯანდაცვის კრიზისი, 2022, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.echr.coe.int/Documents/FS_Covid_ENG.pdf>
4. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის No. 2209 (2018) რეზოლუცია
5. ილგარ მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (*Ilgar Mammadov v. Azerbaijan*), განაცხადი 15172/13, 2014 წლის 13 ოქტომბერი
6. ვასილევა ბულგარეთის წინააღმდეგ (*Vasileva v. Bulgaria*), განაცხადი 23796/10, 17 March 2016
7. კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ (*Cyprus v. Turkey*), განაცხადი, 25781/94, 2001 წლის 10 მაისი
8. მეჰმედ შენტურკი და ბეკირ შენტურკი თურქეთის წინააღმდეგ (*Mehmet Şentürk and Bekir Şentürk v. Turkey*), განაცხადი 13423/09, 2013 წლის 9 აპრილი
9. აილოგლუ თურქეთის წინააღმდეგ (*Aydoğdu v. Turkey*), განაცხადი 40468/09, 2016 წლის 30 აგვისტო
10. ენჰორნი შვედეთის წინააღმდეგ (*Enhorn v. Sweden*), განაცხადი 56529/00, 2005 წლის 25 იანვარი
11. ლუნდავალი შვედეთის წინააღმდეგ (*Lundevall v. Sweden*), განაცხადი 38629/97, 2002 წლის 12 ნოემბერი
12. მარჩელო ვიოლა იტალიის წინააღმდეგ (*Marcello Viola v. Italy*), განაცხადი 45106/04, 2007 წლის 5 იანვარი
13. გლასსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Glass v. UK*), განაცხადი 61827/00, 2004 წლის 9 მარტი
14. ვაჰრიჩა და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, განაცხადი 37621/13, 2021 წლის 8 აპრილი
15. სოლომახინი უკრაინის წინააღმდეგ (*Solomakhin v. Ukraine*), განაცხადი 24429/03, 2012 წლის 15 მარტი
16. მეჰმეტ ჰასან ალტანი თურქეთის წინააღმდეგ (*Mehmet Hasan Altan v. Turkey*) განაცხადი 13237/17, 2018 წლის 20 მარტი
17. ლოლესი ირლანდიის წინააღმდეგ (*Lawless v. Ireland*), განაცხადი 332/57, 1960 წლის 14 ნოემბერი
18. ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. the United Kingdom*), განაცხადი 5310/71, 1978 წელი
19. დანია, ნორვეგია, შვედეთი და ნიდერლანდები საბერძნეთის წინააღმდეგ (*Denmark, Norway, Sweden and the Netherlands v. Greece*), კომისიის ანგარიში, 1969 წელი
20. A და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*A and Others v. the United Kingdom*), დიდი პალატა, 2009 წელი
21. ბრენიგანი და მაკბრაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Brannigan and McBride v. the United Kingdom*), 1993 წელი
22. დემირი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (*Demir and others v. Turkey*), განაცხადი 21380/93, 1998 წლის 23 სექტემბერი
23. შაჰინ ალპაი თურქეთის წინააღმდეგ (*Şahin Alpay v. Turkey*), განაცხადი 16538/17, 2018 წლის 20 ივნისი

პროფესორი გურამ ნაჭყებია როგორც სისხლის სამართლის ფილოსოფიის პრობლემების მკვლევარი (კრებულში „ფილოსოფიური ძიებანი“ გამოქვეყნებული ნაშრომების მიხედვით)

მურმან გორგოშაძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
პროფესორი*

მირიან ქათამაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი*

საკვანძო სიტყვები: გურამ ნაჭყებია, პოზიტიური
პასუხისმგებლობა, უპასუხისმგებლობა, მსოფლმხედველობითი
ცდომილება

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია თანამედროვე ქართული სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის პროფესორ გურამ ნაჭყებიას მიერ, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებულში „ფილოსოფიურ ძიებანი“ გამოქვეყნებული ნაშრომების მიხედვით, სისხლის სამართლის

პრობლემების ფილოსოფიური კუთხით კვლევის ანალიზი.

ნაშრომში განხილულია დანაშაულის, როგორც სამართლის უარყოფის, მისი ცნების მდგენელი კატეგორიების, განზრახი დანაშაულის, როგორც ღირებულებითი ცდომილების, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეის და საფუძვლის, ბრალის საზღვრითი კატეგორიებისა და სამართლის აქსიოლოგიური ასპექტების ფილოსოფიური საკითხები.

კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შემდეგ საკითხებს:

- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, როგორც რომელიმე კონკრეტული მოვალეობისადმი დამოკიდებულების და არა სუბიექტის მოვალეობის განხილვას, რაც იძლევა პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეის დაფუძნების შესაძლებლობას;
- ბრალისა და უპასუხისმგებლობის, როგორც სინონიმური ცნებების ანალიზს; დანაშაულის საფუძველმდებარე სამართლის ზოგადი თეორიის კატეგორიების „ქმედების შემადგენლობისა“ და „მართლწინააღმდეგობის“ და სოციალური ფილოსოფიის კატეგორიის „ბრალის“ წარმოჩენას;
- ბრალის, როგორც ფსიქიკურისა და ნორმატიულის მიჯნაზე არსებული ფენომენის განხილვას მის საზღვრით კატეგორიებთან (პასუხისმგებლობა, მისი პოზიტიური და ნეგატიური ასპექტებით;
- თავისუფლება;
- მიზეზი და შედეგი;
- რაოდენობრიობა და თვისებრიობა;
- სამართლებრივი ურთიერთობა;
- ზნეობა;
- პასუხისმგებლობის გრძნობა; სინდისი);
- დანაშაულის ნორმატიული ცნების აგებისთვის ქმედების შემადგენლობიდან, როგორც აღწერილობით მსჯელობის სტრუქტურიდან „ქმედების მართლწინააღმდეგობისა“ და სუბიექტის „ბრალის“ კატეგორიების გამოტანას და მათ შეფასებით, აქსიოლოგიურ კატეგორიებად გამოცხადებას, განსხვავებით „ქმედების შემადგენლობის“ კატეგორიისაგან, როგორც

შემეცნებითი (გნოსეოლოგიური) კატეგორიისგან.

ნაჩვენებია, რომ პროფესორ გურამ ნაჭყებიას შრომები ეხება როგორც სამართლის ფილოსოფიის ზოგად პრობლემატიკას, ასევე, სამართლის ძირითადი კატეგორიების ფილოსოფიურ საკითხებსაც. შეფასებულია პროფესორ გურამ ნაჭყებიას წვლილი ზოგადად, ქართული სამართლის ფილოსოფიისა და კერძოდ, ქართული სისხლის სამართლის ფილოსოფიის განვითარებაში.

შესავალი

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ქართული სამართლის ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი¹, პროფესორი გურამ ნაჭყებია (1940-2017), 1999 წლიდან საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია. იგი ამავე აკადემიის კრებულში (სახელწოდებით „ფილოსოფიურ ძიებანი“), სისტემატურად აქვეყნებდა სამართლის ფილოსოფიის პრობლემებზე საინტერესო სტატიებს². მის სიცოცხლეში გამოქვეყნდა აღნიშნული კრებულის 21 ნომერი, მათგან 19-ში გამოქვეყნებულია მისი, მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული, სამეცნიერო შრომები.

ეს ნაშრომებია:

- ჰეგელი დანაშაულის ბუნების შესახებ

1 საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გამოსათხოვარი გურამ ნაჭყებიაზე, (2018). საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებული „ფილოსოფიური ძიებანი“, თბილისი, უნივერსალი, #22, გვ. 391.

2 პროფესორი გურამ ნაჭყებია სამართლის ფილოსოფიის პრობლემებს აშუქებდა, აგრეთვე, სხვა პერიოდულ გამოცემებსა და შრომებში (იხ., გურამ ნაჭყებია, „მოქმედების“ და „ქმედების“ თანაფარდობის პრობლემა სისხლის სამართლის ფილოსოფიის მიხედვით / იურისტი, 2017, #3; გურამ ნაჭყებია, ხელოვნებისა და სამართლის ანალოგიური ნიშნების შესახებ / პროფ. გივი ინჭვირველის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1996; გურამ ნაჭყებია, მართლობისა და უმართლობის თანაფარდობის ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხი სისხლის სამართლის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, 2017, #2; გურამ ნაჭყები, სისხლის სამართლის საგანი, თბ., 1997; გურამ ნაჭყებია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბ., 2001 და სხვა).

- („ფილოსოფიური ძიებანი“, 1999, #3);
 - პასუხისმგებლობის კატეგორიის განსაზღვრის საკითხისათვის („ფილოსოფიური ძიებანი“, 2000, #4);
 - ბრალი, როგორც ფილოსოფიური კატეგორია („ფილოსოფიური ძიებანი“, 2001, #5);
 - სოციალური ნორმის საზრისის საკითხისათვის („ფილოსოფიური ძიებანი“, 2002, #6);
 - მართლშეგნება, როგორც ფილოსოფიური კატეგორია („ფილოსოფიური ძიებანი“, 2004, #8);
 - სამართლის ფილოსოფიის შესაძლებლობის საკითხისათვის („ფილოსოფიური ძიებანი“, 2005, #9);
 - ფიქციის მეთოდი სამართალში („ფილოსოფიური ძიებანი“, 2006, #10);
 - განზრახვი დანაშაული, როგორც მსოფლმხედველობითი ცდომილება („ფილოსოფიური ძიებანი“, 2007, #11);
 - სამართლის ფილოსოფიის კატეგორიული სისტემის საკითხისათვის („ფილოსოფიური ძიებანი“, 2008, #12);
 - ისტორიის ფილოსოფია და სამართლის ფილოსოფია („ფილოსოფიური ძიებანი“, 2009, #13);
 - დეონტური ლოგიკა და სამართლებრივი სივრცის პრობლემა სისხლის სამართალში („ფილოსოფიური ძიებანი“, 2010, #14);
 - დანაშაულის ცნების კატეგორიული საფუძვლები („ფილოსოფიური ძიებანი“, 2011, #15);
 - ბრალის კატეგორია სასაზღვრო კატეგორიების სისტემაში („ფილოსოფიური ძიებანი“, 2012, #16);
 - სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც სამართლის ფილოსოფიის კატეგორია („ფილოსოფიური ძიებანი“, 2013, #17);
 - ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის თანაფარდობის პრობლემა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში („ფილოსოფიური ძიებანი“, 2014, #18);
 - „გადავარდეს“ თუ არა იურისტი ფილოსოფიაში? („ფილოსოფიური ძიებანი“, 2015, #19);
 - სამართალი როგორც მორალისა და პოლიტიკის კავშირის ფორმა („ფილოსოფიური ძიებანი“, 2016, #20);
 - „მართალი სამართლის“ იდეა ხელოვნებისა და სამართლის მიმართების მიხედვით („ფილოსოფიური ძიებანი“, 2017, #21).
- პროფესორ გურამ ნაჭყებიას მიერ „ფილოსოფიურ ძიებანში“ გამოქვეყნებული შრომები, რომლებიც სამართლის ფილოსოფიის პრობლემატიკას ეხება, პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ:
- პირველ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ შრომები, რომლებიც სამართლის ფილოსოფიის ზოგად პრობლემატიკას ეხება – **„სამართლის ფილოსოფიის შესაძლებლობის საკითხისათვის“** („ფილოსოფიური ძიებანი“, 2005, #9), **„ფიქციის მეთოდი სამართალში“** (2006, #10), **„სამართლის ფილოსოფიის კატეგორიული სისტემის საკითხისათვის“** („ფილოსოფიური ძიებანი“, 2008, #12), **„ისტორიის ფილოსოფია და სამართლის ფილოსოფია“** („ფილოსოფიური ძიებანი“, 2009, #13), **„გადავარდეს“ თუ არა იურისტი ფილოსოფიაში?“** („ფილოსოფიური ძიებანი“, 2015, #19); **„მართალი სამართლის“ იდეა ხელოვნებისა და სამართლის მიმართების მიხედვით“** („ფილოსოფიური ძიებანი“, 2017, #21).
- მეორე ჯგუფში გაერთიანდება შრომები, რომლებშიც დამუშავებულია სამართლის ძირითადი კატეგორიები ფილოსოფიური თვალსაზრისით, კერძოდ – **„სოციალური ნორმის საზრისის საკითხისათვის“** („ფილოსოფიური ძიებანი“, 2002, #6), **„მართლშეგნება, როგორც ფილოსოფიური კატეგორია“** („ფილოსოფიური ძიებანი“, 2004, #8), **„სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც სამართლის ფილოსოფიის კატეგორია“** („ფილოსოფიური ძიებანი“, 2013, #17), **„სამართალი როგორც მორალისა და პოლიტიკის კავშირის ფორმა“** („ფილოსოფიური ძიებანი“, 2016, #20);
- მესამე ნაწილი მოიცავს შრომებს, რომლებიც ეხება სისხლის სამართლის ფილოსოფიას საკითხებს. ამ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ ბატონ გურამის შემდეგი ნაშრომები – **„ჰეგელი დანაშაულის ბუნების შესახებ“** („ფილოსოფიური ძიებანი“, 1999, #3), **„პასუხისმგებლობის კატეგორიის განსა-**

ზღვრის საკითხისათვის“ („ფილოსოფიური ძიებანი“, 2000, #4), **„ბრალი, როგორც ფილოსოფიური კატეგორია“** („ფილოსოფიური ძიებანი“, 2001, #5), **„განზრახი დანაშაული, როგორც მსოფლმხედველობითი ცდომილება“** („ფილოსოფიური ძიებანი“, 2007, #11), **„დეონტური ლოგიკა და სამართლებრივი სივრცის პრობლემა სისხლის სამართალში“** („ფილოსოფიური ძიებანი“, 2010, #14), **„დანაშაულის ცნების კატეგორიული საფუძვლები (მეთოდოლოგიური საკითხები)“** („ფილოსოფიური ძიებანი“, 2011, #15), **„ბრალის კატეგორია სასაზღვრო კატეგორიების სისტემაში“** („ფილოსოფიური ძიებანი“, 2012, #16), **„ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის თანაფარდობის პრობლემა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში“** („ფილოსოფიური ძიებანი“, 2014, #18).

დანაშაული, როგორც სამართლის უარყოფა

წინამდებარე სტატიაში, „ფილოსოფიურ ძიებანში“ გამოქვეყნების ქრონოლოგიის მიხედვით, მხოლოდ იმ ნაშრომებს მიმოვიხილავთ, რომლებიც სისხლის სამართლის ფილოსოფიას შეეხება. დავიწყოთ 1999 წელს გამოქვეყნებული ნაშრომით – **„ჰეგელი დანაშაულის ბუნების შესახებ“**. ჰეგელი აყალიბებს დებულებას, რომლის მიხედვითაც დანაშაული სამართლის უარყოფაა. ჰეგელი ამბობს: *„ვინც ჩადის, მაგარიტად, ქუჩობას, იგი უაჩყოფს ახა მაჩგო სხვა, მეოხე პიხოვნების განსაკუთხებულ, კეიძო უფლებას ამ ნივთზე, ხოგოხც ამას ადგილი აქვს სამოქალაქო დავაში, ახამედ საეხთოდ უაჩყოფს მის უფლებას და ამიგომაც ახამაჩგო იძულებედყოფენ დაახუნოს მოპაჩური ნივთი, ახამედ სასჯელსაც სდებენ, ხადგან ის ახლვევს უფლებას, ხოგოხც ასეთს, ე. ი. უფლებას საზოგადოდ“*.³ ჰეგელი თვლის, რომ დანაშაული უარყოფს სამართალს, ხოლო სასჯელი უარყოფს დანაშაულს, ანუ საქმე გვაქვს უარყოფის უარყოფასთან, ასე ვთქვათ უარყოფით უსასრულო მსჯელობასთან.

ავტორი, ამოდის რა დებულებებიდან, რომ

3 ჰეგელი გ. ვ. ფ., (1962). ლოგიკის მეცნიერება, თბილისი, საბჭოთა საქართველო, გვ. 364.

სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა გულისხმობს სახელმწიფოსა და პიროვნების სისხლისსამართლებრივ კავშირს, რომელიც დანაშაულთა თავიდან აცილების სპეციფიკურ იურიდიულ ფორმას წარმოადგენს და რომ სისხლის სამართლის ნორმა მიმართულია საზოგადოების ყველა დელიქტუნარიან წევრზე, რომელიც ვალდებულია სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის ვითარებაში აღასრულოს იგი, თვლის, რომ ჰეგელის დებულება – „დანაშაული არის სამართლის უარყოფა“, მართებულია. უფრო მეტიც, მისი აზრით, თუ დანაშაული სამართლის უარყოფაა, მაშინ იგი სახელმწიფოს უარყოფაცაა, რადგან სამართალი სახელმწიფოს გარეშე არ არსებობს და დანაშაულის ჩადენას, დანაშაულის ჩამდენი პირი, გაჰყავს სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის გარეთ, რაც სახელმწიფოს უარყოფასაც წარმოადგენს, რადგან სახელმწიფო პიროვნებასთან იურიდიული კავშირის გარეშე არ არსებობს. პროფესორ გურამ ნაჭყებიას აზრით, ჰეგელი მართალია იმაშიც, რომ სამოქალაქო დავის საგანი – ზიანი, მისი აღდგენის გამო, იწვევს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას, მაშინ, როდესაც დანაშაული, პირიქით, ანგრევს სახელმწიფოს, რაკი მის ჩამდენ პირს გაიყვანს სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის გარეთ. ესაა სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური სუბიექტის, უარყოფა. ამაში მდგომარეობს დანაშაულის პოლიტიკური ბუნება, რომლის საფუძველში ძევს დანაშაულად გამოცხადებული ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება⁴.

მაშასადამე, ბატონი გურამი, ჰეგელის შეხედულებას დანაშაულის შესახებ განიხილავს ზოგადად, სისხლისსამართლებრივ პრობლემატიკასთან მიმართებაში და არაერთ ავტორთან მწვავე კამათის გზით, ამართლებს მას.

4 ნაჭყებია გ., (1999). ჰეგელი დანაშაულის ბუნების შესახებ, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებული „ფილოსოფიური ძიებანი“, თბილისი, უნივერსალი, #3, გვ.205.

მურმან გორგოშაძე, მირიან ქათამაძე

პოზიტიური პასუხისმგებლობა სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის საფუძველი

სტატიაში – „პასუხისმგებლობის კატეგორიის განსაზღვრის საკითხისათვის“ („ფილოსოფიური ძიებანი“, 2000 წ.) და სტატიაში – „ბრალი როგორც ფილოსოფიური კატეგორია“ („ფილოსოფიური ძიებანი“, 2001 წ.) სქემატურადაა გადმოცემული ბატონი გურამის, შეიძლება ითქვას, ორიგინალური თეორია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნების შესახებ. ამ თეორიის განვითარება ბატონი გურამის სხვა ნაშრომებში მოხდა. მაინც, რითაა ორიგინალური ავტორის შეხედულებები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კატეგორიის შესახებ და როგორ ახერხებს იგი ამ საკითხთან დაკავშირებით ერთგვარი სისტემის ჩამოყალიბებას? იმის გასარკვევად, თუ რატომაა მისი შეხედულებები ორიგინალური, ვნახოთ, როგორაა იგი გაგებული სამართალში და რას არ ეთანხმება პროფესორი გურამ ნაჭყებია:

1. სამართალში მიღებულია პასუხისმგებლობის მხოლოდ ნეგატიური ასპექტით განხილვა;
2. სამართალში შეუძლებლადაა მიჩნეული პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების ერთ ცნებაში გაერთიანება;
3. სამართალში არ არსებობს პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების გამაერთიანებელი ცნება;
4. სისხლის სამართალში მხოლოდ ნეგატიური პასუხისმგებლობაა აღიარებული, რომელიც ბრალეულ ქმედებას უკავშირდება და მიღებულია, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის ჩადენის შედეგად ყალიბდება.

ვნახოთ, რა არგუმენტებით ცდილობს ბატონი გურამი ამ შეხედულებების უარყოფას და საკუთარი თვალსაზრისის დასაბუთებას. დავინწყით პირველი დებულებით, რომლის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ ნეგატიური ასპექტი აქვს. ბატონი გურამი სამართლიანად შე-

ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობის ერთიანი განსაზღვრება არ არსებობს და ეს ცნება ფილოსოფოსებსა და იურისტებს შორის ერთგვარად გახლეჩილია. ფილოსოფოსები პასუხისმგებლობას განიხილავენ მხოლოდ პოზიტიური, პროსპექტული კუთხით, ხოლო იურისტები, მხოლოდ ნეგატიური, რეტროსპექტული კუთხით. ბატონი გურამი თვლის, რომ პასუხისმგებლობა სუბიექტსა და ინსტანციას, ვთქვათ, სახელმწიფოს, ურთიერთობის ფორმითაა შესაძლებელი, მაგრამ ეს ურთიერთობა თვითონ კი არაა პასუხისმგებლობა, არამედ ამ ურთიერთობაზე დამოკიდებულების გამოვლენის ფორმაა, იგი მოითხოვს და აპირობებს ამ ურთიერთობას. თუ, მაგალითად, სამართლებრივი მოვალეობა სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტია, პასუხისმგებლობა ამ მოვალეობისადმი დამოკიდებულებით ვლინდება. აქედან გამომდინარე, მკვლევრის აზრით, დებულება, რომ პასუხისმგებლობა სუბიექტის მოვალეობაა, არაა სწორი. ამგვარი მოსაზრება უგულებელყოფს და აუფასურებს პოზიტიური პასუხისმგებლობის შესაძლებლობას და იდეას, მაგრამ თუ ვიტყვი, რომ პასუხისმგებლობა მოვალეობა კი არაა, არამედ რომელიმე კონკრეტული მოვალეობისადმი (ვთქვათ, გადასახადის გადახდისათვის) დამოკიდებულებაა, მაშინ პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა დაფუძნდება, რადგან პოზიტიური პასუხისმგებლობა კონკრეტულ მოვალეობაზე (ვთქვათ, გადასახადის გადახდაზე) პირის მომავალი დამოკიდებულებით განსაზღვრული პასუხისმგებლობაა. ამდენად, პასუხისმგებლობა, ავტორის აზრით, მოიცავს ორ ურთიერთდაპირისპირებულ ასპექტს – პოზიტიურს, ანუ პროსპექტულს, რომელიც ნორმატიულად დადგენილი მოვალეობისადმი პოზიტიურ, პასუხისმგებლურ დამოკიდებულებაში ვლინდება (პასუხისმგებლობა მომავლისთვის) და ნეგატიურს, რეტროსპექტიულს, რომელიც მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გარდუვალე შედეგია (პასუხისმგებლობა წარსულისთვის)⁵.

5 ნაჭყებია გ., (2000). პასუხისმგებლობის კატეგორიის განსაზღვრის საკითხისათვის, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებული „ფილოსოფიური ძიებანი“, თბილისი, უნივერსალი, #4, გვ.131.

ეხლა განვიხილოთ ზემოთ მოტანილი მეორე დებულება, რომლის მიხედვითაც სამართალში შეუძლებლადაა მიჩნეული პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების ერთ ცნებაში გაერთიანება. სისხლის სამართალი იმის ნათელი მაგალითია, რომ ეს ცნებები ერთმანეთის გარეშე არ არსებობს. უფრო მეტიც, განაგრძობს ავტორი, ამგვარი იდეა (პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების ერთ ცნებაში გაერთიანების შეუძლებლობა) ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის კოდექსს, რომელშიც ვკითხულობთ „სისხლის სამართლის კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხედვით თავიდან აცილება და მათი აღწერის დაცვა“ (მ.1. ნაწ.3). ამ მიზნის რეალიზაცია კი შესაძლებელია არა დანაშაულის ჩადენით, არამედ, დანაშაულის თავიდან აცილების გამო ურთიერთობით, რომელიც სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან ყალიბდება სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის სუბიექტს შორის⁶. ეს ურთიერთობა პოზიტიური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის იურიდიული ფორმაა. დანაშაულის ჩადენა ამ ურთიერთობას კი არ ქმნის, არამედ, პირიქით ამ ურთიერთობიდან გაიყვანს დანაშაულის ჩადენ პირს და შესაბამისად, სისხლის სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისთვის ნეგატიურ პასუხისმგებლობასთან ერთად, აუცილებელია პოზიტიური პასუხისმგებლობის არსებობაც. პასუხისმგებლობა ამ ასპექტების ერთიანობაა. პოზიტიური პასუხისმგებლობის გარეშე შეუძლებელია ნეგატიური პასუხისმგებლობის გაგება, ხოლო ნეგატიური პასუხისმგებლობის გარეშე ვერც პოზიტიური პასუხისმგებლობა შესაძლებელი. მაშასადამე ისინი ერთმანეთს მოითხოვენ და განაპირობებენ⁷.

მესამე დებულება, რომელსაც არ ეთანხმება ბატონი გურამი და საკუთარ არგუმენტებს აყალიბებს, მდგომარეობს შემდეგში: „აქ აჩვენებს პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების გამაერთიანებელი ცნება“. ბატონი გურამის აზრით, ასეთი ცნება არსებობს და იგი „უპასუხისმგებლობის“ ცნებაა. მისი აზრით, უპასუხისმგებლობა წა-

რმოადგენს პოზიტიური და ნეგატიური პასუხისმგებლობის კავშირის ფორმას. იგი პასუხისმგებლობის ამ ორი ასპექტის დამაკავშირებელია იმ თვალსაზრისით, რომ პოზიტიური პასუხისმგებლობა უპასუხისმგებლობის ლოგიკური წინამძღვარია, რომ არ არსებობდეს პოზიტიური პასუხისმგებლობა, შეუძლებელი იქნებოდა უპასუხისმგებლობაზე ლაპარაკი. რაც შეეხება ნეგატიურ პასუხისმგებლობას, იგი არის უპასუხისმგებლობის გარდაუვალი ლოგიკური შედეგი. მაშასადამე, უპასუხისმგებლობის ცნება პოზიტიურ და ნეგატიურ პასუხისმგებლობას აკავშირებს იმ თვალსაზრისით, რომ იგი ერთის (პოზიტიური პასუხისმგებლობის) შედეგია, ხოლო მეორის (ნეგატიურ პასუხისმგებლობის) საფუძველი.

რაც შეეხება დებულებას, იმის შესახებ, რომ „სისხლის სამართალში მხოლოდ ნეგატიური პასუხისმგებლობაა აღიარებული, რომელიც ბიძგულ ქმედებას უკავშირდება და მიღებულია, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის ჩადენის შედეგად ყალიბდება“, ბატონი გურამი პასუხობს შემდეგი არგუმენტაციით: ნეგატიური პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ ამოქმედდება, როცა უარყოფილი ან იგნორირებული იქნება პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი. ეს მოხდება მაშინ, როცა მოვალეობისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება შეიცვლება მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით. მოვალეობისადმი უარყოფითი დამოკიდებულება (პოზიტიური პასუხისმგებლობის იგნორირება) იწვევს ნეგატიურ პასუხისმგებლობას⁸. ნეგატიურმა პასუხისმგებლობამ სუბიექტის უპასუხისმგებლობა უნდა შემოაბრუნოს პოზიტიური პასუხისმგებლობისაკენ. ბატონი გურამის სამართლიანი დასკვნით, სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან, სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის მყარდება სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც დანაშაულთა თავიდან აცილების სპეციფიური ხერხია. ეს კი ნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა იწყება პირის პოზიტიური პასუხისმგებლობით და ამ პასუ-

6 იქვე, გვ. 134.
7 იქვე, გვ. 139.

8 ნაჭყებია გ., (2001). ბრალი როგორც ფილოსოფიური კატეგორია, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებული „ფილოსოფიური ძიებანი“, თბილისი, უნივერსალი, #5, გვ.119.

ხისმგებლობაზე უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას პირი გაჰყავს სისხლისსამართლებრივი ურთიერთობიდან და დგება ნეგატიური პასუხისმგებლობა. უპასუხისმგებლობა სახელმწიფოს სახელით გაკიცხვის საფუძველია.

ნაშრომში „**ბრალი როგორც ფილოსოფიური კატეგორია**“ („ფილოსოფიური ძიებანი“, 2001, #5), ავტორი ასაბუთებს, რომ ბრალი და უპასუხისმგებლობა სინონიმური ცნებებია და შესაბამისად, ბრალი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ასპექტებს შორის კავშირის ფორმას⁹. ბრალსაც და პასუხისმგებლობასაც ავტორი ფილოსოფიურ კატეგორიებად მიიჩნევს.

განზრახი დანაშაული, როგორც ღირებულებითი ცდომილება

2007 წელს ბატონი გურამი აქვეყნებს ნაშრომს „**განზრახი დანაშაული, როგორც მსოფლმხედველობითი ცდომილება**“ („ფილოსოფიური ძიებანი“, #11), რომელშიც ავითარებს აზრს, რომ სამართლის ფილოსოფია, უპირველესად, სამართლის ფენომენის მსოფლმხედველობრივ გაგება-დაფუძნებაში მდგომარეობს, სისხლის სამართლის ფილოსოფია კი დანაშაულისა და სასჯელის მსოფლმხედველობრივ შეფასებებში გამოიხატება¹⁰. ამ დებულებიდან გამომდინარე იგი იკვლევს დანაშაულის მსოფლმხედველობრივ ბუნებას. მკვლევარი საკითხს სვამს ასე: ცნობილია, რომ დანაშაული, პოზიტიური სამართლის მიხედვით, სამართლებრივად უარყოფითად შეფასების ობიექტია და როგორაა შესაძლებელი დანაშაულის, როგორც სამართალში უარყოფითად შეფასებული ქმედების მსოფლმხედველობრივი შეფასება? ავტორი მხოლოდ განზრახ დანაშაულს განიხილავს, რადგან განზრახი ბრალი შეცდომას გამორიცხავს, იგი, როგორც წესი, ფსიქოლოგიურად უშეცდომოა ანუ მართლწინააღმდეგობა შეგ-

ნებულია, სწორედ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი მის მსოფლმხედველობრივ საფუძველებზე.

ავტორი თვლის, რომ დანაშაული ღირებულებითი ცდომილების გამოხატულებაა, ხოლო ეს თავის მხრივ მსოფლმხედველობრივ ცდომილებად უნდა დაკვალიფიცირდეს. ცხადია, ღირებულებათა არჩევანში შეცდომას გნოსეოლოგიური ძირები აქვს, ანუ შესაძლებელია ეს შეცდომა ადამიანს გაცნობიერებელი არ ჰქონდეს, მაგრამ ეს მაინც საზოგადოებრივ პრაქტიკაში დაშვებული შეცდომაა და ადამიანს მისი გაცნობიერებაც შეუძლია. ამაზე მეტყველებს თვითმოტყუების ფენომენი. დანაშაულის ჩადენა შეუძლებელია ისე, თუ სუბიექტმა თავისი სინდისი არ მოატყუა. ბუნებრივია, თვითმოტყუება შეუძლებელი იქნებოდა, რომ ადამიანი თავის ღირებულებით ცდომილებას არ აცნობიერებდეს. თვითმოტყუება, ამ შემთხვევაში, ჩადენილი დანაშაულის გამართლების მცდელობას წარმოადგენს. ამდენად დანაშაული და, მით უფრო, განზრახი დანაშაული მსოფლმხედველობრივი ცდომილებაა – ასკვნის ავტორი.

დანაშაულთა თავიდან აცილება – სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა

ნაშრომში „**დეონტური ლოგიკა და სამართლებრივი სივრცის პრობლემა სისხლის სამართალში**“ („ფილოსოფიური ძიებანი“, 2010, #14), პროფესორი გურამ ნაჭყებია კვლავ უბრუნდება დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის საკითხებს და, დეონტური (ნორმათა) ლოგიკის პრინციპებიდან გამომდინარე, არგუმენტებით ცდილობს აჩვენოს აღნიშნული იდეის სიყალბე. იგი ავლენს როგორც სოციოლოგიზმის, ისე ნორმატივიზმის წინააღმდეგობებს დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის იდეის დაშვებისას. მისი აზრით, ამ ალოგიკური და ყალბი იდეის აღიარების შემთხვევაში, დეონტურ ლოგიკას გამოვლენის არავითარი სფერო არ გააჩნია. ავტორი მეცნიერულად

9 იქვე, გვ. 121.

10 ნაჭყებია გ., (2007). განზრახი დანაშაული, როგორც მსოფლმხედველობითი ცდომილება, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებული „ფილოსოფიური ძიებანი“, თბილისი, უნივერსალი, #11, გვ. 131.

გამართული და საფუძვლიანი მსჯელობებიდან გამომდინარე ასკვნის, რომ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის გაიგივება ან მართლზომიერ ანდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან და სისხლის სამართალში სამართლებრივად თავისუფალი სივრცის უარყოფა არის ქმედების შემადგენლობის ლოგიკური უარყოფა, რაც, თავის მხრივ, შეუძლებელს ხდის სისხლის სამართლის მეცნიერებასა და სისხლის სამართლის ფილოსოფიას.

დანაშაულთა თავიდან აცილების გამო, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეის აღიარების შემთხვევაში, ქმედება არა მარტო მართლზომიერია ან მართლსაწინააღმდეგო, არამედ შეიძლება იყოს მესამეც, ესე იგი, როცა ქმედება არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო. დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში ქმედება მართლზომიერია, მაგრამ როგორც კი განხორციელდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა, სუბიექტი უკვე გადის სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ არსებულ სამართლებრივად თავისუფალ სივრცეში, სადაც ქმედება მართლზომიერი უკვე არაა, მაგრამ ეს ქმედება არც მართლსაწინააღმდეგოა, რადგან ქმედების შემადგენლობის ფაქტიდან მის მართლსაწინააღმდეგობაზე პირდაპირი ლოგიკური გადასვლის გზა არ არსებობს¹¹. ავტორის აზრით, დეონტური ლოგიკის პრინციპები და დანაშაულის თავიდან აცილების გამო, სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის სუბიექტებს შორის სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის დამყარების იდეის აღიარებით, შესაძლებელი ხდება სისხლისსამართლებრივი ქმედების სამართლებრივად თავისუფალ ე. წ. მესამე სივრცეში (პირველია მართლზომიერება, მეორე მართლსაწინააღმდეგობა) გადასვლის შესაძლებლობა, სადაც სუბიექტი სამართლებრი-

ვად არც ვალდებულია და არც უფლებამოსილი. ამ აზრის საილუსტრაციოდ ავტორი აღნიშნავს, რომ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმალვა პირდაპირ აკრძალული არ არის (რადგან ამისი აკრძალვა სამართალდაცვით ორგანოებში ამ პირის გამოცხადების ვალდებულებას დააწესებდა), მაგრამ არც მისი მიმალვაა ნებადართული¹².

ამრიგად, ამ ნაშრომით, პროფესორი გურამ ნაჭყებია, შეეცადა, კიდევ ერთხელ, ახალი, მათ შორის, დეონტური ლოგიკის პრინციპების გამოყენებით, დაესაბუთებინა, რომ დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა ყალბი და ალოგიკურია¹³.

დანაშაულის ცნების მდებენელი კატეგორიები

სტატიაში „**დანაშაულის ცნების კატეგორიული საფუძვლები (მეთოდოლოგიური საკითხები)**“ („ფილოსოფიური ძიებანი“, 2011, #15), ავტორი ეხება დანაშაულის ცნების კატეგორიული დასაბუთების მეთოდოლოგიურ ასპექტებს და მიიჩნევს, რომ დანაშაულის ცნების ელემენტები – ქმედების შემადგენლობა, ქმედების მართლსაწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი, რომელთა ერთიანობა დანაშაულის ცნების გამოხატულებაა, კატეგორიული შემადგენლობისაა. სხვანაირად თუ ვიტყვით, ისინი არიან კატეგორიები და არა ცნებები. ცნებასა და კატეგორიას შორის, ავტორის აზრით, ის განსხვავებაა, რომ ცნება, როგორც აზრის ერთ-ერთი ლოგიკური ფორმა, ზოგადისა და კერძოს, გვარისა და სახეობის ერთიანობას გამოხატავს, მაშინ როცა კატეგორია ზოგადისა და კერძოს, გვარისა და სახეობის მიხედვით არ იყოფა. კატეგორიას არც გვარი აქვს და არც სახეობა, იგი ამა თუ იმ სახით კი არ ვლინდება, არამედ კონკრეტდება, ამა თუ იმ ფორმას ღებულობს, იგი არ არის ამა თუ იმ ზოგადის სახეობა, იგი ამა თუ იმ ზოგადის ფორმაა¹⁴. არ შეიძლება ვიფიქროთ,

11 ნაჭყებია გ., (2010). დეონტური ლოგიკა და სამართლებრივი სივრცის პრობლემა სისხლის სამართალში, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებული „ფილოსოფიური ძიებანი“, თბილისი, უნივერსალი, #14, გვ. 161.

12 იქვე, გვ. 152.

13 იქვე, გვ. 161.

14 ნაჭყებია გ., (2011). დანაშაულის ცნების კატეგორიული საფუძვლები (მეთოდოლოგიური საკითხები), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებული „ფილოსოფიური ძიებანი“, თბილისი, უნივერსალი, #14, გვ. 161.

რომ არსებობს კატეგორიების სხვადასხვა სახეობები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ამა თუ იმ არსებითი ნიშნით, რადგან კატეგორია თვითონაა უზოგადესი. მაგალითად, დანაშაული ცნებაა, რომელსაც აქვს სახეობითი გამოვლენა – ქურდობის, მკვლელობის, გაუპატიურების და სხვა სახით, თითოეული ეს სახეობა ერთმანეთისაგან განსხვავდება ამა თუ იმ არსებითი ნიშნით. მართლწინააღმდეგობა კატეგორიაა, რის გამოც მისი ფორმები – სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქოსამართლებრივი, ადმინისტრაციულსამართლებრივი, ყველგან, სამართლის ნებისმიერ დარგში, გამოხატავს ქმედების უარყოფით სამართლებრივ შეფასებას. იგი სამართლის სხვადასხვა დარგში სხვადასხვა სახით არ ვლინდება, ყველგან ქმედების უარყოფითი შეფასების გამომხატველია, მხოლოდ დაკონკრეტებულია სფერო. დანაშაულის ცნების შემთხვევაში კი, ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ხოლო ძარცვა არის სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. როგორც ვხედავთ, ქურდობა და ძარცვა დანაშაულის ცნებას სფეროების მიხედვით კი არ აკონკრეტებს, არამედ ასხვავებს მათ არსებითი ნიშნებით (ქურდობა ნივთის ფარული დაუფლებაა, ხოლო ძარცვა ნივთის აშკარა დაუფლება). კატეგორიის შემთხვევაში კი ეს ასე არ არის. მართლწინააღმდეგობის კატეგორია ზუსტად ერთი და იგივე შინაარსისაა, როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში, ყველგან ერთნაირად ქმედების უარყოფით სამართლებრივ შეფასებას გამოხატავს, მხოლოდ და მხოლოდ სფერო კონკრეტდება.

მიუხედავად დანაშაულის ცნების ელემენტებს. ქმედების შემადგენლობა, ავტორის აზრით, ისევე როგორც მართლწინააღმდეგობა, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის კატეგორიებია, რომლებიც სისხლის სამართლის სფეროში კონკრეტდებიან. ქმედების შემადგენლობა მართლწინააღმდეგობისა და მართლწინააღმდეგობის

ქმედებებს შორის კავშირის ფორმაა, სწორედ ქმედების შემადგენლობით გადადის მართლწინააღმდეგობა თავის საპირისპიროში – მართლწინააღმდეგო ქმედებაში. ქმედების შემადგენლობის განხორციელების გარეშე მართლწინააღმდეგობის საკითხი, უბრალოდ, ვერ დადგებოდა. მართლწინააღმდეგობა ერთმანეთთან აკავშირებს ქმედების შემადგენლობას და ბრალს. ბრალი, ავტორის მტკიცებით, განსხვავებით „ქმედების შემადგენლობისა“ და „მართლწინააღმდეგობის“ კატეგორიებისაგან (რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის კატეგორიებია), სოციალური ფილოსოფიის კატეგორიაა და უკავშირდება „პასუხისმგებლობის“, უფრო სწორად კი, „უპასუხისმგებლობის“ კატეგორიას. უპასუხისმგებლობა, ავტორის აზრით, პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების კავშირის ფორმაა, ვინაიდან მართლწინააღმდეგო ქმედებას სუბიექტი ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად განახორციელებს. აქედან გამომდინარე კი „ბრალი“, როგორც პასუხისმგებლობის სინონიმი დამოუკიდებელ კატეგორიას წარმოადგენს¹⁵.

მაშასადამე, სტატიაში „დანაშაულის ცნების კატეგორიული საფუძვლები (მეთოდოლოგიური საკითხები)“, პროფესორი გურამ ნაჭყებია ასაბუთებს, რომ დანაშაულის ცნებას საფუძვლად უდევს „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის“ ისეთი ორი კატეგორია, როგორცაა „ქმედების შემადგენლობა“ და „მართლწინააღმდეგობა“ და სოციალური ფილოსოფიის კატეგორია „ბრალი“.

ბრალის საზღვრითი კატეგორიები

სტატიაში „ბრალის კატეგორია სასაზღვრო კატეგორიების სისტემაში“ („ფილოსოფიური ძიებანი“, 2012, #16), ბრალი განხილულია შემდეგ ისეთ კატეგორიებთან მიმართებაში, რომლებიც, ავტორის აზრით,

რებათა აკადემიის კრებული „ფილოსოფიური ძიებანი“, თბილისი, უნივერსალი, #15, გვ. 140.

15 იქვე, გვ. 145.

ბრალის საზღვრით კატეგორიებს წარმოადგენს, კერძოდ: პასუხისმგებლობა, მისი პოზიტიური და ნეგატიური ასპექტებით; თავისუფლება; მიზეზი და შედეგი; რაოდენობრიობა და თვისებრიობა; სამართლებრივი ურთიერთობა; ზნეობა; პასუხისმგებლობის გრძნობა; სინდისი.

ნაჩვენებია ბრალის უზოგადესი კატეგორიული ბუნება და ბრალი სოციალური ფილოსოფიის დამოუკიდებელ კატეგორიადაა გამოცხადებული. ამ დასკვნის გასაკეთებლად ავტორი სამართლიანად ემიჯნება ბრალის როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე ნორმატიული თეორიების ცალმხრივობას და ბრალს ფსიქიკურისა და ნორმატიულის მიჯნაზე განიხილავს. ავტორის აზრით მართალია, ბრალი პასუხისმგებლობის ნეგატიურ ასპექტს აფუძნებს, თუმცა მისი წანამდღვარი და ლოგიკური საფუძველი პოზიტიური პასუხისმგებლობაა, უფრო სწორად, პოზიტიური პასუხისმგებლობის საპირისპირო მდგომარეობა – უპასუხისმგებლობა. „სუბიექტი იკიცხება ახა უბადოდ მახთდსაწინააღმდეგო ქმედებისთვის, ახამედ იმისთვის, რომ სუბიექტმა მახთდსაწინააღმდეგო ქმედება მახთდობიეხი ქმედების ვადებულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად განახოციედა, მაშინ, როდესაც მას შეეძლო მახთდობიეხი ქმედების მოვადეობისადმი პასუხისმგებლუხი დამოკიდებულება ჰქონოდა და, მაშასადამე, ემოქმედა მახთდობიეხად“.¹⁶ აქედან გამომდინარე, ავტორის დასკვნით, ბრალი არც წმინდა ფსიქიკური ფენომენია და არც წმინდა ნორმატიული, იგი იაზრება პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების კავშირის ფორმად, ანუ, დამოუკიდებელ კატეგორიად და რადგან პასუხისმგებლობა სოციალური ფილოსოფიის კატეგორიაა, ბრალიც სოციალური ფილოსოფიის კატეგორიას წარმოადგენს¹⁷.

რადგან ბრალი პასუხისმგებლობის ასპექტების კავშირის ფორმად იქნა მოაზრებული და რადგან პასუხისმგებლობა თავისუფლების გარეშე არ არსებობს, ავტორის

წინაშე ლოგიკურად დგება ბრალისა და თავისუფლების და, შესაბამისად, ბრალისა და მიზეზ-შედეგობრიობის მიმართების საკითხი. ავტორის მართებული შენიშვნით, მიზეზისა და შედეგის კატეგორიულ გააზრებას ბრალთან მიმართებაში (ქართულში „ბრალი“ ხშირად „მიზეზის“ მნიშვნელობითაც გამოიყენება, თუმცა, მიზეზი ობიექტურია, ხოლო ბრალი ობიექტურ-სუბიექტური, რის გამოც „მიზეზთან“ მისი გათანაბრება დაუშვებელია¹⁸) დიდი მნიშვნელობა აქვს „ჩადგან ადამიანის ქმედება მიზეზ-შედეგობიეხი ჯაჭვიში ჩახთუდი და განსაზღვხავს, ეხთი მხიივ, თვით ადამიანის ქმედების გამომწვევ პიხოებესა და მიზეზებს, ხოდო, მეოხე მხიივ, – თვით ქმედების, როგოხც მიზეზისა, და მისი შედეგების მნიშვნელობას ბხადის დადგენასა და მისი ხახისხის განსაზღვხაში“.¹⁹

ბრალის ხარისხს ავტორი რაოდენობრიობისა და თვისებრიობის ხარისხს უკავშირებს და აღნიშნავს, რომ პასუხისმგებლობის სუბიექტის ბრალის ხარისხი (თვისებრიობა) დამოკიდებულია მის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თუ სამართლებრივ მდგომარეობაზე (რაოდენობრიობაზე).

ავტორი წარმატებით განიხილავს ბრალის პრობლემატიკასთან კავშირში სამართლებრივი ურთიერთობის კატეგორიას და მიიჩნევს, რომ სამართლებრივი ურთიერთობა პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოვლენის იურიდიული ფორმაა და წარმოადგენს სამართლის ნორმის, როგორც ჯერარსისა და მართლწესრიგის, როგორც ნაწილობრივ განხორციელებული სამართლის ანუ არსის, კავშირის ფორმას. ავტორის აზრით, ამ საკითხების გარკვევის გარეშე გაუგებარი იქნებოდა სამართლის ნორმის გადასვლის საკითხი მართლწესრიგში, როცა სუბიექტის ქმედება მართლზომიერია და ბრალის საკითხი, როცა სუბიექტის ქმედება მართლსაწინააღმდეგოა.

საინტერესოა პროფ. გურამ ნაჭყებიას შეხედულებები ბრალისა და ზნეობის კატეგორიების მიმართების თვალსაზრისით. ბრალის პრობლემა დგას ზნეობაშიც (მორალში). ზნეობრივი თვალსაზრისით ადამიანი პასუხს აგებს ადამიანის ისეთი სოციალური უნარის წინაშე,

16 ნაჭყებია გ., (2012). ბრალის კატეგორია სასაზღვრო კატეგორიების სისტემაში, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებული „ფილოსოფიური ძიებანი“, თბილისი, უნივერსალი, #16, გვ. 56.

17 იქვე, გვ. 56-57.

18 იქვე, გვ. 58.

19 იქვე, გვ. 57.

როგორცაა სინდისი, სისხლის სამართლის სფეროში კი სახელმწიფოს წინაშე. სისხლის-სამართლებრივი ბრალი, მართალია, არაა მონყვეტილი ზნეობრივი ბრალისაგან – ბრალის შეგრძნება პასუხისმგებლობის გრძნობის საფუძველზე ხდება, მაგრამ მისგან არსებითად განსხვავდება იმით, რომ სინდისის სამართალი არ ცნობს გაუფრთხილებლობას, როგორც ბრალის საფუძველს, იგი მხოლოდ განზრახვის სფეროზე ვრცელდება. ზნეობის სფეროში გაუფრთხილებლობით ჩადენილ უზნეობას მოსდევს სინანული და არა სინდისის ქენჯნა, რაც განზრახ ჩადენილი უზნეობისთვისაა ნიშანდობლივი. სინდისს შეუძლია ჩაშალოს ნებისმიერი დანაშაულებრივი საქმე, თუ იგი არ მოტყუვდა, არ დაბრმავდა ყალბი შუქით. დანაშაულის ჩადენისთვის ადამიანი რალაც ზომით ყოველთვის საჭიროებს საკუთარი სინდისის ნეიტრალიზაციას თავის მოტყუების საშუალებით, ეს მოტყუება თავისებური ვიზაა დანაშაულის სამყაროში შესასვლელად, აღნიშნავს ავტორი, ამ საკითხებზე მომუშავე ქართველი ავტორიტეტების დამონებით²⁰.

საანალიზო სტატიაში ცალკე აღნიშვნის ღირსია ავტორის დამოკიდებულება ბრალისა და სამართლის სხვა მსგავსი ცნებებისა თუ კატეგორიების კვლევისას ფილოსოფიური მეთოდების გამოყენებასთან. მისი აზრით, აღნიშნული კატეგორიების კვლევა უნდა ხდებოდეს ფილოსოფიაში ჩადრმავეების²¹ გზით და არა მისგან გაქცევით²² ან მის გარეთ²³.

სამართლის აქსიოლოგიური ასპექტები

გურამ ნაჭყებია, ნაშრომში „ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის

20 იქვე, გვ. 63.

21 დაწვრილებით ამ საკითხზე იხილეთ, ნაჭყებია გ., (2015). „გადავარდეს“ თუ არა იურისტი ფილოსოფიაში?, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებული „ფილოსოფიური ძიებანი“, თბილისი, უნივერსალი, #19.

22 ნაჭყებია გ., (2012). ბრალის კატეგორია სასაზღვრო კატეგორიების სისტემაში, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებული „ფილოსოფიური ძიებანი“, თბილისი, უნივერსალი, #16, გვ. 59, 72

23 იქვე, გვ. 74.

თანაფარდობის პრობლემა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში („ფილოსოფიური ძიებანი“ 2014, #18), ასაბუთებს ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის თანაფარდობის შეუძლებლობას სამართლისადმი აქსიოლოგიური მიდგომის გარეშე. მისი აზრით სამართალი არ არის მხოლოდ გნოსეოლოგიური ფენომენი, იგი არ დგინდება მხოლოდ ასახვის თეორიით და გნოსეოლოგიზმი სამართალში გამორიცხავს მისი ნორმატიულობის დასაბუთებას და, შესაბამისად, ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის გამიჯვნის შესაძლებლობასაც, ურომლისოდაც მათ შორის თანაფარდობაზე ლაპარაკი ლოგიკურად შეუძლებელია. ავტორი ამ დასკვნის მისაღებად საკმაოდ საინტერესო გზას ირჩევს, კერძოდ, ერთმანეთისაგან ასხვავებს ტერმინებს „სამართალშემოქმედება“ და „კანონშემოქმედება“, მისი აზრით, სწორად უნდა ჩაითვალოს ტერმინი „კანონშემოქმედება“, რადგან შექმნა ხდება ნორმატიული აქტის, მათ შორის კანონის, რომელიც სამართლის გამოხატვის ფორმაა. ტერმინ „სამართალშემოქმედების“ გამოყენების შემთხვევაში კი, ისე ჩანს, თითქოს სამართალი ობიექტურად და იდეალურად კი არ არსებობს, არამედ ხელოვნურად იქმნება სახელმწიფოს მიერ²⁴. აქედან გამომდინარე, კანონშემოქმედებას, მისი სპეციფიკის მიუხედავად, ავტორი, შესაბამის ლიტერატურაზე დაყრდნობით, შემოქმედების ერთ-ერთი სახედ მიიჩნევს, შემოქმედება კი თავის მხრივ შემოქმედის თავისუფლებას და სუბიექტური ღირებულების აღიარებასაც გულისხმობს, თუმცა ეს სუბიექტური, ობიექტური ღირებულებების გაშინაგნების შედეგად მიღებული სუბიექტურია. კანონმდებელმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში უნდა აღმოაჩინოს ადამიანის ის ქმედება, რომელიც მომავალ სისხლის სამართლის კანონში დანაშაულად სახელმწიფოებრივი კვალიფიკაციის ღირსია, ანუ უნდა აღმოაჩინოს „კრიმინალიზაციის ობიექტი“, ეს აღმოჩენის ფაქტი შემოქმედებაა,

24 ნაჭყებია გ., (2014). ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის თანაფარდობის პრობლემა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებული „ფილოსოფიური ძიებანი“, თბილისი, უნივერსალი, #18, გვ. 62.

რომელიც ობიექტური ღირებულებების გაშინაგნების საფუძველზე წარმოშობილი თავისუფლებისა და სუბიექტური ღირებულებების შედეგია. ეს კი ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა (კანონმდებელი) არაა მოწყვეტილი აღმოჩენას (შემოქმედებით აქტს) ობიექტური ღირებულების სფეროში. მაშასადამე, კანონშემოქმედის, როგორც შემოქმედის, ცნობიერებისთვის მთავარია არა მხოლოდ სინამდვილის ასახვა, არამედ მისი კონსტრუირება, ანუ მოქმედების ჯერ არარსებული შედეგის წარმოსახვა. ავტორის აზრით, რადგან მოქმედების ჯერ არარსებული შედეგის კონსტრუქცია საზოგადოებრივი პრაქტიკისთვისაა განკუთვნილი, კანონშემოქმედება პრაქტიკული შემოქმედების სახეა და გარე სინამდვილისადმი ადამიანის (კანონმდებლის) პრაქტიკულ-ღირებულებით დამოკიდებულებას გამოხატავს, კანონმდებელი კი საზოგადოებრივი პრაქტიკის სუბიექტია²⁵, რომელიც სამართლის ნორმატიულობას საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების საშუალებად იყენებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ავტორი, ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის თანაფარდობის საკითხის გადაწყვეტისას სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, მიუთითებს, რომ ქმედების შემადგენლობის ფაქტიდან მის მართლწინააღმდეგობაზე გადასვლის ლოგიკური გზა არ არსებობს, რადგან ქმედების შემადგენლობა აღწერით, ასე ვთქვათ, ფაქტიურის მსჯელობებს ეყრდნობა და მოკლებულია შეფასებითი ხასიათის მსჯელობებს, ამიტომ სისხლის სამართლის კანონმდებელი სისხლის სამართლის კანონმდებლობას ქმედების შემადგენლობის შექმნით ვერ დაიწყებს, ამით იგი ამთავრებს სისხლის სამართლის კანონმდებლობას ანუ აღწერს ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენის ხერხს და ამას აკეთებს გარე სინამდვილისადმი პრაქტიკულ-ღირებულებით დამოკიდებულების შედეგად წინასწარ გაკეთებულ დასკვნაზე დაყრდნობით იმის შესახებ, თუ რა არის დანაშაული. ეს კი ნიშნავს, რომ ქმედების შემადგენლობაში, როგორც აღწერილობით მსჯელობის სტრუქტურაში არ უნდა იქნას შეტანილი ქმედების

მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი. ქმედების მართლწინააღმდეგობა და ბრალი შეფასებითი, აქსიოლოგიური კატეგორიებია, განსხვავებით ქმედების შემადგენლობისაგან, რომელიც შემეცნებითი (გნოსეოლოგიური) კატეგორიაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასკვნის ავტორი, დანაშაულის ნორმატიული ცნების აგება შეუძლებელია²⁶.

დასკვნა

ამრიგად, პროფესორ გურამ ნაჭყებიას მიერ, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებულში „ფილოსოფიურ ძიებანი“ გამოქვეყნებული სტატიებით, სისხლის სამართლის ფილოსოფიას შეემატა ღირებული ნაშრომები დანაშაულის, როგორც სამართლის უარყოფისა და მსოფლმხედველობრივი ცთომილების, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, როგორც რომელიმე კონკრეტული მოვალეობისადმი დამოკიდებულების, ბრალისა და უპასუხისმგებლობის, როგორც სინონიმური ცნებების, დეონტური ლოგიკის პოზიციიდან სისხლისსამართლებრივი ურთიერთობების ახსნის, დანაშაულის საფუძველმდებარე კატეგორიების – „ქმედების შემადგენლობისა“ და „მართლწინააღმდეგობის“, ბრალის, როგორც ფსიქიკურისა და ნორმატიულის მიჯნაზე არსებული ფენომენის შესახებ. აღნიშნულმა შრომებმა გაამდიდრა არა მხოლოდ ქართული სისხლის სამართლის ფილოსოფიის, არამედ ზოგადად ქართული სამართლის ფილოსოფიის არცთუ ისე მდიდარი ყულაბა.

25 იქვე, 83- 69.

26 იქვე, 83- 74.

PROFESSOR GURAM NATCHKEBIA AS A CRIMINAL LAW PHILOSOPHY PROBLEMS RESEARCHER (According to the Works Published in “Philosophical Investigations” Collection)

Murman Gorgoshadze

*Professor of Faculty of Law and Social Sciences, Batumi Shota
Rustaveli State University*

Mirian Katamadze

*Doctoral Student of the Faculty of Law, Tbilisi Ivane Javakhishvili State
University*

KEYWORDS: Guram Natchkebia, Positive Responsibility,
Irresponsibility, World-view error

ABSTRACT

This work covers the philosophical analysis of research of criminal law problems according to the works published in “Philosophical Quests” Collection of the Academy of Philosophic Sciences of Georgia by one of the modern prominent representatives of Georgian jurisprudence, Professor Guram Natchebia.

Namely, it covers the philosophical problems of crime as deny of law, its concept-forming categories, deliberate crime as the idea and basis of value error and criminal relations, boundary categories of guilt and axiological aspects of law.

Special attention is paid to attitude to criminal responsibility, as any concrete obligation, not person’s obligation, what allows foundation of positive responsibility idea; analysis of guilt and irresponsibility as the synonymic notions, presentation of the basic categories of general theory of law: “composition of act” and “illegality” and the social philosophy category of “guilt”; consideration of guilt as phenomenon on

the boundary of psychic and normative and its boundary categories (responsibility with its positive and negative aspects; freedom; cause and effect; quantitative and qualitative; legal relations; moral; sense of responsibility; conscience);

Taking of the categories of “illegality of action” and person’s “guilt” out of the descriptive consideration structure for foundation of the normative notion of guilt and their announcement as evaluative, axiological categories, as opposed to the

category of “composition of act”, as a gnoseological category.

It is demonstrated that Professor Guram Natchkebia’s works cover both general principles of philosophy of law and philosophic matters of the general categories of law. Contribution of Professor Guram Natchkebia to development of Georgian legal philosophy in general and namely, of the Georgian criminal law philosophy is assessed.

ბიბლიოგრაფია:

1. ნაჭყებია გ., (1999). ჰეგელი დანაშაულის ბუნების შესახებ, „ფილოსოფიური ძიებანი“, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებული, თბილისი, № 3
2. ნაჭყებია გ., (2000). პასუხისმგებლობის კატეგორიის განსაზღვრის საკითხისათვის. „ფილოსოფიური ძიებანი“, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებული, თბილისი, № 4
3. ნაჭყებია გ., (2001). ბრალი როგორც ფილოსოფიური კატეგორია. „ფილოსოფიური ძიებანი“, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებული, თბილისი, № 5
4. ნაჭყებია გ., (2007). განზრახი დანაშაული, როგორც მსოფლმხედველობითი ცდომილება. „ფილოსოფიური ძიებანი“, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებული, თბილისი, №11
5. ნაჭყებია გ., (2010). დეონტური ლოგიკა და სამართლებრივი სივრცის პრობლემა სისხლის სამართალში. „ფილოსოფიური ძიებანი“, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებული, თბილისი, №14
6. ნაჭყებია გ., (2011). დანაშაულის ცნების კატეგორიული საფუძვლები (მეთოდოლოგიური საკითხები), „ფილოსოფიური ძიებანი“, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებული, თბილისი, №15
7. ნაჭყებია გ., (2012). ბრალის კატეგორია სასაზღვრო კატეგორიების სისტემაში, „ფილოსოფიური ძიებანი“, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებული, თბილისი, №16
8. ნაჭყებია გ., (2014). ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის

BIBLIOGRAPHY:

1. Natchkebia G., (1999). Hegel about Nature of Crime, “Philosophical Investigations”, Collection of the Academy of Philosophic Sciences of Georgia, Tbilisi, N3
2. Natchkebia G., (2000). On the Issue of Determination of Category of Responsibility, “Philosophical Investigations”, Collection of the Academy of Philosophic Sciences of Georgia, Tbilisi, N4
3. Natchkebia G., (2001). Guilt as a Philosophic Category, “Philosophical Investigations” Collection of the Academy of Philosophic Sciences of Georgia, Tbilisi, N5
4. Natchkebia G., (2007). Deliberate Crime, as World-View Error, “Philosophical Investigations”, Collection of the Academy of Philosophic Sciences of Georgia, Tbilisi, N11
5. Natchkebia G., (2010). Deontic Logics and Legal Space Problem in Criminal Law, “Philosophical Investigations”, Collection of the Academy of Philosophic Sciences of Georgia, Tbilisi, N14
6. Natchkebia G., (2011). Crime Concept Categories Fundamentals (Methodological Problems), “Philosophical Investigations”, Collection of the Academy of Philosophic Sciences of Georgia, Tbilisi, N15
7. Natchkebia G., (2012). Category of Guilt in the Boundary Categories System, “Philosophical Investigations”, Collection of the Academy of Philosophic Sciences of Georgia, Tbilisi, N16
8. Natchkebia G., (2014). The problem of Correlation of Content and Wrongfulness of Act in Criminal Legislation, “Philosophical Investigations”, Collection of the Academy of Philosophic Sciences of Georgia, Tbilisi, N18

- თანაფარდობის პრობლემა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, „ფილოსოფიური ძიებანი“, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებული, თბილისი, №18
9. ნაჭყებია გ., (2015). გადავარდეს თუ არა იურისტი ფილოსოფიაში?, „ფილოსოფიური ძიებანი“, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის კრებული, თბილისი, №19
 10. ჰეგელი გ. ვ. ფ., (1962). ლოგიკის მეცნიერება, თბილისი
 9. Natchkebia G., (2015). Should a Lawyer Plunge into Philosophy or not? “Philosophical Investigations”, Collection of the Academy of Philosophic Sciences of Georgia, Tbilisi, N19
 10. Hegel G.W.F., (1962). Science of Logics, Tbilisi

NOTES:

1. Valedictory of the Presidium of the Academy of Philosophic Sciences of Georgia to Guram Natchkebia, (2018), “Philosophical Investigations”, Collection of the Academy of Philosophic Sciences of Georgia, Tbilisi, Universal, N22, p. 391
2. Professor Guram Natchkebia covered the problems of legal philosophy in the other periodicals and works as well (please, find, Guram Natchkebia, the Problem of Correlation of “Act” and “Action” according to Criminal Law Philosophy / Lawyer, 2017, #3; Guram Natchkebia, About Analogical Signs of Arts and Law / Festschrift dedicated to 70th anniversary of Prof. Givi Intskirveli, Tbilisi, 1996; Guram Natchkebia, Some Methodological Problems of Correlation of Rightness and Wrongness According to Criminal Law, Justice and Law, 2017, #2; Guram Natchkebia, Subject of Criminal Law, Tbilisi, 1997; Guram Natchkebia, Guilt, as a Category of Social Philosophy, Tbilisi, 2011, etc.
3. G.W.F. Hegel, (1962), Science of Logics, Tbilisi, Soviet Georgia, p. 364
4. G.Natchkebia (1999), Hegel about Nature of Crime, “Philosophical Investigations”, Collection of the Academy of Philosophic Sciences of Georgia, Tbilisi, Universal, N3, p. 205
5. G.Natchkebia, (2000), On the Issue of Determination of Category of Responsibility, “Philosophical Investigations”, Collection of the Academy of Philosophic Sciences of Georgia, Tbilisi, Universal, N4, p.131
6. *Ibid.*, p. 134
7. *Ibid.*, p. 139
8. G.Natchkebia, (2001), Guilt as a Philosophic Category, Guilt as a Philosophic Category, “Philosophical Investigations”, Collection of the Academy of Philosophic Sciences of Georgia, Tbilisi, Universal, N5, p.119
9. *Ibid.*, p. 121
10. G. Natchkebia (2007), Deliberate Crime, as World-View Error, “Philosophical Investigations”, Collection of the Academy of Philosophic Sciences of Georgia, Tbilisi, Universal, N11, p. 131
11. G. Natchkebia (2010), Deontic Logics and Legal Space Problem in Criminal Law, “Philosophical Investigations”, Collection of the Academy of Philosophic Sciences of Georgia, Tbilisi, Universal, N14, p. 161
12. *Ibid.*, p. 152
13. *Ibid.*, p.161
14. G.Natchkebia (2011). Crime Concept Categories Fundamentals (Meth-

- odological Problems), "Philosophical Investigations", Collection of the Academy of Philosophic Sciences of Georgia, Tbilisi, Universal, N15, p. 140
15. *Ibid.*, p. 45
 16. G.Natchkebia (2012). Category of Guilt in the Boundary Categories System, "Philosophical Investigations", Collection of the Academy of Philosophic Sciences of Georgia, Tbilisi, Universal, N16, p. 56
 17. *Ibid.*, p. 56-57
 18. *Ibid.*, p. 58
 19. *Ibid.*, p. 57
 20. *Ibid.*, p.63
 21. Please, find on this issue in details, G.Natchkebia (2015). Should a Lawyer Plunge into Philosophy or not? "Philosophical Investigations", Collection of the Academy of Philosophic Sciences of Georgia, Tbilisi, Universal, N19
 22. G. Natchkebia (2012), Category of Guilt in the Boundary Categories System, "Philosophical Investigations", Collection of the Academy of Philosophic Sciences of Georgia, Tbilisi, Universal, N16, p. 59, 72
 23. *Ibid.*, p. 74
 24. G.Natchkebia (2014) The problem of Correlation of Content and Wrongfulness of Act in Criminal Legislation, "Philosophical Investigations", Collection of the Academy of Philosophic Sciences of Georgia, Tbilisi, Universal, N18, p.62
 25. *Ibid.*, p. 69
 26. *Ibid.*, p. 74

აუცილებელი მოგერიების შეზღუდულად განმარტების გამო სასამართლო გადაწყვეტილების კრიტიკა

თამარ გეგელია

სამართლის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის
აფილირებული ასოცირებული პროფესორი

საკვანძო სიტყვები: აუცილებელი მოგერება, პერსონალური
თავდაცვა, მოგერიების საზღვრები

აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია საქმე, სადაც ფაქტობრივი გარემო-
ებების მიხედვით პირი უნდა გამართლებულიყო მკვლელობისთვის,
ნაცვლად ამისა, ის დაისაჯა. აუცილებელი მოგერება ადამიანის
უფლებაა – თავი დაიცვას აგრესორისგან. სტატია „აუცილებელი
მოგერიების საზღვრების შესახებ“ სამოსამართლო განმარტების
კრიტიკული ანალიზია. სტატია ეხება კონკრეტულ საქმესთან დაკა-
ვშირებით ზუგდიდის რაიონული სასამართლოსა და საქართველოს
უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს. სტატიის ავტორის
შეფასებით, ორივე განაჩენი აუცილებელი მოგერიების არსთან შე-
უსაბამოდ ვიწრო ინტერპრეტაციას წარმოადგენს, ამასთან ორივე
ინსტანცია ერთმანეთისგან განსხვავებულ შედეგებამდე მივიდა,
რაც ფაქტების განსხვავებულმა სამართლებრივმა შეფასებებმა გა-
ნაპირობა. სტატიის ავტორი ჩამოთვლის აუცილებელი მოგერიების
გამართლებისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს და აანალიზებს, თუ
როგორ უნდა განიმარტებოდეს ისინი, პარალელურად აკრიტიკებს
მის სამოსამართლო განმარტებებს.

საქმიდან საქმემდე გაკეთებული სამოსამართლო განმარტე-
ბები არ ემსახურება მოგერიების განმსაზღვრელი ნორმის გან-
ჭვრეტადობას, რაც ვნებს სამართლებრივ უსაფრთხოებას. ყველა

ადამიანს აქვს უფლება – დაიცვას თავი აგრესორისგან, გამოიყენოს ეფექტიანი თანაზომიერი საშუალება თავდასაცავად, ისე რომ რისკის ქვეშ არ დააყენოს საკუთარი თავი. ადამიანს უფლება აქვს ზუსტად იცოდეს – რა დროს და როგორი სიმძლავრის ძალის გამოყენება შეუძლია აგრესორის წინააღმდეგ. ქართულ რეალობაში ეს უფლება სისტემატურად ირღვევა და სწორედ ამ პრობლემის წარმოჩენას ემსახურება კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის ანალიზიც. ავტორის აზრით, პრაქტიკა აცდენილია ნორმის არსს და მიზანს, რაც მოგერიების უფლების დისკრედიტაციას უწყობს ხელს, ყოველივე კი მხოლოდ აგრესორს აძლიერებს.

შესავალი

სტატიაში გაანალიზებულია საქმე, სადაც ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით პირი უნდა გამართლებულიყო მკვლელობისთვის, ნაცვლად ამისა, ის დაისაჯა. აუცილებელი მოგერიება ადამიანის უფლებაა – თავი დაიცვას აგრესორისგან. მოგერიების გამართლების საფუძველი ადამიანის უფლებაა სიცოცხლეზე, უფლება – დაიცვას ის აგრესორისგან.¹

მოგერიების უფლებაზე, მის საზღვრებზე მსჯელობა და აკადემიური დისკუსიები მნიშვნელოვანია, რათა სამართალი განვითარდეს ამ მიმართულებით და ნორმის სამოსამართლო ინტერპრეტაციებიც კონტექსტის გათვალისწინებით უფრო მოქნილი და სწორი გახდეს. ქართული სასამართლოს როგორც ძველი, ისე ახალი პრაქტიკის კვლევების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოგერიების უფლების საზღვრები სასამართლოს ვინროდ ესმის, უადგილოდ ფრთხილობენ განმარტებისას, რაც დამაზიანებელია ამ ინსტიტუტისთვის. საქმიდან საქმემდე გაკეთებული სამოსამართლო განმარტებები არ ემსახურება მოგერიების განმსაზღვრელი ნორმის განჭვრეტადობას, რაც ვნებს სამართლებრივ უსაფრთხოებას. ყველა ადამიანს აქვს უფლება – დაიცვას თავი აგრესორისგან, გამოიყენოს ეფექტიანი

თანაზომიერი საშუალება თავდასაცავად, ისე რომ რისკის ქვეშ არ დააყენოს საკუთარი თავი. ადამიანს უფლება აქვს ზუსტად იცოდეს – რა დროს და როგორი სიმძლავრის ძალის გამოყენება შეუძლია აგრესორის წინააღმდეგ. ქართულ რეალობაში ეს უფლება სისტემატურად ირღვევა და სწორედ ამ პრობლემის წარმოჩენას ემსახურება კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის ანალიზიც.

2019 წლის საქმე, რომელიც სამივე ინსტანციის სასამართლომ განიხილა და სამივე ფაქტობრივი გარემოებების განსხვავებულ სამართლებრივ შეფასებამდე მივიდა, კრიტიკას იმსახურებს. ამასთან, ნორმის ამგვარი განმარტება, რაც გადაწყვეტილებებშია, ამ ნორმის სწორად გაგებას და წინასწარ განჭვრეტას არ უწყობს ხელს, რაც სამართლებრივი უსაფრთხოებისთვის საზიანოა. სტატიაში თავდაპირველად პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების კრიტიკულ ანალიზს დაეთმობა ადგილი, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი, რომელმაც გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რითაც გააუქმდა პირველი ინსტანციის განაჩენი, უფრო მოკლედ, თუმცა ასევე კრიტიკულად იქნება გაანალიზებული სტატიის ბოლოს.

საქმე შეეხება შემთხვევას, სადაც დაზარალებული ცდილობდა აგრესორებისგან თავდაცვას, რა დროსაც გამოიყენა დანა. ერთი აგრესორი მსუბუქად დაიჭრა, ბრალდების ამ ნაწილში ბრალდებული პირველმა ინსტანციამ გაამართლა, ხოლო მეორე აგრესორი მოკვდა, ბრალდების ამ ნაწილში ბრალდებული გამტყუნდა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობისთვის. კრიტიკა გადაწყვეტილების სწორედ იმ ნაწილს შეეხება, რითაც პირი გამტყუნდა.² ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა კი პრივილეგირებული მკვლელობა გადააკვალიფიცირეს და დაამძიმეს ჩვეულებრივი მკვლელობის მუხლით.

1 Leverick, F. (2006). Killing in self-defense, Oxford: Oxford University Press, 54-55. ასევე იხ. Hessbruegge J.A. (2017). Human Rights and Personal Self-defense in International Law, Oxford University Press.

2 სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ეს განაჩენი და პირი გამტყუნა როგორც სსკ-ის 120-ე მუხლით ისე სსკ-ის 108-ე მუხლით. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაიზიარა საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც. იხ. N 2კ-756აპ.-19, 17 მარტი 2020.

1. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის ანალიზი

1.1. ფაქტობრივი გარემოებები

კ.ჩ.-მ (ბრალდებული) დანის გამოყენებით დაჭრა და ჯანმრთელობა მსუბუქად დაუზიანა კ.თ.-ს, ხოლო ლ.ს.-ს დანის სხეულზე სხვადასხვა ადგილას სამჯერ დარტყმით სიცოცხლე მოუსპო. მას ბრალი 120-ე და 108-ე მუხლებით წაყენა. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ პირი 120-ე მუხლით ბრალდებაში გაამართლა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 28-ე მუხლზე მითითებით (აუცილებელი მოგერიება), ხოლო 108-ე მუხლი გადააკვალიფიცირა სსკ-ის 113-ე მუხლზე (მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით).

იმ დღეს თავსხმა წვიმა იყო. ღამის 23:00-24:00 საათის პერიოდში მოხდა ჩხუბი. კ.თ. და ლ.ს. აუშარდნენ კ.ჩ.-ს, საქმის გარჩევა მოითხოვეს და ამ მიზნით თხოვეს სამარშრუტო ტაქსიდან გადმოსვლა და გვერდზე გასვლა. საქმის გარჩევის დროს კ.ჩ. უარყოფდა მის მიმართ კ.თ.-სა და ლ.ს.-ს ბრალდებებს, რის გამოც მას დაარტყეს არაერთხელ, მოწმის ჩვენებით მას „უმონყალოდ“ ურტყამდნენ.³ ასევე დადასტურებულია, რომ პირველად აგრესორებმა ლ.ს.-მ და კ.თ.-მ იძალადეს კ.ჩ.-ზე. კ.ჩ. დარტყმის გამო თავს ვერ იკავებდა და ძირს ეცემოდა, შემდეგ დგებოდა და ისევ აგდებდნენ. თავდაცვის მიზნით კ.ჩ.-მ ამოიღო დანა და გააფრთხილა აგრესორები, არ მიკარებოდნენ, თორემ გამოიყენებდა მას მათ წინააღმდეგ. აგრესორები არ ცხრებოდნენ, კ.ჩ.-სკენ მიიწვიდნენ. კ.ჩ. დანას უმისამართოდ იქნევდა, აფრთხილებდა, რომ დაჭრიდა მათ თავდაცვის მიზნით. ამის მიუხედავად აგრესორები უკან არ იხევდნენ და მაინც მოახერხეს ბრალდებულის „შებოჭვა“, რა დროსაც ერთ-ერთი აგრესორი დაიჭრა მსუბუქად. პირველი ეპიზოდი ამით დასრულდა, რადგან უცებ უცხო მანქანამ გაანათა შემთხვევის ადგილი და სამივე პირი მიმოიფანტა. ამის შემდეგ იწყება მეორე ეპიზოდი, რა დროსაც

ბრალდებული უკვე გასულია მოშორებით, ცდილობს ცოლს დაურეკოს, მაგრამ აგრესორები მას არ აძლევენ ამის საშუალებას და ისევ იწყება ცემა და ძალადობა კ.ჩ.-ზე.

გამოძიებით დადგენილია, რომ კ.ჩ. დასისხლიანებული იყო, კანკალებდა და აღებინებდა. ის ვერ უმკლავდებოდა დანის გარეშე მოძალადეებს. აგრესორებმა გააკავეს და ამ ორმოტრიალში როდესაც ბრალდებული დანას იქნევდა. აგრესორები დაიჭრნენ – კ.თ. სახის არეში და ზურგის მხარეს მსუბუქად, ხოლო ლ.ს. – სხეულის ოთხ ადგილას.

სასამართლო დადგენილად მიიჩნევს და თავადვე ამახვილებს ყურადღებას, რომ აგრესორებიდან ერთ-ერთი, კერძოდ ლ.ს., ძიუდოისტი იყო და უფრო ღონიერი, ვიდრე კ.ჩ. გადაწყვეტილების მიხედვით, „[კ.ჩ.-მ] რამდენიმე დარტყმა მიაყენა ლ.ს.-ს სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა დროს სხვადასხვა მდგომარეობიდან, თუმცა ამანაც არ გამოიღო შედეგი და ჩხუბი მის წინააღმდეგ გრძელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულის ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხე ჰქონდა იყო, ბნელდა, წვიმდა, მხევედრობა შეზღუდული იყო, ხოლო მას უჩველად 2 ადამიანი, ეს ადამიანები შეიძლება იყოს იხვედნენ. მათთან, ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია ბრალდებულს ახ გააჩნდა“⁴.

1.2. შენიშვნა

დამკვიდრებული შეხედულებით, აუცილებელი მოგერიების გამართლების აუცილებელი კრიტერიუმებია, რომ სიკეთის დაზიანების საფრთხე უშუალოდ დაზარალებულისგან (აგრესორი) უნდა მომდინარეობდეს, ამასთან, თავდასხმა მართლსაწინააღმდეგო და იმწუთიერი უნდა იყოს. სიკეთეს, რომელსაც აგრესორისგან ზიანი ადგება ან შეიძლება მიადგეს, მნიშვნელოვანი უნდა იყოს. მომგერიების უკუქმედება აუცილებლობით უნდა იყოს გამოწვეული, რაც აგრესორისკენ უნდა იყოს მიმართული, ხოლო შერჩეული ძალა გონივრული და თანაზომიერი. ასევე, აუცილებელია მომგერიების მხრიდან მოგერე-

3 უშუალო თვითმხილველის ჩვენებით, ამ სიტყვით არის აგრესორთა ძალადობა შეფასებული, რომელიც საკასაციო ინსტანციამ არ გაიზიარა.

4 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს N1/411-18 განაჩენი, 11 თებერვალი, 2019, პარ. 4.1.2.

ბის მდგომარეობის სუბიექტური აღქმა და თავდაცვის მიზნით მოქმედება.⁵

ზუგდიდის სასამართლომ აუცილებელი მოგერიება დაადგინა და სრულად გაამართლა პირი სსკ-ის 120-ე მუხლთან მიმართებით (თ.კ-ს მიმართ). მისი განმარტებით „[...] თუ ბრალდებული დანით არ დაიცავდა თავს, შესაძლებელი იყო მიეღო ჯანმრთელობის უფრო მძიმე დაზიანება. დადგენილია, რომ შიშველი ხელებით ბრალდებული ვერ ახერხებდა თავის დაცვას და მას აყენებდნენ ჯანმრთელობის დაზიანებას“.⁶

სასამართლომ ლ.ს-ს მკვლელობასთან დაკავშირებით ბრალი შეამცირა, მაგრამ ქმედება არ გაამართლა, მოგერიების დროს გამოყენებული ძალა არ მიიჩნია თანაზომიერად. აღსანიშნავია, რომ თანაზომიერი მოგერიების კრიტერიუმის გამოკლებით, ბრალდების ამ ნაწილში აუცილებელი მოგერიების ყველა სხვა კრიტერიუმი დადგინდა ზუგდიდის სასამართლოს მიერ.

გადანყვეტილების მიხედვით, მოკლულ აგრესორს (ლ.-ს.) ერთი ფეხზე, ხოლო სამი ქრილობა ტანზე ჰქონდა მიყენებული, ამათგან ორი იყო სერიოზული და უშუალოდ კავშირში მის სიკვდილთან. სასამართლო ქრილობების მიყენების განლაგებას, ტრაექტორიას ისე ახასიათებს, რომ ესეც ბრალდებულის სასარგებლოდ მეტყველებს, თავადვე აღნიშნავს ამას. გამოძიებით არ არის დადგენილი, რა თანიმდევრობით და დროის რა ინტერვალში მოხდა ქრილობების მიყენება აგრესორის სხეულზე. ფაქტია, რომ უფრო მსუბუქმა დაზიანებამ, რაც ბეჭზე და ფეხში აქვს მოკლულს, აგრესორი ვერ შეაჩერა (საპირისპირო არ დაუმტკიცებია ბრალდების მხარეს), დანარჩენი ორი ქრილობა კი სიცოცხლისთვის სახიფათო იყო, თუმცა დაზიანებები ერთდროულად არაა მიყენებული, ისინი სხვადასხვა დროს და პოზიციიდანაა, რაც იმაზე შეიძლება მეტყველებდეს, რომ ერთმა

დარტყმამ ვერ გამოიღო შედეგი, აგრესორი აგრძელებდა ძალადობას და მეორეჯერაც დაარტყა კ.ჩ-მ.

„...ეს ქვიდობები საინგეხესოა იმ კუთხით, რომ ისინი სხვადასხვა მხარეს აჩის მიყენებული. კეხძოდ, ერთი მიყენებულია მაჩვენებ, მეოხე – მაჩვენებ. ეს მიუთითებს, რომ ეს ქვიდობები ერთმანეთის მიმდევრობით ახ აჩის მიყენებული და მათ შორის დროის გარკვეული ინტერვალი იყო. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ ერთი ქრილობა მიყენებულია დანის მჭრელი პირით ქვევით, ხოლო მეორე – პირიქით, მჭრელი პირით ზევით. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ორი დაზიანება სხვადასხვა ვითარებაშია მიყენებული. ამ დაზიანებების მიყენების დროს დანა ბრალდებულს ხელში სხვადასხვა მდგომარეობაში ეჭირა. შესაძლოა ეს დაზიანებები მიყენებული იყოს, ასევე, ბრალდებულისა და დაზარალებულის სხვადასხვა პოზაში ყოფნის დროს. მით უმეტეს, რომ მოჩხუბრები ზოგჯერ ეცემოდნენ. ამასთან, როგორც ჩანს, დაზარალებულები აქცევდნენ ბრალდებულს და ეცემოდნენ თვითონაც. სამწუხაროდ, არც ერთ მოწმეს არ უნახავს უშუალოდ რომელ მომენტში რომელი დაზიანება იქნა მიყენებული, თუმცა დაზიანებების ადგილმდებარეობა და ტრაექტორია, დანის მდგომარეობა ქრილობის მიყენებისას მიუთითებს იმაზე, რომ ისინი სხვადასხვა დროს სხვადასხვა მდგომარეობაშია მიყენებული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ეს დაზიანებები შესაძლოა მიყენებული ყოფილიყო თავდაცვის დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში უფრო მოსალოდნელი იყო ერთდროული რამდენიმე დარტყმის მიყენება ერთ პოზიციაში მყოფი პირის მიერ დანის ერთი და იმავე მიმართულებით და ა.შ., რაც განსახილველ შემთხვევაში არ იკვეთება.“⁷

1.3. შენიშვნა

საქმეში სასამართლოს ეჭვქვეშ არ დაუყენებია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა, მან დადასტურებულად მიიჩნია საფრთხის როგორც იმნუთიერება, ისე მის

5 მოგერიების გამართლების კრიტერიუმები ქართულ სისხლის სამართლის დოქტრინაში. იხ. ტურავა, მ. (2011). დანაშაულის მოძღვრება, სსკ-ის 28-ე მუხლის კომენტარი, თბილისი: მერიდიანი; ჯიშკარიანი, ბ. (2016). დანაშაულის ადამიანის წინააღმდეგ, სსკ-ის 113-ე მუხლის კომენტარი, თბილისი: იურისტების სამყარო.

6 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს N1/411-18 განაჩენი, 11 თებერვალი, 2019, პარ. 4.1.1.1.

7 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს N1/411-18 განაჩენი, 11 თებერვალი, 2019, პარ. 4.1.1.1.

საპასუხოდ მოქმედების აუცილებლობა, ისიც, რომ ძალადობა დაზარალებულებმა დაიწყეს, ასევე დაადგინა გამამართლებელი სუბიექტური კომპონენტიც.

სასამართლომ მხოლოდ მოგერიების ფარგლები მიიჩნია დარღვეულად, მისი განმარტებით, იქ, სადაც კ.ჩ-სთვის მიყენებული დაზიანებები მსუბუქი ხარისხის იყო (ექსპერტის დასკვნის მიხედვით), ლ.ს-სთვის ამის საპასუხოდ მკვლელობა აშკარად შეუსაბამოა თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან. სასამართლო იქვე განმარტავს, რომ დაზიანებები, რაც ბრალდებულმა მიაყენა აგრესორს, არ იყო თავდასხმისა და იმ საფრთხის პროპორციული, რაც შეიქმნა შემთხვევის ადგილზე.

სასამართლოს განმარტებით, „ბრალდებულს, რომელსაც დანა ეჭირა ხელში, შეეძლო ლ---ა ს---ს მიყენებინა დაზიანებები, რომლებიც არ იქნებოდა სიცოცხლისათვის სახიფათო, იქნებოდა მტკივნეული, გამოიწვევდა ნაკლებ ზიანს ან შეუზღუდავდა თავდამსხმელს კიდურების მოძრაობას და ამით გაენიტრალეზინა თავდამსხმელი. ასეთ ვითარებაში ლ---ა ს---ი გაცილებით ადრე იგრძნობდა, რომ ის დაჭრილია და უფრო ადრე შეჩერდებოდა, უფრო ადრე მოხდებოდა სასწრაფო დახმარების გამოძახება და შესაძლებელი იყო არ დამდგარიყო სასიკვდილო შედეგი“⁸

იქვე სასამართლო აღნიშნავს რომ „... ბხადებულის სიცოცხლეს, ჰოგოხც იჩკვევა, დიდი ადბათობით საფხთხე ახ ემუქხებოდა, ვინაიდან თავდამსხმელებს ახ ჰქონდათ თან ჰაიმე საგანი, ჰითაც სიცოცხლეს მოუსპობდნენ ბხადებულს. ისინი უკმაყოფილებას გამოხატავდნენ ბხადებულის საქციელის გამო და სუხდათ საკუთაჰი უაჰყოფითი დამოკიდებულების ფიზიკური ძაღადობით გამოხატვა, ჰაც შეიძებოდა დასხუდებურიყო ბხადებულის ჰანმხთებობის მძიმე დაზიანებით, თუმცა იმ ეტაპზე საქმე აქამდე მისუდი ჰეჰ ახ იყო. შეუძლებელია წინასწარ იმის განჭვხეგა, თუ ჰოდის გაჩეხებოდნენ თავდამსხმელები – დასჭეხებოდნენ ჰანმხთებობის მსუბუქ დაზიანებას, მიაყენებდნენ მძიმე დაზიანებას, თუ მოისურვებდნენ მის ცემით მოკვლას, თუმცა იმ ეტაპზე, როცა ყველა

ფეხზე იდგა და სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება ჰერ არავის ჰქონდა მიღებული, ბრალდებულის სიკვდილის საშიშროება ჰერ არ არსებობდა. შესაბამისად, ბრალდებული ვერ იმოქმედებდა საკუთარი სიცოცხლის დაცვის სურვილით, რადგან სიცოცხლეს იმ დროს ჰერ საფრთხე არ ემუქრებოდა. მას შეეძლო ეფიქრა მხოლოდ ჰანმრთებლობის დაცვაზე, რომელსაც რეალური საფრთხე ემუქრებოდა. ჰანმრთებლობის დაცვის მიზნით კი ისეთი დარტყმების მიყენება, რომელსაც შეიძლებოდა სიკვდილი გამოეწვია, უნდა შეფასდეს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად“.

1.4. შენიშვნა

სასამართლომ გაუმართლებლად დაავინროვა მოგერიების უფლების ფარგლები, რაც ისეთ უსამართლო შედეგს იწვევს, როგორცაა გამართლების ნაცვლად პირის მსჯავრდება. ფაქტები, რომლებიც გადაწყვეტილებაშია მოყვანილი იმაზე მიუთითებს, რომ ბრალდებული ცდილობდა გაცლოდა აგრესორებს, ის ცდილობდა სიტუაციისგან თავის დაღწევას და ნაცვლად ამისა, მის მიმართ ძალადობდნენ. ბრალდებულმა დანის გამაფრთხილებელი დემონსტრირებით სცადა აგრესორების დაშოშმინება და გაფრთხილება, მაგრამ უშედეგოდ, ასევე იყო ეპიზოდი, როდესაც ბრალდებულს მიეცა საშუალება, გაცლოდა შემთხვევის ადგილს და ესეც გამოიყენა, გავიდა მოშორებით და ტელეფონით სცადა ცოლთან დაკავშირება. არც ეს აცადეს. ჩხუბი განახლდა და ბრალდებული უმისამართოდ იქნევდა დანას, რომ თავი დაეცვა, ის შეტევაზეც არ გადასულა, ეს უპირატესობა ფაქტებიდან არსად ჩანს. ფიზიკურად დაუძლურებული, პირლებინებით და კანკალით აგრძელებდა თავდაცვას, ასეთ ფიზიკურ მდგომარეობაში აგრესორები არ ყოფილან, ფიზიკური უპირატესობა აშკარად მათ ჰქონდათ. ბრალდებული სულ თავდაცვის პოზიციაში იყო, ამაში ეჭვი არც სასამართლოს შეუტანია. აგრესორები და ბრალდებული ძირს ეცემოდნენ, შემდეგ დგებოდნენ და ისევ ეცემოდნენ, ცემა-ტყეპა არ ჩერდებოდა.

8 იქვე. პარ. 4.1.2.

გახურებული ემოციების დროს ძალადობას მზარდი დინამიკა ახასიათებს, მით უმეტეს, რომ აგრესორებიდან ერთ-ერთი ნასვამი იყო. სასამართლომ ხაზი გაუსვა ბრალდებულის მცდელობას – დაესუსტებინა აგრესორი (მან ლ.ს ჯერ ფეხში დაჭრა), ასევე, ხაზი გაუსვა სხვა ქრილობების დროში ინტერვალით მიყენებას სხვადასხვა პოზიციიდან. მიუხედავად ამ მცდელობებისა, აგრესორები არ ჩერდებოდნენ. მხოლოდ ცემა და დამცირება რომ ნდომოდათ, რატომ არ გაჩერდებოდნენ იქამდე? ცემეს კაცი, გამეტებით ურტყამდნენ, პირღებინებამდე და ისეთ ფიზიკურ კონდიციამდე მიიყვანეს, რომ კანკალებდა ბრალდებული და მაინც არ იყო ეს საკმარისი რომ მას თავი უფრო ეფექტური საშუალებით დაეცვა აგრესორებისგან? სასამართლო თავადვე აღნიშნავს, რომ რეალური იყო აგრესორთა ქმედებას მოჰყოლოდა ჯანმრთელობის დაზიანება, ასევე, იმასაც, რომ დანის გამოყენება უფრო მძიმე დაზიანების თავიდან აცილებას ემსახურებოდა.⁹ ეს არგუმენტი სასამართლომ სსკ-ის 120-ე მუხლით ბრალდების ნაწილში აუცილებელი მოგერიებით გამართლებისთვის გამოიყენა. გაუგებარია, იგივე არგუმენტი რატომ არ იყო საკმარისი მეორე აგრესორთან მიმართებით. კანონი მსგავს სიტუაციებში აგრესორებისდმი მორჩილებს არ ითხოვს ჩვენგან. ამ საქმეში სავსებით შესაძლებელი იყო, რომ აგრესორთა ქმედებას სიკვდილი მოჰყოლოდა, თუმცა სასამართლომ ასეთი ალბათობა არ დაუშვია. „შეუძლებელია წინასწარ იმის განჭვრეტა, თუ როდის გაჩერდებოდნენ თავდამსხმელები – დასჯერდებოდნენ ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებას, მიაყენებდნენ მძიმე დაზიანებას თუ მოისურვებდნენ ცემით მოკვლას ...“ ფაქტები ხომ იმაზე მიუთითებდა, რომ არ ჩერდებოდნენ ე.ი. არ იყო მთთვის საკმარისი უკვე მიღწეული და მეტს ცდილობდნენ. ბრალდებულის მხოლოდ თავდაცვით მოტივირებულ უმისამართოდ გაშვებულ დანას, რომლის გამოყენებასაც გაფრთხილება უძლოდა წინ, აგრესორების დაზიანება მოჰყვა. სასამართლომ ეს არ მიიჩნია პროპორციულ ძალად და ექსპერტის დასკვნის ფორმალურ შეფა-

სებას დაემყარა, რომ ბრალდებულის მიერ მიღებული დაზიანებები მსუბუქი ხარისხის იყო. ეს არ წარმოადგენს აუცილებელი მოგერიების საზღვრების სწორ ინტერპრეტაციას. ასეთი ვიწრო ფორმალისტური განმარტებები საბოლოოდ თავდაცვის უფლებას სპობს.¹⁰ ბრალდებული უფრო მძიმე დაზიანების მიღებისგან იცავდა თავს, მაგრამ ფაქტია, რომ აგრესორები არ ცხრებოდნენ. აგრესია კიდე ისეთი მზარდია და დინამიური წამის მეასედში შეიძლება გადაიზარდოს უფრო უხეშ და მძიმე შედეგში.

სასამართლოს შეფასება მშვიდი და მყუდრო ატმოსფეროშია გაკეთებული, ავინყდება, რომ შემთხვევა ექსტრემალურ სიტუაციაში მოხდა. მსგავსი დასკვნების გაკეთება და იმის არ გათვლისწინება შეფასებისას, რომ ბრალდებულს ორი კაცი სცემდა გამეტებით, გაუჩერებლად, აქედან ერთი ძიუდოისტი იყო, გარდა ამისა, ბრალდებული „კანკალებდა“ და „აღებინებდა“ ცემის შედეგად, ის ცუდად იყო, არ იყო ჯანმრთელი, არასწორია. ამასთან წვიმდა და, დიდი ალბათობით, წვიმაც ამძიმებდა მის მოძრაობებს, ასევე, ხილვადობა იყო ცუდი და სიტუაციას მომგერიებლისთვის ესეც ამძიმებდა. არსებულ დაძაბულ და ზეაგრესიულ სიტუაციაში, მხოლოდ გაფრთხილების შემდეგ, თავდაცვის პოზიციიდან, აგრესორს ხვდება დანა და კვდება. რატომ ვამტყუნებთ ბრალდებულს? სასამართლო აღნიშნავს, რომ მას შეეძლო ისეთ ადგილას დაეზიანებია აგრესორი, მხოლოდ ტკვილი მიეყენებია მისთვის და დაეუძღურებინა. თავად სასამართლო ბრალდებულის სასარგებლოდ აღნიშნავს, რომ ფეხშიც აქვს ქრილობა მიყენებული ლ.ს-ს. ეს არ მიუთითებს იმაზე, რომ ბრალდებულმა სცადა უფრო ნაკლები საშუალება გამოეყენებინა და დაინდო მოძალადე? ბრალდებულს არც ერთ ეპიზოდში არ გამოუმჟღავნებია სხვისი სიცოცხლის მიმართ გულგრილობა, პირიქით, სულ ცდილობდა აგრესორების გაფრთხილებას და სხვის დაუ-

9 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს N1/411-18 განაჩენი, 11 თებერვალი, 2019, პარ. 4.1.1.1.

10 აუცილებელი მოგერიების არასწორი სამოსამართლო ინტერპრეტაციის კრიტიკული ანალიზისთვის იხ. გამყრელიძე, ო. (2002). სსკ-ის 113-ე მუხლის კომენტარი. წიგნში: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 74.

ზიანებლად თავდაცვას. აგრესორი არ ცხრებოდა და ამიტომაც და მხოლოდ მას შემდეგ, როცა მეორე სერიოზული ქრილობის მიყენების შემდეგ აგრესორი მოკვდა, დასრულდა ბრალდებულის ტანჯვაც. საგულისხმოა, რომ სიბნელე იყო, ამასთან, ჩხუბის დროს, ნაცემი ადამიანი, რომელსაც არავინ ეხმარება, ნაკლებად თუ მოახერხებს გონივრულად მოქმედებას და ის მოსამართლისა და ნაფიცების მსგავსად ვერ დაიწყებს სიტუაციის მშვიდად განსჯას, მას უფლება აქვს არსებული სიტუაციით და იმ შიშებით იხელმძღვანელოს, რისი საფუძველიც ობიექტურად აგრესორებმა შექმნეს. საგულისხმოა, რომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, სიტუაციის განსჯა ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმების ერთობლიობით ხდება, შესაძლებელია პოსტ ფაქტუმ დადგინეს, რომ მომგერიებელის წარმოდგენა მოვლენების უფრო მძიმედ განვითარების შესახებ არ გამართლდა, მაგრამ ალბათობა და დაშვება რომ მომხდარიყო თუ სერიოზულია იმ ფაქტებზე დაკვირვებით რაც იქვე ხდება, არ გამორიცხავს ქმედების გამართლებას. მთავარია, რომ თავდასხმა რეალურია და მართლსაწინააღმდეგო, ხოლო ძალადობის დინამიკის აბსოლუტური სიზუსტით განჭვრეტა შეუძლებელია, სამართალი ამას ვერ მოსთხოვს პირს.

ასე მოხდა 2001 წლის საქმეში, სადაც მომგერიებელმა აგრესორს გამოგლიჯა ხელიდან იარაღი და შემდეგ ესროლა და მოკლა,¹¹ რადგან მომგერიებელი ვარაუდობდა, რომ აგრესორს მეორეც ექნებოდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ მას სხვა იარაღი არ ჰქონდა. სასამართლომ ეს ფაქტი მოგერიების ფარგლების გადაცილებად არ მიიჩნია, მისი განმარტებით ბრალდებულის მხრიდან იმის დაშვება, რომ აგრესორს შესაძლოა სხვა იარაღიც ჰქონოდა, საფუძვლიანი იყო და ხაზი გაუსვა აგრესორების კრიმინალურ ავტორიტეტს, რის შესახებ ბრალდებულმაც იცოდა და ეს რწმენას უმტკიცებდა მათ შეიარაღებაზე. ასევე, სასამართლომ დაუშვა, რომ იმ პირობებში აგრესორებს იარაღის გარეშე შეეძლოთ თავდასხმის გაგრძელება, ამიტომ დრო არ

მუშაობდა ბრალდებულის სასარგებლოდ და მანაც იმოქმედა. მითითებულ ძველ საქმეში საგულისხმობა, რომ აგრესორმა მოსწრო ბრალდებულის დაჭრა იარაღით, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება მიაცენა. ამის შემდეგ ბრალდებულმა აგრესორს ხელიდან იარაღი გამოსტაცა და საპასუხოდ დაახალა. ბრალდებულს სულაც რომ მსუბუქი დაზიანება მიეღო ან საერთოდ არ მოხვედროდა ტყვია, ეს ფაქტი რამეს შეცვლიდა? აქ მთავარია, რა ტენდენციის მატარებელია თავდასხმა.

ჩვენს საქმეშიც მსუბუქი დაზიანება დადგინდა, მაგრამ აგრესია მზარდი იყო და არ ჩერდებოდა, მსუბუქიც იმიტომ იყო, რომ ბრალდებული წინააღმდეგობას წევდა. სანამდე შეძლებდა იგი საკუთარი თავის მეტ-ნაკლებად დაცვას? ამასთან წვიმდა, ბნელოდა, მომგერიებელი ცუდად გრძნობდა თავს და რაც დრო გადიოდა, მით უფრო უძლურდებოდა. იმ პირობებში, როცა ბრალდებულმა ამდენი ხანი ვერ მოიცილა თავიდან აგრესორები, გაფრთხილების მიუხედავად მისკენ მოიწვედნენ, ძირს აგდებდნენ, დანის წართმევას ცდილობდნენ და ისინი მცირე დაზიანებებმა არ შეაჩერა, არ იყო საფუძვლიანი ბრალდებულის შიში იმის თაობაზე, რომ მას დანასაც წართმევდნენ და შემდეგ მის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ? სასამართლოს მხრიდან იმაზე ხაზგასმა, რომ აგრესორებს იარაღი არ ჰქონდათ, ეს ვერ იქნება თავისთავადი უტყუარი მტკიცებულება, რომ მძიმე დაზიანებას არ აპირებდნენ. მათი განგრძობდი ძალადობა საპირისპიროზე მიუთითებს. ხელით არ კლავენ ადამიანებს? ან არ აზიანებენ მძიმედ? მოსალოდნელი მძიმე დაზიანების თავიდან ასაცილებლად აგრესორის მკვლელობაც უნდა გამართლდეს.

აღსანიშნავია, რომ ქართული სისხლის სამართალი გერმანული დოქტრინის გავლენას განიცდის. მომგერიებელი როდესაც შეცდომას უშვებს თავდასხმის არსებობაში, რომელიც რეალურად არ არსებობს, ეს შემთხვევა სსკ-ის 28-ე მუხლის მიღმა რჩება და მას „მოჩვენებით მოგერიება“ ეწოდება, გამართლების ნაცვლად პირს პატიობენ აკრძალვაში შეცდომის ანალოგიურად (სს-

11 საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება 23-86კოლ.-02, 10 დეკემბერი 2001.

კ-ის 36 მუხლი).¹² საკითხი ასე რეგულირდება გერმანული მიდგომითაც. რა ხდება მაშინ, როდესაც პირი ცდება არა მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის რეალურობაში, არამედ მხოლოდ მის იმნუთიერებაში ან ინტენსივობაში და, შესაბამისად, ძალის გამოყენების საკითხებში, ამაზე სპეციალური მსჯელობა ქართულ აკადემიურ ტექსტებში თითქმის არ არის, თუმცა ფრაგმენტული შეფასებები გერმანულის ანალოგიურია.¹³

გერმანული სისხლის სამართლის დოქტრინის მიხედვით ეს საკითხი შეცდომის ნორმით რეგულირდება,¹⁴ ან თუ შიშის და დაბნეულობის გამო გადააჭარბა მომგერიებელმა ძალას, გერმანიის სსკ-ის 33-ე პარაგრაფით, ის ბრალისგან თავისუფლდება.¹⁵ ქართული კანონმდებლობით, უკანასკნელ შემთხვევაში, პირი მსუბუქად, მაგრამ მაინც იკიცხება სსკ-ის 113-ე მუხლით. თუმცა აქ საუბარი თავდაცვითი ძალის აშკარა შეუსაბამობაზე აგრესორის თავდასხმის ხასიათსა და ინტენსივობასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ აკადემიურ ტექსტებში შემთხვევა, რა დროსაც მომგერიებელი იგერიებს ყაჩაღს, რომელიც სათამაშო იარაღით იმუქრება, რაც დაზარალებულების მხრიდან ნამდვილ იარაღად აღიქმება, მის საპასუხოდ აგრესორის მოკვლა ან იარაღით დაპირისპირება, მოგერიებითაა გამართლებული. მოჩვენებით მოგერიებას აქ იმ არგუმენტით გამოორიციხავენ, რომ თავდასხმა რეალურად მოხდა, მომგერიებლის ფანტაზიის ნაყოფი არ ყოფილა, ხოლო იარაღის ნამდვილობაში შეცდომას და მის საპასუხოდ ნამდვილი იარაღისა და ინტენსიური ძალის გამოყენება (მაშინ როცა აგრესორს მოკვლა ან დაზიანება იარაღით დამუქრების მიუხედავად არ შეეძლო) გამამართლებელ მოგერიებადაა შეფასებული, რადგან განმარტების მიხედვით, „ნებაზე“ თავდასხმა მოხდა და ეს საკმარისია მოგერიების გამართლებისთვის.¹⁶

ამდენად, აშკარაა, რომ ძალის თანაფარდობასთან მიმართებით მცდარი წარმოდგენები მოგერიების ფარგლებშიც შეიძლება მოექცეს და შეფასების საზომი ობიექტურ-სუბიექტურია, რაც საქართველოს უზენესი სასამართლოს მიერაც არის მხარდაჭერილი 2001 წლის საქმით. ამ საკითხის რეზიუმირებისთვის უნდა ითქვას, რომ მოგერიების დროს დასაშვებია მოვლენათა განვითარებაზე მცირედი უზუსტობები და შეცდომები, რაც ავტომატურად არ გამოდევნის პირის ქმედებას გამართლების სფეროდან და არ გადაისვრის მას ბრალის სფეროში. ექსტრემალურ სიტუციაში მოქმედი პირისგან უზუსტობები გარდაუვალაა. თავდასხმიდან მომდინარე საფრთხისა და მის დასაძლევად მოსაყენებელი ძალის შესაფასებლად, აუცილებელი მოგერიება მხოლოდ წმინდა ობიექტურ კრიტერიუმებს ვერ დაემყარება, როგორც ნებისმიერი სხვა ინსტიტუტი სამართალში, მოგერიების დასადგენადაც მისაღებია ობიექტური დამკვირვებლის/რაციონალურობის ტესტის გამოყენება, რაც ობიექტურ-სუბიექტურია თავისი ბუნებით.

წინამდებარე სტატიაში განხილულ მთავარ საქმეში პირს შეცდომა არ დაუშვია ფაქტების შეფასებებში. მას შეეძლო ევარაუდა აგრესორების ძალადობა რამდენად შორს შეიძლებოდა წასულიყო, სერიოზული დაზიანებების და სიკვდილისაც შეშინებოდა და ეს დაშვება ფაქტებს ემყარებოდა, ასეთი განსჯა მოვლენებისა გონივრულია და ქმედება იმსახურებს გამართლებას.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს არ შეუფასებია მოგერიების ფარგლების შეფასებითი კრიტერიუმი. სსკ-ის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად „აუცილებელი მოგეჩიების ფაჩგების გადაცილება ნიშნავს მომგეჩიების მიეჩ თავდაცვის აშკაჩა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშიობასთან.“ თავდაცვითი ძალის აბსოლუტური პროპორციულობის გაზომვა შეუძლებელია მითუმეტეს ექსტრემალურ სიტუციაში, რაშიც მომგერიებელი იმყოფება,¹⁷ ამიტომაცაა

12 ტურავა, მ. (2011). დანაშაულის მოძღვრება, თბილისი: მერიდიანი, 536-543.
 13 იქვე. 358-359.
 14 Dubber, M., Hörnle, T. (2014). A Comparative Approach, Oxford University Press, 416.
 15 იქვე. 417.
 16 ტურავა, მ. (2011). დანაშაულის მოძღვრება, თბილისი: მერიდიანი, 351.

17 თავდაცვითი ძალის პროპორციულობის შესახებ ინგლისის სასამართლო პრაქტიკის ანალიზისთვის იხ. Herring, J. (2020). Criminal Law, Oxford University Press, 651.

კანონში დათქმა, რომ ძალების თანაფარდობა „აშკარად შეუსაბამო“ უნდა იყოს, იმდენად რომ ძალის გამოყენება არაგონივრულია რაციონალური გარე დამკვირვებლის პერსპექტივიდანაც კონტექსტის აუცილებელი გათვალისწინებით. აგრესიული ჯგუფური ძალადობის მოსაგერიებლად დანის გამოყენება, გაფართოების შემდეგ, რაც ერთ-ერთი აგრესორის სიკვდილს იწვევს, აშკარად შეუსაბამო არაა. ამასთან ჭიდაობის და განვ-გამონვევის პირობებში, სიმჭიდროვეში ბრალდებულს არჩევანიც არ ჰქონდა დანის მოქმედების ტრაექტორია განესაზღვრა. აგრესორის სიკვდილზე ერთადერთი პასუხისმგებელი თავად მოძალადე აგრესორია, მან ჩაიგდო თავი ასეთ მდგომარეობაში. სასამართლოს პირი უნდა გაემართლებინა მკვლელობის ბრალდებაშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ი მოგერიების გამართლების კრიტერიუმად არ ადგენს დაზიანებული სიკეთის ნაკლები მნიშვნელობის აუცილებლობას გადარჩენილთან შედარებით (მაგ. როგორც ეს უკიდურესი აუცილებლობის დროს არის). მთავარია, გადარჩენილი სიკეთე უმნიშვნელო არ იყოს. ასეთ დროს მოგერიება საერთოდ გამოირიცხება.¹⁸ ჯანმრთელობა უმნიშვნელო სიკეთე არაა და იმ ვითარებაში, სადაც უფრო დიდი დაზიანებების მიღება იყო რეალურად მოსალოდნელი, სხვა უფრო მსუბუქი საშუალებით კი ვერ იცავდა თავს, მოძალადის მოკვლა ვერ ჩაითვლება მოგერიების ფარგლების გადაცილებად.

2. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

რაც შეეხება ამ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაიზიარა, პირი ორივე ბრალდებაში გაამტყუნა, როგორც სსკ-ის 120-ე, ისე 108-ე მუხლისთვის (პროკურატურას ბრალი ამ მუხლებით ჰქონდა წაყენებული). ეს

გადაწყვეტილება, გარდა იმისა, რომ აუცილებელი მოგერიების განმსაზღვრელი ნორმის არასწორი განმარტებაა, დაუსაბუთებელიც გახლავთ.

ის, რაც ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ უტყუარად დადგინილად მიიჩნია – მოგერიების მდგომარეობა, ზედა ინსტანციებმა იგივე ფაქტების ახლებური ინტერპრეტაციით, ის უარყვეს. უზენაესი სასამართლოს თქმით, იქ, სადაც მსჯავრდებულმა მხოლოდ მსუბუქი დაზიანებები მიიღო და მოწმეების (ეს მოწმეები ჩხუბის ყველა ეპიზოდს არ შესწრებიან) ჩვენებით კი არ არსებობდა უთანასწორო ბრძოლა, დანის გამოყენება და მკვლელობა, ჩვეულებრივი მკვლელობაა და არა პრივილეგირებული მკვლელობა (სსკ-ის 113 მუხლი). საინტერესოა ასევე, რომ უზენაესმა სასამართლომ უშუალო თვითმხილველის ჩვენება არ მიიღო მხედველობაში „უმონყალოდ“ ცემასთან დაკავშირებით და განაჩენი ჩხუბის ერთ ეპიზოდს შემოსწრებულ მოწმეთა ჩვენებას დაამყარა. სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო უამრავი სხვა ფაქტი, რასაც ზუგდიდის სასამართლოს გადაწყვეტილება დაემყარა, რითაც შემთხვევა „მოგერიებად“ შეფასდა. ფაქტი, რომ ძალადობა ბრალდებულის მიმართ დაიწყო ორმა პირმა, რომ ისინი ძალადობას აგრძელებდნენ, ის, რომ ბრალდებული გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენეს და ა.შ. უზენაესი სასამართლოს გამამატყუნებელი განაჩენი დაემყარა ფაქტს, რომ ბრალდებულს დაზარალებულებმა მხოლოდ მსუბუქი დაზიანება მიაყენეს, რისგან თავდასაცავად გამოყენებული ძალა კი არაგონივრულად შეფასდა. ასეთი მიდგომა ძალას უკარგავს მოგერიების უფლებას. დაუსაბუთებელია სასამართლოს განაჩენი, მითუმეტეს რომ იმავე საქმეში პირს ბრალი სსკ-ის 120-ე მუხლითაც დაედო კ.თ.-ს მიმართ ჩადენილი ქმედების გამო. აქ უზენაესი სასამართლო მიუთითებს ზურგის მხრიდან ჭრილობაზე, რაც თითქოს გამორიცხავს აუცილებელ მოგერიებას. „კ.თ.-ს ქუთუკის უკანა ზედაპირზე დანით მიყენებულ დაზიანებებზე, ხაც ცადსახად გამოიხიციავს კ. ჩ.ს მიეხ თავდასხმის მოგეხიებასა და, შესაბამისად, უკიდურესი თავდაცვის მდგომარეობაში ყოფნას.“ სასამართლოს ავინყდება კო-

18 ხერხეულიძე, ი. (2016). აუცილებელი მოგერიების ფარგლები ქართული და ანგლოამერიკული კანონმდებლობის მიხედვით, ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალი(DGStZ), #1, 17.

ნტექსტის ანალიზი, უამინდობა, დაძაბული ბრძოლა ნუთების განმავლობაში, აგრესორების რაოდენობა, ის, რომ ისინი არ ცხრებოდნენ და მომგერიებელი უმისამართოდ იქნევა და დანას, რომ არ მიკარებოდნენ. ჩხუბის დროს ინერციით შეიძლება აგრესორმა პოზიციაც იცვალოს და შეტრიალდეს კიდეც, რაც არ ნიშნავს იმას, რომ აგრესიას შეეშვა ის, ხოლო მომგერიებლის ძალადობა კი შურისძიება იყო მასზე. საქმეში არ არსებობს ამის მტკიცებულება.

ჭიდაობა დინამიურია, აგრესორიც და მომგერიებელიც ხან ინარჩუნებდნენ წონასწორობას ხანაც ვერ, ძირს ეცემოდნენ და ამ ორმეტრიალში მოქმედებდა მომგერიებელიც. ამ ყველაფრის მხედველობის გარეშე დატოვება დიდი შეცდომაა ფაქტის ნორმასთან შესაბამისობის დადგენისას.

ეს შეფასება თავად უზენაესი სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებასთანაც მოდის წინააღმდეგობაში, სადაც ქალმა პარტნიორი კაცი, რომელიც მასზე ძალადობდა მძიმედ დაჭრა. ქალი გამართლდა, მიუხედავად იმისა, რომ აგრესორს წრილობა ტანის უკანა ნაწილში ჰქონდა მიყენებული.¹⁹ სასამართლოს განმარტებით, ის, რომ აგრესორმა ინერციით ზურგი შეაქცია მომგერიებელს, a priori არ ნიშნავდა იმას, რომ აგრესია დასრულებული იყო (პროკურორი სწორედ ამას ამტკიცებდა).²⁰ აგრესორმა მომგერიებელს ზურგი აქცია, რადგან მას ჭიდაობის დროს ხელი ჰკრეს და ისიც ინერციით შებრუნდა, რადროსაც დაარტყეს დანა, რათა უფრო ძლიერი აგრესია აერიდებინათ თავიდან.

რატომ ხდება ისე, რომ ერთი და იგივე ფაქტობრივ გარემოებას იურიდიული განათლების მქონე პირები, ამასთან, მოსამართლეები, ურთიერთგამომრიცხავ შეფასებებს აძლევენ? ერთი და იგივე ფაქტის ასე რადიკალურად განსხვავებული სამართლებრივი შეფასებები საშიშია და როგორი უმწეოა ბრალდებული ასეთ დროს სისტემის წინაშე. ერთმა ინსტანციამ ერთი თქვა, ორმა – ამის

საწინააღმდეგო, წინამდებარე სტატიას თუ წაიკითხავს მომგერიებელი, აქ კიდეც ახლებურ ვერსიას წაიკითხავს. გამოდის, გააჩნია კანონს ვინ კითხულობს?

კიდეც ერთ საკითხზეა მნიშვნელოვანი ყურადღების გამახვილება: არასწორია, როდესაც სასამართლოები აგრესორების ქმედების საშიშროებას მხოლოდ სხეულზე დარჩენილი დაზიანების ხარისხით აფასებენ.²¹ აუცილებელი მოგერიების თანაზომიერების დასადგენად მნიშვნელოვანია ის, თუ სადა ადგება მომგერიებელს ზიანი, ძალადობა რა რისკის მატარებელია სიცოცხლისთვის/ჯანმრთელობისთვის.²² მაგალითად, ხშირად მოხრჩობა უმნიშვნელო ნაკანრებს ტოვებს ყელის მიდამოებში, მისი შეფასებაც (გარეგნულად დატოვებული კვალის, სისხლნაჟღენთების მიხედვით) ძალადობად ან ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებად არასწორია. ყელში ხელის ნაჭერა სიცოცხლისთვის ქმნის საფრთხეს. ასევე, მნიშვნელოვანია ძალადობის ინტენსივობის დადგენაც; აგრესორთა რაოდენობა; ის, თუ მომგერიებელი როგორ წინააღმდეგობას სწევს და რა შანსი ჰქონდა გაეძლო აგრესიისთვის უფრო მსუბუქი საშუალების გამოყენების შემთხვევაში.

ისე ჩანს, ამ და მსგავსი საქმეების წაკითხვის დროს, რომ გუდაურის გახმაურებულ საქმეზე სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანდა.²³ გუდაურის საქმეში, ბრალდებული მეორე ეპიზოდში ცეცხლსასროლი იარაღით იყო, ხოლო აგრესორები შიშველი ხელებით, 12-მა ნაფიცმა მსაჯულმა ერთხმად გაამართლა ბრალდებული მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობისთვის.²⁴ იურიდიული განათლების არმქონე პირები უფრო

19 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 23-877აპ.-20 განაჩენი, 29 მარტი 2021.
 20 თბილისის საქალაქო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი, 12 მარტი 2020. გვ. 12. განაჩენი მიღებული განცხადების პასუხად N1-0163/11344.

21 სასამართლო პრაქტიკის კრიტიკული ანალიზისთვის იხ. ბ. ჯიშკარიანი (2016). სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, 73.
 22 Dressler, J. (2015). Understanding Criminal Law, ebook, 199.
 23 საქმის დეტალები იხ. ვერდიქტის მოლოდინში <<https://fb.watch/9I4PXaoteT/>> [ბოლო წვდომა: 13 აგვისტო, 2022].
 24 რადიო თავისუფლება, ახალი ამბები: გუდაურში განზრახ მკვლელობის საქმეზე დაკავებული მერაბ კობიაშვილი სასამართლომ გაამართლა. <<https://www.radiotavisupleba.ge/a/31613693.html>> [ბოლო წვდომა: 13 აგვისტო, 2022].

Tamar Gegelia

სწორად აფასებენ ექსტრემალურ სიტუაციაში მოქმედი პირის ძალის პროპორციულობას, მისი გამოყენების გონივრულობას სიტუაციის გათვალისწინებით. ისე გამოდის, თითქოს ნორმატიული ცოდნა საქმისთვის დამაზიანებლად ფრთხილს ხდის ადამიანს.

დასკვნა

სტატიაში განხილულ 2019 წლის საქმეში პირი უნდა გამართლებულიყო ორივე ბრალდებაში, ის თავდაცვით პოზიციაში იყო და

იგერიებდა ჯგუფურ ძალადობრივ ქმედებას თანაზომიერი თავდაცვითი და ადეკვატურად მზარდი ძალით. მან მძიმე საშუალება მხოლოდ მას შემდეგ გამოიყენა, როცა უფრო მსუბუქმა ალტერნატიულმა საშუალებამ (დაზიანებამადაც დანის გამოყენების თაობაზე გაფრთხილება) შედეგი ვერ გამოიღო, მის მიმართ აგრესია გრძელდებოდა, ძალა კი სულ უფრო აღარ ჰყოფნიდა ორი კაცის მოსაგერიებლად. აუცილებელი მოგერიების დაცვა ყველას ინტერესშია, სტატიაში მოყვანილი გადაწყვეტილებები კი მხოლოდ მოძალადეებს აძლიერებს უსამართლოდ.

CRITICISM OF THE JUDICIAL DECISION DUE TO THE LIMITED DEFINITION OF SELF-DEFENSE

Tamar Gegelia

Juris Doctor, Affiliate Associate Professor at the Caucasus University

KEYWORDS: Self-defense, Personal Defence, Boundaries of Self-Defense

ABSTRACT

The article analyzes the case where, according to the factual circumstances, the person should have been acquitted of murder, but instead he was punished. self-defense is the human right to defend oneself from an aggressor. The basis of self-defense justification is the human right to life, the right to protect it from an aggressor.

The article is a critical analysis of the judicial interpretation of the limits of self-defense. The article refers to the decisions of the Zugdidi District Court and the Supreme Court of Georgia regarding a specific case. According to the author's perception, both judgments present a narrow interpretation inconsistent with the essence of self-defense, and both instances came to different results due to different legal assessments of

the facts. The author of the article lists the necessary criteria for the justification of self-defense and analyzes how it should be interpreted, simultaneously criticizing its judicial interpretations.

Judicial definitions, made case by case, do not serve to foresee the defining norm of self-defense, which undermines legal security. Every person has the right to defend himself against an aggressor, to use effective and proportionate means of self-defense, so as not to put himself at risk. A

person has the right to know precisely when and what kind of force he can use against the aggressor. In the Georgian reality, this right is systematically violated, and analyzing a specific criminal case serves to identify this problem.

According to the author, Georgian judicial practice misses the essence and purpose of the norm, which contributes to the discrediting of the right to self-defense, and everything only strengthens the aggressor.

ბიბლიოგრაფია:

1. Dressler J. (2015). Understanding Criminal Law, EBook;
2. Dubber, M., Hörnle, T. (2014). A Comparative Approach, Oxford University Press;
3. Herring, J. (2020). Criminal Law, Oxford University Press;
4. Hessbruegge J.A. (2017). Human Rights and Personal Self-defense in International Law, Oxford University Press.
5. Leverick, F. (2006). Killing in self-defense, Oxford: Oxford University Press.
6. გამყრელიძე, ო. (2002). სსკ-ის 113-ე მუხლის კომენტარი. წიგნში: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი;
7. ტურავა, მ. (2011). დანაშაულის მოძღვრება, თბილისი: მერიდიანი;
8. ხერხეულიძე, ი. (2016). აუცილებელი მოგერიების ფარგლები ქართული და ანგლოამერიკული კანონმდებლობის მიხედვით, ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალი(DGStZ), #1;
9. ჯიშკარიანი, ბ. (2016). დანაშაულის ადამიანის წინააღმდეგ, სსკ-ის 113-ე მუხლის კომენტარი, თბილისი: იურისტების სამყარო.
10. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს N1/411-18 განაჩენი, 11 თებერვალი, 2019;
11. თბილისის საქალაქო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი, 12 მარტი 2020;
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2კ-756აპ.-19, 17 მარტი 2020;
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2კ-877აპ.-20 განაჩენი, 29 მარტი 2021;
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება 2კ-86კოლ.-02, 10 დეკემბერი 2001.

BIBLIOGRAPHY:

1. Dubber, M., Hörnle, T. (2014). A Comparative Approach, Oxford University Press; (In English)
2. Dressler J. (2015). Understanding Criminal Law, EBook; (In English)
3. Gamkrelidze, O. (2002). Offence Against the Person, Tbilisi: Institute of State and Law of the Georgian Academy of Sciences, 74. (In Georgian)
4. Hessbruegge J.A. (2017). Human Rights and Personal Self-defense in International Law, Oxford University Press. (In English)
5. Herring, J. (2020). Criminal Law, Oxford University Press; (In English)
6. Kherkheulidze, I. (2016). The Scope of self-defense According to Georgian and Anglo-American Law, Georgian-German Journal of Criminal Law (DGStZ), #1; (In Georgian)
7. Leverick, F. (2006). Killing in self-defense, Oxford: Oxford University Press. (In English)
8. Turava, M. (2011). The Doctrine of Crime, Tbilisi: Meridiani. (In Georgian)
9. Jishkariani, B. (2016). Offence Against the Person, Tbilisi: The World of Lawyers. (In Georgian)
10. The Decision of Tbilisi City Court, March 12, 2020 (In Georgian)
11. The Decision of the Great Chamber of the Supreme Court of Georgia 2k-86col.-02, December 10, 2001 (In Georgian)
12. The Decision N1/411-18 of Zugdidi District Court, February 11, 2019 (In Georgian)
13. The Decision of the Supreme Court of Georgia 2K-877 Ap.-20, March 29, 2021. (In Georgian)
14. The Decision of the Supreme Court of Georgia 2K-756AP-19, 17 March, 2020. (In Georgian)

NOTES:

1. Leverick, F. (2006). Killing in Self-Defense, Oxford: Oxford University Press, 54-55. Also see: Hessbruegge J.A. (2017). Human Rights and Personal Self-defense in International Law, Oxford University Press.
2. The Court of Appeal overturned this decision and convicted the person under both Article 120 and Article 108 of the Criminal Code. The Supreme Court of Georgia also agreed with the decision of the Court of Appeal. See N 2K-756AP-19, 17 March, 2020.
3. In these words, the violence of the aggressors is evaluated by the testimony of a direct eyewitness, which the Supreme Court did not share.
4. The Decision N1/411-18 of Zugdidi District Court, February 11, 2019, par. 4.1.2.
5. Justification criteria of self-defense in Georgian criminal law doctrine. See Turava, M. (2011). The doctrine of Crime, Commentary on Article 28 of the Criminal Code, Tbilisi: Meridiani; Jishkariani, B. (2016). Offence Against the Person, Commentary on article 113 of the criminal code. Tbilisi: The world of Lawyers.
6. The Decision N1/411-18 of Zugdidi District Court, February 11, 2019, par. 4.1.1.1.
7. *Ibid.*
8. *Ibid.* Par. 4.1.2.
9. *Ibid.* Par. 4.1.1.1.
10. For a critical analysis of the judicial misinterpretation of self-defense, see Gamkrelidze, O. (2002). Commentary on article 113 of the criminal code in the book: Offence against the person, Tbilisi: Institute of State and Law of the Georgian Academy of Sciences, 74.
11. The Decision of the Great Chamber of the Supreme Court of Georgia 2k-86col.-02, December 10, 2001
12. Turava, M. (2011). The Doctrine of Crime, 536-543.
13. *Ibid.* 358-359.
14. Dubber, M., Hörnle, T. (2014). A Comparative Approach, Oxford University Press, 416.
15. *Ibid.* 417.
16. Turava, M. (2011). The Doctrine of Crime, 351.
17. For an analysis of English court practice on proportionality, see Herring, J. (2020). Criminal Law, Oxford University Press, 651.
18. Kherkheulidze, I. (2016). The Scope of self-defense According to Georgian and Anglo-American Law, Georgian-German Journal of Criminal Law (DGStZ), #1, 17.
19. The Decision of the Supreme Court of Georgia 2K-877 Ap.-20, March 29, 2021.
20. The Decision of Tbilisi City Court, March 12, 2020. p. 12. A copy of the judgment was received in response to the application for public information N1-0163/11344.
21. For the critical analysis of the Georgian judiciary law see Jishkariani, B. Offence against the person, 73.
22. Dressler J. (2015). Understanding Criminal Law, EBook, 199.
23. Details of the case see Awaiting the verdict <<https://fb.watch/9l4PX-aoteT/>> [Last access: 13 August, 2022]
24. Radio Liberty, news: The court acquitted Merab Kobiashvili, arrested in the case of intentional murder in Gudauri. <<https://www.radiotavisupleba.ge/a/31613693.html>> [Last access: 13 August, 2022]

კიბერდანაშაულის გამოძიებისას არსებული პროცედურული პრობლემების ანალიზი

ირაკლი ნადარეიშვილი

*სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის ავღიღრებული ასოცირებული
პროფესორი. საქართველოს გენერალური პროკურატურის
სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის
გამოძიების დეპარტამენტის უფროსი*

შოთა კაკულია

*სამართლის მაგისტრი, საქართველოს გენერალური
პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი
დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორი*

საკვანძო სიტყვები: ინტერნეტ-ტრაფიკი, მონაცემების
რეზერვაცია, ელექტრონული მტკიცებულებების გამოთხოვა,
კიბერდანაშაული

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში მიმოხილულია, თუ რა ძირითადი პრინციპები მოქმედებს განვითარებულ ქვეყნებში კიბერდანაშაულის გამოძიების მეთოდოლოგიასთან მიმართებით და რა სახის სიახლე შეიძლება დაინერგოს საქართველოში აღნიშნული მიმართულებით ეფექტიანი გამოძიების ჩატარების უზრუნველსაყოფად. დეტალურად არის განხილული პროცედურები, რომლებიც გათვალისწინებულია „კომპიუტერული დანაშაულის შესახებ“ ბუდაპეშტის კონვენციით და ყურადღება გამახვილებულია პროცესუალურ პრობლემებზე, რომლებიც გვხვდება სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას

ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვება/ დამაგრების პროცესში. მიმოხილულია კონვენციის კონკრეტული მუხლები, მათ შორის, ინფორმაციის გამოთხოვასთან მიმართებით და მოცემულია ერთგვარი შედარებითი ანალიზი კონვენციაში გათვალისწინებულ სამართლებრივ მექანიზმებსა და ქართულ კანონმდებლობაში იმპლემენტირებულ ნორმებს შორის. სტატიაში გაანალიზებულია განვითარებულ ქვეყნებში ინტერნეტის მომსახურების მომწოდებლებსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის არსებული თანამშრომლობის პრაქტიკა. ხაზგასმულია ქართული კანონმდებლობის ნაკლოვანება კომპიუტერული მონაცემების კატეგორიზაციის არარსებობის კუთხით, რაც განაპირობებს ნებისმიერი სახის ელექტრონულ ინფორმაციაზე ერთიანი უნიფიცირებული წესის არსებობას. სტატიაში, ასევე, განხილულია სასამართლოს გადაწყვეტილებები ელექტრონული მტკიცებულებების დასაშვებობასთან მიმართებით და წარმოდგენილია წინადადებები სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების სრულყოფა/დახვეწის მიზანშეწონილობის კუთხით. კერძოდ, სტატიაში მოყვანილია არგუმენტები – თუ რატომ უნდა განხორციელდეს კიბერდანაშაულთა კატეგორიზაცია მძიმე, განსაკუთრებით მძიმე და ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებად, რომელთა მიხედვითაც უნდა შემუშავდეს მომსახურების მომწოდებლებისგან ინფორმაციის გამოთხოვისა და რეზერვაციის განსხვავებული ვადები და მიდგომები.

შესავალი

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ ფუნდამენტურად შეცვალა საზოგადოების მიდგომები და აღნიშნული ტენდენცია, დიდი ალბათობით, შენარჩუნდება უახლოეს მომავალშიც. ტექნოლოგიების მხარდაჭერით ბევრი საკითხის გადაწყვეტა გაცილებით ნაკლები ადამიანური რესურსით გახდა შესაძლებელი. თუკი სანყის ეტაპზე მხოლოდ საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მოახდინა საქმიანობის რაციონალიზაცია საინფორმაციო ტექნოლოგიებით, ამჟამად თითქმის არ დარჩა სფერო, რომელსაც

ცვლილებები არ შეხებია.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების თვალსაჩინო მახასიათებელია მისი გავლენა სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების ევოლუციის პროცესში. მაგალითისთვის: კლასიკური ტელეფონი, რომელიც გამოიყენებოდა ადამიანის ხმის გადასაცემად, ჩანაცვლდა ისეთი ტექნოლოგიური მიღწევებით, რომლითაც შესაძლებელი გახდა როგორც ხმის, ასევე ტექსტის, მუსიკის, მოძრავი და სტატიკური სურათების ტრანსფერი. აღნიშნული სახის ინფორმაციის გაცვლა აღარ ხდება მხოლოდ ადამიანებს შორის, არამედ შესაძლებელია გაცვლის სუბიექტები იყვნენ საკუთრივ კომპიუტერები. თანამედროვე მიღწევების ფონზე აქტუალობა დაკარგა ადამიანთა შორის მხოლოდ პირდაპირი კავშირის დამყარების საჭიროებამ, კომუნიკაციისათვის ახლა უკვე საკმარისია კონკრეტული დანიშნულების მისამართის ცოდნა ან კომპიუტერული ფაილის საჭაროდ ხელმისაწვდომობის ფუნქციის გააქტიურება.

კომპიუტერულ სისტემებში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მოკვლევის სიმარტივემ, სწრაფად გაცვლისა და გავრცელების პრაქტიკულად შეუზღუდავ შესაძლებლობებთან ერთად, გამოიწვია სი-ახლეებისადმი შემეცნების ბუმი, რაც თავისთავად ტექნოლოგიების შემდგომი განვითარების წინაპირობაა.

აღნიშნულმა მოვლენებმა უპრეცედენტო ბიძგი მისცეს ეკონომიკური და სოციალური სფეროს განვითარებას, თუმცა მათ აქვთ ნეგატიური მხარეც. კერძოდ, ტექნოლოგიების განვითარებამ გამოიწვია როგორც ახალი ტიპის კიბერდანაშაულის გაჩენა, ასევე, ხელი შეუწყო ტრადიციული დანაშაულის ტიპების ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენის გავრცელებას. კრიმინალური ქცევა ნაკლებად პროგნოზირებადი და რთულად დასადგენი გახდა. ახალი ტექნოლოგიები დიდ გამოწვევად იქცა ტრადიციული სამართლებრივი კონცეფციებისთვის. ინფორმაციისა და კომუნიკაციის ნაკადები მარტივად და მოქნილად მიედინება მთელ მსოფლიოში და მათ ვერ აფერხებს ქვეყნებს შორის არსებული გეოგრაფიული საზღვრები.¹

1 Council of Europe (2001). “Explanatory Report to the Convention on Cybercrime”, Council of Europe. P. 1.

კონვენცია კომპიუტერული დანაშაულის შესახებ

ტექნოლოგიური განვითარების პერმანენტული და სწრაფი ტემპების გათვალისწინებით, კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს კომპიუტერულ სისტემებთან/მონაცემებთან მოპყრობის მარეგულირებელი ნორმატიული რეგულაციების პარალელურ რეჟიმში განვითარება და სრულყოფა, სათანადო და მოქნილი სამართლებრივი მექანიზმების შექმნა, რათა თანამედროვე გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირების მიზნით ერთი მხრივ, უზრუნველყოფილ იქნას სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობა – განახორციელონ ეფექტიანი გამოძიება, ხოლო, მეორე მხრივ, სათანადო პროცედურული გარანტიებით დაცულ იქნას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

აღნიშნული პროცესის მართებულად წარმართვისა და კიბერდანაშაულთან ბრძოლაში კოორდინაციის გაზრდის, ასევე, კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და საერთაშორისო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, 2001 წლის 8 ნოემბერს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ, მიღებულ იქნა „კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ“ (ე.წ. „ბუდაპეშტის კონვენცია“), რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 1-ელ ივლისს. საქართველოს მიერ კონვენციის რატიფიცირება განხორციელდა 2012 წლის 6 ივნისს და ძალაში შევიდა იმავე წლის 1-ელ ოქტომბერს.

აღნიშნული კონვენცია წარმოადგენს პირველ საერთაშორისო, სავალდებულო ძალის მქონე აქტს, რომელმაც საერთაშორისო დონეზე განსაზღვრა ფუნდამენტური ცნებები და წარმართველი როლი ითამაშა ტერმინთა უნიფიცირებისა და ეროვნული კანონმდებლობების ჰარმონიზაციის მიმართულებით.

კიბერდანაშაულის გამოძიების მიმართულებით ერთიანი სისხლის სამართლის პოლიტიკის შექმნის, კომპიუტერული დანაშაულებისგან საზოგადოების დაცვის, შესაბამისი კანონმდებლობის მიღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, ე.წ. „ბუდაპეშტის კონვენცი-

ის“ მეორე თავში განისაზღვრა ცალკეული კიბერდანაშაულების დეფინიცია. მაგალითად, განისაზღვრა უნებართვო წვდომა (მუხლი 2), მონაცემთა ხელში ჩაგდება ნებართვის გარეშე (მუხლი 3), მონაცემთა ხელყოფა (მუხლი 4), სისტემაში ჩარევის (მუხლი 5) და ა.შ. ცნებები. კონვენციის მე-2 თავის მე-2 ნაწილი ეთმობა უშუალოდ იმ პროცედურული მექანიზმების განსაზღვრას, რომლებიც გამოიყენება კომპიუტერულ დანაშაულების გამოძიების დროს. ამგვარ მექანიზმებს, კონვენციის მიხედვით, განეკუთვნება კომპიუტერული მონაცემების დაჩქარებული დაცვა (მუხლი 16); ტრაფიკის მონაცემის დაჩქარებული დაცვა და ნაწილობრივი გადმოცემა (მუხლი 17); დოკუმენტთა/ინფორმაციის გამოთხოვის ბრძანება (მუხლი 18); შენახული კომპიუტერული მონაცემების ჩხრეკა და ამოღება (მუხლი 19); ინტერნეტ ტრაფიკის მონაცემების მიმდინარე შეგროვება (მუხლი 20); კომუნიკაციის შინაარსობრივი მონაცემების ხელში ჩაგდება (მუხლი 21).²

კიბერდანაშაულის ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, ქვეყანას ჰყავდეს შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი საგამოძიებო უწყების წარმომადგენლები, რომლებსაც გავლილი ექნებათ სათანადო ინსტრუქტაჟი. ასევე, აუცილებელია სპეციალიზირებული საგამოძიებო დანაყოფების თანამედროვე ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა, რომლითაც შესაძლებელი გახდება გამოძიებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის ოპერატიულად მოპოვება. განვითარებულ ქვეყნებში შემუშავებულია სხვადასხვა სახის გზამკვლევები, რომლითაც ხელმძღვანელობენ სამართალდამცავები. საქართველოში კიბერდანაშაულის სხვადასხვა ტიპის დანაშაულების ზრდის ტემპის პარალელურად, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ გაიზიაროს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, გადაამზადოს პერსონალი, დაწეროს გამოძიების მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები და შეიძინოს სრულყოფილი გამოძიების ჩასატარებლად აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა.

2 “Convention on Cybercrime” (2001). Articles 2 – 5 and 16 – 21, Council of Europe. <<https://rm.coe.int/1680081561>> [ბოლო წვდომა: 9 სექტემბერი, 2022].

<<https://rm.coe.int/16800cce5b>> [ბოლო წვდომა: 9 სექტემბერი, 2022]

გამოძიების პროცედურული მექანიზმები

„კომპიუტერული დანაშაულის შესახებ“ ბუდაპეშტის კონვენციის მე-14 მუხლი განსაზღვრავს, რომ ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს სისხლის სამართლის კონკრეტული საქმის გამოძიების ან დევნის შესაბამისი უფლებამოსილებისა და პროცედურების დანერგვას.

კონვენციამ მოუწოდა ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, რომ კანონმდებლობაში დაენერგათ პროცედურული მექანიზმები, რომლებიც იქნებოდა მოქნილი და, ამავდროულად, გამოძიების სრულყოფილად ჩატარებაზე ორიენტირებული. აღნიშნული პროცედურებიდან შესაძლებელია განვიხილოთ რამდენიმე, რომელთა ეფექტურ დანერგვაზე პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული გამოძიების ხარისხი. კონვენციის მე-16 მუხლი მოუწოდებს სახელმწიფოებს, რომ შეიმუშავონ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ შენახულ კომპიუტერულ მონაცემთა დაჩქარებულ დაცვას. აღნიშნული ნორმის მიზანს წარმოადგენს გამოძიებისთვის რელევანტური კომპიუტერული მონაცემების შესაძლო დაკარგვის ან შეცვლის საფრთხის პრევენცია.

გამოძიების წარმოებისთვის აუცილებელი კიდევ ერთი მექანიზმი – ინფორმაციის გამოთხოვა – გათვალისწინებულია კონვენციის მე-18 მუხლით და გულისხმობს წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოებისთვის შემდეგი უფლებამოსილების მინიჭების შესაძლებლობას:

„ა) დაავადებულ მათ გეხიგოხიაზე მყოფი პიჩი – წაჩმოადგინოს კონკრეტული კომპიუტერული მონაცემი, რომელიც ამ პიჩის მფლობელობაში ან კონტროლის ქვეშაა და ინახება კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერული მონაცემების შენახავ საშუალებაში;

ბ) დაავადებულ მონაწილეთა მიმწოდებელი (რომელიც მონაწილეთა მიწოდებას ახორციელებს) – მათ გეხიგოხიაზე წაჩმოადგინოს მონაწილეთა შესახებ ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ამგვარ მონაწილეთა მონაწილეთა

რომელიც ფლობს ან/და აკონტროლებს აღნიშნული მონაწილეთა მიმწოდებელი“.³

კონვენციის მე-19 მუხლით, ასევე, გათვალისწინებულია შენახულ კომპიუტერულ მონაცემთა ჩხრეკა და ამოღების შესაძლებლობა, ხოლო მე-20 მუხლი ითვალისწინებს ინტერნეტ ტრაფიკის მიმდინარე შეგროვებას. კონვენციის მე-18 მუხლის ახსნა-განმარტებითი ბარათის 170-ე პუნქტი განსაზღვრავს ინფორმაციის გამოთხოვის, როგორც ერთ-ერთი საგამოძიებო მოქმედების კანონმდებლობაში დანერგვის მთავარ ლეგიტიმურ მიზანს. კერძოდ, ბარათში ვკითხულობთ, რომ სახელმწიფოების მხრიდან მესამე პირებთან მიმართებით, სისტემატურად ისეთი იძულების ღონისძიებების გამოყენების შესამცირებლად, როგორსაც წარმოადგენს მონაცემების ჩხრეკა და ამოღება, მნიშვნელოვანია, რომ მათ ეროვნულ კანონმდებლობაში ჰქონდეთ ალტერნატიული საგამოძიებო მექანიზმები, რომლებიც იძლევიან ნაკლებად ინტენსიური ჩარევის შესაძლებლობას იმ კომპიუტერული ინფორმაციის მოსაპოვებლად, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის გამოძიებასთან.⁴

„კიბერ-დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ კონვენციის ხელმოწერის შემდეგ, 2010 წელს ცვლილება შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და მას დაემატა თავი კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ. აღნიშნული თავი, კონვენციის მე-18 მუხლის იმპლემენტირების მიზნით, შეიცავს სსსკ 136-ე მუხლს ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ, რომლის პირველი ნაწილის მიხედვითაც: „თუ აჩხებობს დასაბუთებული ვაჩაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში, ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პიროვნული უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით მიმართოს

3 “Convention on Cybercrime” (2001). Article 18, Council of Europe. <<https://rm.coe.int/1680081561>> [ბოლო წვდომა: 9 სექტემბერი, 2022].

4 Council of Europe (2001). “Explanatory Report to the Convention on Cybercrime”, Council of Europe. P. 29. <<https://rm.coe.int/16800cce5b>> [ბოლო წვდომა: 9 სექტემბერი, 2022].

სასამაჩთროს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით“⁵ აღნიშნულ ნაწილს 2022 წლის 24 მაისის ცვლილებით დაემატა შემდეგი სახის ჩანაწერი – „გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამ მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედება შესაძლებელია ჩატარდეს პიროვნების დაგვიანების საფუძველზე, ამ კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრული წესით“⁶. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის 2022 წლის 24 მაისამდე მოქმედი რედაქციის თანახმად, ინფორმაციის გამოთხოვის პროცედურაზე ვრცელდებოდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ თავის (143²-143¹⁰ მუხლების) მოქმედება, რაც დამატებით, აბსურდულ ბარიერს წარმოადგენდა, ზოგადად, ნებისმიერი სახის გამოძიების წარმოებისთვის, სადაც საჭირო იყო კომპიუტერული მონაცემების მოპოვება და განსაკუთრებულ პრობლემებს ქმნიდა კიბერდანაშაულის კატეგორიის დანაშაულის გამოძიების პროცესში. კერძოდ, ირელევანტური იყო, თუ რამდენად ატარებდა მოსაპოვებელი ინფორმაცია ან დოკუმენტი სენსიტიურ ხასიათს და არ ხდებოდა კომპიუტერული მონაცემების კატეგორიზაცია. ნებისმიერი სახის კომპიუტერული მონაცემი ექცეოდა ერთიანი „ქოლგის“ ქვეშ და ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის ავტორისგან ითხოვდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ თავში გათვალისწინებული გარანტიების დაცვას და ზედმეტად მყარ დასაბუთებას.

2022 წლის 24 მაისს, 136-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებებით, გარკვეულწილად გამარტივდა კომპიუტერულ სისტე-

მაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში არსებული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოძიების მიერ მოპოვების შესაძლებლობა, რადგან განხორციელებული ცვლილებებით მათზე აღარ ვრცელდება ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების წესი, რაც ცალსახად დაგვიანებულ, თუმცა წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლი ვრცელი შინაარსისაა და ადგენს ერთიან უნიფიცირებულ წესს ნებისმიერი სახის ინფორმაციის მოსაპოვებლად, რომელიც შენახულია კომპიუტერული ფაილის სახით. XXI-ე საუკუნეში ორგანიზაციების უდიდესი ნაწილი მათ ხელთ არსებულ ინფორმაციას/დოკუმენტაციას ელექტრონული ფორმით ინახავს. შედეგად, ვიღებთ რეალობას, რა დროსაც საჯარო თუ კერძო დაწესებულებებიდან ინფორმაციის მოსაპოვებლად აუცილებელია მოსამართლისგან ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე განჩინების მიღება, მიუხედავად იმისა, გამოსათხოვი ინფორმაცია ნაკლებად სენსიტიურია თუ თავისი არსით არის საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი პირისთვის. აღნიშნული წარმოადგენს დამატებით ბიუროკრატიულ ბარიერს მოქნილი და ეფექტური გამოძიების წარმოებისთვის.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა არ ახდენს გამოთხოვას დაქვემდებარებული ინფორმაციის დიფერენცირებას კატეგორიის მიხედვით. კატეგორიზაციის თვალსაზრისით, ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს 136-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული „მომხმარებლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემი“, რომელიც პირდაპირ არის გადმოტანილი ბუდაპეშტის კონვენციიდან. მოცემულ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს არა ის, თუ როგორ არის ასახული „მომხმარებლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემი“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, არამედ მიდგომა, რომლის თანახმადაც მის მოსაპოვებლად განსაზღვრულია იგივე პროცედურული მექანიზმი, როგორც გამოიყენება ნებისმიერი სხვა სახის ელექტრონული ინფორმაციის მოპოვების შემთხვევაში.

5 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2009). მუხლი 136 (13.04.2022 წლის რედაქცია). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <<https://www.matsne.gov.ge/document/view/90034?publication=143>> [ბოლო წვდომა: 9 სექტემბერი, 2022]

6 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2009). მუხლი 136 (21.06.2022 წლის რედაქცია). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=146>> [ბოლო წვდომა: 9 სექტემბერი, 2022]

„კომპიუტერული დანაშაულის შესახებ ბუ-დაპეშტის კონვენციის მე-18 მუხლის მიზნებისთვის გეხმინი „ინფოხმაცია მომხაზების შესახებ“ ახის ნებისმიერი ინფოხმაცია, რომელიც მომსახურების მომწოდებელი ინახავს კომპიუტერული მონაცემების ან სხვა ნებისმიერი ფორმით, რომელიც დაკავშირებულია მისი მომსახურების მომხმარებლებთან, განსხვავდება ინტერნეტ გრაფიკისა და შინააქსობივი მონაცემებისგან და რომლის მიხედვითაც შესაძლებელია დადგინდეს/განისაზღვროს:

ა) გამოყენებული კომუნიკაციის მომსახურების ტიპი, გამოყენებული ტექნიკური საშუალებები და მომსახურების დრო;

ბ) მომხმარებლის ვინაობა, საფოსტო ან საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონის და სხვა საკონტაქტო ნომრები, ინფოხმაცია ანგაჩიშისა და გადასახადების შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია მომსახურების ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე;

გ) დამონტაჟებული საკომუნიკაციო აღჭურვილობის ადგილმდებარეობის თაობაზე ახსებული ნებისმიერი სხვა ინფოხმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მომსახურების ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე“⁷

მოცემულ შემთხვევაში, აუცილებელია სწორად იქნას გაგებული კანონმდებლის მიზანი, თუ რას ემსახურებოდა კომპიუტერულ მონაცემთა დაყოფა მომხმარებლის, კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებისა და კომუნიკაციის შინაარსობრივი/ინტერნეტ ტრაფიკის მონაცემების კატეგორიებად. ნებისმიერი პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დაცულია კონსტიტუციითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით. აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და კანონმდებლობა ითვალისწინებს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ლოგიკურია, რომ უფლებების შეზღუდვის სიმძიმის გათვალისწინებით უნდა განსხვავდებოდეს სამართლებრივი პროცედურებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი დაეკარგებოდა კომპიუტერული მონაცემების დიფერენცირებას მომხმარებლისა და შინაარსობრივი ინფორმაციის კატეგორი-

7 “Convention on Cybercrime” (2001). Article 18, Paragraph 3, Council of Europe. <<https://rm.coe.int/1680081561>> [ბოლო წვდომა: 9 სექტემბერი, 2022]

ებად. აღნიშნულის თაობაზე საუბარია კიბერ-დანაშაულთან ბრძოლის საზედამხედველო კომიტეტის შემფასებელი მისიის დასკვნაში⁸ და შესაბამის რეკომენდაციაში, ამაზე მეტყველებს, ასევე, ევროპული ქვეყნების გამოცდილებაც. მაგალითისთვის შესაძლოა მოყვანილ იქნას ისეთი ქვეყნები, როგორც არის ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, გერმანია, ესპანეთი, დანია, მონტენეგრო, სლოვენია, ფინეთი და ნორვეგია.⁹

გამოთხოვის მექანიზმი გათვალისწინებულია „კიბერ-დანაშაულთან ბრძოლის ევროპული კონვენციის“ მე-18 მუხლით. კონვენციის განმარტებითი ბარათის 171-ე პუნქტის შესაბამისად, „გამოთხოვა წახმოადგენს მოქნილ მექანიზმს, რომლის გამოყენებაც საგამოძიებო ორგანოებს შეუძლიათ მხავად შემთხვევაში, განსაკუთრებით იმ ღონისძიებების ნაცვდად, რომლებიც თავისი ახსით უფრო იძულებითია. ამგვარი ღონისძიებების ეხოვნურ კანონმდებლობაში ახსებობა და მათი გამოყენება ასევე სასახებდროა მესამე პიტიებისთვის, რომლებიც ინახავენ მონაცემებს, ჰოგოებიც ახიან, მაგალითად, მომსახურების მიმწოდებლები, რომლებიც ხშირად მზად ახიან დახმარება გაუწიონ სამაჩთადამცავ ორგანოებს ნებაყოფლობით საწყისზე იმ მონაცემების ნებაყოფლობით მიწოდებით, რომელიც მათ კონტროლ ქვეშაა, თუმცა ამჯობინებენ შესაბამისი სამაჩთდებრივი საფუძველის ქონას ამგვარი დახმარების აღმოჩენისთვის, ხაც მათ გაათავისუფლებს ნებისმიერი სახის სახედშეკრულებო ან აჩა სახედშეკრულებო ვადებულებისაგან“¹⁰

8 Kunappu. M., Jurich. M. (2017). Report on Georgia, “Draft legislation supplementing and amending various issues related to cybercrime and electronic evidence”. Cybercrime Convention Committee bureau and Council of Europe. p. 7. <<https://rm.coe.int/3608-20-georgia-cybercrime-law-reform-review-final-19-april-2017/168076be28>> [ბოლო წვდომა: 9 სექტემბერი, 2022]

9 Cybercrime Convention Committee (2014). “Rules on obtaining subscriber information”. Report adopted by the T-CY at its plenary, Directorate General of Human Rights and Rule of Law, Council of Europe. P. 17-20. <<https://rm.coe.int/16802e7ad1>> [ბოლო წვდომა: 9 სექტემბერი, 2022]

10 Council of Europe (2001). “Explanatory Report to the Convention on Cybercrime”, Council of Europe. P. 29. <<https://rm.coe.int/16800cce5b>> [ბოლო წვდომა: 9 სექტემბერი, 2022]

ამგვარად, გამოთხოვის მექანიზმი განიხილება, როგორც ამავე კონვენციის მე-19 მუხლით გათვალისწინებული კომპიუტერული მონაცემების ჩხრეკა-ამოღების ალტერნატიული, ნაკლებად რეპრესიული მექანიზმი, რომლის ძირითადი არსი გამოიხატება შემდეგში: თუ სუბიექტი, რომლისგანაც უნდა განხორციელდეს ინფორმაციის გამოთხოვა, სანდოა (მაგალითად, ინფორმაცია გამოთხოვილ უნდა იქნას მომსახურების მიმწოდებლისგან: მაგთიკომი, ჯეოსელი, Meta, Google და ა.შ.) და მას არ გააჩნია ობიექტური დაინტერესება – შეცვალოს ან გაანადგუროს გამოთხოვილი მონაცემები, ამოღების საგამოძიებო მოქმედების ნაცვლად გამოყენებულ უნდა იქნას ნაკლებად რეპრესიული გამოთხოვის მექანიზმი.

**მომსახურების
მომწოდებლებსა და
სამართალდამცავ
ორგანოებს შორის
თანამშრომლობა და
მასთან დაკავშირებული
პრობლემები**

კიბერდანაშაულის გამოძიებისას დამნაშავის იდენტიფიცირების მიზნით ძირითადად აუცილებელია ტრაფიკის მონაცემების ანალიზი. მათ შორის, IP მისამართები და სხვადასხვა ელექტრონული მონაცემების მახასიათებლები, რომლებსაც იყენებს დამნაშავე დანაშაულის ჩადენის პროცესში, წარმოადგენს გამოძიებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან ინფორმაციას. გარდა იმისა, რომ ზოგადად დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული კონკრეტული IP მისამართის დადგენა და კიბერდამნაშავის იდენტიფიცირება, დამატებით ბარიერს ქმნის ის გარემოება, რომ გამოძიებისთვის საინტერესო ტრაფიკის მონაცემები შესაძლოა ავტომატურად წაიშალოს დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში.

აღნიშნული პრობლემის დაძლევის მიზნით, „კომპიუტერული დანაშაულის შესახებ“ ბუდაპეშტის კონვენციის მე-16 მუხლით გათვალისწინებულია მომსახურების მო-

მწოდებლების მერ შენახულ კომპიუტერულ მონაცემთა დაჩქარებული დაცვის პროცედურული სამართლებრივი მექანიზმი. კონვენციის ხელმოწერი თითოეული სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ისეთი საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც უფლებამოსილ სამართალდამცავ ორგანოებს უფლებას მიანიჭებენ – გასცენ შესაბამისი ბრძანება და უზრუნველყონ კომპიუტერული მონაცემების შენახვა მომსახურების მომწოდებლებთან. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი კომპიუტერული მონაცემის დაკარგვის ან გამოცვლის საფრთხე.¹¹

კონვენციის 29-ე მუხლის თანახმად, კონვენციის წევრმა სახელმწიფომ შესაძლოა მოსთხოვოს სხვა წევრ სახელმწიფოს, რომ მოხდეს მის ტერიტორიაზე არსებული კონკრეტული კომპიუტერული მონაცემების დაჩქარებული დაცვა, რათა შემდგომ, ურთიერთდახმარების მოთხოვნის საფუძველზე, მოახდინოს მათი გამოთხოვა. აღნიშნული სახის მოთხოვნა უნდა აკმაყოფილდებდეს გარკვეულ კრიტერიუმებს და შეიცავდეს უფლებამოსილი ორგანოს დასახელებას, რომელიც ითხოვს ინფორმაციის შენახვას, ასევე, მითითებული უნდა იყოს დანაშაული, რომელზეც მიმდინარეობს გამოძიება და/ან ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა, შესაბამისი კომპიუტერული მონაცემების კავშირი აღნიშნულ დანაშაულთან და შენახვის აუცილებლობა.¹²

კომპიუტერული მონაცემების შენახვის რეგულაციები წარმოადგენენ მნიშვნელოვან სამართლებრივ საგამოძიებო ინსტრუმენტს კომპიუტერული დანაშაულის გამოძიების მიზნებისთვის. კომპიუტერული მონაცემების ცვალებადი ბუნების გათვალისწინებით, მაღალია მათი შესაძლო გამოცვლის ან დაკარგვის რისკი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება შესაძლოა დაიკარგოს შენახვის არასწორი მენეჯმენტის, უყურადღებობის,

11 “Convention on Cybercrime” (2001). Article 16, Council of Europe. <<https://rm.coe.int/1680081561>> [ბოლო წვდომა: 9 სექტემბერი, 2022]
 12 “Convention on Cybercrime” (2001). Article 29, Council of Europe. <<https://rm.coe.int/1680081561>> [ბოლო წვდომა: 9 სექტემბერი, 2022]

განზრახი მანიპულაციის/წაშლის ან იმის გამო, რომ მომსახურების მომწოდებლებს არ ჭირდებათ მათი შენახვა და ავტომატურად შლიან ინფორმაციას. მიზეზი ამ ავტომატური წაშლის არის ის გარემოება, რომ თითოეული მოქმედების განხორციელებისას წარმოშობილი ტრაფიკის მონაცემების შენახვა წარმოუდგენლად დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და გაზრდის მომსახურების საფასურს.

უფლებამოსილი ორგანოების მიერ, ბუდაპეშტის კონვენციით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად, მომსახურების მომწოდებლების დავალდებულება – მოახდინონ გამოძიებისთვის საინტერესო კომპიუტერული მონაცემების რეზერვაცია – შესაძლოა დაკავშირებული იყოს დამატებით ხარჯებთან, თუმცა, ჩხრეკისა და ამოღების საგამოძიებო მოქმედებებთან შედარებით, არ უშლის ხელს მათ ნორმალურ ფუნქციონირებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპიუტერული დანაშაულის დიდი ნაწილი ჩადენილია კომპიუტერული სისტემების გამოყენებით განხორციელებული კომუნიკაციების გზით. აღნიშნული კომუნიკაციები შესაძლოა იყოს დანაშაულებრივი ქმედებების ამსახველი და შეიცავდეს მნიშვნელოვან მტკიცებულებებს ისეთ მძიმე დანაშაულებზე, როგორც არის ბავშვთა პორნოგრაფია, ნარკოტიკებით ვაჭრობა, კომპიუტერული სისტემების ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლა და ა.შ. შესაბამისად, წყაროს ან დანიშნულების მისამართის გაშიფვრა შესაძლოა დაეხმაროს სამართალდამცავ ორგანოებს დამნაშავეების იდენტიფიცირებაში, აღნიშნულისთვის კი აუცილებელია განხორციელებული კომუნიკაციის ტრაფიკის არსებობა და მისი ანალიზი.¹³

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამართალდამცავ ორგანოებსა და ინტერნეტის მომსახურების მომწოდებლებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა ყოველთვის წარმოადგენდა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მნიშვნელოვან წინაპირობას. ბუდაპეშტის კონვენცია შეიცავს დებულებებს, რომელიც ავალდებუ-

ლებს ნევრ სახელმწიფოებს – შექმნან შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა მომსახურების მომწოდებლებთან ინფორმაციის შენახვისა და მათგან ინფორმაციის გამოთხოვის თვალსაზრისით, თუმცა საბოლოოდ ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ როგორ აისახა/აისახება აღნიშნული ნევრი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობებში.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს მომსახურების მომწოდებლებთან თანამშრომლობის განსხვავებული პრაქტიკა. აღნიშნული თანამშრომლობა შესაძლებელია ატარებდეს ნებაყოფლობით ხასიათს ან შემუშავებული იყოს საკანონმდებლო ჩარჩო. იმ ქვეყნებში, სადაც მომსახურების მომწოდებლების მიერ კომპიუტერული მონაცემების სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიწოდება ან შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე მათი შენახვა წარმოებს ნებაყოფლობით, სამართალდამცავ ორგანოებს შეუძლიათ მოითხოვონ აღნიშნული მოქმედების განხორციელება მაშინაც კი, როდესაც არ გააჩნიათ სათანადო საფუძველი. მსგავსი მიდგომა იმ ქვეყნებში არის შესაძლებელი, სადაც არ არის დაწესებული შეზღუდვები მომსახურების მომწოდებლების ქმედებებზე.

აშშ-ის 1986 წლის კომუნიკაციებისა და კონფიდენციალურობის კანონი (ECPA) არის საკმაოდ მოქნილი სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის თვალსაზრისით და მომსახურების მომწოდებლებს ანიჭებს უფლებას ნებაყოფლობით გაამჟღავნონ არაშინაარსობრივი სახის კომპიუტერული მონაცემები. აღნიშნული კანონი მომსახურების მომწოდებლებს უკრძალავს ნებაყოფლობით გაამჟღავნონ შინაარსობრივი კომპიუტერული მონაცემები, გარდა საგანგებო შემთხვევებისა.¹⁴

სამართალდამცავ ორგანოებსა და მომსახურების მომწოდებლებს შორის ინფორმაციის შენახვისა და წარმოდგენის თაობაზე თანამშრომლობის ნებაყოფლობით საწყისებზე

13 Council of Europe (2001). “Explanatory Report to the Convention on Cybercrime”, Council of Europe. P. 25-26. <<https://rm.coe.int/16800cce5b>> [ბოლო წვდომა: 9 სექტემბერი, 2022]

14 Council of Europe (2008). “Cooperation between law enforcement and Internet service providers against cybercrime”, Common guidelines. Cybercrime Programme Office of the Council of Europe (C-PROC), Council of Europe. p. 17. <<https://rm.coe.int/2088-33-law-enforcement-isp-guidelines-2020/1680a091a7>> [ბოლო წვდომა: 9 სექტემბერი, 2022].

დაფუძნება დადებით მხარეებთან ერთად შეიცავს უარყოფით ელემენტებსაც. კერძოდ, სამართალდამცავ ორგანოებს არ შეუძლიათ წინასწარ განჭვრიტონ – წარმოადგენს თუ არა მომსახურების მომწოდებელი ინფორმაციას და დადებით შემთხვევაში – რა მოცულობით. საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ევროპის სამართალდამცავ ორგანოებს შეუძლიათ მიიღონ მონაცემები აშშ-ში დაფუძნებული სერვისის პროვაიდერებისგან, თუმცა აშშ ვერ გამოიყენებს იგივე შესაძლებლობას, რადგან ევროპაში მომსახურების მომწოდებლებს აქვთ მკაცრად რეგულირებული სამართლებრივი ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია მათი მომხმარებლების უფლებების დაცვასა და პირადი მონაცემების შენახვასთან.

საქართველოში 2010 წელს ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს სამართალდამცავ ორგანოებსა და 10 უმსხვილეს ინტერნეტის მომსახურების მომწოდებელს შორის. აღნიშნული მემორანდუმით განსაზღვრულია თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები კიბერდანაშაულის გამოძიების პროცესში სამართალდამცავ ორგანოებსა და მომსახურების მომწოდებლებს შორის. დოკუმენტში, ასევე, განერილია რომ მომსახურების მომწოდებლები ვალდებულები არიან გამოყონ საკონტაქტო პირები სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის მიზნით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავების პროცესს.¹⁵

აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში განერილია მომსახურების მომწოდებლების უფლებები და ვალდებულებები. კერძოდ, ისინი ვალდებულები არიან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად, სამართალდამცავებს წერილობით მიაწოდონ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების მომწოდებელი უარს იტყვის ინფორმაციის გაცემაზე, მან უნდა დაასაბუთოს, თუ რამ გა-

ნაპირობა მოთხოვნის შეუსრულებლობა. მემორანდუმი, ასევე, ითვალისწინებს სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულებას – მიაწოდონ მომსახურების მომწოდებლებს გამოძიების შესახებ მაქსიმალური ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს.¹⁶

აღნიშნული საკითხის დეტალურად შესწავლის თვალსაზრისით, საინტერესოა ინტერნეტის მომსახურების მომწოდებლებსა და ბუდაპეშტის კონვენციის ხელმოწმერ სხვადასხვა ქვეყნებს შორის ურთიერთობის მოკლე ანალიზი. დანიაში სამართალდამცავ ორგანოებსა და მომსახურების მომწოდებლებს შორის თანამშრომლობა ეფუძნება არაფორმალურ შეთანხმებებს ინფორმაციის გაცვლის თაობაზე, რომლის ძირითადი პრინციპები თანხვედრაშია ელექტრონული კომუნიკაციების ქსელებისა და მომსახურების კანონთან. სამართალდამცავ ორგანოებსა და სხვა კერძო სექტორის კომპიუტერულ მონაცემთა მფლობელებთან ურთიერთთანამშრომლობა განისაზღვრება თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად.

ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ხელშეწყობით, 2007 წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა სამართალდამცავ ორგანოებსა და მომსახურების მომწოდებლებს შორის თანამშრომლობის გზამკვლევი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხილულ იქნა სხვადასხვა ქვეყნებში არსებული პრაქტიკა. ანგარიშის მიხედვით, საფრანგეთში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მომსახურების მომწოდებლებს შორის დადებულია პარტნიორობის შეთანხმება, რომლის თანახმადაც ინფორმაციის გადმოცემა ხდება ნებაყოფლობით. ძირითადად ხდება 3 კატეგორიის ინფორმაციის გამოთხოვა: 1) ზოგად საკითხებზე; 2) ინდივიდებისა და ქონების მიმართ ჩადენილ მძიმე დაზიანებებზე; 3) ტერორიზმთან და ქვეყნის ეროვნულ ინტერე-

15 Council of Europe (2008). "Cooperation between law enforcement and Internet service providers against cybercrime", Common guidelines. Cybercrime Programme Office of the Council of Europe (C-PROC), Council of Europe. p. 18. <<https://rm.coe.int/2088-33-law-enforcement-isp-guidelines-2020/1680a091a7>> [ბოლო წვდომა: 9 სექტემბერი, 2022].

16 Georgian National Communications Commission, Ministry of Internal Affairs and Internet Service Providers, (2010). "Memorandum of Understanding between Georgian law enforcement and Internet providers based on the principles of cooperation in the field of cybercrime". pp. 2-3. <<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTM-Content?documentId=09000016802fe136>> [ბოლო წვდომა: 9 სექტემბერი, 2022].

სებთან დაკავშირებულ საკითხებზე. უნგრეთში მიღებულია კანონმდებლობა, რომელიც პირდაპირ ავალდებულებს მომსახურების მომწოდებლებს, რომ მათ წარმოადგინონ მათ ხელთ არსებული კომპიუტერული მონაცემები, რომელიც მნიშვნელოვანია სამართალდამცავი ორგანოებისთვის. აღნიშნული რეგულირდება სისხლის სამართლებრივი პროცედურების თაობაზე 1998 წელს მიღებული კანონით. აღნიშნული კანონის გარდა, უნგრეთის პოლიციასა და ინტერნეტის მომსახურების მომწოდებლებს შორის დადებულია შეთანხმებებიც თანამშრომლობის თაობაზე. იაპონიაში სამსართალდამცავებსა და მომსახურების მომწოდებლებს შორის არის მჭიდრო თანამშრომლობა ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ამოსაღები ინფორმაციის ადგილმდებარეობისა და მოცულობის ზუსტი განსაზღვრა, რაც ემსახურება მომსახურების მომწოდებლების საქმიანობის შეუფერხებლად გაგრძელებას და, ასევე, მესამე პირთა უფლებების მაქსიმალურად დაცვას.¹⁷

რაც შეეხება კომპიუტერული ინფორმაციის მომსახურების მომწოდებლების მიერ რეზერვაციას, აღნიშნული დღემდე წარმოადგენს პრობლემურ საკითხს. ევროპისა და მსოფლიოს ქვეყნების უმეტეს ნაწილში არ არსებობს რეგულაციები, რომლებიც დაავალდებულებენ მომსახურების მომწოდებლებს – შეინახონ განხორციელებული ტრაფიკის თაობაზე ინფორმაცია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. აღნიშნული გამოიწვევს კოლოსალურ ხარჯს და პირდაპირ დაკავშირებულია სერვისის საფასურის ზრდასთან. ამასთანავე, მომსახურების მომწოდებლებს ცალკე ვალდებულებები გააჩნიათ მომხმარებელთა ინტერესების დაცვის კუთხით და კომპიუტერული შინაარსობრივი მონაცემების დიდი პერიოდის განმავლობაში შენახვა

ენინააღმდეგება მათ კონფიდენციალურობის პოლიტიკას.

აშშ-ში მომსახურების მომწოდებლების მიერ ძირითადად ხდება ინფორმაციის შენახვა რამდენიმე თვის განმავლობაში, თუმცა არ არის მკაცრად დადგენილი კონკრეტული ვადა. აღნიშნული ატარებს ნებაყოფლობით ხასიათს და არ არის განსაზღვრული ნორმატიული აქტით. ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი მომსახურების მომწოდებლებისგან ინფორმაციის მიღება გაცილებით პრობლემურია, რადგან ისინი, ძირითადად, დიდი დროით არ ინახავენ ინფორმაციას შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციის არარსებობის პირობებში და, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციის რეზერვაცია უნდა მოხდეს რაც შეიძლება სწრაფად, რათა გამოირიცხოს მტკიცებულების გამოცვლის, ნაშლის ან დაკარგვის რისკი.

ელექტრონული მტკიცებულებების დამაბრება სისხლის სამართლის საქმეზე

ელექტრონული მტკიცებულება არის ინფორმაცია, რომელიც ელექტრონული სახით ინახება კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული სახის კომპიუტერული ინფორმაციის მოსაპოვებლად აუცილებელია ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე სასამართლოს განჩინების მიღება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ახდენს კომპიუტერული ინფორმაციის/მონაცემის დიფერენცირებას. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ გამოძიებელი სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ჩატარებისას გადაწყვეტს, რომ მოიპოვოს ინფორმაცია ან მტკიცებულება, რომელიც ინახება კომპიუტერულ სისტემაში ან ელექტრონულ მატარებელზე (მეხსიერების ბარათი, კომპაქტ დისკი და ა.შ.), პროკურორი უპირობოდ ვალდებულია, რომ აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით

17 Council of Europe (2008). "Cooperation between law enforcement and Internet service providers against cybercrime", Common guidelines. Cybercrime Programme Office of the Council of Europe (C-PROC), Council of Europe. pp. 17 – 19. <<https://rm.coe.int/2088-33-law-enforcement-isp-guidelines-2020/1680a091a7>> [ბოლო წვდომა: 9 სექტემბერი, 2022]

მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით განჩინების გაცემის თაობაზე. ამასთანავე, ვინაიდან ელექტრონული მტკიცებულების მოდიფიკაცია უკვე არ წარმოადგენს დიდ სირთულეს, მოსაპოვებელი მტკიცებულების დაკარგვის ან გამოცვლის რისკის პრევენციის მიზნით, პრაქტიკაში გამომძიებელი, ძირითადად, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე იღებს კომპიუტერული ინფორმაციის მატარებელ მოწყობილობას და შემდგომ პროკურორი მიმართავს სასამართლოს აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის თაობაზე შუამდგომლობით. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების (ამოღების) კანონიერად ცნობის შემდეგ, პროკურორი უკვე მიმართავს სასამართლოს გამოძიების ხელთ კანონიერად არსებული ელექტრონული მოწყობილობიდან ინფორმაციის გამოთხოვის შუამდგომლობით.

ზემოთ აღწერილი პრაქტიკის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო როგორც სსსკ-ის 136-ე მუხლის ზოგადმა დეფინიციამ და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვებისას რაიმე სახის კატეგორიზაციის არარსებობამ, ასევე საქართველოს საერთო სასამართლოებში ელექტრონული მტკიცებულებებს მოპოვების წესთან და მათ დასაშვებობასთან დაკავშირებულმა არაერთგვაროვანმა პრაქტიკამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის №1გ/548-16 განჩინებაში მოსამართლემ იმსჯელა, რომ „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „თ.-ს“ კამეხით აღბეჭდილი ვიდეორჩანაწერები, უდავოა, რომ წახმოადგენს კომპიუტერულ სისტემაში დაცულ კომპიუტერულ მონაცემს, ხოლო გამოძიებისთვის წახდენილი დისკი აჩის კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალება, რომელშიც საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია აღბეჭდილია ვიდეორჩანაწერის სახით. შესაბამისად, იმის გამო, რომ ვიდეორჩანაწერები გამოთხოვილი იქნა მხოლოდ მიმართვის წეხილების საფუძველზე, საგამოძიებო კოდეგის მიაჩნია, რომ აღნიშნულით ახ იქნა დაცული შესაბამისი სტანდარტი. კეხდოდ, ის, რომ დაუშვებელია მიმართვის საფუძველზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის გამოთხოვა. საქმეში ახ აჩის უფლებამოსილი პიხის შესაბამისი მოქმედე-

ბის ამსახვედი საპროცესო დოკუმენტი და ყველა მონაცემი მიუთითებს იმის შესახებ, რომ კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალებაში დაცული მონაცემები იქნა გამოთხოვილი გამომძიებლის მიერ წეხილის საშუალებით, ხაც თავისთავად დაუშვებელია და დათვარიეხების ოქმი და ვიდეოდისკები კანონის დახლვევით დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნას დაცოვებუდი“¹⁸

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 19 ივლისის №1გ/960-17 განჩინებით სასამართლომ დაადგინა, რომ „ბხადეობის მხახის მიეხ მოთხოვნილია კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაციის, მობილუხ ტედეფონში ახსებუდი ინფორმაციის ამოღება. კეხდოდ, გამოძიების ინტეხეხშია ა. ხ.-ს კუთვნილ „აიფონი“-ს ფიხმის მობილუხ ტედეფონში ნანახი საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოღება და ახა კონკეხეტუდად მხოლოდ მობილუხი ტედეფონის, ხოგოხც ნივთის ამოღება, ხამეთუ მობილუხი ტედეფონი ცადკე აღებუდი მასში ახსებუდი ინფორმაციის გახეშე საქმისათვის მნიშვნელოვანი ახ აჩის. ამ შემთხვევაში ხსენებუდი მობილუხი ტედეფონი წახმოადგენს სწოხედ კომპიუტერულ სისტემას, ხომელშიც შენახუდი ინფორმაცია. მობილუხი ტედეფონი ცადკე ნივთის სახით ამოღების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, თუ იგი დანაშაულის იახალი ან საგანია ან თავად ტედეფონი აჩის მტკიცებულების მაგახებელი, ხოლო ხოდესაც მობილუხი ტედეფონის ამოღების მოთხოვნა მიმახთუდი ხეადუხად მასში ახსებუდი ინფორმაციის შემდგომი გამოყენებისათვის, ასეთ ვითაეხებაში დაცული უნდა იქნეს სასამართლოსთვის მიმახთვის კანონით დადგენილი ფოხმა და წესი. ხსენებუდი ინფორმაციის მოპოვების სპეციადუხი წესი კი იმპეხატიუდად აჩის დადგენილი საქახთვედოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით“¹⁹

18 №1გ/548-16 განჩინება (2016). “საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“. თბილისის სააპელაციო სასამართლო. <<http://library.court.ge/judgements/92352016-04-04.pdf>> [ბოლო წვდომა: 9 სექტემბერი, 2022].

19 №1გ/960-17 განჩინება (2017). “საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“. თბილისის სააპელაციო სასამართლო. <<http://library.court.ge/judgements/5582017-07-25.pdf>> [ბოლო წვდომა: 9 სექტემბერი, 2022].

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების შეფასებისას მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბრალდების მხარე ითხოვდა, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ამოღებული მობილური ტელეფონის ამოღების კანონიერად ცნობას, ვინაიდან მასში დაცული მონაცემები წარმოადგენდა გამოძიებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. სასამართლომ იმსჯელა, რომ გამოძიების ინტერესის საგანი იყო არა თავად ობიექტი (მობილური ტელეფონი), არამედ მასში არსებული ინფორმაცია, შესაბამისად, უნდა მომხდარიყო ინფორმაციის გამოთხოვა. ამ დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში არ არსებობს ინფორმაციის მატარებელი ობიექტის გამოძიების ფარგლებში დატოვების შესაძლებლობა, რაც, თავის მხრივ, ზრდის მასში არსებული ელექტრონული მტკიცებულების შესაძლო გამოცვლის ან დაკარგვის რისკს. საქართველოს კანონმდებლობა, ასევე, არ შეიცავს განსხვავებულ წესს საჯაროდ ხელმისაწვდომი ელექტრონული მტკიცებულების სისხლის სამართლის საქმეზე დამაგრების თვალსაზრისითაც. აღნიშნულ შემთხვევაშიც სასამართლო მხარეებისგან ითხოვს, რომ ზედმინევით დაიცვან საქართველოს სსსკ-ის 136-ე მუხლით განსაზღვრული ზოგადი წესი და მომსახურების მომწოდებლებისგან (რომელთა სათაო ოფისიც ძირითად შემთხვევაში საზღვარგარეთ მდებარეობს) გამოითხოვონ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია. გამონაკლისს არ წარმოადგენს გარემოება, როდესაც გამოძიების ინტერესის საგანს წარმოადგენს არა თავად მოსაპოვებელი მტკიცებულების კომპიუტერული ელემენტი, არამედ ზოგადად ვიზუალურად ასახული ინფორმაცია (ფოტო, ვიდეო, ტექსტი და ა.შ.).

დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობაში ელექტრონული მტკიცებულებების კატეგორიზაციის არარსებობა და ინფორმაციის გამოთხოვის მიმართ არაერთგვაროვანი პრაქტიკა

წარმოშობს გარკვეულ პროცესუალურ ბარიერებს, განსაკუთრებით, კიბერდანაშაულის გამოძიების მიმართულებით.

საკანონმდებლო ცვლილებების მიღებისას და კომპიუტერული დანაშაულის შესახებ ბუდაპეშტის კონვენციით გათვალისწინებული დებულებების სწორი იმპლემენტაციის მიზნით, აუცილებელია სწორად იქნას გაგებული კანონმდებლის მიზანი. კერძოდ, კონვენციის მე-18 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტის/ინფორმაციის გამოთხოვის ბრძანების ძირითად მიზანს წარმოადგენდა ჩხრეკა-ამოღების ალტერნატიული, ნაკლებად რეპრესიული მექანიზმის შემუშავება იმ შემთხვევებში, როდესაც სუბიექტი, საიდანაც ხდება ინფორმაციის გამოთხოვა, არის სანდო და სახეზე არ არის ელექტრონული მტკიცებულების შესაძლო დაკარგვის ან გამოცვლის რისკი. ნაცვლად იმისა, რომ კანონმდებლობის დონეზე მომხდარიყო კომპიუტერული მონაცემების დიფერენცირება, რომელთა გამოთხოვაც შესაძლებელი იქნებოდა გამომძიებლის ან პროკურორის წერილობითი მოთხოვნით (როგორც ეს მიღებულია ევროპის ბევრ ქვეყანაში), ჩამოყალიბდა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც სასამართლოები დასაშვებად მიიჩნევენ კომპიუტერული სისტემის, როგორც ფიზიკური ობიექტის ამოღებას, თუმცა, ამოღების შემდეგ კომპიუტერულ სისტემაში არსებულ ინფორმაციაზე წვდომისთვის აუცილებელია დამატებით მოსამართლის განჩინების აღება კომპიუტერულ სისტემაში არსებული მონაცემების გამოთხოვის შესახებ. ამგვარად, კომპიუტერული მონაცემებზე წვდომის მიზნით, საგამომძიებო ორგანოს ფაქტობრივად ესაჭიროება მოსამართლის ორი განჩინების მოპოვება – კომპიუტერული სისტემის ამოღებაზე და ამოღებული კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვაზე, რასაც არ გააჩნია ანალოგი მსოფლიო პრაქტიკაში. ამასთან, გაუგებარია, თუ ვისგან უნდა გამოითხოვონ ინფორმაცია, რომელიც ისედაც საგამომძიებო ორგანოს ხელშია.

უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების მომწოდებლებსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის მჭიდრო თანამშრომლობაზე დიდწილად არის დამოკიდებული კიბერდა-

ნაშაულის გამოძიების ეფექტიანობის ხარისხი. ამდენად, მიზანშეწონილია, გაზიარებულ იქნას რიგი ქვეყნების გამოცდილება და მოხდეს დანაშაულთა და კიბერდანაშაულთა კატეგორიზაცია, რომელთა მიხედვითაც შემუშავდება მომსახურების მომწოდებლებისგან ინფორმაციის გამოთხოვისა და რეზერვაციის განსხვავებული მიდგომები. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი დაკავშირებულია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთან ან ეხება ქვეყნის უსაფრთხო-

ების ინტერესებს, მომსახურების მომწოდებლებისგან ინფორმაციის რეზერვაცია უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, ხოლო გარკვეული სახის არაშინაარსობრივი ინფორმაციის მოპოვება სასამართლოს განჩინების გარეშე გახდეს ნებადართული. ხსენებული მიდგომის იმპლემენტირებისთვის საჭიროა როგორც საკანონმდებლო ცვლილებები, ასევე თანამშრომლობის თაობაზე მემორანდუმის გაფორმება საგამოძიებო უწყებებსა და მომსახურების მომწოდებლებს შორის.

Irakli Nadareishvili, Shota Kakulia

ANALYSIS OF PROCEDURAL PROBLEMS IN CYBERCRIME INVESTIGATIONS

Irakli Nadareishvili

Doctor of Law, Affiliated Associated professor of Caucasus International University Head of The Department to Investigate Offenses Committed in the Course of Legal Proceedings The Office of The General Prosecutor of Georgia

Shota Kakulia

Master of Law, Prosecutor of The Department to Investigate Offenses Committed in the Course of Legal Proceedings

KEYWORDS: Budapest Convention, Preservation of Computer Data, Requesting Information, Digital Evidence, Cybercrime

ABSTRACT

The approach used to investigate cybercrime in developed nations is examined in this article, along with the innovations that might be implemented in Georgia to ensure successful investigations. Detailing the procedures outlined under the Budapest Convention on Computer Crimes, attention is given to the procedural issues that crop up while gathering and presenting electronic evidence in criminal investigations. The convention's individual articles are examined, including those that

deal with information requests, and a comparison between the convention's legal provisions and the standards incorporated into Georgian law is made. The article examines the practice of collaboration between developed country law enforcement bodies and Internet service providers. The absence of computer data classification in Georgian law is highlighted, which results in the existence of a single, all-encompassing rule for all forms of electronic information. The paper

also covers court rulings on the admissibility of electronic evidence and offers advice on whether it would be wise to clarify or improve the criminal procedure laws. The article explains the need for varied time limits and tactics for getting and maintaining information from internet service providers based on the classification of cybercrimes into distinct crime categories, such as serious, particularly serious, and crimes against national security.

ბიბლიოგრაფია:

საკანონმდებლო აქტები:

1. კონვენცია „კომპიუტერული დანაშაულის შესახებ“ (2001). მუხლები: 2 – 5 და 16 – 21, ევროპის საბჭო. <<https://rm.coe.int/1680081561>>
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2009). მუხლი 136 (13.04.2022 წლის რედაქცია). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <<https://www.matsne.gov.ge/document/view/90034?publication=143>>
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2009). მუხლი 136 (21.06.2022 წლის რედაქცია). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=146>>

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. №18/548-16 განჩინება (2016). „საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“. თბილისის სააპელაციო სასამართლო. <<http://library.court.ge/judgements/92352016-04-04.pdf>>
2. №18/960-17 განჩინება (2017). „საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“. თბილისის სააპელაციო სასამართლო. <<http://library.court.ge/judgements/5582017-07-25.pdf>>

უცხოენოვანი ლიტერატურა:

1. Council of Europe (2001). “Explanatory Report to the Convention on Cybercrime”, Council of Europe. <<https://rm.coe.int/16800cce5b>>

BIBLIOGRAPHY:

Legal Acts:

1. “Convention on Cybercrime” (2001). Articles 2 – 5 and 16 – 21, Council of Europe. <<https://rm.coe.int/1680081561>> (In English)
2. Criminal Procedure Code of Georgia (2009). Article 136, Paragraph I, (13.04.2022 Edition). Legislative Herald of Georgia. <<https://www.matsne.gov.ge/document/view/90034?publication=143>> (In Georgian)
3. Criminal Procedure Code of Georgia (2009). Article 136, Paragraph I, (21.06.2022 Edition). Legislative Herald of Georgia. <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=146>> (In Georgian)

Court Orders:

1. Tbilisi Court of Appeals order №18/548-16 (2016). “Order on inadmissibility of evidence”. Tbilisi Court of Appeals. <<http://library.court.ge/judgements/92352016-04-04.pdf>> (In Georgian)
2. Tbilisi Court of Appeals order №18/960-17 (2017). “Order on inadmissibility of evidence”. Tbilisi Court of Appeals. <<http://library.court.ge/judgements/5582017-07-25.pdf>> (In Georgian)

Used Literature:

1. Council of Europe (2001). “Explanatory Report to the Convention on Cybercrime”, Council of Europe. <<https://rm.coe.int/16800cce5b>> (In English)
2. Kunappu.M., Jurich.M.(2017). Report on Georgia, “Draft legislation supplementing and amend-

2. Kunappu.M.,Jurich.M.(2017).ReportonGeorgia, “Draft legislation supplementing and amending various issues related to cybercrime and electronic evidence”. Cybercrime Convention Committee bureau and Council of Europe. <<https://rm.coe.int/3608-20-georgia-cybercrime-law-reform-review-final-19-april-2017/168076be28>>
 3. Cybercrime Convention Committee (2014). “Rules on obtaining subscriber information”. Report adopted by the T-CY at its plenary, Directorate General of Human Rights and Rule of Law, Council of Europe. <<https://rm.coe.int/16802e7ad1>>
 4. Council of Europe (2008). “Cooperation between law enforcement and Internet service providers against cybercrime”, Common guidelines. Cybercrime Programme Office of the Council of Europe (C-PROC), Council of Europe. <<https://rm.coe.int/2088-33-law-enforcement-isp-guidelines-2020/1680a091a7>>
 5. Georgian National Communications Commission, Ministry of Internal Affairs and Internet Service Providers, (2010). “Memorandum of Understanding between Georgian law enforcement and Internet providers based on the principles of cooperation in the field of cybercrime”. <<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016802fe136>>
- ing various issues related to cybercrime and electronic evidence”. Cybercrime Convention Committee bureau and Council of Europe. <<https://rm.coe.int/3608-20-georgia-cybercrime-law-reform-review-final-19-april-2017/168076be28>> (In English)
 3. Cybercrime Convention Committee (2014). “Rules on obtaining subscriber information”. Report adopted by the T-CY at its plenary, Directorate General of Human Rights and Rule of Law, Council of Europe. <<https://rm.coe.int/16802e7ad1>> (In English)
 4. Council of Europe (2008). “Cooperation between law enforcement and Internet service providers against cybercrime”, Common guidelines. Cybercrime Programme Office of the Council of Europe (C-PROC), Council of Europe. <<https://rm.coe.int/2088-33-law-enforcement-isp-guidelines-2020/1680a091a7>> (In English)
 5. Georgian National Communications Commission, Ministry of Internal Affairs and Internet Service Providers, (2010). “Memorandum of Understanding between Georgian law enforcement and Internet providers based on the principles of cooperation in the field of cybercrime”. <<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016802fe136>> (In English)

NOTES:

1. Council of Europe (2001). “Explanatory Report to the Convention on Cybercrime”, Council of Europe. p. 1. <<https://rm.coe.int/16800cce5b>> [Last access: 9 September, 2022]
2. “Convention on Cybercrime” (2001). Articles 2 – 5 and 16 – 21, Council of Europe. <<https://rm.coe.int/1680081561>> [Last access: 9 September, 2022]
3. “Convention on Cybercrime” (2001). Article 18, Council of Europe. <<https://rm.coe.int/1680081561>> [Last access: 9 September, 2022]
4. Council of Europe (2001). “Explanatory Report to the Convention on Cybercrime”, Council of Europe. P. 29. <<https://rm.coe.int/16800cce5b>> [Last access: 9 September, 2022]
5. Legislative Herald of Georgia, Criminal Procedure Code of Georgia (Date of Issuing: 09.10.2009, Article 136, Paragraph I, 13.04.2022 Edition (Last Accessed 09.09.2022) <<https://www.matsne.gov.ge/document/view/90034?publication=143>> [Last access: 9 September, 2022]
6. Legislative Herald of Georgia, Criminal Procedure Code of Georgia (Date of Issuing: 09.10.2009, Article 136, Paragraph I, 21.06.2022 Edition (Last Accessed 09.09.2022) <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=146>> [Last access: 9 September, 2022]

7. "Convention on Cybercrime" (2001). Article 18, Paragraph 3, Council of Europe. <<https://rm.coe.int/1680081561>> [Last access: 9 September, 2022]
8. Kunappu. M., Jurich. M. (2017). Report on Georgia, "Draft legislation supplementing and amending various issues related to cybercrime and electronic evidence". Cybercrime Convention Committee bureau and Council of Europe. p. 7. <<https://rm.coe.int/3608-20-georgia-cybercrime-law-reform-review-final-19-april-2017/168076be28>> [Last access: 9 September, 2022]
9. Cybercrime Convention Committee (2014). "Rules on obtaining subscriber information". Report adopted by the T-CY at its plenary, Directorate General of Human Rights and Rule of Law, Council of Europe. pp. 17-20. <<https://rm.coe.int/16802e7ad1>> [Last access: 9 September, 2022]
10. Council of Europe (2001). "Explanatory Report to the Convention on Cybercrime", Council of Europe. p. 29. <<https://rm.coe.int/16800ce5b>> [Last access: 9 September, 2022]
11. "Convention on Cybercrime" (2001). Article 16, Council of Europe. <<https://rm.coe.int/1680081561>> [Last access: 9 September, 2022]
12. "Convention on Cybercrime" (2001). Article 29, Council of Europe. <<https://rm.coe.int/1680081561>> [Last access: 9 September, 2022]
13. Council of Europe (2001). "Explanatory Report to the Convention on Cybercrime", Council of Europe. pp. 25-26. <<https://rm.coe.int/16800ce5b>> [Last access: 9 September, 2022]
14. Council of Europe (2008). "Cooperation between law enforcement and Internet service providers against cybercrime", Common guidelines. Cybercrime Programme Office of the Council of Europe (C-PROC), Council of Europe. p. 17. <<https://rm.coe.int/2088-33-law-enforcement-isp-guidelines-2020/1680a091a7>> [Last access: 9 September, 2022]
15. Council of Europe (2008). "Cooperation between law enforcement and Internet service providers against cybercrime", Common guidelines. Cybercrime Programme Office of the Council of Europe (C-PROC), Council of Europe. p. 18. <<https://rm.coe.int/2088-33-law-enforcement-isp-guidelines-2020/1680a091a7>> [Last access: 9 September, 2022]
16. Georgian National Communications Commission, Ministry of Internal Affairs and Internet Service Providers, (2010). "Memorandum of Understanding between Georgian law enforcement and Internet providers based on the principles of cooperation in the field of cybercrime". pp. 2-3. <<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016802fe136>> [Last access: 9 September, 2022]
17. Council of Europe (2008). "Cooperation between law enforcement and Internet service providers against cybercrime", Common guidelines. Cybercrime Programme Office of the Council of Europe (C-PROC), Council of Europe. pp. 17 – 19. <<https://rm.coe.int/2088-33-law-enforcement-isp-guidelines-2020/1680a091a7>> [Last access: 9 September, 2022]
18. Tbilisi Court of Appeals order №13/548-16 (2016). "Order on inadmissibility of evidence". Tbilisi Court of Appeals. <<http://library.court.ge/judgements/92352016-04-04.pdf>> [Last access: 9 September, 2022]
19. Tbilisi Court of Appeals order №13/960-17 (2017). "Order on inadmissibility of evidence". Tbilisi Court of Appeals. <<http://library.court.ge/judgements/5582017-07-25.pdf>> [Last access: 9 September, 2022]

სმარტ კონტრაქტის დადება

სალომე თებელაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სპეციალისტი

საკვანძო სიტყვები: ქვიანი კონტრაქტი, კრიპტოვალუტა, ალგორითმი

აბსტრაქტი

როდესაც ვსაუბრობთ ბლოქჩეინსა და გონიერ კონტრაქტებზე, აუცილებელია განვიხილოთ მათში მონაწილე მხარეები, მათი უფლება-ვალდებულებანი, ასევე, სმარტ კონტრაქტის დადების წინაპირობები, კერძოდ, ოფერტი და აქცეპტი. აგრეთვე გავიგოთ, როგორ გამოიყენება ის სამართლის სხვადასხვა დარგში.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ბლოქჩეინი მეოთხე თაობის ინდუსტრიულ რევოლუციად ითვლება. მის შექმნას მიაწერენ ვინმე საბოს, რომლის ვინაობაც დღემდე უცნობია. არც იმის შესახებ არსებობს დაზუსტებული ინფორმაცია – ეს ერთი პიროვნება იყო თუ პირთა ჯგუფი.

განვმართოთ ზოგადად კონტრაქტის მნიშვნელობა, ხელშეკრულების (კონტრაქტის) განმარტება შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ შემდეგნაირად, ხელშეკრულება (კონტრაქტი) არის ორი პირის მიერ დადებული გარიგება, რომელსაც უნდა მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი, ანუ მასში მონაწილე მხარეებს წარმოეშობათ უფლებები და მოვალეობები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ათასობით წელი გავიდა პირველი კონტრაქტების გაფორმებიდან თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება კონტრაქტების განვითარების პროცესში გასული საუკუნის განმავლობაში მოხდა.

სტატიაში დეტალურად იქნება განხილული ყველა ის საკითხი და პრობლემა, რომლებიც ფრიად მნიშვნელოვანია აღნიშნულთან მიმართებაში. აღწერილი იქნება, ბლოქჩეინსა და სმარტ კონტრაქტებში რა როლი აქვს ოფერტსა და აქცეპტს, რითი განსხვავდება ისინი ჩვეულებრივი სტანდარტული კონტრაქტისაგან, ასევე, ვისაუბრებთ სმარტ კონტრაქტის მხარეებზე და იმაზეც, თუ როგორ შეგვიძლია სამართლის სხვადასხვა დარგში მისი გამოყენება.

სმარტ კონტრაქტის მხარეთა უფლება-ვალდებულებანი

ათასობით წელი გავიდა პირველი კონტრაქტების გაფორმებიდან, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება კონტრაქტების განვითარების პროცესში გასული საუკუნის განმავლობაში მოხდა. ტრადიციულად, კონტრაქტები უმეტესწილად სამართლიანი მოლაპარაკების პროცესის შედეგი იყო, თანაბარი გარიგების მქონე დოკუმენტები მხარეებს შორის. ბოლო ათწლეულების განმავლობაში შესაძლებელი გახდა სტანდარტული კონტრაქტების მიმართ რეგულაციების უმეტესი ნაწილის ევოლუცია. იქნება ეს ზოგადი პირობების გამოყენების წესები თუ მომხმარებელთა დაცვის რეგულაციები. საერთო მიზანი იყო სტანდარტიზაციით დარღვეული თანაბარი მოლაპარაკებების ძალის აღდგენა. მიუხედავად დიდი რაოდენობით მიღებული რეგულაციებისა, ბევრი არაფერი დარჩა სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპთან დაკავშირებით, ყოველ შემთხვევაში, სამომხმარებლო კონტრაქტებთან მიმართებაში.¹ როგორც ჩვენთვის ცნობილია, ხელშეკრულების მხარეები გონიერი კონტრაქტებისა და სტანდარტული ხელშეკრულებების შემთხვევაში ერთი და იგივე პირები არიან, თუმცა ხელშეკრულება აბსოლუტურად განსხვავებული მეთოდით იდება. იგულისხმება, რომ სტანდარტული ხელშეკრულება იდება, ჩვეულებრივ, წერილობითი ფორმით, ხოლო გონიერი კონტრაქტის შემთხვევაში ეს ხორციელდება ელექტრონულად სპეციალური ჰემ კოდის დახმარებით, რომელიც ნებისმიერი განხორციელებული ოპერაციის დროს იცვლება და შეუძლებელია მისი განმეორება, აღნიშნულის საწყისად კითხვება ბლოქჩეინ ტექნოლოგია. ამავდროულად, როგორც წესი, ტრადიციული ხელშეკრულება გამოხატულია ბუნებრივი ენით ყოველგვარი ავტომატიზებული ასპექტების ან ელემენტების გარეშე (ე.ი. ხელშეკრულება, რომელიც არანაირად არ მოიცავს, არ და-

დებულა და არ სრულდება ან აღსრულდება კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით) ვერ ჩაითვლება „გონიერად“; მეორე მხრივ, სამართლებრივი პერსპექტივიდან, მხოლოდ კომპიუტერული პროგრამა ან კომპიუტერული კოდი, მხარეთა შეთანხმების გარეშე, რომელიც იყენებს ამ კომპიუტერულ პროგრამას ან კოდს, ვერ ჩაითვლება „კონტრაქტად“ დღევანდელ სამართლებრივ ჭრილში, იმის მიუხედავად, თუ რამდენად ეფექტიანი თუ გონივრულია კომპიუტერული პროგრამა ან კოდი წინასწარ დაპროგრამებული ნაბიჯების შესრულებაში. სინამდვილეში, ტერმინი „გონიერი“ ამ კონტექსტში ეხება ავტომატიზებულობის თვისებას – ე.ი. კომპიუტერული პროგრამის შესაძლებლობას, განახორციელოს გარკვეული ქმედებები ავტომატიზებული პროცესის შედეგად ამ დოკუმენტის მიზნებისთვის, ტერმინი „კონტრაქტი“ აღნიშნავს შეთანხმებას, რომელიც მიღწეულ იქნა მხარეთა შორის სამართლებრივად აღსრულებადი უფლებებისა და ვალდებულებების შედეგად.² ასეთი ტიპის ხელშეკრულების უნიკალურობა დადების პროცესში კიდევ იმითაა განპირობებული, რომ, სტანდარტული ხელშეკრულებისგან განსხვავებით, მასში მონაწილე პირების ვინაობა ანონიმური რჩება, ამავდროულად, გარდა ფიზიკური პირებისა, მხარეებში შეიძლება მოაზრებოდეს სმარტ კონტრაქტის მომსახურე კომპანია (პირობითად, აიტი კომპანია), რომელიც უზრუნველყოფს ამ გარიგების ნამდვილობას. ჭკვიანი კონტრაქტები შეიძლება იყოს უფრო მეტად „ჭკვიანური“, ვიდრე ქალაქის კონტრაქტები, რადგან მათ შეუძლიათ ავტომატურად შეასრულონ გარკვეული წინასწარ დაპროგრამებული ნაბიჯები, მაგრამ ისინი არ უნდა ჩაითვალოს როგორც ინტელექტუალური ინსტრუმენტები, რომლებსაც შეუძლიათ გაანალიზონ ხელშეკრულების უფრო სუბიექტური მოთხოვნები.³

1 Treichl, L., Fritz, G. (February 5 2018). *What's in a Smart Contract?* Lexology. <<https://www.lexology.com/library/detail.aspx?g=bac0889f-b321-444b-8227-7d3a904a83d2>> [ბოლო წვდომა: 10 მარტი, 2022]

2 Clifford chance, (ოქტომბერი 2018). გონიერი კონტრაქტები: სამართლებრივი ჩარჩო და სახელმძღვანელო მითითებები კანონმდებლებისთვის, გვ. 9 <<http://lawlibrary.info/ge/books/2019GIZ-GE-Smart-Contracts.pdf>> [ბოლო წვდომა: 20 მარტი, 2022]

3 Newell, C. K., Stern, A. W., (February 13, 2022). Delaware Supreme Court Affirms Termination of \$5.8 Billion Transaction. *Harvard Law School Forum on*

სმარტ კონტრაქტის მხარეები და მათი ფუნქცია-ვალდებულებანი უფრო დანვრითობით რომ განვიხილოთ, ამისათვის საჭიროა ვისაუბროთ – რა ტიპის ხელშეკრულება შეიძლება დავდოთ ელექტრონულად და როგორ. როგორც ვიცით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს უამრავი სახის ხელშეკრულებას, ეს შეიძლება იყოს ნასყიდობა, ქირავნობა, სასესხო ხელშეკრულება და სხვა უამრავი. პირობითად ვნახოთ, როგორ ხდება სასესხო ხელშეკრულების დადება და ვინ არიან ამ შემთხვევაში მხარეები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განერილია სესხთან დაკავშირებული საკითხები, რომლის მიხედვითაც მხარეებად გვევლინებიან გამსესხებელი და მსესხებელი. ორივე მხარეს ეკისრება ვალდებულება, რომლის შესრულებაც სავალდებულოა, ისინი თანხმდებიან სესხის გადახდის თარიღზე და სხვა დეტალებზე, სტანდარტული სესხის ხელშეკრულება იდება როგორც ზეპირად, ასევე, წერილობითი ფორმით, ხოლო რაც შეეხება სმარტ კონტრაქტებს, მხარეები აქაც იგივე პირობები რჩებიან – მსესხებელი და გამსესხებელი, უბრალოდ, იცვლება ხელშეკრულების დადების ფორმა.

პირობითად, მხარეები A და B დებენ გონიერი სესხის ხელშეკრულებას. გონიერი კონტრაქტის პროგრამა კოდირებულია, მიიღოს შეტყობინებები სანდო მონაცემთა წყაროსგან „ორაკლის“ მეშვეობით და ავტომატურად გასცეს გადახდის ინსტრუქციები ამ შეტყობინებების საფუძველზე, გონიერი კონტრაქტის პირობების შესაბამისად. როდესაც გონიერი კონტრაქტი მიიღებს შეტყობინებას, რომ ეს კალენდარული თვის ბოლო დღეა, ის გამოიყენებს საპროცენტო განაკვეთის შესახებ შეტყობინებას, რათა სწორად დაიანგარიშოს, გონიერი კონტრაქტიდან გამომდინარე, ყოველთვიური გადახდის ოდენობა. ამის შემდგომ, კომპიუტერული პროგრამა ავტომატურად აგზავნის ელექტრონულ ინსტრუქციას A მხარის ბანკში, რომ გადახდილ იქნეს ეს თანხა B-ს საბანკო ანგარიშზე. A მხარის ბანკი მოქმედებს ავტომატურად გენერირებულ

ინსტრუქციაზე და რიცხავს გადასახდელ თანხას B-ს საბანკო ანგარიშზე.⁴

როგორც ვხედავთ, სმარტ კონტრაქტებში მხარეებად გვევლინება კონკრეტული კონტრაქტის შესაბამისი პირები, რაშიც იგულისხმება, რომ თუ იდება გირავნობის ხელშეკრულება, მხარე იქნება გამქირავებელი და დამქირავებელი, სესხის ხელშეკრულებაში გამსესხებელი და მსესხებელი და ასე შემდეგ. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჭკვიანი კონტრაქტი არის თვითშესრულებადი ხელშეკრულება მყიდველსა და გამყიდველს შორის ხელშეკრულების პირობების პირდაპირ ჩანერილი კოდის ხაზებში. კოდი და მასში შემავალი შეთანხმებები არსებობს განანილებულ, დეცენტრალიზებულ ბლოკჩეინის ქსელში. კოდი აკონტროლებს მის შესრულებას. ჭკვიანი კონტრაქტები იძლევა სანდო ტრანზაქციებისა და შეთანხმებების განხორციელების საშუალებას განსხვავებულ, ანონიმურ მხარეებს შორის ცენტრალური ხელისუფლების, სამართლებრივი სისტემის ან გარე აღსრულების მექანიზმის გარეშე. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ვინაიდან ინოვაცია სწრაფად ვითარდება, ბევრი გაუგებრობაა მის მიზნებსა და შედეგებთან დაკავშირებით. იგულისხმება თვითდამონშება – ციფრული პროტოკოლი ავტომატურად შეამონშებს, ასრულებს თუ არა ორივე მხარე სახელშეკრულებო პასუხისმგებლობებს; ხელშეკრულების ხელყოფის საშუალება არ არის – მონაცემები, რომლებიც თავდაპირველად იყო შეთანხმებული ხელშეკრულების გაფორმების დროს, რადგან შეუძლებელია მისი შეიცვლა; მიუხედავად იმისა, რომ გონიერი კონტრაქტების მათემატიკა რთულია, ლოგიკა, რომლითაც ისინი მუშაობენ, შედარებით მარტივია. არსებითად, აღსრულების პროცესი მოიცავს სამ ნაბიჯს: ხელშეკრულება გაფორმებულია კომპიუტერული კოდით. შეთანხმება კოდიფიცირებულია ბლოკჩეინში – გავითვალისწინოთ, რომ კონტრაქტის მხარეები ანონიმურები არიან, თუ-

4 Clifford chance, (ოქტომბერი 2018). გონიერი კონტრაქტები: სასმართლებრივი ჩარჩო და სახელმძღვანელო მითითებები კანონმდებლებისთვის, გვ. 15-16 <<http://lawlibrary.info/ge/books/2019GIZ-GE-Smart-Contracts.pdf>> [ბოლო წვდომა: 25 მარტი, 2022]

Corporate Governance. <<https://corpgov.law.harvard.edu/2022/02/13/delaware-supreme-court-affirms-termination-of-5-8-billion-transaction/>> [ბოლო წვდომა: 25 ივლისი, 2022]

მცა ხელშეკრულება ინახება საჯარო წიგნის სახით. ჭკვიანი კონტრაქტი ავტომატურად სრულდება როგორც კი მითითებული თარიღი მიიღწევა ან პირობა დაემთხვევა, შეთანხმება გაფორმდება ადამიანთა ზედამხედველობის გარეშე ისე, როგორც ეს მითითებულია სანყის პირობებში.⁵ შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად კონტრაქტის არც თუ ისე მარტივი აგებულებისა, რადგან იგი დამოკიდებულია მათემატიკურ ალგორითმზე და საკმაოდ რთულია, მაინც ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო და განვითარებად სისტემად ითვლება, რადგან საუკუნეების განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, თუ რამდენად მარტივია ელექტრონულად მუშაობა, თანაც ისეთი ჰაკერული თავდასხმების ეპოქაში, როგორც დღევანდელ რეალობაში არსებობს.

სმარტ კონტრაქტის დადების წინაპირობები ოფერტი და აქცეპტი. ისტორიულად ცნობილია, რომ განსხვავებები ხელშეკრულებების ინტერპრეტაციაში და კონტრაქტების შედგენისას სამართლებრივი დავების მთავარი მიზეზი ხდება. დავების გადაწყვეტა და კონტრაქტები იდენტიფიცირებულია, როგორც ორგანიზაციების წინაშე მდგარი ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი რისკები და, მიუხედავად მტკიცებულებებისა, პროფესიული ხელშეკრულების პროცესები და შედგენის ტექნიკა არსებითად უცვლელი რჩება.⁶ სსკ 50-ე მუხლის მიხედვით გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.⁷ გარიგება

სამოქალაქო სამართლის ცენტრალურ ინსტიტუტს წარმოადგენს. იგი კერძო ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების განხორციელების მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტრუმენტია. გარიგება, როგორც კერძო სამართლის უზოგადესი ცნება, გამოიყენება არა მხოლოდ სამოქალაქო სამართალში, არამედ კერძო სამართლის სხვა ნაწილებში, მაგალითად, საკორპორაციო ან საავტორო სამართალში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 50-ე მუხლი შეიცავს გარიგების ლეგალურ დეფინიციას, რომლის თანახმად გარიგება არის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ მიმართული ნების გამოვლენა.⁸ შესაბამისად გარიგებას აქვს სახეები, რასიც იგულისხმება ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებები, განვიხილოთ თითვეული მათგანი ცალ-ცალკე.

ცალმხრივი გარიგება. ცალმხრივია გარიგება, რომლის ნამდვილობისათვის საკმარისია ერთი ნების გამოვლენის არსებობა, მაგალითად, ანდერძი ან ხელშეკრულების შეწყვეტა (მოშლა). რადგან სამართლებრივი შედეგის დადგომა მხოლოდ ერთი პირის ნებაზეა დამოკიდებული, რამაც სამართლებრივ სტაბილურობას შეიძლება საფრთხე შეუქმნას, კანონი დეტალურად აწესრიგებს ცალმხრივ გარიგებებსა და მათი გამოყენების წინაპირობებს. ცალმხრივი ნების გამოვლენით გამოწვეული სამართლებრივი შედეგი შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ ნების გამომვლენს ან მესამე პირს. რაც შეეხება ორმხრივს, ორმხრივია გარიგება, რომლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის აუცილებელია, სულ ცოტა, ორი ერთმანეთის თანმხვედრი ნების გამოვლენა.

ორმხრივი გარიგების კლასიკური მაგალითია ხელშეკრულება. ამ გაგებით ხელშეკრულება ყოველთვის ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგებაა.⁹ ხელშეკრულების

5 KOVALCHUK, D. (2020). *BENEFITS OF SMART CONTRACT ADOPTION*. Blaize.tech <<https://blaize.tech/article-type/smart-contracts-with-blockchain-how-it-can-help-startups-be-more-cost-efficient/#What-is-a-Smart-Contract>> [ბოლო წვდომა: 25 მარტი, 2022]

6 Solarte-Vásquez, M. C., Metcalf, K. N., (2017). Smart Contracting: A Multidisciplinary and Proactive Approach for the EU Digital Single Market, *Journal of European Studies* Vol. 7, No. 2 (23). <https://www.researchgate.net/publication/320243095_Smart_Contracting_A_Multidisciplinary_and_Proactive_Approach_for_the_EU_Digital_Single_Market> [ბოლო წვდომა: 25 მარტი, 2022]

7 საქართველოს საკონომდებლო მაცნე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 50. [26.06.1997]. <<https://www.matsne.gov.ge/ka/>

<[document/view/31702?publication=115](https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=115)> [ბოლო წვდომა: 25 მარტი, 2022]

8 ჭანტურია, ლ., (2015). შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბილისი, „სამართალი“. გვ. 312

9 ჭანტურია, ლ., (2015). შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბილისი, „სამართალი“. გვ. 315-316

დასადებად აუცილებელია ორი თანამთხვევადი ნების გამოვლენის ოფერტისა და აქცეპტის არსებობა. ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით ხელშეკრულების დადება არის სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის ჩვეულებრივი მოდელი. ხელშეკრულების დადების თაობაზე წინადადების შეთავაზება არის ოფერტი. პირი, რომელიც აკეთებს ასეთ წინადადებას, იწოდება ოფერენტად. ოფერტის ადრესატის თანხმობა, მიიღოს ეს წინადადება და დადოს ხელშეკრულება, არის აქცეპტი, ხოლო თანხმობის გამომხატველი პირი იწოდება აქცეპტანტად.

ოფერტი არის ცალმხრივი მიღება, სავალდებულო ნების გამოვლენა, რაშიც იგულისხმება, რომ ნების გამოვლენა ნამდვილია მაშინ, როდესაც ის მიდის მის ადრესატთან. ამავდროულად ორმხრივი ხელშეკრულების დროს მხარეებს ერთმანეთის მიმართ აქვთ როგორც უფლებები, ისე მოვალეობებიც, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში. ხოლო **მრავალმხრივ გარიგებების შემთხვევაში კი**, მრავალმხრივი გარიგების გავრცელებული ფორმაა გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება არა გამოვლენილ ნებათა კონსენსუსის საფუძველზე, არამედ გამოვლენილ ნებათა უმრავლესობის მიერ.

გადაწყვეტილებათა მიღების პირობები და პროცედურა ჩვეულებრივ კანონით განისაზღვრება, გადაწყვეტილებების, როგორც მრავალმხრივი გარიგებების, თავისებურება შეიძლება იმაშიც გამოიხატოს, რომ ისინი შეიძლება მხოლოდ და სავალდებულო გახდეს იმ პირთათვისაც, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ამ გადაწყვეტილების მიღებაში.¹⁰ როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტანდარტულ ხელშეკრულებაში ოფერტი არის შეთავაზება, ხოლო აქცეპტი თანხმობა, შესაბამისად ჯერ ხდება შეთავაზება და შემდეგ უნდა მოხდეს თანხმობა, თუმცა სმარტ კონტრაქტების შემთხვევაში ოფერტი და აქცეპტი ერთმანეთს ემთხვევა, რადგანაც სხვანაირად ვერ მოხდება ალგორითმული სისტემის აწყობა, რაც

იმას ნიშნავს, რომ მხარეებს შორის უნდა მოხდეს შეთანხმება, ხოლო ოფერტი და აქცეპტი უნდა იყოს თანამთხვევადი, შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება, თუ ორივე მხარე მიიღებს ბლოკჩეინ ვალდებულებას.

შეიძლება ითქვას, რომ სმარტ კონტრაქტების უმრავლესობა შეიცავდა შეთავაზებას ერთი მხრიდან მეორის მიმართ, მართლაც, მხარეები ჩვეულებრივ დებენ სტანდარტულ სმარტ კონტრაქტებს, რომლებიც უკვე წინასწარ იყო ჩაწერილი პროგრამის კოდში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ როდესაც მხარე სხვა მხარეს სთავაზობს ხელშეკრულების დადებას, ოფერენტის განზრახვა არის შეთავაზება სტანდარტული სმარტ კონტრაქტში მითითებული ფორმით. ამრიგად, ის ფაქტი, რომ სმარტ კონტრაქტი გამოქვეყნდა ბლოკჩეინზე, თავისთავად შეიძლება იყოს მტკიცებულება იმისა, რომ შეთავაზება და მიღება მოხდა. გამოქვეყნება ბლოკჩეინზე ნიშნავს, რომ გონიერი კონტრაქტი შეთანხმებულია და ჩაწერილია კომპიუტერულ კოდში და შემდეგ „ატვირთული“ იქნება ქსელში/ბლოკჩეინში. ბლოკჩეინის ბუნება შეიძლება გულისხმობდეს, რომ მხოლოდ სმარტ კონტრაქტები, რომლებიც დამტკიცებული და შეთანხმებული იქნება ყველა მხარის მიერ, გამოქვეყნდება ბლოკჩეინზე. ასევე, მხარეებს შორის არსებობს შეთანხმება გამოქვეყნებულ სმარტ კონტრაქტებში, რაც ნიშნავს, რომ არის შეთავაზება და მიღება, ანუ სხვაგვარად სმარტკონტრაქტი არ გამოქვეყნდებოდა ბლოკჩეინზე.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეთავაზებისა და მიღების ტრადიციული წესები პოტენციურად თავსებადია სმარტ კონტრაქტებთან, რადგან, სავარაუდოდ, გამოქვეყნებულ სმარტ კონტრაქტებში იქნება მხარეებს შორის¹¹. რაც შეეხება გონიერი კონტრაქტების შეცვლას და შეწყვეტას, ამჟამად არ არსებობს მარტივი გზა ჭკვიანი ხელშეკრულების შესაცვლელად, რაც გარკვეულ გამონაკვეთებს უქმნის ხელშემკვრელ მხარეებს. მაგალითად,

10 ჭანტურია, ლ., (2019). სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (წიგნი მესამე), ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი. გვ. 108-109 <http://lawlibrary.info/ge/books/giz2019-ge-civil-code-comm-III_book.pdf> [ბოლო წვდომა: 30 აგვისტო, 2022]

11 Egorov, R. How Do Smart Contracts Affect Offer and Acceptance? <<https://corpgov.law.harvard.edu/2018/05/26/an-introduction-to-smart-contracts-and-their-potential-and-inherent-limitations/>> [ბოლო წვდომა: 25 მარტი, 2022]

ტრადიციულ ტექსტურ კონტრაქტში, თუ მხარეები ორმხრივად შეთანხმდნენ თავიანთი საქმიანი გარიგების პარამეტრების შეცვლაზე, ან თუ კანონში მოხდა ცვლილება, მხარეებს შეუძლიათ სწრაფად შეიტანონ ცვლილება ამ ცვლილების შესასრულებლად, ან უბრალოდ შეცვალონ მათი ქცევის კურსი. სმარტ კონტრაქტები ამჟამად არ გვთავაზობენ ასეთ მოქნილობას. მართლაც, იმის გათვალისწინებით, რომ ბლოკჩეინები უცვლელია, ქვკვიანი კონტრაქტის შეცვლა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე სტანდარტული პროგრამული კოდის შეცვლა, რომელიც დამოკიდებული არ არის ბლოკჩეინზე. შედეგი არის ის, რომ ქვკვიანი კონტრაქტის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს უფრო მაღალი ტრანზაქციული ხარჯები, ვიდრე ტექსტურ კონტრაქტში შესწორება და გაზრდის ცდომილების ზღვარს, რომლის მხარეები ზუსტად არ ასახავენ იმ ცვლილებებს, რომელთა განხორციელებაც მათ სურთ. მსგავსი გამოწვევები არსებობს ქვკვიანი კონტრაქტის შეწყვეტასთან დაკავშირებით. ვივარაუდოთ, რომ მხარე აღმოაჩენს შეცდომას ხელშეკრულებაში, რომელიც აძლევს კონტრაგენტს უფრო მეტ უფლებას, ვიდრე ის იყო განსაზღვრული, ან ასკვნის, რომ მისი ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გაცილებით ძვირი დაჯდება, ვიდრე ელოდა. ტექსტზე დაფუძნებულ კონტრაქტში მხარეებს შეუძლიათ ჩაერთონ ან აცნობონ ხელშეკრულების დარღვევის თაობაზე, ეგრეთ წოდებულ „ეფექტურ დარღვევას“, ანუ შეგნებულად დაარღვიონ ხელშეკრულება და გადაიხადონ შედეგად მიყენებული ზიანი, თუ დაადგენს, რომ შესრულების ღირებულება უფრო დიდია ვიდრე ზიანი ვალში უფრო მეტიც, შესრულების შეწყვეტით, ან ამ ნაბიჯის გადადგმით გაფრთხილებით, მხარემ შეიძლება დააბრუნოს კონტრარგუმენტი მაგიდასთან მეგობრული გადაწყვეტის შესახებ მოლაპარაკებებისათვის. ბევრი ვისაუბრეთ სმარტ კონტრაქტების დადებით მხარეებსა და უპირატესობაზე თუმცა აუცილებელია კიდეც ერთხელ ხაზგასმით ვთქვათ, რომ ქვკვიანი კონტრაქტებს, რა თქმა უნდა, აქვთ ბლოკჩეინის ცნობილი უარყოფითი მხარეები. ისინი, როგორც ასეთი, უცვლელი არიან. ეს განასხვავებს მათ სამოქალაქო სამართლის ზოგადი წესისგან, რომ

ხელშეკრულებები უნდა ექვემდებარებოდეს შეფასების განხილვას. არსებობს უამრავი მიზეზი, რის გამოც ხელშეკრულება ან საქმიანი ქმედება სახელშეკრულებო ვალდებულების შესასრულებლად შეიძლება იყოს ბათილი, შეჩერებული ან სადავო. მნიშვნელოვანია შეფასდეს, უნდა დაბრუნდეს თუ არა რეალურად გაცვლილი მატერიალური ან ფულადი ღირებულებები. როგორც წესი, ამის მიღწევა შეუძლებელია ავტომატური პროგრამული კოდით. უბრალოდ შეუძლებელია წინასწარ განიხილოს და დაპროგრამდეს ყველა შემთხვევა. ამისთვის „ხელოვნური ინტელექტი“ (AI) იქნება საჭირო. მაშინაც კი, თუ ქვკვიანი კონტრაქტების შემუშავება ამ მიმართულებით მიდის – როგორც უნდა – უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ქვკვიანი კონტრაქტებს ამჟამად არ გააჩნიათ ეს ინტელექტი. იურიდიული თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა დისკუსია ე.წ. „ჰარდ-ფორკების“ გამოყენების შესახებ. მყარი ჩანგლები არის რეტროსპექტული ჩარევები ბლოკჩეინის არსებულ პროტოკოლში. ამრიგად, უცვლელობის პრინციპი ირღვევა. ეს, ერთის მხრივ, ნიშნავს გადახვევას თითოეული ბლოკჩეინის ძირითადი პრინციპიდან, მაგრამ, მეორე მხრივ, ის იძლევა კანონიერად გამოწვეულ დარღვევის წარმოდგენას შესრულების ურთიერთობაში. თუ აქ განვითარდება ქვკვიანი გადაწყვეტილებები, ქვკვიანი კონტრაქტების აპლიკაციების სპექტრი აუცილებლად გაფართოვდება.¹² ამჟამად მიმდინარეობს პროექტები ქვკვიანი კონტრაქტების შესაქმნელად, რომლებიც ნებისმიერ დროს წყდება და უფრო ადვილად შეიცვლება. მიუხედავად იმისა, რომ ეს გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ქვკვიანი კონტრაქტების უცვლელ და ავტომატიზირებულ ბუნებას, ის ასახავს იმ ფაქტს, რომ ქვკვიანი კონტრაქტები მიიღებენ მხოლოდ კომერციულ აღიარებას, თუ ისინი ასახავენ ბიზნეს რეალობას, თუ როგორ მოქმედებენ ხელშეკრული მხარეები.¹³ ქვკვიანი კონტრაქტე-

12 Engage – Legal insight and analysis, (24 October 2017). Hogan Lovells Europe: Blockchain – How “smart” are Smart Contracts? <<https://www.engage.hoganlovells.com/knowledgeservices/news/europe-blockchain-how-smart-are-smart-contracts>> [ბოლო წვდომა: 25 მარტი, 2022]

13 Maren K. Woebeking* The Impact of Smart Contracts

ბის შეცვლა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ტრადიციული ხელშეკრულების და ისინი შემოიფარგლება იმით, რომ კონტრაქტების კოდირება მოითხოვს სახელშეკრულებო პირობების გაზრდას. მეორე მხრივ, ქვვიანი კონტრაქტების ტექნიკური არქიტექტურა გთავაზობთ შესაძლებლობებს, ავტომატური თვითდახმარებიდან დაწყებული იურიდიულად განუხორციელებელი ხელშეკრულებების აღსრულებამდე. სწორედ ეს არის ქვვიანური კონტრაქტების ავტონომია არსებული საკონტრაქტო სამართლიდან, რაც საბოლოოდ ბადებს კითხვას: გახდება თუ არა აუცილებელი საკონტრაქტო სამართლის ადაპტაცია და რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდება ეს ადაპტაცია?

ასევე, რამდენიმე სიტყვით ვისაუბროთ რესტიტუციაზე. გარდა საკონტრაქტო ცვლილებებისა, რომელთა განხორციელებაც ორივე მხარეს სურს, არის შემთხვევები, როდესაც კანონი ითვალისწინებს სახელშეკრულებო კორექტირებას. კერძოდ, თუ ხელშეკრულება, რომელზედაც დაფუძნებულია ქვვიანი კონტრაქტი, შეწყდება, შესაძლოა საჭირო გახდეს ქვვიანური კონტრაქტების ეფექტის შემობრუნება.¹⁴ ბუნებრივია, რომ ტექნოლოგია განვითარდა და უფრო მეტი ორგანიზაცია იღებს ბლოკჩეინის ქვვიანი კონტრაქტების კონცეფციას. ქვვიანი კონტრაქტები არ მოითხოვს მხარეებს შუამავლების დაქირავებას მოლაპარაკებებისთვის. მათი შენახვა უფრო ადვილია, არ საჭიროებს ბეჭდვას, არ იკავებს ფიზიკურ ადგილს. რაც შეეხება გამჭვირვალობას ქვვიანი კონტრაქტის შემუშავებისას, ორივე მხარე აზუსტებს უმცირეს დეტალებს. აქედან გამომდინარე, არ არსებობს მნიშვნელოვანი პუნქტების გამოტოვების ან ერთმანეთის გაუგებრობის რისკი. ხელშემშლელი წინააღმდეგობის წყალობით, ქვვიანი კონტრაქტი იწვევს მასზე ხელმომწერი ორივე მხარის ნდობას. მიუხედავად იმისა, რომ

ქვვიანი კონტრაქტების დანერგვის კონცეფცია სულ რამდენიმე წლის წინ იქნა შემოღებული, კომპანიებმა უკვე დაიწყეს მისი დანერგვის პროცესი.¹⁵

ბლოკჩეინისა და გონიერი კონტრაქტების გამოყენება სამართლის სხვადასხვა დარგებში

ბოლო პერიოდში ბლოკჩეინისა და გონიერი კონტრაქტების გამოყენება ძალზე აქტუალური გახდა მსოფიოს სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა დარგში. მიუხედავად იმისა, რომ ბლოკჩეინზე როცა ვსაუბრობთ, ძირითადად მივდივართ ტექნიკური მიმართულებით, ეს სულაც არ არის ასე, რადგან ამ უნიკალური ტექნოლოგიის გამოყენება სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა დაიწყეს და საკმაოდ წარმატებულად გამოდგა. შესაბამისად. ამ ტექნოლოგიას იყენებს არა მხოლოდ ბიზნეს სექტორი, არამედ კერძო ორგანიზაციებიც აქტიურად ჩაერთვნენ ამ საქმიანობაში. ამის ერთ-ერთ მიზეზად შეგვიძლია დავასახელოთ ბლოკჩეინისა და სმარტ კონტრაქტების ბუნება, მათი მუშაობის პრინციპები, სიმარტივე და სისხარტე. რა თქმა უნდა, წლების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეს ტექნოლოგია მართლაც წარმატებულია ეკონომიკურ საქმიანობასთან მიმართებაში, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბოლო პერიოდში ამ სისტემას ბევრი სხვადასხვა სექტორი იყენებს. ამგვარი კონტრაქტების საშვალეებით იდება სხვადასხვა ტიპის სამართლებრივი ხელშეკრულებები, მაგალითად, მისი გამოყენება ძალზე აქტუალურია დაზღვევის სფეროში. რადგან დაზღვევა მეტ-ნაკლებად მაინც ბიზნესს სფეროს წარმოადგენს.

როგორც ვიცით, ქვვიანი კონტრაქტები ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გარეშე პრაქტიკულად წარმოუდგენელია. ქვვიანი კონტრაქტი არის ციფრულად ხელმომწერილი, გამოთვლითი ხელშეკრულება ორ ან მეტ მხარეს

on Traditional Concepts of Contract Law <https://www.jipitec.eu/issues/jipitec-10-1-2019/4880/JIPITEC_10_1_2019_106_Woebbeking> [ბოლო წვდომა: 25 მარტი, 2022]

14 Treichl, L., & Fritz, G. (February 5, 2018). What's in a Smart Contract? <<https://www.lexology.com/library/detail.aspx?g=bac0889f-b321-444b-8227-7d3a904a83d2>> [ბოლო წვდომა: 25 მარტი, 2022]

15 KOVALCHUK, D. (2020). BENEFITS OF SMART CONTRACT ADOPTION. Blaize.tech <<https://blaize.tech/article-type/smart-contracts-with-blockchain-how-it-can-help-startups-be-more-cost-efficient/#What-Is-a-Smart-Contract>> [ბოლო წვდომა: 25 მარტი, 2022]

შორის. ვირტუალურ მესამე მხარეს, ამ შემთხვევაში პროგრამულ აგენტს, შეუძლია შეასრულოს და აღასრულოს ასეთი ხელშეკრულებების ზოგიერთი პირობა. ქვკვიანი კონტრაქტი საშუალებას იძლევა ინფორმაციის გაზიარება და შესრულება მოხდეს უსაფრთხო გზით. მაგალითად, როგორც თუ/მაშინ პროგრამა: თუ დაზღვეული მანქანა ავარიაში მოყვა, მაშინ სადაზღვევო მოთხოვნა გადახდილია. სმარტ კონტრაქტის გამოყენება ბლოკჩეინში საშუალებას იძლევა ამ ტიპის გადახდის კონტრაქტი დასრულდეს ადამიანური ურთიერთქმედების გარეშე, რადგან ინფორმაცია უსაფრთხო და ავტომატიზირებულია. კონტრაქტის ავტომატიზაციით, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ შეუძლია ამ მძლავრ ტექნოლოგიას დაეხმაროს დიდ ორგანიზაციებს.¹⁶

ბევრი კვლევის შედეგად მეცნიერების ნაწილი ასახელებს ექვსს წესს, რომლის მიხედვითაც ისინი ამბობენ, რომ სიცოცხლის დაზღვევა ბევრად მარტივი და ფინანსურად მომგებიანი იქნება დაზღვეული პირისათვის და სამართლებრივადაც მარტივი, რადგან სმარტ კონტრაქტი ბლოკჩეინ ტექნოლოგიის დახმარებით თვითონ აგვარებს ყველა იმ დოკუმენტთან დაკავშირებულ პრობლემას, რასაც აქამდე ადამიანები აკეთებდნენ.

განვიხილოთ მისი გამოყენების შემთხვევების მიზანშეწონილობა და თუ როგორ შეუძლია ბლოკჩეინმა პირდაპირ და ირიბად გააუმჯობესოს მზღვეველის ძირითადი პროცესები და ბიზნეს მოდელები. გამოყენების შემთხვევები ეხება სადაზღვევო კომპანიის საოპერაციო ფუნქციების გაუმჯობესებას, ასევე, პროვაიდერებთან, შუამავლებთან და დაზღვეულებთან ურთიერთობას, რითაც უმჯობესდება მომხმარებლის გამოცდილება, იზრდება პროდუქტის ღირებულება და იქმნება საფუძველი ბაზარზე მომხმარებლის უფრო დიდი არჩევანისთვის. საბოლოო მიზანი არის ხარჯების შემცირება, ოპერატიული ეფექტურობის გაუმჯობესება და დაზღვეულთან ურთიერთობის გაძლიერება.¹⁷

16 Lounds, M., (July, 2020) *Blockchain and its Implications for the Insurance Industry*. Munich RE. <<https://www.munichre.com/us-life/en/perspectives/underwriting/blockchain-implications-insurance-industry.html>> [ბოლო წვდომა: 25 მარტი, 2022]

17 Chang, C. D., Friedman, S. (2016). *Blockchain in health*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრადიციულად, სადაზღვევო ინდუსტრია ეყრდნობა სანდო შუამავალს ტრანზაქციის შესასრულებლად მესამე მხარის ჩართვას, რაც პროცესს ანელებს და აძვირებს. ქვკვიანი კონტრაქტით არ არის საჭირო ადამიანის ჩარევა. პირველ რიგში, ეს ხელს უწყობს შუამავლის მიერ მანიპულირების რისკის შემცირებას და გამჭვირვალობის გაზრდას. იმის გათვალისწინებით, რომ ქვკვიანი კონტრაქტები ინახება ბლოკჩეინზე, ორივე მხარეს შეუძლია დაინახოს შესული ტრანზაქციები; მეორეც, ის მკვეთრად აჩქარებს საჩივრის დამუშავებას; მესამე, ეს ამცირებს მზღვეველს ადმინისტრაციულ ხარჯებს. შედეგად, კომპანიებს შეუძლიათ შეამცირონ პრემიები, გაზარდონ ბაზრის წილი; მეოთხე, არც მზღვეველს და არც მომხმარებელს არ შეუძლია „დაკარგოს“ ხელშეკრულების ინფორმაცია, რადგან პოლისები უსაფრთხოდ ინახება ბლოკჩეინზე.¹⁸

შესაბამისად ბლოკჩეინი არის მონაცემთა სტრუქტურა, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევქმნათ ტრანზაქციების ციფრული წიგნი და გავაზიაროთ ისინი კომპიუტერების განაწილებულ ქსელში.¹⁹ ბლოკჩეინის მთავარი სარგებელი არის ის, რომ ის აყალიბებს ნდობას მხარეებს შორის, რომლებიც აზიარებენ ინფორმაციას. გაზიარებული ინფორმაცია დაშიფრულია, როგორც ჩანაწერების ან ბლოკების ელექტრონული სია. მისი წაშლა შეუძლებელია, რაც ეხმარება მომხმარებლებს შორის ნდობის უზრუნველყოფას. ინფორმაციის ჩანერის შემდეგ, მისი შეცვლა შეუძლებელია ყველა ჩანაწერის შეცვლის გარეშე, რაც, ასევე, უზრუნველყოფს უსაფრთხო ტრანზაქციებს მომხმარებლებს შორის.

and life insurance. Deloitte. <<https://www2.deloitte.com/us/en/pages/life-sciences-and-health-care/articles/blockchain-in-insurance.html>> [ბოლო წვდომა: 22 იანვარი, 2022]

18 Kot, I., (1 December, 2020). *Smart Contracts in Insurance*. Insurance Thought Leadership. <<https://www.insurancethoughtleadership.com/smart-contracts-in-insurance/>> [ბოლო წვდომა: 29 აპრილი, 2022]

19 Lounds, M., (July 2020). *Blockchain and its Implications for the Insurance Industry*, Munich RE. <<https://www.munichre.com/us-life/en/perspectives/underwriting/blockchain-implications-insurance-industry.html>> [ბოლო წვდომა: 29 აპრილი, 2022]

ყველაფრის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სმარტ კონტრაქტები დაზღვევაში საკმაოდ წარმატებული ნაბიჯია, რაც ამცირებს დაზღვეულის ხარჯებსა და დროს, ხოლო რაც შეეხება კომპანიას ისიც ბევრად დაცულია სხვადასხვა სახის დაპირისპირებისაგან, გამომდინარე იქიდან, რომ საქმეში ჩართულია არა უშვალოდ სადაზღვეო კომპანიის თანამშრომელი, არამედ პროგრამა – კომპიუტერული ალგორითმი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ყველანაირი მოქმედება. ასევე, ამ ტექნოლოგიის გამოყენება ძალიან საჭიროა განათლების სისტემაშიც, კერძოდ დიპლომებთან მიმართებაში, იმის გათვალისწინებით, რომ ბლოკჩეინი აღრიცხავს ტრანზაქციებს შემონმებადი და მუდმივი გზით, ამიტომ ძალიან შესაფერისია სერტიფიკატების ან სხვა საგანმანათლებლო ნივთების თითის ანაბეჭდების შესანახად. ბლოკჩეინი ავლენს სერტიფიკატების გაყალბებას და მხარს უჭერს სწავლის ისტორიების შენახვას.²⁰ ბლოკჩეინზე დაფუძნებული ledger ტექნოლოგიების მრავალი პროგრამა და სარგებელი არსებობს განათლებისთვის, კერძოდ, მოსწავლის ჩანაწერები. აკადემიური ჩანაწერები დღესდღეობით აკადემიურ დაწესებულებებში ერთ-ერთი ყველაზე შრომატევადი და ამოცანაა. სტუდენტის ქულების დამონმებული ჩანაწერის გაცემამდე, თითოეული ჩანაწერი ხელით უნდა გადამონმდეს სიზუსტის უზრუნველსაყოფად.

შემდეგი, რისთვისაც ძალზედ საინტერესოა ეს სისტემა, არის დიპლომები და სერტიფიკატები. ისევე, როგორც შეფასებები, სტუდენტის დიპლომები და რწმუნებათა სიგელები შეიძლება გაიცეს და შეინახოს ბლოკჩეინზე. იმის ნაცვლად, რომ სთხოვონ დიპლომის გამცემი დაწესებულებას ქალაქის ასლის დამონმება, დამსაქმებლებს მხოლოდ ციფრული დიპლომის ბმული უნდა მიეწოდოს. ეს უკვე კეთდება. 2017 წელს MIT-მა დაიწყო კურსდამთავრებულებისთვის ციფრული,

ბლოკჩეინში შენახული დიპლომების გაცემა. ეს ხელს უშლის ადამიანებს, წარუდგინონ ყალბი დიპლომები პოტენციურ დამსაქმებლებს, სიტუაცია, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან ხშირია. აგრეთვე, საზღვარგარეთ საუბრობენ ბლოკჩეინის იმ კატეგორიაზე, რომელიც მასწავლებელს დაეხმარება დავალებების მიცემაში. კერძოდ, ამაში იგულისხმება, რომ ქვეყანი კონტრაქტის დახმარებით გაკვეთილები და კურსები დაპროგრამდეს ბლოკჩეინში და შესრულდეს ავტომატურად, როდესაც გარკვეული პირობები დაკმაყოფილებულია. მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებისთვის ამოცანების შედგენა. თითოეული დავალების დასრულება შეიძლება ავტომატურად დადასტურდეს ბლოკჩეინის ქვეყანი კონტრაქტებით. ყველა დავალების შესრულების შემდეგ, მასწავლებლებს შეეძლოთ გადახდა კრიპტო ტოკენებით და სტუდენტებს მიენიჭებათ კრედიტები. ამ გზით შეიძლება მთელი კურსების მოწყობა.²¹

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვისაუბროთ ბლოკჩეინისა და გონიერი კონტრაქტების შესაძლებლობებზე, მათ აუცილებლობასა და სიმარტივეზე. სტატიამ უკვე ვისაუბრეთ – თუ არის არის ბლოკჩეინი და გონიერი კონტრაქტები, რატომ არის ასეთი უნიკალური და რატომ უწოდებენ მას მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ნაწილს. იგი მართლაც რომ ძალზედ უნიკალურია თავისი შესაძლებლობებით, იმის გათვალისწინებით, რომ მას აქვს 32-ციფრიანი ჰეშ კოდი, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს რაიმე სახის ჰაკერულ თავდასხმას, რაც, თავისთავად, მეტ უსაფრთხოებას სთავაზობს მომხმარებელს, თუმცა აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ რადგანაც ის კომპიუტერული ალგორითმია, მაინც არსებობს იმის შანსი, რომ მოხდეს არევა, ესეც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამას არასწორად მივეცით დავალება.

20 Gräther, W., Kolvenbach, S., Ruland, R., Schütte, J., Torres, C., & Wendland, F. (2018). Blockchain for Education: Lifelong Learning Passport. *Reports of the European Society for Socially Embedded Technologies*: vol. 2, no. 10. <<https://dl.eusset.eu/handle/20.500.12015/3163>> [ბოლო წვდომა: 29 აპრილი, 2022]

21 Cedeño, J., (23 February, 2020). *How Blockchain Could Impact Education in 2020 and Beyond*. Getting Smart. <<https://www.gettingsmart.com/2020/02/23/how-blockchain-could-impact-education-in-2020-and-beyond/>> [ბოლო წვდომა: 29 აპრილი, 2022]

სტატიაში განხილულ მაქვს სმარტ კონტრაქტის მხარეთა უფლება ვალდებულებანი, სმარტ კონტრაქტის დადების წინაპირობები – ოფერტი და აქცეპტი, სადაც საუბარია სტანდარტულ ხელშეკრულებასთან მიმართებაში თუ როგორ ვიყენებთ გონიერ კონტრაქტს და ვხედავთ, რომ მათი დადება განსხვავდება ერთმანეთისაგან, რადგან სტანდარტულად ხელშეკრულება იდება ზეპირი ან წერილობითი ფორმით, ხოლო სმარტ კონტრაქტების შემთხვევაში ეს ხდება ელექტრონულად.

ხელშეკრულების დადების წინაპირობები იგივეა, რაც სტანდარტულ ხელშეკრულებაში, თუმცა მაინც აქვს რაღაც განსხვავებები, რადგან გონიერი კონტრაქტები და ბლოქჩეინი ჯერ მაინც არ არის ისეთი დახვეწილი როგორც ჩვეულებრივი სტანდარტული ხელშეკრულება, თუმცა, რასაკვირველია, მხარეები აქაც საჭიროა იმ განსხვავებებით, რომ მათ არ სჭირდებათ შუამავალი. რაც ჩვეულებრივი ხელშეკრულების დროს, ასევე, როგორც ვიცით, ოფერტი არის შეთავაზება და აქცეპტი თანხმობა, სტანდარტული ხელშეკრულების შემთხვევაში აუცილებელია ოფერტის გაკეთება, რასაც მოჰყვება აქცეპტი. სმარტ კონტრაქტების დროს კი ოფერტი და აქცეპტი ერთმანეთის თანხვედრია, რადგან სხვა შემთხვევაში ვერ მოხდება ხელშეკრულების დადება.

ასევე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ თითქმის ყველა ტიპის ხელშეკრულების დადებაა შესაძლებელი ბლოქჩეინის მეშვეობით – ეს იქნება სესხის, ნასყიდობის თუ სხვა ნებისმიერი ტიპის ხელშეკრულება, და დაიდება ისე, რომ მას არ დასჭირდება შუამავლის ჩარევა, ანუ ნებისმიერი ტრანზაქციის განხორციელება მოხდება შუამავლის გარეშე, რაც დამატებით კომფორტს უქმნის მხარეს. ასევე, იზოგება დრო და ფინანსები, ამავდროულად, ევროპაში, ასეა თუ ისე, მაინც მეტი პოპულარობით სარგებლობს ეს ტექნოლოგია სხვადასხვა დარგში, მაგალითად, მისი გამოყენება ხდება როგორც ბრალდებულთან მიმართებაში, ასევე განათლებასა და სხვადასხვა მსგავსი ტიპის საქმეებთან მიმართებაში. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი მოხმარება არის ძალიან ეფექტური როგორც სასამართლო, ასევე განათლების სისტემებში.

ჩემი აზრით, ძალიან კარგი იქნება, საქართველომაც რომ დანერგოს ზოგიერთ სისტემაში მაინც აღნიშნული ტექნოლოგია. საქართველოში ძალიან მართებული იქნება განათლებასთან მიმართებაში, რადგან როდესაც სტუდენტი სწავლობს უცხოეთში და ჩამოაქვს იქაური დიპლომი. ჩვენი ქვეყანა ითხოვს მის აღიარებას, რაც დამატებით დროსა და ხარჯებთანაა დაკავშირებული, ხოლო თუ მოხდება ბლოქჩეინისა და სმარტ კონტრაქტების მეშვეობით ამის დარეგულირება. მაშინ სისტემა ყველანაირ ინფორმაციას ავტომატურად მოაწვდის. ამავდროულად, ბლოქჩეინთან მიმართებაში აუცილებელია ვახსენოთ ეთერიუმი, რომელიც ყველაზე ცნობილ კრიპტოვალუტისათავეა. შედარებით მარტივად რომ ავხსნათ, ეთერიუმი ეს არის ღია პროგრამული პლატფორმა, რომელის გაჩენაც უკავშირდება ბლოქჩეინ ტექნოლოგიებს, რომელიც საშუალებას აძლევს დეველოპერებს შექმნან და განავითარონ დეცენტრალიზებული აპლიკაციები.

გამომდინარე აქედან, ვფიქრობ, რომ შესაძლოა სრულიად იდეალური არ იყოს ეს ახალი ტექნოლოგია, რადგან მაინც პროგრამა და მათემატიკურ ალგორითმზე დამოკიდებული, რაც არ გამორიცხავს რაიმე ტიპის შეცდომას, თუმცა ყველანაირი რისკი სტანდარტულ ხელშეკრულებასთან შედარებით მაინც შემცირებულია.

SIGNING A SMART CONTRACT

Salome Tezelashvili

PhD student of the faculty of law at the Caucasus International University, Specialist of the Department of Law and Administration at the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia

KEYWORDS: Smart contract, Cryptocurrency, Algorithm

ABSTRACT

When we talk about blockchain and smart contracts, it is necessary to consider the parties participating in them, their rights and obligations, as well as the prerequisites for concluding a smart contract, namely, offer and acceptance. We also have to understand how it is used in different fields of law.

As we are aware, blockchain is considered as the fourth generation industrial revolution. Its creation is related to a person named Sabo, it is still unknown who he was – it means that we do not have exact information, whether it was one person who created blockchain – part of the fourth industrial revolution or a group of people. At the same time, let's define the meaning of the contract in general, we can formulate the definition of the agreement (contract) as follows, the agreement (contract) is a deal concluded by two parties, which must have legal consequences, i.e. the parties participating in it have rights and obligations. It should also be noted, that thousands of years have passed since the first contracts were signed, however, the most significant change in the development of contracts occurred during the last century.

The article will discuss all the issues and problems that are very important in relation to this topic. The role of offer and acceptance in blockchain and smart contracts and how it differs from the usual standard contract will be described, we will also talk about the parties of the smart contract and how we can use it in different fields of law.

ბიბლიოგრაფია:**ქართულენოვანი ლიტერატურა:**

1. Clifford chance, (ოქტომბერი 2018). გონიერი კონტრაქტები: სამართლებრივი ჩარჩო და სახელმძღვანელო მითითებები კანონმდებლებისთვის. <<http://lawlibrary.info/ge/books/2019GIZ-GE-Smart-Contracts.pdf>> [ბოლო წვდომა: 20 მარტი, 2022]
2. ჭანტურია, ლ. (2015). შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბილისი, „სამართალი“;
3. ჭანტურია, ლ. (2019). სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (წიგნი მესამე), ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი. <http://lawlibrary.info/ge/books/giz2019gecivil_code_comm_III_book.pdf> [ბოლო წვდომა: 30 აგვისტო, 2022]
4. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 50. [26.06.1997] <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=115>> [ბოლო წვდომა: 25 მარტი, 2022]

უცხოენოვანი ლიტერატურა:

1. Treichl, L., Fritz, G. (February 5 2018). What's in a Smart Contract? Lexology. <<https://www.lexology.com/library/detail.aspx?g=bac0889f-b321-444b-8227-7d3a904a83d2>> [ბოლო წვდომა: 10 მარტი, 2022]
2. KOVALCHUK, D. (2020). BENEFITS OF SMART CONTRACT ADOPTION. Blaize.tech. <<https://blaize.tech/article-type/smart-contracts-with-blockchain-how-it-can-help-startups-be-more-cost-efficient/#What-Is-a-Smart-Contract>> [ბოლო წვდომა: 25 მარტი, 2022]
3. Solarte-Vásquez, M. C., Metcalf. K. N., (2017). Smart Contracting: A Multidisciplinary and Proactive Approach for the EU Digital Single Market, Journal of European Studies Vol. 7, No. 2 (23). <https://www.researchgate.net/publication/320243095_Smart_Contracting_A_Multidisciplinary_and_Proactive_Approach_for_the_EU_Digital_Single_Market> [ბოლო წვდომა: 25 მარტი, 2022]
4. Egorov, R How Do Smart Contracts Affect Offer and Acceptance? <<https://corpgov.law.harvard.edu/2018/05/26/an-introduction-to-smart-contracts-and-their-potential-and-inherent-limitations/>> [ბოლო წვდომა: 25 მარტი, 2022]

BIBLIOGRAPHY:**Georgian language literature:**

1. Clifford chance, (October 2018). Wise Contracts: Legal Framework and Guidelines for Legislators. <<http://lawlibrary.info/ge/books/2019GIZ-GE-Smart-Contracts.pdf>> (in Georgian)
2. Chanturia, L. (2015). Introduction to the General Part of Civil Law. Tbilisi “Samartali”. (in Georgian)
3. Chanturia, L. (2019). Commentary on the Civil Code (book three), general part of the law of obligations. Tbilisi. <http://lawlibrary.info/ge/books/giz2019gecivil_code_comm_III_book.pdf> (in Georgian)
4. Legislative Herald of Georgia, Civil Code of Georgia, Article 50. [26.06.1997] <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=115>> (in Georgian)

Foreign language literature:

1. Treichl, L., Fritz, G. (February 5 2018). What's in a Smart Contract? Lexology. <<https://www.lexology.com/library/detail.aspx?g=bac0889f-b321-444b-8227-7d3a904a83d2>> [Last seen: 10 March, 2022]. (In English)
2. KOVALCHUK, D. (2020). BENEFITS OF SMART CONTRACT ADOPTION. Blaize.tech <<https://blaize.tech/article-type/smart-contracts-with-blockchain-how-it-can-help-startups-be-more-cost-efficient/#What-Is-a-Smart-Contract>> [Last seen: 25 March, 2022]. (In English)
3. Solarte-Vásquez, M. C., Metcalf. K. N., (2017). Smart Contracting: A Multidisciplinary and Proactive Approach for the EU Digital Single Market, Journal of European Studies Vol. 7, No. 2 (23). <https://www.researchgate.net/publication/320243095_Smart_Contracting_A_Multidisciplinary_and_Proactive_Approach_for_the_EU_Digital_Single_Market> [Last seen: 25 March, 2022]. (In English)
4. Egorov, R How Do Smart Contracts Affect Offer and Acceptance? <<https://corpgov.law.harvard.edu/2018/05/26/an-introduction-to-smart-contracts-and-their-potential-and-inherent-limitations/>> (In English)
5. Engage – Legal insight and analysis, (24 October 2017). Hogan Lovells Europe: Blockchain – How “smart” are Smart Contracts? <<https://www.engage.hoganlovells.com/knowledg->

5. Engage – Legal insight and analysis, (24 October 2017). Hogan Lovells Europe: Blockchain – How “smart” are Smart Contracts? <<https://www.engage.hoganlovells.com/knowledgeservices/news/europe-blockchain-how-smart-are-smart-contracts>> [ბოლო წვდომა: 25 მარტი, 2022]
6. Maren, K. Woebeking. The Impact of Smart Contracts on Traditional Concepts of Contract Law. <https://www.jipitec.eu/issues/jipitec-10-1-2019/4880/JIPITEC_10_1_2019_106_Woebeking> [ბოლო წვდომა: 25 მარტი, 2022]
7. Treichl, L., Fritz, G. (February 5 2018). What's in a Smart Contract? <<https://www.lexology.com/library/detail.aspx?g=bac0889f-b321-444b-8227-7d3a904a83d2>> [ბოლო წვდომა: 10 მარტი, 2022]
8. Lounds, M., (July 2020). Blockchain and its Implications for the Insurance Industry. Munich RE. <<https://www.munichre.com/us-life/en/perspectives/underwriting/blockchain-implications-insurance-industry.html>> [ბოლო წვდომა: 29 აპრილი, 2022]
9. Chang, C. D., Friedman, S. (2016). Blockchain in health and life insurance. Deloitte. <<https://www2.deloitte.com/us/en/pages/life-sciences-and-health-care/articles/blockchain-in-insurance.html>> [ბოლო წვდომა: 29 აპრილი, 2022]
10. Kot, I., (1 December, 2020). Smart Contracts in Insurance. Insurance ThoughtLeadership. <<https://www.insurancethoughtleadership.com/smart-contracts-in-insurance/>> [ბოლო წვდომა: 29 აპრილი, 2022]
11. Gräther, W., Kolvenbach, S., Ruland, R., Schütte, J., Torres, C., & Wendland, F. (2018). Blockchain for Education: Lifelong Learning Passport. Reports of the European Society for Socially Embedded Technologies: vol. 2, no. 10. <<https://dl.eusset.eu/handle/20.500.12015/3163>> [ბოლო წვდომა: 29 აპრილი, 2022]
12. Cedeño, J., (23 February, 2020). How Blockchain Could Impact Education in 2020 and Beyond? Getting Smart. <<https://www.gettingsmart.com/2020/02/23/how-blockchain-could-impact-education-in-2020-and-beyond/>> [ბოლო წვდომა: 29 აპრილი, 2022]
13. Newell, C. K., Stern, A. W., (February 13, 2022). Delaware Supreme Court Affirms Termination of \$5.8 Billion Transaction. Harvard Law School Forum on Corporate Governance. <<https://corpgov.law.harvard.edu/2022/02/13/delaware-supreme-court-affirms-termination-of-5-8-billion-transaction/>> [ბოლო წვდომა: 29 აპრილი, 2022]
14. Solarte-Vásquez, M. C., Metcalf, K. N., (2017). Smart Contracting: A Multidisciplinary and Proactive Approach for the EU Digital Single Market, Journal of European Studies Vol. 7, No. 2 (23). <https://www.researchgate.net/publication/320243095_Smart_Contracting> (In English)
6. Maren, K. Woebeking* The Impact of Smart Contracts on Traditional Concepts of Contract Law. <https://www.jipitec.eu/issues/jipitec-10-1-2019/4880/JIPITEC_10_1_2019_106_Woebeking> (In English)
7. Treichl, L., & Fritz, G. (February 5 2018). What's in a Smart Contract? <<https://www.lexology.com/library/detail.aspx?g=bac0889f-b321-444b-8227-7d3a904a83d2>> (In English)
8. Lounds, M., (July 2020). Blockchain and its Implications for the Insurance Industry. Munich RE. <<https://www.munichre.com/us-life/en/perspectives/underwriting/blockchain-implications-insurance-industry.html>> (In English)
9. Chang, C. D., Friedman, S. (2016). Blockchain in health and life insurance. Deloitte. <<https://www2.deloitte.com/us/en/pages/life-sciences-and-health-care/articles/blockchain-in-insurance.html>> (In English)
10. Kot, I., (1 December, 2020). Smart Contracts in Insurance. Insurance ThoughtLeadership. <<https://www.insurancethoughtleadership.com/smart-contracts-in-insurance/>> (In English)
11. Gräther, W., Kolvenbach, S., Ruland, R., Schütte, J., Torres, C., & Wendland, F. (2018). Blockchain for Education: Lifelong Learning Passport. Reports of the European Society for Socially Embedded Technologies: vol. 2, no. 10. <<https://dl.eusset.eu/handle/20.500.12015/3163>> (In English)
12. Cedeño, J., (23 February, 2020). How Blockchain Could Impact Education in 2020 and Beyond? Getting Smart. <<https://www.gettingsmart.com/2020/02/23/how-blockchain-could-impact-education-in-2020-and-beyond/>> (In English)
13. Newell, C. K., Stern, A. W., (February 13, 2022). Delaware Supreme Court Affirms Termination of \$5.8 Billion Transaction. Harvard Law School Forum on Corporate Governance. <<https://corpgov.law.harvard.edu/2022/02/13/delaware-supreme-court-affirms-termination-of-5-8-billion-transaction/>> (In English)
14. Solarte-Vásquez, M. C., Metcalf, K. N., (2017). Smart Contracting: A Multidisciplinary and Proactive Approach for the EU Digital Single Market, Journal of European Studies Vol. 7, No. 2 (23). <https://www.researchgate.net/publication/320243095_Smart_Contracting> (In English)

- წვდომა: 25 ივლისი, 2022]
14. Solarte-Vásquez, M. C., Metcalf. K. N., (2017). Smart Contracting: A Multidisciplinary and Proactive Approach for the EU Digital Single Market, Journal of European Studies Vol. 7, No. 2 (23). <https://www.researchgate.net/publication/320243095_Smart_Contracting_A_Multidisciplinary_and_Proactive_Approach_for_the_EU_Digital_Single_Market> [ბოლო წვდომა: 25 მარტი, 2022]
 15. Hogan Lovells Europe: Blockchain – How “smart” are Smart Contracts? (24 October, 2017) <<https://www.engage.hoganlovells.com/knowledgeservices/news/europe-blockchain-how-smart-are-smart-contracts>> [ბოლო წვდომა: 25 მარტი, 2022]
 16. Shaw, G. Blockchain in health and life insurance <<https://www2.deloitte.com/us/en/pages/life-sciences-and-health-care/articles/blockchain-in-insurance.html>> [ბოლო წვდომა: 25 მარტი, 2022]
 17. [ing A Multidisciplinary and Proactive Approach for the EU Digital Single Market>](#) (In English)
 15. Hogan Lovells Europe: Blockchain – How “smart” are Smart Contracts? (24 October, 2017) <<https://www.engage.hoganlovells.com/knowledgeservices/news/europe-blockchain-how-smart-are-smart-contracts>> (In English)
 16. Shaw, G. Blockchain in health and life insurance <<https://www2.deloitte.com/us/en/pages/life-sciences-and-health-care/articles/blockchain-in-insurance.html>> (In English)

NOTES:

1. Treichl, L., Fritz, G. (February 5 2018). What’s in a Smart Contract? Lexology. <<https://www.lexology.com/library/detail.aspx?g=bac0889f-b321-444b-8227-7d3a904a83d2>> [Last seen: 10 March, 2022]
2. Clifford chance, (October 2018). Wise Contracts: Legal Framework and Guidelines for Legislators, p. 9 <<http://lawlibrary.info/ge/books/2019GIZ-GE-Smart-Contracts.pdf>> [Last seen: 20 March, 2022]
3. Newell, C. K., Stern, A. W., (February 13, 2022). Delaware Supreme Court Affirms Termination of \$5.8 Billion Transaction. Harvard Law School Forum on Corporate Governance. <<https://corpgov.law.harvard.edu/2022/02/13/delaware-supreme-court-affirms-termination-of-5-8-billion-transaction/>> [Last seen: 25 July, 2022]
4. Clifford chance, (October 2018). Wise Contracts: Legal Framework and Guidelines for Legislators, pp. 15-16 <<http://lawlibrary.info/ge/books/2019GIZ-GE-Smart-Contracts.pdf>> [Last seen: 25 March, 2022]
5. KOVALCHUK, D. (2020). BENEFITS OF SMART CONTRACT ADOPTION. Blaize.tech <<https://blaize.tech/article-type/smart-contracts-with-blockchain-how-it-can-help-startups-be-more-cost-efficient/#What-Is-a-Smart-Contract>> [Last seen: 25 March, 2022]
6. Solarte-Vásquez, M. C., Metcalf. K. N., (2017). Smart Contracting: A Multidisciplinary and Proactive Approach for the EU Digital Single Market, Journal of European Studies Vol. 7, No. 2 (23). <https://www.researchgate.net/publication/320243095_Smart_Contracting_A_Multidisciplinary_and_Proactive_Approach_for_the_EU_Digital_Single_Market> [Last seen: 25 March, 2022]
7. Legislative Herald of Georgia, Civil Code of Georgia, Article 50. [26.06.1997]. <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=115>> [Last seen: 25 March, 2022]

8. Chanturia, L. (2015). Introduction to the General Part of Civil Law. Tbilisi "Samartali". p. 312.
9. Chanturia, L. (2015). Introduction to the General Part of Civil Law. Tbilisi "Samartali". pp. 315-316.
10. Chanturia, L. (2019). Commentary on the Civil Code (book three), general part of the law of obligations. Tbilisi. pp. 108-109 http://lawlibrary.info/ge/books/giz2019-ge-civil_code_comm_III_book.pdf [Last seen: 30 August, 2022]
11. Egorov, R. How Do Smart Contracts Affect Offer and Acceptance? <<https://corpgov.law.harvard.edu/2018/05/26/an-introduction-to-smart-contracts-and-their-potential-and-inherent-limitations/>> [Last seen: 25 March, 2022]
12. Engage – Legal insight and analysis, (24 October 2017). Hogan Lovells Europe: Blockchain – How “smart” are Smart Contracts? <<https://www.engage.hoganlovells.com/knowledgeservices/news/europe-blockchain-how-smart-are-smart-contracts>> [Last seen: 25 March, 2022]
13. Maren K. Woebbeking* The Impact of Smart Contracts on Traditional Concepts of Contract Law <https://www.jipitec.eu/issues/jipitec-10-1-2019/4880/JIPITEC_10_1_2019_106_Woebbeking> [Last seen: 25 March, 2022]
14. Treichl, L., & Fritz, G. (February 5 2018). What’s in a Smart Contract? <<https://www.lexology.com/library/detail.aspx?g=bac0889f-b321-444b-8227-7d3a904a83d2>> [Last seen: 25 March, 2022]
15. KOVALCHUK, D. (2020). BENEFITS OF SMART CONTRACT ADOPTION. Blaize.tech <<https://blaize.tech/article-type/smart-contracts-with-blockchain-how-it-can-help-startups-be-more-cost-efficient/#What-Is-a-Smart-Contract>> [Last seen: 25 March, 2022]
16. Lounds, M., (July, 2020) Blockchain and its Implications for the Insurance Industry. Munich RE. <<https://www.munichre.com/us-life/en/perspectives/underwriting/blockchain-implications-insurance-industry.html>> [Last seen: 25 March, 2022]
17. Chang, C. D., Friedman, S. (2016). Blockchain in health and life insurance. Deloitte. <<https://www2.deloitte.com/us/en/pages/life-sciences-and-health-care/articles/blockchain-in-insurance.html>> [Last seen: 22 January, 2022]
18. Kot, I., (1 December, 2020). Smart Contracts in Insurance. Insurance Thought Leadership. <<https://www.insurancethoughtleadership.com/smart-contracts-in-insurance/>> [Last seen: 29 April, 2022]
19. Lounds, M., (July 2020). Blockchain and its Implications for the Insurance Industry, Munich RE. <<https://www.munichre.com/us-life/en/perspectives/underwriting/blockchain-implications-insurance-industry.html>> [Last seen: 29 April, 2022]
20. Gräther, W., Kolvenbach, S., Ruland, R., Schütte, J., Torres, C., & Wendland, F. (2018). Blockchain for Education: Lifelong Learning Passport. Reports of the European Society for Socially Embedded Technologies: vol. 2, no. 10. <<https://dl.eusset.eu/handle/20.500.12015/3163>> [Last seen: 29 April, 2022]
21. Cedeño, J., (23 February, 2020). How Blockchain Could Impact Education in 2020 and Beyond. Getting Smart. <<https://www.gettingsmart.com/2020/02/23/how-blockchain-could-impact-education-in-2020-and-beyond/>> [Last seen: 29 April, 2022]

საქმე *The Dead Sea Scrolls*:

ინდიველუენტური საკუთრების დავის

თავისებურებანი სამართალმცოდნეობის

კერძო სამართლებრივ ჭრილში

თამარ მსხვილიძე

სამართლის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის
სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

საკვანძო სიტყვები: იდენტიფიკაცია, პრეზუმფცია, საავტორო
უფლებები, მორალური უფლებები

აბსტრაქტი

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი არქეოლოგიური აღმოჩენა, რომელმაც არა მხოლოდ მსოფლიოს აკადემიური წრეებისა და საინფორმაციო საშუალებათა ყურადღება მიიპყრო, არამედ ხანგრძლივი სამართლებრივი დავის საგანი გახდა, „მკვდარი ზღვის გრაფილების“ სახელწოდებით არის ცნობილი. გრაფილების შესახებ არაფერი იყო ცნობილი, მათი შექმნის დროიდან მეოცე საუკუნის შუა ხანებამდე, მათ აღმოჩენამდე. გრაფილები უნიკალურია ენით, სტილითა და შინაარსით. ებრაული საავტორო უფლებათა კანონმდებლობა საერთო სამართალს ეფუძნება, დროთა განმავლობაში მას დაემატა კონტინენტური სამართლის ელემენტებიც. მორალური უფლებები საავტორო კანონში შევიდა 1981 წელს. წლების განმავლობაში, ისრაელის საავტორო უფლებების კანონი გარკვეულწილად განსხვავდებოდა ინგლისური ანალოგისაგან. ისრაელის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებამ დიდი გავლენა მოახდინა საავტორო უფლებათა კანონმდებლობაზე, ხაზგასმით გამოკვეთა ორიგინალობის კონცეფცია და მორალური უფლებები, კოლიზიური ნორმის არჩევანი და იდენტიფიკაცია. სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო იმ მეცნიერის სასარგებლოდ, რომელმაც მრავალი წელი დახარჯა ერთ-ერთი გრაფილის

ტექსტის გაშიფვრაში და დაეთანხმა ქვემდგომ ინსტანციას, რომელმაც ტექსტებზე საავტორო უფლებები პროფესორ ქიმრონს მიაკუთვნა. ნაშრომი ასახავდა 2000 წელზე მეტი ხნის წინ დაწერილ ორიგინალ ტექსტს, გამო-

რჩეულად მნიშვნელოვან გრაგნილს გამოგნებელი შინაარსით. მოგვიანებით, უზენაესმა სასამართლომ ქიმრონის შრომის შედეგს „გაშიფრული ტექსტი“ უწოდა.

*პიროვნებას ყოველთვის აქვს რაღაც უნიკალური, იგი თავის ორიგინალურობას ხელწერითაც კი გამოხატავს. ხელოვნების ძალიან მოკრძალებული ხარისხი მინიმალურად მაინც არის მასში. სწორედ ამის დაცვა შეუძლია თითოეულ ადამიანს, თუ საავტორო უფლებების კანონმდებლობით ეს დაშვებულია.**

*საავტორო უფლების 90% ფულთან არის დაკავშირებული, დარჩენილი 10% ასევე შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი. აღნიშნული 10% არის droit moral. ავტორი სარგებლობს უფლებით პატივი სცენ მის სახელს, ავტორობასა და ნაწარმოებს. უფლება თან სდევს სუბიექტს. ის არის მუდმივი, განუყოფელი და განუსაზღვრელი.***

შესავალი

მკვდარი ზღვის გრაგნილები ძველი ებრაული მანუსკრიპტებია, რომელიც ნაპოვნია კუმრანის გამოქვაბულებში, იუდეის უდაბნოში. გრაგნილები პირველად 1950-იან წლებში აღმოაჩინეს კუმრანის „გამოქვაბულ N4-ში“, რომელშიც სხვადასხვა გრაგნილის 15000 ფრაგმენტი იქნა ნაპოვნი.¹

გრაგნილების შესახებ არაფერი იყო ცნობილი, მათი შექმნის დროიდან მეოცე საუკუ-

ნის შუა ხანებამდე, მათ აღმოჩენამდე. ათასობით ფრაგმენტს აღმოსავლეთ იერუსალიმში (იმხანად იორდანის იურისდიქციას ექვემდებარებოდა) იორდანიელების გადაწყვეტილებით სწავლობდა მკვლევართა მცირე საერთაშორისო ჯგუფი, რომელთაც ექსკლუზიური წვდომა ჰქონდათ არქეოლოგიურ მასალებზე. მომდევნო წელს, ექვსდღიანი ომის დროს, ისრაელმა აღმოსავლეთ იერუსალიმი აიღო, მუზეუმი მათი კონტროლის ქვეშ გადავიდა და დაიბრუნა ძველი, როკფელერის სახელწოდება. 1967 წლიდან გრაგნილთა კვლევის ასეთი პოლიტიკა ისრაელის სიძველეთა სამსახურმაც განაგრძო. ჯგუფს გადაწყვეტილი ჰქონდა, არავისთვის მიეცა გრაგნილების ნახვის უფლება, სანამ კვლევის ოფიციალურ შედეგებს არ გამოაქვეყნებდნენ.²

გრაგნილთა რეკონსტრუქციის ხელმძღვანელად დაინიშნა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ სტრუგენელი, პირველი მკვლევარი, რომელიც ჩაერთო ფრაგმენტების ერთ გრაგნილად შეკვრაში.³ იუდეის გამოქვა-

* Justice Oliver Wendell Holmes, Jr. Nimmer, D., (2001). HOUSTON LAW REVIEW, COPYRIGHT IN THE DEAD SEA SCROLLS AUTHORSHIP AND ORIGINALITY, 7.

** STEWART, S. M., (1989). INTERNATIONAL COPYRIGHT AND NEIGHBORING RIGHTS, Butterworths 2d ed. 58.

1 იუდეის უდაბნოს ფერდობებზე, მკვდარი ზღვის მახლობლად 1947-1956 წლებში, 800-ზე მეტი უძველესი მანუსკრიპტი აღმოაჩინეს გამოქვაბულებში. ისინი შეიცავდნენ ტექსტებს ბიბლიის ყველა წიგნიდან, გარდა ერთისა (ესთერის წიგნი); დანარჩენი მანუსკრიპტები წარმოადგენდნენ ძველ, არაბიბლიურ ებრაულ ტექსტებს: აპოკრიფებსა და ფსევდოპიგრაფებს. ზედმეტია იმის თქმა, რომ გრაგნილები იძლევა პირდაპირ მტკიცებულებას იუდაიზმის კონსოლიდაციისა და ქრისტიანობის გაჩენის პერიოდის შესახებ და გასაკვირი არ არის, რომ ისინი მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან არქეოლოგიურ აღმოჩენად ითვლება. Birnhack, D. M. (2001). The Dead Sea Scrolls Case: Who is an Author, European Intellectual Property Review Case Comment, Sweet and Maxwell Limited and Contributors, 1. Birnhack, D. M. (2001). The Dead Sea Scrolls Case – Translation, 3.

2 Nimmer, D., (2001). HOUSTON LAW REVIEW, COPYRIGHT IN THE DEAD SEA SCROLLS AUTHORSHIP AND ORIGINALITY, 54, 55, 56.

3 ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი სტრუგენელი აღნიშნავდა: „ეს გრაგნილები უნიკალურია ენით, სტილითა და შინაარსით. ენობრივი და თეოლოგიური ანალიზის გამოყენებით, ორიგინალი ტექსტი დათარიღებულია, როგორც კუმრანის სექტის ერთ-ერთი ადრეული ნაშრომი. ექვსი ფრაგმენტი ერთად იძლევა დაახლოებით 130 სტრიქონის კომპოზიტიურ ტექსტს, რომელიც სა-

ბულში გატარებული 2000 წლის შემდეგ, ისინი საჭიროებდნენ ფრთხილ და რთულ აღდგენას. მასალა შეიცავდა გრაგნილის ექვსი ეგზემპლარის ასზე მეტ ფრაგმენტს – ზოგიერთ პანანინა ნაფლეთზე ერთ ასობზე ნაკლები იყო დაწერილი. სტრუგნელმა მოახერხა გრაგნილის ასამდე ნაფლეთის ამოცნობა, ფორმის მიხედვით შეერთება და სამოცდაათამდე ცალკეული ფრაგმენტის ჩამოყალიბება. ფიზიკური რეკონსტრუქციის შემდეგ ტექსტს დაახლოებით მესამედი აკლდა. გაშიფვრის ამოცანა მოითხოვდა დაკარგული ნაწილების შევსებას ენობრივი და ჰალახის ცოდნით, რაც მას არ გააჩნდა.⁴ 1981 წელს ჯგუფის ხელმძღვანელმა დაიქირავა მკვლევარი ელიშა ქიმრონი, ებრაული ენისა და ფილოლოგიის პროფესორი ბერშევას ბენ-გურიონის უნივერსიტეტში. მომდევნო 11 წლის განმავლობაში ქიმრონმა თავისი საქმიანობა მიუძღვნა ამ რთულ საქმეს. მან შეძლო სამოცდაათი ფრაგმენტიდან 121-სტრიქონიანი ტექსტის აღდგენა, რომელთაგან 40% ავსებდა იმ ხარვეზს, რაც არ იქნა ნაპოვნი ფრაგმენტთა შინაარსში. სამუშაოს უმეტესი ნაწილის შესრულების შემდეგ, სწორედ მან უწოდა გრაგნილს „თორას კანონები“.⁵

მასალაზე მუშაობისას, ქიმრონმა და სტრუგნელმა ტექსტის პროექტის რამდენიმე ასლი კომენტარების გასაკეთებლად სხვადასხვა მკვლევარს გადასცეს. 1991 წელს, გაშიფვრის დასრულების შემდეგ, ქიმრონს, სტრუგნელსა და ინგლისურ „ოქსფორდ პრესს“ შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება გრაგნილის ფრაგმენტების ფოტოებითა და ქიმრონის კომენტარებით გაშიფრული ტექსტის გამოქვეყნების

შესახებ. თუმცა, პოლონელმა მკვლევარმა კაპერამ, ნებართვის გარეშე გამოაქვეყნა ის *The Qumran Chronicles*-ში. ისრაელის სიძველეთა ორგანოს ჩარევის შედეგად, მან შეაჩერა შემდგომი ტირაჟირება და ბოდიში მოიხადა.⁶

1990-იან წლებამდე გრაგნილების 50 პროცენტზე ნაკლები გამოქვეყნდა. გამოუქვეყნებელი „თორას კანონების“ გრაგნილი განთავსებული იყო აღმოსავლეთ იერუსალიმის როკფელერის მუზეუმში, მისი ფოტოები უსაფრთხოების მიზნით ინახებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას, მათ შორის, კალიფორნიის ჰანტინგტონის ბიბლიოთეკაში. 1991 წელს ბიბლიოთეკამ განაცხადა, რომ აკადემიური წრეებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო ფოტოასლები. ოთხი ათეული წლის განმავლობაში, მასალებზე მონოპოლიური წვდომა აღაშფოთებდა იმ მეცნიერებს, რომელთაც არქეოლოგიურ საგანძურზე დაშვება არ ქონდათ. ჰერშელ შენქსმა, ბიბლიური არქეოლოგიის მიმოხილვის რედაქტორმა⁷ და მონოპოლიური წვდომის გამორჩეულმა მოწინააღმდეგემ, გამოსცა წიგნი „მკვდარი ზღვის გრაგნილები – ფაქსიმილეს სახით“, ეიზენმანისა და რობინსონის რედაქტორობით. გამოცემა შეიცავდა გრაგნილთა ასობით ფრაგმენტის ფოტოს, წიგნს ჰქონდა შენქსის დაწერილი „შესავალი გამომცემლის მიერ“, რამდენიმე დანართი, მათ შორის ერთი გაშიფრული ტექსტის ასლი, ქიმრონის ნებართვისა და მისი სახელის მითითების გარეშე.⁸

6 Nimmer, D., (2001). HOUSTON LAW REVIEW, COPYRIGHT IN THE DEAD SEA SCROLLS AUTHORSHIP AND ORIGINALITY, 68.

7 ბიბლიური არქეოლოგიის საზოგადოება („BAS“) დაფუძნებული შეერთებულ შტატებში, რომელიც გამოცემდა ბიბლიური არქეოლოგიის მიმოხილვას („BAR“). ის ნახევარ მილიონზე მეტ მკითხველს აერთიანებდა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ისრაელში. Birnhack, D. M. (2001). The Dead Sea Scrolls Case – Translation, 2, 4.

8 1980-იანი წლების ბოლოდან, არც ერთი დაპირისპირება არ ყოფილა უფრო მწვავე, ვიდრე გრაგნილთა ხელმისაწვდომობისა და მათი გამოცემის დაჩქარების მოძრაობა. 1988 წელს გრაგნილების კვლევის აღმინისტრაციამ, ისრაელის სიძველეთა ორგანომ დაიწყო შემსწავლელ მკვლევართა რაოდენობის გაზრდა. 1992 წლისათვის ჯგუფში ორმოცდაათზე მეტი მეცნიერი შედიოდა. 1991 წელს ბიბლიური არქეოლოგიის საზოგადოების მიერ გამოქვეყნდა კომპიუტერული გენერირებული ვერსია და

ვარაუდოდ მოიცავს ორიგინალის დაახლოებით ორ მესამედს. ტექსტს საწყისი ნაწილი სრულიად აკლია.“ Nimmer, D., (2001). HOUSTON LAW REVIEW, COPYRIGHT IN THE DEAD SEA SCROLLS AUTHORSHIP AND ORIGINALITY, 58.

4 Strugnell's report: Elisha Qimron and John Strugnell, "Qumran Cave 4", Miqsat Ma'ase Ha-Torah, in X Discoveries in the Judaeen Desert 1994, Birnhack, D. M. (2001). THE DEAD SEA SCROLLS CASE: WHO IS AN AUTHOR, European Intellectual Property Review Case Comment, Sweet and Maxwell Limited and Contributors, 3.

5 Birnhack, D. M. (2001). THE DEAD SEA SCROLLS CASE: WHO IS AN AUTHOR, European Intellectual Property Review Case Comment, Sweet and Maxwell Limited and Contributors, 3.

1992 წლის იანვარში ქიმრონმა შეიტანა სარჩელი იერუსალიმის საქალაქო სასამართლოში, მოითხოვა შენქსისა და რედაქტორებისათვის გაშიფრული გრაგნილის ტექსტის შემცველი წიგნის გავრცელების აკრძალვა და საავტორო უფლებების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.⁹ მან იშუამდგომლა შუალედური ღონისძიების გამოყენების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. 1992 წლის თებერვალში მოსამართლის შუალედური გადაწყვეტილებით მოპასუხეებს აეკრძალათ წიგნის გამოცემა ან გავრცელება ისრაელში და მის ფარგლებს გარეთ. დროებითი აკრძალვის გამოყენებამდე, წიგნის დაახლოებით 200-300 ეგზემპლარი იყიდებოდა უმეტესად შერთებულ შტატებში, სამი ეგზემპლარი გაიყიდა ისრაელში.

სასამართლომ 1993 წლის მარტში დაადგინა, რომ დაირღვა პროფესორ ქიმრონის კანონით გათვალისწინებული საავტორო უფლებები და მოთხოვნის შესაბამისად აკრძალა წიგნის ამ ფორმით გამოცემა. მოპასუხეებს დაევალიათ მოსარჩელისათვის 100,000 NIS (ისრაელის ეროვნული ვალუტა-ახალი შეკელი) გადახდა: აქედან 20,000 კანონით დადგენილი ზარალის ანაზღაურების სახით, 80,000 მიყენებული მორალური ზიანისთვის.* ამასთან, მათ დაეკისრათ პროფესორის ადვოკატთა მომსახურების საფასურის გადახდა 50,000 NIS-ის ოდენობით. სასამართლომ აღიარა ერთი მხრივ, ქიმრონის საავტორო უფლება გაშიფრულ ტექსტზე, მეორე მხრივ, სახელის მითითების გარეშე ტექსტის გამოქვეყნებით მორალური უფლების დარღვევა.¹⁰

იდენტურობის პრეზუმფცია: არის ისრაელის კანონმდებლობა ამერიკული სამართლის მსგავსი?

სასამართლომ დაადგინა, რომ სამართალდარღვევა მოხდა ამერიკის შერთებულ შტატებში, თუმცა გადაწყვეტილება ისრაელის კანონმდებლობის საფუძველზე მიიღო, რადგან გამოიყენა იდენტურობის პრეზუმფცია (*The presumption of identity of the laws*) „საპირისპირო მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, კანონი უცხოურ იურისდიქციაში იგივეა, რაც სასამართლო ქვეყნის კანონი“.¹¹ უცხოური სამართლის გამოყენება არ არის ტრივიალური საქმე. ისრაელის საერთაშორისო კერძო სამართალი, ანგლო-ამერიკული სამართლის გავლენით, უცხო კანონმდებლობას განიხილავს ფაქტად და არა როგორც სამართლის საკითხს. ივარაუდება, რომ ადგილობრივი მოსამართლე არ იცნობს უცხოურ სამართალს, ამიტომ მისი შინაარსი მტკიცდება მხარეთა მიერ. როცა უცხო კანონი რაიმე მიზეზით რჩება აუხსნელი (დაუმტკიცებელი), სასამართლო მიმართავს იურიდიულ ფიქციას, რომ ის ადგილობრივი კანონმდებლობის იდენტურია.¹² მოსამართლე დორნერს არ წარუდგინეს არანაირი მტკიცებულება აშშ-ს სამართლის შესახებ, კანონთა ეკვივალენტობის პრინციპზე დაყრდნობით გამოიყენა ისრაე-

გრაგნილთა ფოტოების ორტომიანი გამოცემა. Nimmer, D., (2001). HOUSTON LAW REVIEW, COPYRIGHT IN THE DEAD SEA SCROLLS AUTHORSHIP AND ORIGINALITY, 66,67.

9 ეს, რა თქმა უნდა, პირდაპირი თარგმანია. თუმცა, ისრაელის კანონმდებლობაში „copyright“ ითარგმნება ევროპულ სტილში, როგორც „author’s right“. Birnhack, D. M. (2001). The Dead Sea Scrolls Case – Translation, 4.

* 1993 წლის მარტში ეს იყო დაახლოებით 36,000 აშშ დოლარი. \$1=2.764 NIS.

10 Birnhack, D. M. (2001). The Dead Sea Scrolls Case – Translation, 5.

11 სასამართლომ აღნიშნა: „ყველა თანხმდება დავა უნდა მოწესრიგდეს დარღვევის ადგილის, ანუ შერთებულ შტატების კანონის მიხედვით. უდავოა, ეს კანონი არ არის დადასტურებული.“ სასამართლო დაეყდრო ფაქტს, რომ წიგნები გაიგზავნა ისრაელში. ამდენად, გაყიდვების ნაწილი ამ ქვეყანაშიც განხორციელდა. შენქსის ჩვენებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე გაირკვა, რომ წიგნის სამი ეგზემპლარი BAS-მა გაუგზავნა მკითხველებს ისრაელში. მართალია შეკვეთა გაკეთდა და გადახდა მოხდა შერთებულ შტატებში, თუმცა სასამართლომ BAS-ის მიერ გაშიფრული ტექსტის ისრაელში გაგზავნა, საკმარისად ჩათვალა რათა ქიმრონის საავტორო უფლების ისრაელში დარღვევა დაედგინა. შესაბამისად, ეს მიიჩნია ისრაელის კანონის გამოყენების საფუძვლად. Birnhack, D. M. (2001). The Dead Sea Scrolls Case – Translation, 6.

12 Birnhack, D. M. (2001), THE DEAD SEA SCROLLS CASE: WHO IS AN AUTHOR, European Intellectual Property Review Case Comment, Sweet and Maxwell Limited and Contributors, 8.

ლის კანონმდებლობა. მან აღნიშნა, რომ იდენტურობის პრეზუმფციის გამოყენება არ იყო ფიქცია, რადგან ორივე კანონი (ამერიკული და ებრაული) ინგლისური სამართლიდან იღებდა სათავეს. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის საავტორო უფლებების კანონი იმ დროისათვის მართლაც ეფუძნებოდა ბრიტანეთის 1911 წლის საავტორო უფლებათა აქტს, ამერიკული სამართალი დაახლოებით 200 წლის განმავლობაში მისი გავლენის ქვეშ არ მოქცეულა.¹³

ებრაელი მოსამართლეები ზოგადად იცნობენ უცხოურ კანონს, ძირითადად ინგლისურ და ამერიკულ კანონმდებლობას. მოსამართლეთათვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკები მდიდარი უცხოური მასალითა და სასამართლო პრაქტიკით. მოსამართლე დორნერმა დავის გადაწყვეტისას გამოიყენა სამი ამერიკული საქმე.¹⁴ იგი ასევე ციტირებდა აშშ-

ის ტრაქტატს Nimmer საავტორო უფლებების შესახებ, ინგლისურ საავტორო უფლებების ტრაქტატს Copinger. მოყვანილი მაგალითები, მოსამართლის ცოდნის დამატებითი წყაროს დემონსტრირება უფრო იყო, ვიდრე უცხოური სამართლის გამოყენება.¹⁵

მოპასუხეები ეწინააღმდეგებოდნენ საქმეში იდენტურობის პრეზუმფციისა და ისრაელის კანონის გამოყენებას, ამტკიცებდნენ, რომ ქიმრონმა არ დაადგინა სამართალდარღვევის ადგილის კანონი, „ამგვარად, მან ახ დაამტკიცა ფაქტები, რომლებიც წაჩხრადგენდა საჩჩედის საფუძველს.“ შენქსმა, ბიბლიური არქეოლოგიის საზოგადოებამ და რედაქტორებმა გაასაჩივრეს გადაწყვეტილება. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ქიმრონის უფლებების შელახვა არ მომხდარა ისრაელში. შესაბამისად, მას არ ქონდა სარჩელის აღძვრის საფუძველი ისრაელის კანონმდებლობის მიხედვით, არ არსებობდა გარემოებები ებრაული კანონის გამოსაყენებლად. მათი მოსაზრებით, გრაგნილის გაშიფვრა სხვა არაფერი იყო თუ არა, არსებული ნაწარმოების რეკონსტრუქცია. ტექსტის რეკონსტრუქციის დაცვა ზიანს აყენებდა მეცნიერულ კვლევებს, ანიჭებდა ერთ ადამიანს საკუთრების უფლებას „ებრაელი ხალხის

13 გასათვალისწინებელია ისრაელის საავტორო უფლებების კანონმდებლობის უნიკალური განვითარება. ებრაული სამართლებრივი სისტემა ეფუძნება საერთო სამართალს, წლების განმავლობაში მას დაემატა კონტინენტური სამართლის ელემენტებიც. ისრაელის საავტორო უფლებების კანონმდებლობა დაეფუძნა დიდი ბრიტანეთის 1911 წლის საავტორო უფლებების კანონსა და საავტორო უფლებათა შესახებ განკარგულებას, რომლებიც გამოიყენებოდა პალესტინაში 1924 წელს, 1948 წლიდან კი ისრაელის კანონის ნაწილი გახდა. მორალური უფლებები აქტს დაემატა 1981 წელს. 1999 წელს რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა კანონში TRIPS-ის (შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ) მოთხოვნათა შესასრულებლად. საავტორო უფლებების შესახებ ისრაელის განკარგულების 4 a(1) ნაწილი ადგენს, „ავტორს უფლება აქვს გამოიყენოს თავისი სახელი მის ნამუშევარზე, მიღებული წესითა და ფორმით.“ წლების განმავლობაში, ისრაელის საავტორო უფლებების კანონი გარკვეულწილად განსხვავდებოდა ინგლისური ანალოგისაგან. Birnhack, D. M. (2001), THE DEAD SEA SCROLLS CASE: WHO IS AN AUTHOR, European Intellectual Property Review Case Comment, Sweet and Maxwell Limited and Contributors, 7. Wilkof, N., (2001). COPYRIGHT, MORAL RIGHTS AND THE CHOICE OF LAW: WHERE DID THE DEAD SEA SCROLLS COURT GO WRONG? HOUSTON LAW REVIEW, 465.

14 მათ შორის 1991 წლის საქმე Feist Publications v. Rural Telephone Service Co, სადაც სასამართლომ სახელების ანბანური მეთოდით შედგენის ინტელექტუალური წვლილი ძალიან მინიმალურად მიიჩნია, იმისათვის, რომ საავტორო უფლების დაცვით უსარგებლა. ადგილობრივი სატელეფონ-

ნო კომპანიის აღმასრულებელი ხელმძღვანელი გადაწყვეტს შექმნას საუკეთესო მონაცემთა ბაზების სატელეფონო ცნობარი. დეტალურად შემუშავებული გამოკითხვების შემდეგ, იგი ახლებური და ინოვაციური გზით ანაწილებს საზოგადოებებს, რომლებიც კომპანიის წარმოებულ ცნობარში უნდა იქნას შეყვანილი. დიდ დროს უთმობს კვლევას გვარების ანბანიზაციის მიზნით, დეტალურ ყურადღებას აქცევს პატრონიმიკას, დეფისით დაწერილ გვარებსა და სხვა არაორდინალურ კომბინაციებს, რასაც მისი წინამორბედები არასოდეს აკეთებდნენ. შედეგად, შექმნილი სატელეფონო წიგნი, მისივე შეფასებით, „ხელოვნების ნაწარმოებია“. იმსახურებს თუ არა ის საავტორო უფლებებით დაცვას? მოსამართლის გადაწყვეტილებით, მიუხედავად იმისა, რომ სატელეფონო წიგნი შესაძლოა შეიცავდეს საავტორო უფლებებით დაცულ მასალას (მაგ, წინასიტყვაობასა და ყვითელ ფურცლებს), როცა საქმე ეხება ანბანურ თეთრ გვერდებს, მასზე საავტორო უფლებები არ გავრცელდება. Nimmer, D., (2001). HOUSTON LAW REVIEW, COPYRIGHT IN THE DEAD SEA SCROLLS AUTHORSHIP AND ORIGINALITY, 20.

15 Birnhack, D. M. (2001), THE DEAD SEA SCROLLS CASE: WHO IS AN AUTHOR, European Intellectual Property Review Case Comment, Sweet and Maxwell Limited and Contributors, 9.

კულტურული მემკვიდრეობის ნაწილზე.“ მათ მიერ ტექსტის გამოქვეყნება შეესაბამებოდა „მეცნიერულ კონვენციას“ და სარგებლობდა დაცვით, როგორც პუბლიკაცია, შესრულებული ქიმრონის ნაგულისხმევი თანხმობით. გაშიფრული მასალა თავად ქიმრონის მიერ იყო გავრცელებული მკვლევართა შორის. ასე რომ, სახელის გარეშე გამოქვეყნებით მისი მორალური უფლების დარღვევა არ მომხდარა. საჩივარში ამტკიცებდნენ, რომ მათ არ მიუყენებიათ კომპენსაციის მოთხოვნის შესაბამისი მატერიალური ზიანი, ადვოკატის მომსახურებისა და მორალური ზიანისთვის დაკისრებული თანხა კი გადაჭარბებულად მიაჩნდათ.¹⁶

მოპასუხეებს გააჩნდათ მკაფიო პრეტენზია მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფისათვის მინიჭებული „მონოპოლიის“ გამო, რაც ბევრ მეცნიერს უშლიდა ხელს შეესწავლათ გრაგნილები. წიგნის გამოცემამ კი „დიდი წვლილი შეიტანა გრაგნილთა კვლევაში და მხოლოდ ამ გზით დაასრულა არსებული მონოპოლია.“¹⁷

ანგლო-ამერიკული სამართალი საავტორო უფლებების შესახებ

ბიბლიის ყველა ძირითადი ინგლისური თარგმანი, გარდა ავტორიზებული ვერსიისა, საავტორო უფლებებით არის დაცული.¹⁸ საავტორო უფლებით დაცვას ექვემდებარება ძველი ბიბლიური მანუსკრიპტების ზოგიერთი სტანდარტული გამოცემაც, რომელთაგან თარგმანებია შესრულებული. ამ უფლებათა დარღვევა, ინვესს სარჩელების აღძვრას მათ წინააღმდეგ, ვინც ახორციელებს ბიბლიის რეპროდუცირებას ქრისტიანული მსახურებისათვის, საავტორო უფლების მფლობელთა ნებართვის გარეშე. ბუნებრივია, ჩნდება თეოლოგიური კითხვა: მოკვდავი ადამიანები, რომელთაც ბიბლია ღვთის სიტყვად მიაჩნიათ, უნდა სარგებლობდნენ მასზე საავტორო უფლებებით?¹⁹

ზოგიერთი მეცნიერი ნუხს, რომ საავტორო უფლებები ღვთის სიტყვის მიმართ ვრცელდება, ზოგს მიაჩნია, რომ ამ გზით ბიბლია დაცულია ფალსიფიცირებისაგან²⁰ და არის ფინა-

16 Birnhack, D. M. (2001). The Dead Sea Scrolls Case – Translation, 5, 6.

17 სასამართლომ განაცხადა: „შენქსი წლების განმავლობაში BAR-ის ფურცლებზე აწარმოებდა დაქინებულ და პოლემიკურ კამპანიას, რათა გაეხსნა ფარული გრაგნილებისადმი წვდომა ნებისმიერი დაინტერესებული მკვლევარისათვის. მან აღნიშნა, რომ იგი აქტუერებდა ყველა იმ ადამიანის სათქმელს, ვინც დარჩა "კვლევითი კარტელის" მიღმა. შენქსმა ასეთი რამ დაწერა წიგნის შესავალში: „რა თქმა უნდა, ჩვენ აღფრთოვანებული უნდა ვიყოთ თავდადებული ადამიანებით, რომლებმაც თავიანთი პროფესიული ცხოვრება მიუძღვნეს ჩვენი საერთო წარსულის ამ ერთი შეხედვით, შეუღწევადი ნაწილების აღდგენასა და გაშიფვრას. ეს ადამიანები, არა მხოლოდ თავდადებულნი, არამედ დარგის ბრწყინვალე ექსპერტებიც არიან. კეთილსინდისიერად ეკიდებიან საქმის თითოეულ ნიუანსს. ამისათვის პატივი უნდა ვცეთ მათ. თუმცა, სიამაყისა და სიხარბის გამო – მათი ურყევი გადაწყვეტილება შეინარჩუნონ ექსკლუზიური კონტროლი ამ საგანძურზე, სამარცხვინოა.“ Birnhack, D. M. (2001). The Dead Sea Scrolls Case – Translation, 7.

18 თარგმანები, ადაპტაციები, მუსიკალური არანჟირებები და ლიტერატურისა ან ხელოვნების ნაწარმოებების სხვა სახეცვლილებები დაცულია როგორც ორიგინალური ნაწარმოებები, ორიგინალურ ნაწარმოებებზე საავტორო უფლების შელახვის გარეშე. 1886 წლის 9 სექტემბრის ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია, მუხლი 2(3).

19 ტერმინი „ავტორიზებული ვერსია“ გულისხმობს არა მხოლოდ 1611 წლის მეფე ჯეიმსის გამოცემულ ვერსიას, არამედ მოიცავს ინგლისის ეკლესიის მიერ ნებადართულ ადრინდელ თარგმანებსაც.

1875 წელს ნიუ-იორკში Lesser v. Sklarz-ში, მოპასუხე ამტკიცებდა, რომ ბიბლია არსებობდა ადამიანთა მეხსიერების მიღმა. ასეთი წიგნები არ უნდა ყოფილიყო საავტორო უფლებების კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის საგანი. მოსამართლემ მოთმინებით მოისმინა ხანგრძლივი დისკუსია და დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა. Syn, R., (2001-2002). © COPYRIGHT GOD: ENFORCEMENT OF COPYRIGHT IN THE BIBLE AND RELIGIOUS WORKS, REGENT UNIVERSITY LAW REVIEW, Volume 14, Number 1, HeinOnline,1,2,12,13.

20 ქონებრივი უფლებები უზრუნველყოფს ბიბლიის გაყიდვიდან ფინანსური სარგებლის მიღებას, მორალური უფლებები კი არაკონომიკურია, იცავს გაყალბებისა და პლაგიატისგან. მაგ; 1972 წლის საქმეში Robert Stigwood Group v. O'Reilly მღვდლებ-

ნსური სარგებლის მომტანი, რაც ხმარდება მის თარგმნას, ბეჭდვასა და სუბსიდირებას მესამე სამყაროს ქვეყნებში. როგორც ცნობილია, საავტორო უფლება დაკავშირებულია საკუთრებასთან, ღვთაებრივი წარმოშობის გათვალისწინებით უნდა იყოს თუ არა ბიბლია ან მისი თარგმანი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი?²¹

ინგლისში, პირველი საავტორო კანონმდებლობა იყო დეფოფალ ანას 1709 წლის სტატუტი, რომელიც ითვალისწინებდა, რომ „ავტორს აქვს ნებართვა თოთხმეტი წლის ვადით დაბეჭდოს და გადაბეჭდოს წიგნები.“ 1774 წელს, ლორდთა პალატამ განიხილა ცნობილი საქმე *Donaldson v. Beckett*,²² სადაც რამდენიმე ლექსზე საავტორო უფლებას ვადა გაუვიდა, გამომცემელი კი ითხოვდა გამოქვეყნების აკრძალვას. თავის მხრივ, გადამწერი დონალდსონი ამტკიცებდა, რომ საავტორო უფლებები არ იყო საერთო სამართლის ნაწილი, რადგან უხსოვარი დროიდან რეპროდუცირება არასოდეს ყოფილა უკანონო ქმედება.

მა სარჩელი აღძრეს ოპერის „იესო ქრისტე სუპერვარსკვლავის“ მოდიფიცირებისთვის, რადგან სჯეროდათ, ის ჭეშმარიტი სახარების პაროდიას წარმოადგენდა. შეცვლილი ვერსია წარმოაჩენდა იესოს, როგორც ძლიერ, მამაკაცურ ინდივიდს, რომელიც მკვდრეთით კი არ აღმდგარა, უბრალოდ მოკვდა. მათი აზრით, ქრისტიანობა ცარიელი და ამაოა, თუ იესო მკვდრეთით არ აღმდგარა. Syn, R., (2001-2002). © COPYRIGHT GOD: ENFORCEMENT OF COPYRIGHT IN THE BIBLE AND RELIGIOUS WORKS, REGENT UNIVERSITY LAW REVIEW, Volume 14, Number 1, 14.

21 ეს ფინანსური მოგება ბიბლიის მონოპოლიზირების შედეგია. ამდენად, ბენეფიტებით სარგებლობის მიუხედავად, საკითხავია რა უფრო მნიშვნელოვანია მიღებული ჰონორარები თუ ბიბლიის უფასოდ გავრცელება? ბიბლია ყველა დროის ბესტსელერია, ყოველწლიურად ყველაზე გაყიდვადი წიგნის სტატუსს ინარჩუნებს. ქრისტიანული საგამომცემლო ინდუსტრია წელიწადში რამდენიმე მილიარდ დოლარს გამოიმუშავებს გაყიდვებში. ამგვარად, საავტორო უფლებაზე უარის თქმას მნიშვნელოვანი ფასი აქვს. Syn, R., (2001-2002). © COPYRIGHT GOD: ENFORCEMENT OF COPYRIGHT IN THE BIBLE AND RELIGIOUS WORKS, REGENT UNIVERSITY LAW REVIEW, Volume 14, Number 1, 2.

22 Syn, R., (2001-2002). © COPYRIGHT GOD: ENFORCEMENT OF COPYRIGHT IN THE BIBLE AND RELIGIOUS WORKS, Roger Syn, REGENT UNIVERSITY LAW REVIEW, Volume 14, Number 1, 5.

მან განაცხადა: „კანონი საერთო სამაჩთადში უნდა ეფუძნებოდეს ზნეობისა და ბუნებითი სამაჩთის პრინციპებს. წიგნების ეგზემპლარები ყველა დროში ახსებობდა და ასდები ყოველთვის კეთებოდა. და მაინც, მხოლოდ ერთ ადამიანს ჰქონოდა ასდების გამაჩავდების ექსკლუზიური პრივილეგია, ახასოდეს ყოფიდა ნაკაჩნახევი ბუნებითი სამაჩთისაგან აჩც ერთ ეპოქასა თუ ქვეყანაში. ანტიკუხოზიდან მოყოლებული წიგნის გიანსკიბიბიება ან გადაწეხა ყოველი ინდივიდის უფდება, აჩც ერთი ავგოჩი აჩ საჩგებდობს შესაძლებლობით, მხოლოდ მას ჰქონდეს ასდების წაჩმოების მუდმივი უფდება. ბეჭდვა, ჩომედიც ასდთა გამაჩავდების უფხო დაჩქაჩებული მეთოდი, ვეჩ შეცვლის სამაჩთიანობისა და უკანონობის პრინციპებს. ჩოგოჩც აჩ უნდა წახადისდნენ ავგოჩები, საერთო სამაჩთაღს აჩ შეუძლია, საუკუნეთა დუმიდის შემდეგ, დაუყოვნებლივ გამოთქვას უფდების ამ ახადი სახეობის შესახებ, ჩომედიც საკუთიებასთან აჩის დაკავშირებული. ანას ახადი საავგოჩო კანონმდებლობა საერთო სამაჩთის დეკლარაციური ნაწიდი აჩ აჩის, ის შემოლებუდ იქნა ჩათა სწავდუდმა ადამიანებმა შენიძინონ საკუთიება, ჩომედიც ადეჩ აჩ ჰქონდათ“. გამომცემელი ბეკეტი ამტკიცებდა, რომ საავტორო უფლებები ნამდვილად იყო საერთო სამართლის ნაწილი, რადგან ავტორის მიერ შემოსავლის მიღება სამართლიანად მიაჩნდა. მან განაცხადა: „ავგოჩთა პეგენზია საკუთაჩი ნაწაჩმოებების დაბეჭდვისა და გამოქვეყნების ერთპიხოვნუდ და ექსკლუზიუჩ უფდებაზე, ეფუძნება გონიეჩებისა და ბუნებითი სამაჩთის პრინციპებს. სამაჩთიანი და კანონიეჩია, მათ, ვინც საკუთაჩ იღებებს წეჩიღობითი კომპოზიციებით აწვდის საზოგადოებას, ჰქონდეთ ანაზღაუეება. ავგოჩები, თავიანთი ნამუშევეჩების გამოქვეყნებისას, საჩგებდის მიღების მიზნით ინაჩრუნებენ ნაბეჭდი ასდების გამაჩავდების უფდებას. აჩსებობს ნაგუდისხმევი შეთანხმება, ჩომ კონკეჩტური ეგზემპლარის გაყიდვისას, მყიდვედი აჩ უნდა შეიეჩას ასდთა გამაჩავდების ავგოჩისუდ უფდებაში. ინგდისში, ბეჭდვის ხელოვნების შემოლებების პიხოვედივე დღიდან, საკუთიების ეს თავისებუჩი სახეობა საავგოჩო უფდებების სახეღით აჩის ცნობიდი“.²³

23 ლორდთა პალატის გადაწყვეტილებით, დონალდსონს ლექსების კოპირების უფლება მისცეს. ეს იყო გარდამტეხი მომენტი საეტაპო საქმეთა სერიამი, რომლითაც დადასტურდა, რომ საავტო-

ყველა ქვეყანა არ აღიარებს მორალურ უფლებებს საავტორო კანონმდებლობაში. მიუხედავად ამისა, საავტორო უფლება მოიცავს მორალურ უფლებებსაც, რომლებიც ნაწარმოების ხელყოფის შემთხვევაში, ჰონორარის მიღების შესაძლებლობას იძლევა. „დახვეწილი საავტორო უფლებათა კანონმდებლობის ერთ-ერთი კომპონენტი იმის აღიარებაა, რომ ქონებრივი უფლებების დაცვის გახდა, საავტორო უფლება ასევე მოქმედებს მოხალეუნი უფლებების სფეროშიც“²⁴

თანამედროვე საავტორო უფლებების კანონმდებლობა ითვალისწინებს ქონებრივ და მორალურ უფლებებს. მორალური უფლებები მოიცავს:

1. ავტორის უფლებას, აღიარებულ იქნას ნაწარმოების ავტორად;
2. ავტორის უფლებას, არ დაუშვას ცვლილებების შეტანა ნაწარმოებში და დაცვას ის დამახინჯების ან სხვაგვარად ხელყოფისაგან;
3. ავტორის უფლებას გამოიხმოს ნაწარმოები და შეაჩეროს მისი გამოქვეყნება;
4. პირის უფლებას არ იყოს აღიარებული სხვისი ნაწარმოების ავტორად.²⁵ თუკი ქონებრივი უფლებები გადაცემადია, მორალური უფლებები უნარჩუნდება ავტორს.²⁶

რო უფლებები გამოქვეყნებულ წიგნებს იცავდა მხოლოდ კანონით დადგენილი ვადით, რის შემდეგაც ისინი საზოგადოებრივი საკუთრებად გარდაიქმნებოდნენ. Syn, R., (2001-2002). ©COPYRIGHT GOD: ENFORCEMENT OF COPYRIGHT IN THE BIBLE AND RELIGIOUS WORKS, REGENT UNIVERSITY LAW REVIEW, Volume 14 Number 1, 5.6.

24 Nimmer, D., (2001). HOUSTON LAW REVIEW, COPYRIGHT IN THE DEAD SEA SCROLLS AUTHORSHIP AND ORIGINALITY, 231. მორალური უფლებების დარღვევას შეიძლება ჰქონდეს არაპირდაპირი ეკონომიკური შედეგები, რომელიც გამოწვეულია ავტორის ან ნაწარმოების იდენტობის შელახვით, მაშინ, როცა ქონებრივი უფლებები გულისხმობს ჰონორარის მოთხოვნის პირდაპირ შესაძლებლობას. Syn, R., (2001-2002). © COPYRIGHT GOD: ENFORCEMENT OF COPYRIGHT IN THE BIBLE AND RELIGIOUS WORKS, 13.

25 Syn, R., (2001-2002). ©COPYRIGHT GOD:ENFORCEMENT OF COPYRIGHT IN THE BIBLE AND RELIGIOUS WORKS, 13.

26 ავტორის ქონებრივი უფლებებისგან დამოუკიდებლად და აღნიშნული უფლებების გადაცემის შემდეგაც კი, ავტორს აქვს უფლება მოითხოვოს

1789 წელს ამერიკის კონსტიტუციას საავტორო უფლებათა დებულებები დაემატა. აშშ-ის საავტორო უფლებების დოქტრინა, ყოველგვარი თეორიის გავლენისაგან, თავისუფლად განვითარდა. 1884 წელს უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე, რომელიც ეხებოდა ნაპოლეონ სარონის მიერ გადაღებულ ოსკარ უაილდის ჩაფიქრებულ პოზას. განხილვისას, გაჩნდა კითხვა შესაძლებელია თუ არა ფოტოგრაფს კონსტიტუციით გათვალისწინებული „ავტორის“ კვალიფიკაცია მიეცეს? სასამართლომ განაცხადა: „ავტორი აჩის ის, ვინც შექმნაში მიიღო მონაწილეობა. გამოგონებები, მწახმოებები, ვინც ქმნის სამეცნიერო ან ღიგეხატუხუდ ნაწახმოებს“²⁷ სულაც არაა გასაკვირი, რომ უზენაესმა სასამართლომ დააფასა უაილდის სარონისეული პორტრეტის სილამაზე და განაცხადა, რომ ნაწარმოები აშკარად ავტორის შემოქმედება იყო და არა მოწყობილობის. ეს ნამუშევარი არ გახლდათ ფოტოსურათის ნარმოების „ჩვეულებრივი“ ნიმუში. სასამართლოს მოუწია ეთარგმნა კამერის უსულო შრომა მხატვრის შემოქმედებით გამოხატულებად. ამდენად, რჩებოდა კითხვა ვინ იყო მხატვრული ფოტოს შემქმნელი: ფოტოგრაფი თუ კამერა.²⁸ შეიძლებოდა თუ არა

ნაწარმოების ავტორად აღიარება და წინ აღუდგეს ამ ნაწარმოების ნებისმიერ გაუკუღმართებას, დამახინჯებას, ან სხვაგვარ ცვლილებას, ასევე ამ ნაწარმოების ნებისმიერ სხვა შელახვას, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ავტორის ღირსებას ან რეპუტაციას. 1886 წლის 9 სექტემბრის ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოების დაცვის ბერნის კონვენცია, მუხლი 6 (1).

27 2000 წლის საქმეში Aalmuhammed v. Lee, უზენაესი სასამართლო ფოტოსურათი იყო „ოსტატის გონებაზე“ და არა პოზიორზე. Nimmer, D., (2001). HOUSTON LAW REVIEW, COPYRIGHT IN THE DEAD SEA SCROLLS AUTHORSHIP AND ORIGINALITY, 11.

28 განხილვის პროცესში გაჩნდა კითხვა: როგორ შეიძლებოდა ჩამკეტის დაწკაპუნების მკვეთრი ქესტი შედარებოდა ფუნჯის მოსმას? სასამართლომ დაინახა ავტორის ხედავა პოზირების, კოსტიუმებისა და აქსესუარების შერჩევა-მოწყობაში. ამ ქმედებებში, სასამართლოს მტკიცებით, მან აღმოაჩინა ავტორის ხელწერა. მოსამართლე არ საუბრობდა იმ მეთოდებზე, რომლითაც ფოტოგრაფს შეუძლია გამოსახულებით მანიპულირება. გასაკვირია, რომ არ არის განხილული რეტუშირების, გადამუშავების, ჭრის, ჩარჩოების, ხელახალი განვითარების, შეღებვის და ა.შ. შესაძლებლობები. მეტიც, ე.წ. „ხელოვნების ფო-

ფოტოსურათის, როგორც საავტორო ნაწარმოების დაცვა? სასამართლომ აღნიშნა: „ფოტოგრაფია თვადსაჩინო ფოტო მისცა კამერის წინ ხსენებული ოსკარ უაიდის პოზიციას კოსტიუმის, ფაჩების, სხვადასხვა აქსესუარების შეჩვევითა და განთავსებით. მოაწყო საგანი ისე, რომ წახმოეჩინა მოხდენილი კონტრუქციები, გაანაწილა შექმნილი, გამოძეხა სასუქვედი გამოხატულება, ასეთი განწყობისა და განდაგების შედეგად, მან შექმნა ფოტოსურათი. ეს აღმოჩენები წახმოაჩინეს, რომ ფოტო ხედვების ორიგინალური ნიმუშია, მოსაჩივრის ინტელექტუალური შემოქმედების პირობები, რომლის ავტორიც ის არის“.²⁹

ორი ათეული წლის შემდეგ უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა – იყო თუ არა საცირკო ნაწარმოებების სარეკლამო პოსტერი საავტორო უფლებით დაცვის ობიექტი. მოსამართლე პოლმსმა განაცხადა: „სახიფათო წამოწყება იქნებოდა მხოლოდ სამაჩთაღში კვადრიფიციხებურ პიხებს რომ შეეფასებინათ ფეხჩეხური იდუსტრაციების ყვედაზე ვიწხო და საზღვხებს მიღმა ახსებული ღიხებულებები. ზოგჯე, გენიალური ნამუშევხები სათანადოდ არ არის შეფასებული. მათში ახსებული სიახლე მიუღებელია, სანამ საზოგადოება არ ისწავდის ახად ენას, რომეღზე მათი ავტორი მეტყველებს. საეჭვოა, მაგადითად, გოიას ან მანეს ნახატებს საავტორო დაცვით ესაჩებდათ, მათი პიხვედად ხიღვის შემდეგ. თუ სუხათები გამოხატავენ რომედიმე საზოგადოების ინტეხესს, მათ გააჩნიათ კომეხციური და არა ესთეტიური, საგანმანათლებლო ღიხებულება. ამ სუხათების ღიხებულება კი, მათი ხეპირობეების სუხვიღით არისნება“.³⁰

ტოგრაფები“ სწორედ ამ ტექნიკას იყენებდნენ. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მხოლოდ წინა ჩამკეტის ქმედებებზე და არა პროცესებზე. თუმცა, ავტორის ნამუშევარი სრულიად განცალკეულა კამერის მუშაობისაგან. Farley, C. H. (2004). THE LINGERING EFFECTS OF COPYRIGHT'S RESPONSE TO THE INVENTION OF PHOTOGRAPHY UNIVERSITY OF PITTSBURGH LAW REVIEW, vol 65, 389,390,391.

29 Nimmer, D., (2001). HOUSTON LAW REVIEW, COPYRIGHT IN THE DEAD SEA SCROLLS AUTHORSHIP AND ORIGINALITY,12.

30 Bleistein v. Donaldson Lithographing Co., 188 U.S. (1903). Nimmer, D., (2001). HOUSTON LAW REVIEW, COPYRIGHT IN THE DEAD SEA SCROLLS AUTHORSHIP AND ORIGINALITY,12.

აქვს თუ არა პროფესორ ქიმრონს საავტორო უფლებები?

აქვს თუ არა ქიმრონს საავტორო უფლება გაშიფრულ ტექსტზე? უპირველესად, განვსაზღვროთ რა არის ის ნაწარმი, რომელზეც იგი თერთმეტი წლის განმავლობაში მუშაობდა. უნდა განვასხვავოთ გაშიფრული გრაფიკის ორი ძირითადი კომპონენტი. ერთი – ფიზიკური, ხელშესახები „ნედლეული“, ანუ ფრაგმენტები, შექმნილი დაახლოებით 2000 წლის წინ და აღმოჩენილი კუმრანში. მეორე კომპონენტი არის ის, რამაც გრაფიკის ფრაგმენტთა კოლექცია აღდგენით, თანმიმდევრული დალაგებითა და ხარვეზების შევსებით აქცია გაშიფრულ ტექსტად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფრაგმენტებისათვის სულის შთაბერვით, მათი მნიშვნელოვან და ცოცხალ ტექსტად ქცევა.³¹

ისრაელის საავტორო უფლებების კანონის 35 (1) მუხლის თანახმად, „ლიტერატურული ნაწარმოები“, რომელიც შეიძლება დაექვემდებაროს საავტორო უფლებებს, მოიცავს *inter alia*, კომპილაციებსაც. ამ განმარტების მიხედვით, „სავტორო უფლება შეიძლება არსებობდეს უნიკალურ რედაქტირებაში ან დიზაინში“, სანამ ის მიიჩნევა „ორიგინალ ნამუშევრად, მასში ასახული აზროვნების, ჩადებული შრომისა და უნარების გამო“.³² ამრიგად, „ლიტერატურული ნაწარმოები“, როგორც ეს ტერმინი გამოიყენება აქტში, ისარგებლებს საავტორო უფლებების დაცვით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნამუშევარი ორიგინალურია. ორიგინალობის მოთხოვნა რატომღაც გამოტოვებულია აქტის ოფიციალურ ებრაულ თარგმანში, თუმცა ის გადმოცემულია ინგლისური კანონის პირველ ნაწილში: „ყოველი ორიგინალური ლიტერატურული, დრამატული, მუსიკალური და მხატვრული ნაწარმოები.“ ინგლისური ნო-

31 ქიმრონმა კომბინირებული სამუშაოები განახორციელა: ფრაგმენტების ფიზიკური აგრეგაცია, მათი განლაგება, ტექსტის გაშიფვრა და სიცარიელების შევსება. გრაფიკითა ფრაგმენტებში, მან მოათავსა „სული“ თავისი ცოდნისა და ნიჭის დამსახურებით. მისმა მოქმედებებმა აქცია გაშიფრული ტექსტი დაცულ ნაწარმოებად? Birnhack, M. (2007), The Dead Sea Scrolls Case – Translation, Faculty of Law, Tel-Aviv University, 8, 9.

32 Birnhack, M. (2007), The Dead Sea Scrolls Case – Translation, Faculty of Law, Tel-Aviv University, 9.

რმის შესაბამისად, საავტორო უფლებების დაცვა გათვალისწინებულია არა აბსტრაქტული იდეისათვის, არამედ იდეის ხელშესახები გამოხატვისთვის. საჭიროა ნაწარმოები მომდინარეობდეს მისი შემქმნელისგან, ავტორისაგან და არ იყოს კოპირებული სხვა ნაშრომიდან. მიუხედავად იმისა, რომ ავტორმა გამოიყენა უკვე არსებული მასალა, თუმცა მასში საკმარისად ასახა დამოუკიდებელი ძალისხმევა და საკუთარი ნიჭი, ნამუშევარი დაექვემდებარება დაცვას.³³

ორიგინალობის კონსეფცია საავტორო სამართალში

შეერთებულ შტატებში საავტორო უფლებების კანონის მთავარი მიზანი „მეცნიერებისა და ხელოვნების პროგრესის ხელშეწყობაა. ამ მიზანს ემსახურება ავტორთა მოტივაცია შექმნან სამეცნიერო და მხატვრული ნაწარმოებები“. ამდენად, ნაშრომი რომელიც არის „საავტორო ორიგინალური ნაწარმოები ექვემდებარება დაცვას, ხათა მომავალში წახადისდეს მეტი მსგავსი ავტორობა, ხამაც საბოლოოდ უნდა მოიგანოს სასუხვედი პროგრესი ინტელექტუალური წარმოებაში“. საავტორო უფლებებით დაცულია „ავტორის ორიგინალური ნაწარმოებები“, ანუ ნამუშევრები შექმნილი იმ პირთა მიერ, რომლებიც მოითხოვენ დაცვას.³⁴

„ავტორობა“ გულისხმობს აუცილებელ კავშირს შემქმნელსა და ნაწარმოებს შორის. ნამუშევარი სათავეს უნდა იღებდეს ავტორისაგან, მინიმალური საჭირო ხარისხით. „ეს ახ შეიძლება იყოს კოპიება“. ვერ იარსებებს ავტორობა, ორიგინალობა და დაცულობა, თუ

მოსარჩელე მოქმედებს, როგორც უბრალოდ გამტარი – როცა ნაშრომის (გადამონებადი ფაქტები ან ადრინდელი ტექსტური ფრაგმენტები) საწყისი მხოლოდ სხვა წყაროა. ამდენად, დაცულია ნამუშევრები, რომლებიც „ეფუძნება გონების შემოქმედებით უნარებს, არის ინტელექტუალური შრომის ნაყოფი, ხორცშესხმულია წიგნების, ნაბეჭდების, გრავიურების და სხვათა სახით. კანონი პირდაპირ მოითხოვს ორიგინალობის მხოლოდ მინიმალურ დოზას, საავტორო უფლებებით დაცულობის შესანარჩუნებლად: „საკმაჩისია, თუ ნაწარმოები ავტორის საკუთებაა“.³⁵

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვის მიმდინარეობისას, ქიმრონმა გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი, შენქსმა წიგნის მეორე გამოცემა გაშიფრული ტექსტის გარეშე.³⁶

2000 წლის 30 აგვისტოს უზენაესი სასამართლოს კოლეგია დაეთანხმა ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილებას და დაამატა, რომ შენქსს უნდა გადაეცა ქიმრონისათვის წიგნის ნებისმიერი ასლი, რომელიც ჯერ კიდევ რჩებოდა მის მფლობელობაში. სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის მიმართ გამოყენებას ექვემდებარებოდა ისრაელის კანონი. გაშიფვრა შეიცავდა საკმარის ორიგინალობასა და კრეატიულობას საავტორო უფლებების მისაღებად. ამდენად, პროფესორი ქიმრონი მიჩნეულიქნა საავტორო უფლებების მფლობელად. განხილვისას, სასამართლომ გააუღერა საავტორო უფლებების ზოგიერთი ძირითადი პრინციპი: ნედლი მასალის კომპილაციები შეიძლება დაექვემდებაროს საავტორო უფლებებით და-

33 Birnhack, M. (2007), The Dead Sea Scrolls Case – Translation, Faculty of Law, Tel-Aviv University, 9.

34 U.S. CONST. art I, §8, cl. 8 კონგრესს შესაძლებლობა აქვს მეცნიერებისა და ხელოვნების პროგრესის ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყოს ავტორები და გამომგონებლები შეზღუდული დროით ექსკლუზიური უფლებით სარგებლობდნენ თავიანთ ნაწარმოებსა და აღმოჩენებზე. Tempka, U., (2002). "Originality" After the Dead Sea Scrolls Decision: Implications for the American Law of Copyright, Intellectual Property Law Review, Volume 6, Issue 1, Article 5, 121,122. <<http://scholarship.law.marquette.edu/iplr/vol6/iss1/5>> [ბოლო ნახვის თარიღი: 26 სექტემბერი, 2022]

35 Feist Publ'ns, Inc. v. Rural Tel. Serv. Co., U.S. 1879; Alfred Bell & Co. v. Catalda Fine Arts, Inc., 2d Cir. 1951. Urzula Tempka, U., (2002). "Originality" After the Dead Sea Scrolls Decision: Implications for the American Law of Copyright, Intellectual Property Law Review, Volume 6, Issue 1, Article 5, 121,122.

36 1994 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესამ გამოაქვეყნა გამოცემა, ქიმრონისა და სტრუგენელის რედაქტორობით, რომელიც შეიცავდა აღნიშვნას: © Elisha Qimron 1994. MacQueen, H., (30 August 2008). The Scrolls and the Legal Definition of Authorship Edinburgh University, 2,3.

ცვას; გამოთქმა იმსახურებს დაცვას და არა საფუძვლიანი იდეა; ორიგინალობის მოთხოვნა ეხება ავტორს და არა სხვა წყაროს.³⁷

სასამართლომ განიხილა აპელანტთა პრეტენზიები, რომ საჯარო წესრიგის გამოყენებას უნდა გამოენივია საავტორო უფლებების უარყოფა გაშიფრული ტექსტის მიმართ. შენქსი რედაქტორებთან ერთად ამტკიცებდა, რომ გაშიფრული ტექსტის საავტორო უფლებებით დაცვა დააბრკოლებდა სხვა მეცნიერებს ქიმრონის ნაშრომის მიმართ კრიტიკის გამოთქმაში, ზოგადად, ეს ხელს შეუშლიდა საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებას გრაგნილთა კვლევის საქმეში. სასამართლომ განმარტა, რომ ქიმრონის საავტორო უფლება არავის აბრკოლებდა შეესწავლათ, გაეშიფრათ, დაელაგებინათ ფრაგმენტები და ამოევისოთ ხარვეზები. შესაბამისად, ნებისმიერს შეეძლო ეს გაეკეთებია ქიმრონისგან განსხვავებული მეთოდებით, და ესარგებლა საავტორო უფლებების დაცვით. გარკვეული თვალსაზრისით, ეს იყო „მრავალფაქტორიანი“ განტოლება, რომლის ამოხსნა ნებისმიერს შეეძლო ეცადა, რათა თავის ადგილას მოეთავსებია სხვადასხვა „მნიშვნელობები“.³⁸ სასამართლომ გადაწყვიტა, რომ შენქსმა დაარღვია ქიმრონის საავტორო უფლებები. იგი ამტკიცებდა, რომ პირველად პოლონელმა მკვლევარმა გამოაქვეყნა გაშიფრული ტექსტი. მეცნიერთა კონვენციის თანახმად, ერთხელ გამოქვეყნების შემდეგ არსებობდა ავტორის ნაგულისხმევი თანხმობა, რათა დაეშვა ტექსტის შემდგომი გამოყენება მისგან ნებართვის მიღების გარეშე.³⁹

ისრაელის უზენაესმა სასამართლომ არ განმარტა სათანადოდ იყო თუ არა იდენტიფიკაციის პრეზუმფცია გამოყენებული. მეტიც, საერთოდ არ გამოიყენა პრეზუმფცია და პირდა-

პირ მიმართა ისრაელის კანონმდებლობას, იმ საფუძვლით რომ გამოცემის სამი ეგზემპლარი გაიყიდა ისრაელში, აქედან გამომდინარე საავტორო უფლებების დარღვევა მოხდა ამ ქვეყანაში. ამით, სასამართლომ დაადასტურა ისრაელის საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების არჩევანი საავტორო და მორალური უფლებების საკითხებთან დაკავშირებით.⁴⁰ როგორ გადაწყდებოდა დავა სასამართლოს აშშ-ის კანონმდებლობა რომ გამოეყენებინა? იძლევა ამერიკული კანონმდებლობა მკაფიო პასუხს? ამ კითხვაზე პასუხი საავტორო უფლებების კანონის მთავარი პრინციპია – ორიგინალობის მოთხოვნა.⁴¹

დასკვნა

უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ შეერთებულ შტატებში გამოცემული და შეკვეთილი წიგნის სამი ეგზემპლარის ისრაელში გაგზავნით, სწორედ ისრაელში მოხდა კონსოლიდირებული ტექსტის უნებართვო გამოქვეყნება. საავტორო უფლება მოითხოვს, რომ ნაწარმოებზე ჩვეული წესით მიეთითოს ავტორის სახელი.⁴²

37 Birnhack, D. M. (2001), THE DEAD SEA SCROLLS CASE: WHO IS AN AUTHOR, European Intellectual Property Review Case Comment, Sweet and Maxwell Limited and Contributors, 5.

38 Birnhack, D. M. (2001), THE DEAD SEA SCROLLS CASE: WHO IS AN AUTHOR, European Intellectual Property Review Case Comment, Sweet and Maxwell Limited and Contributors, 5,6.

39 Birnhack, D. M. (2001), THE DEAD SEA SCROLLS CASE: WHO IS AN AUTHOR, European Intellectual Property Review Case Comment, Sweet and Maxwell Limited and Contributors, 6.

40 Wilkof, N., (2001). COPYRIGHT, MORAL RIGHTS AND THE CHOICE OF LAW: WHERE DID THE DEAD SEA SCROLLS COURT GO WRONG? HOUSTON LAW REVIEW, 464.

41 Birnhack, D. M. (2001), THE DEAD SEA SCROLLS CASE: WHO IS AN AUTHOR, European Intellectual Property Review Case Comment, Sweet and Maxwell Limited and Contributors 9,10,11. ორიგინალობა ნიშნავს, რომ ნამუშევარი სათავეს იღებს ავტორისაგან და არა სხვა წყაროდან. ამასთან, საჭიროა უნარებისა და შრომის (მინიმალური) ინვესტიცია. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ცნობილ საქმეში Feist გადაჭრა ეს რთული ამოცანა და განაცხადა, რომ სატელეფონო წიგნის შედგენა არ ანიჭებს საავტორო უფლებას კომპილაციასზე, თუ ფაქტების შერჩევა და განლაგება ორიგინალური არ არის. ინგლისში ორიგინალობის მოთხოვნა გულისხმობს, რომ ნამუშევარი დამოუკიდებლად იქმნება ავტორის მიერ, შრომისა და უნარების მინიმალური ხარისხით. MacQueen, H., (30 August 2008). The Scrolls and the Legal Definition of Authorship Edinburgh University, 3,4,5.

42 Wilkof, N., (2001). COPYRIGHT, MORAL RIGHTS AND THE CHOICE OF LAW: WHERE DID THE DEAD SEA SCROLLS COURT GO WRONG? HOUSTON LAW REVIEW, 464, 465,466.

გრაგნილის ავტორი დიდი ხანია გარდაცვლილია. სინამდვილეში, რა გააკეთა ქიმრონმა? მან აღადგინა გრაგნილი, გაშიფრა ფრაგმენტთა ტექსტი, შეავსო მათში არსებული სიცარიელები. წლების განმავლობაში თავდაუზოგავი შრომა, შთამბეჭდავი ნიჭი და ღრმა ცოდნა ერთმანეთს ერწყმოდა ტექსტის გაშიფრის პროცესში. ქიმრონს არ გამოუთქვამს პრეტენზია, რომ რამე საკუთარი დაწერა, მას თავად არ შეუქმნია ტექსტი, ფრაგმენტები შემთხვევით არ დაულაგებია. იგი ამტკიცებდა, რომ აღადგინა ქრისტიანობის წარმოშობის

დროს დაწერილი ორიგინალი ტექსტი. სასამართლოს აზრით, ნაწარმოების, როგორც ერთი მთლიანის შესწავლა სხვადასხვა ფაზებით, უდავოდ ცხადყოფს ორიგინალურობასა და შემოქმედებითობას. ქიმრონის ნამუშევარი არ იყო ტექნიკური, „მექანიკური“, მარტივი შრომის შედეგი.⁴³

43 Birnhack, D. M. (2001), THE DEAD SEA SCROLLS CASE: WHO IS AN AUTHOR, *European Intellectual Property Review Case Comment*, Sweet and Maxwell Limited and Contributors 12,15.

The *Dead Sea Scrolls* Case: Features of Intellectual Property Disputes in Private International Law

Tamar Mskhvilidze

Doctor of Law, Scientist at Scientific Research Institute of Law of European University

KEYWORDS: Presumption of identity, Copyright, Moral rights

ABSTRACT

The case is known around the world as a drama steeped in mystery, international intrigue, professional jealousy, political tension and conspiracy, which raised the issue of copyright in biblical manuscripts. This legal saga has sparked debate not only in the academic community studying the scrolls, but also among copyright lawyers around the world. The decision of the Supreme Court raises a fundamental question about the choice made of the rule of private international law in the context of copyright and moral rights. The issues to be discussed essentially related to academic freedom, access to unpublished sources, exchange of knowledge and information before publication, possibility of free use of material after publication. More than 2,000 years after it was written and half a century after its discovery, one of the Dead Sea Scrolls finally has a "legitimate" author, according to an Israeli court.

ბიბლიოგრაფია:

1. ბერნჰეკ, დ. მ. (2001). მკვდარი ზღვის გრაგნილების საქმე: ვინ არის ავტორი, ევროპული ინტელექტუალური საკუთრების მიმოხილვის საქმეთა კომენტარები.
2. ბერნჰეკ, დ. მ. (2001). მკვდარი ზღვის გრაგნილების საქმე – თარგმანი.
3. ფარლი, ს. ჩ. (2004). ფოტოგრაფიის გამოგონებაზე საავტორო უფლებათა რეაგირების ხანგრძლივი ეფექტი, პიტსბურგის უნივერსიტეტის სამართლის მიმოხილვა, ტომი 65.
4. მაქქუინი, ჩ., (2008 წლის 30 აგვისტო). გრაგნილები და ავტორობის ლეგალური განმარტება, ედინბურგის უნივერსიტეტი.
5. ნიმერი, დ., (2001). საავტორო უფლებები მკვდარი ზღვის გრაგნილთა საქმეში, ავტორობა და ორიგინალობა, ჰიუსტონის სამართლის მიმოხილვა.
6. სტიუარტ, ს. მ., (1989). საერთაშორისო საავტორო და მომიჯნავე უფლებები, მეორე გამოცემა.
7. სინ, რ., (2001-2002). © საავტორო უფლებების მოქმედება ბიბლიასა და რელიგიურ ნაწარმოებებში, რეგენტის უნივერსიტეტის სამართლის მიმოხილვა, ტომი 14, ნომერი 1.
8. ტემპსკა, უ., (2002). „ორიგინალობა“ მკვდარი ზღვის გრაგნილების საქმის შემდეგ: ამერიკის საავტორო უფლებათა კანონმდებლობაზე გავლენა, ინტელექტუალური საკუთრების სამართლის მიმოხილვა, ტომი 6, ნომერი 1.
9. ვილკოფ, ნ., (2001). საავტორო უფლებები, მორალური უფლებები და სამართლის არჩევანი: სად დაუშვა შეცდომა მკვდარი ზღვის გრაგნილების საქმის განხილველმა სასამართლომ? ჰიუსტონის სამართლის მიმოხილვა.
10. ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია, 1886.

BIBLIOGRAPHY:

1. Birnhack, D. M. (2001). The Dead Sea Scrolls Case: Who is an Author, European Intellectual Property Review Case Comment, Sweet and Maxwell Limited and Contributors. (In English)
2. Birnhack, D. M. (2001). The Dead Sea Scrolls Case – Translation. (In English)
3. Farley, C. H. (2004). THE LINGERING EFFECTS OF COPYRIGHT'S RESPONSE TO THE INVENTION OF PHOTOGRAPHY, UNIVERSITY OF PITTSBURGH LAW REVIEW, vol 65. (In English)
4. MacQueen, H., (30 August 2008). The Scrolls and the Legal Definition of Authorship Edinburgh University. (In English)
5. Nimmer, D., (2001). HOUSTON LAW REVIEW, COPYRIGHT IN THE DEAD SEA SCROLLS, AUTHORSHIP AND ORIGINALITY. (In English)
6. STEWART, S. M., (1989). INTERNATIONAL COPYRIGHT AND NEIGHBORING RIGHTS, Butterworths 2d ed. (In English)
7. Syn, R., (2001-2002). © COPYRIGHT GOD: ENFORCEMENT OF COPYRIGHT IN THE BIBLE AND RELIGIOUS WORKS, REGENT UNIVERSITY LAW REVIEW, Volume 14, Number 1, HeinOnline. (In English)
8. Tempska, U., (2002). "Originality" After the Dead Sea Scrolls Decision: Implications for the American Law of Copyright, Intellectual Property Law Review, Volume 6, Issue 1, Article 5. <<http://scholarship.law.marquette.edu/iplr/vol6/iss1/5>> (In English)
9. Wilkof, N., (2001). COPYRIGHT, MORAL RIGHTS AND THE CHOICE OF LAW: WHERE DID THE DEAD SEA SCROLLS COURT GO WRONG? HOUSTON LAW REVIEW. (In English)
10. Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works 1986, <<https://www.wipo.int/treaties/en/ip/berne>> (In English)

NOTES:

1. On the slopes of the Judean desert near the Dead Sea between 1947 and 1956, more than 800 ancient manuscripts were discovered in caves. They contained texts from all but one book of the Bible (the book of Esther). The rest of the manuscripts were ancient, non-biblical Hebrew texts: apocrypha and pseudo-epigraphs. Needless to say, the scrolls provide direct evidence of the period of consolidation of Judaism and the rise of Christianity, and it is no wonder that they are considered one of the most important archaeological discoveries of the twentieth century. Birnhack, D. M. (2001). THE DEAD SEA SCROLLS CASE: WHO IS AN AUTHOR, European Intellectual Property Review Case Comment, Sweet and Maxwell Limited and Contributors, 1. Birnhack, D. M. (2001). The Dead Sea Scrolls Case – Translation, 3. Nimmer, D., (2001). HOUSTON LAW REVIEW, COPYRIGHT IN THE DEAD SEA SCROLLS AUTHORSHIP AND ORIGINALITY, 54, 55, 56.
2. Nimmer, D., (2001). HOUSTON LAW REVIEW, COPYRIGHT IN THE DEAD SEA SCROLLS AUTHORSHIP AND ORIGINALITY, 58.
3. Professor Strugnell noted: is unique in language, style, and content. Using linguistic and theological analysis, the original text has been dated as one of the earliest works of the Qumran sect. Together the six fragments provide a composite text of about 130 lines, which probably cover about two-thirds of the original. The initial part of the text is completely missing. Nimmer, D., (2001). HOUSTON LAW REVIEW, COPYRIGHT IN THE DEAD SEA SCROLLS AUTHORSHIP AND ORIGINALITY, 58.
4. Strugnell's report: Elisha Qimron and John Strugnell, "Qumran Cave 4", Miqsat Ma'ase Ha-Torah, in X Discoveries in the Judean Desert 1994, Birnhack, D. M. (2001). THE DEAD SEA SCROLLS CASE: WHO IS AN AUTHOR, European Intellectual Property Review Case Comment, Sweet and Maxwell Limited and Contributors, 3.
5. Birnhack, D. M. (2001). THE DEAD SEA SCROLLS CASE:WHO IS AN AUTHOR, European Intellectual Property Review Case Comment,Sweet and Maxwell Limited and Contributors, 3.
6. Nimmer, D., (2001). HOUSTON LAW REVIEW, COPYRIGHT IN THE DEAD SEA SCROLLS AUTHORSHIP AND ORIGINALITY,68.
7. The Society for Biblical Archeology ("BAS"), based in the United States, published the Biblical Archeology Review ("BAR"). Birnhack, D. M. (2001).THE DEAD SEA SCROLLS CASE: WHO IS AN AUTHOR, European Intellectual Property Review Case Comment, Sweet and Maxwell Limited and Contributors, 3.
8. Since the late 1980s, no controversy has been more heated than that surrounding access to the scrolls and the movement to accelerate their publication. The push by scholars to gain what the "Biblical Archaeology Review" characterized as "intellectual freedom and the right to scholarly access" has had significant results. In 1988, the administration for scroll research, the Israel Antiquities Authority, began to expand the number of scroll assignments. By 1992, they included more than fifty scholars. In 1991, a computer-generated version as well as a two-volume edition of the scroll photographs were published by the Biblical Archaeology Society. Nimmer, D., (2001). HOUSTON LAW REVIEW, COPYRIGHT IN THE DEAD SEA SCROLLS AUTHORSHIP AND ORIGINALITY, 66,67.
9. This is, of course, a literal translation. However, in Israeli law "copyright" is translated in European style as "author's right". Birnhack, D. M., (2001). The Dead Sea Scrolls Case – Translation, 4.
10. Birnhack, D. M. (2001). The Dead Sea Scrolls Case – Translation, 5.
11. The court noted: "Everyone agrees that the dispute must be governed by the law of the place of delict, that is, the law of the United States. The court found that three copies were sent by BAS to readers in Is-

- rael. The court found BAS's sending of the decrypted text to Israel sufficient to establish an infringement of Kimron's copyright in Israel. Accordingly, the court considered this as a basis for the application of Israeli law. Birnhack, D. M. (2001). The Dead Sea Scrolls Case – Translation, Faculty of Law, Tel-Aviv University, 6.
12. Birnhack, D. M., (2001). The Dead Sea Scrolls Case – Translation, Faculty of Law, Tel-Aviv University, 8.
 13. The unique development of Israeli copyright law should be considered. The Jewish legal system is based on common law, with elements of civil law added over the years. Israeli copyright law was based on the UK Copyright Act 1911 and the Copyright Ordinance, which was used in Palestine in 1924, and became part of Israeli law from 1948. The Moral Rights Act was added in 1981. Over the years, Israeli copyright law has differed somewhat from its English counterpart. Birnhack, D. M. (2001), THE DEAD SEA SCROLLS CASE: WHO IS AN AUTHOR, European Intellectual Property Review Case Comment, Sweet and Maxwell Limited and Contributors, 7. Wilkof, N., (2001). COPYRIGHT, MORAL RIGHTS AND THE CHOICE OF LAW: WHERE DID THE DEAD SEA SCROLLS COURT GO WRONG? HOUSTON LAW REVIEW, 465.
 14. In the case of Feist Publications, Inc. v. Rural Telephone Service Co. Justice O'Connor held there that although a telephone book could contain copyrightable material (in its preface and yellow pages, for example), insofar as the alphabetized white pages are concerned, no copyright protection lies. Nimmer, D., (2001). HOUSTON LAW REVIEW, COPYRIGHT IN THE DEAD SEA SCROLLS AUTHORSHIP AND ORIGINALITY, 20.
 15. Birnhack, D. M. (2001), THE DEAD SEA SCROLLS CASE: WHO IS AN AUTHOR, European Intellectual Property Review Case Comment, Sweet and Maxwell Limited and Contributors, 9.
 16. Birnhack, D. M. (2001). The Dead Sea Scrolls Case – Translation, 5, 6.
 17. The District Court responded, saying that “Shanks conducted for years, on the pages of the BAR, a persistent and polemic campaign to open the access and research of the concealed scrolls to all interested. He testified that he has been a voice to all those who remained outside the “research cartel”. Shanks wrote similar things in the Introduction of the book: “Surely we must admire the dedicated people who have devoted their professional lives to arranging and deciphering these seemingly impenetrable pieces of our common past. For the most part, the people who do this are not only dedicated but brilliant experts in what they are doing, conscientious to the nuances of their work. For this, all honor to them. But for their pride and greed – their unbending determination to keep exclusive control of these treasures for themselves, their heirs and their students – they must bear the shame.” Birnhack, D. M. (2001). The Dead Sea Scrolls Case – Translation, 7.
 18. Translations, adaptations, arrangements of music and other alterations of a literary or artistic work shall be protected as original works without prejudice to the copyright in the original work. Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works of September 9, 1886.
 19. The term “Authorized Version” refers not only to the King James Version published in 1611, but also includes earlier translations authorized by the Church of England. In 1875 in New York, Lesser v. In Sklarz, the defendant argued that the Bible existed outside of human memory. Such books should not have been subject to copyright protection. The judge patiently listened to the long discussion and granted the plaintiff's request. Syn, R., (2001-2002). © COPYRIGHT GOD: ENFORCEMENT OF COPYRIGHT IN THE BIBLE AND RELIGIOUS WORKS, REGENT UNIVERSITY LAW REVIEW, Volume 14, Number 1, HeinOnline, 1, 2, 12, 13.
 20. In 1972 Robert Stigwood Group v. O'Reilly, Priests were sued for modifying the opera Jesus Christ Superstar because they believed it paro-

- died the true gospel. The modified version portrayed Jesus as a strong masculine individual who rose from the dead rather than merely dying, since Christianity is empty and futile if Jesus did not rise from the dead. Syn, R., (2001-2002). © COPYRIGHT GOD: ENFORCEMENT OF COPYRIGHT IN THE BIBLE AND RELIGIOUS WORKS, REGENT UNIVERSITY LAW REVIEW, Volume 14, Number 1,14.
21. These profits, however, come from subjecting the Bible to monopolies and royalties. Irrespective of the benefits, is there a dilemma in withholding the Bible and its free message if royalties are unpaid? Copyright involves ownership, so in view of its purported divine origin, should the Bible, or even a Bible translation, be owned as private intellectual property? Syn,R., (2001-2002). © COPYRIGHT GOD: ENFORCEMENT OF COPYRIGHT IN THE BIBLE AND RELIGIOUS WORKS, REGENT UNIVERSITY LAW REVIEW, Volume 14, Number 1, 2.
 22. Syn, R., (2001-2002). © COPYRIGHT GOD: ENFORCEMENT OF COPYRIGHT IN THE BIBLE AND RELIGIOUS WORKS, Roger Syn, REGENT UNIVERSITY LAW REVIEW,Volume 14, Number 1, 5.
 23. The House of Lords decided, twenty-two to eleven to allow Donaldson to copy the poems, which confirmed that copyright protected published books only for the statutory term, after which they entered the public domain. Syn, R., (2001-2002). ©COPYRIGHT GOD: ENFORCEMENT OF COPYRIGHT IN THE BIBLE AND RELIGIOUS WORKS, REGENT UNIVERSITY LAW REVIEW, Volume 14 Number 1, 5.6.
 24. Nimmer, D., (2001). HOUSTON LAW REVIEW, COPYRIGHT IN THE DEAD SEA SCROLLS AUTHORSHIP AND ORIGINALITY, 231. Violation of moral rights may have indirect economic consequences caused by damage to the identity of the author or work, whereas economic rights involve the direct ability to require royalties. Syn, R., (2001-2002). © COPYRIGHT GOD: ENFORCEMENT OF COPYRIGHT IN THE BIBLE AND RELIGIOUS WORKS, 13.
 25. Syn, R., (2001-2002). ©COPYRIGHT GOD: ENFORCEMENT OF COPYRIGHT IN THE BIBLE AND RELIGIOUS WORKS, 13.
 26. Independently of the author's economic rights, and even after the transfer of the said rights, the author shall have the right to claim authorship of the work and to object to any distortion, mutilation or other modification of, or other derogatory action in relation to, the said work, which would be prejudicial to his honor or reputation. Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works of September 9, 1886.
 27. Nimmer, D., (2001). HOUSTON LAW REVIEW, COPYRIGHT IN THE DEAD SEA SCROLLS AUTHORSHIP AND ORIGINALITY, 11.
 28. The court saw the author's vision in the selection and arrangement of poses, costumes and accessories. In these actions, according to the judge, he/she discovered the author's handwriting. The judge did not discuss the methods by which the photographer can manipulate the image. The work of the author was completely separated from the work of the camera. Farley, C. H. (2004). THE LINGERING EFFECTS OF COPYRIGHT'S RESPONSE TO THE INVENTION OF PHOTOGRAPHY UNIVERSITY OF PITTSBURGH LAW REVIEW, vol 65, 389,390,391.
 29. Nimmer, D., (2001). HOUSTON LAW REVIEW, COPYRIGHT IN THE DEAD SEA SCROLLS AUTHORSHIP AND ORIGINALITY,12.
 30. Bleistein v. Donaldson Lithographing Co., 188 U.S. (1903). Nimmer, D., (2001). HOUSTON LAW REVIEW, COPYRIGHT IN THE DEAD SEA SCROLLS AUTHORSHIP AND ORIGINALITY,12.
 31. Qimron has copyright in the deciphered text as a result of one or more of the things he did: the physical aggregating of the fragments, their arrangement, deciphering what is written on them, and supplementing the lacuna between them. Does that "spirit", that "soul", that he placed in the fragments of the scroll, with the power of his knowledge

- and talent, make the deciphered text in its entirety a work protected by the Act? Birnhack, M. (2007), The Dead Sea Scrolls Case – Translation, Faculty of Law, Tel-Aviv University, 8, 9.
32. Birnhack, M. (2007), The Dead Sea Scrolls Case – Translation, Faculty of Law, Tel-Aviv University, 9.
 33. Birnhack, M. (2007), The Dead Sea Scrolls Case – Translation, Faculty of Law, Tel-Aviv University, 9.
 34. Tempska, U., (2002). “Originality” After the Dead Sea Scrolls Decision: Implications for the American Law of Copyright, Intellectual Property Law Review, Volume 6, Issue 1, Article 5, 121,122.
 35. Feist Publ’ns, Inc. v. Rural Tel. Serv. Co., U.S. 1879; Alfred Bell & Co. v. Catalda Fine Arts, Inc., 2d Cir. 1951. Urzula Tempska, U., (2002). “Originality” After the Dead Sea Scrolls Decision: Implications for the American Law of Copyright, Intellectual Property Law Review, Volume 6, Issue 1, Article 5, 121,122.
 36. In 1994, Oxford University Press published an edition, edited by Qimron and Strugnell, which contained the remark: © Elisha Qimron 1994. MacQueen, H., (30 August 2008). The Scrolls and the Legal Definition of Authorship Edinburgh University, 2,3.
 37. Birnhack, D. M. (2001), THE DEAD SEA SCROLLS CASE: WHO IS AN AUTHOR, European Intellectual Property Review Case Comment, Sweet and Maxwell Limited and Contributors, 5.
 38. Birnhack, D. M. (2001), THE DEAD SEA SCROLLS CASE: WHO IS AN AUTHOR, European Intellectual Property Review Case Comment, Sweet and Maxwell Limited and Contributors, 5,6.
 39. Birnhack, D. M. (2001), THE DEAD SEA SCROLLS CASE: WHO IS AN AUTHOR, European Intellectual Property Review Case Comment, Sweet and Maxwell Limited and Contributors, 6.
 40. Wilkof, N., (2001). COPYRIGHT, MORAL RIGHTS AND THE CHOICE OF LAW: WHERE DID THE DEAD SEA SCROLLS COURT GO WRONG? HOUSTON LAW REVIEW, 464.
 41. Birnhack, D. M. (2001), THE DEAD SEA SCROLLS CASE: WHO IS AN AUTHOR, European Intellectual Property Review Case Comment, Sweet and Maxwell Limited and Contributors 9,10,11. Originality means that the work originates from the author and not from another source. However, a (minimal) investment of skills and labor is required. MacQueen, H., (30 August 2008). The Scrolls and the Legal Definition of Authorship Edinburgh University, 3,4,5.
 42. Wilkof, N., (2001). COPYRIGHT, MORAL RIGHTS AND THE CHOICE OF LAW: WHERE DID THE DEAD SEA SCROLLS COURT GO WRONG? HOUSTON LAW REVIEW, 464, 465,466,
 43. Birnhack, D. M. (2001), THE DEAD SEA SCROLLS CASE: WHO IS AN AUTHOR, European Intellectual Property Review Case Comment, Sweet and Maxwell Limited and Contributors 12,15.

გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენების პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში

დოდო ჯუღელი

*სამართლის მაგისტრი, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური,
საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ქ.ქუთაისი,
საქართველო*

საკვანძო სიტყვები: გირაო, პატიმრობა, პრინციპი, შეზღუდვა, ჰარმონიზაცია

აბსტრაქტი

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებობს დანაწესი, რომელიც ადამიანის ძირითადი უფლების – თავისუფლების შეფარულად ხელყოფის საშიშროებას ქმნის. ეს საფრთხე დაკავებული ბრალდებულის მიმართ პირველი წარდგენის სხდომაზე წარმოიქმნება, როდესაც სასამართლო ბრალდებულს პატიმრობის ნაცვლად სხვა, უფრო მსუბუქ, აღკვეთის ღონისძიებას უფარდებს. სასამართლოს მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლება არ ხდება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ამ დროს ადგილი აქვს გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის, ანუ „საპატიმრო გირაოს“ გამოყენებას. სასამართლოს მიერ გირაოს გადახდის სანაცვლოდ გათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება ხდება მოგვიანებით, კანონში განწერილი დანაწესის შესრულების შემდგომ. კერძოდ, დაკავებული ბრალდებული ვალდებულია გირაოს სახით გადაიხადოს განსაზღვრული ოდენობის თანხა, რათა მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება აღსრულდეს. შედეგად, ბრალდებულის გათავისუფლების განმსაზღვრელ გარემოებას არა

სასამართლო გადაწყვეტილება, არამედ მისი გადახდისუნარიანობა წარმოადგენს. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში კი იგი კვლავ რჩება პატიმრობაში, რასაც თავისუფლების პრეზუმფციის გაუმართლებელ დარღვევამდე მივყავართ. სასამართლოს მიერ გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება ფორმალურ ხასიათს ატარებს, რითაც ადამიანის თავისუფლების დაცვის დაბალი, საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო პრაქტიკა ყალიბდება. ამგვარი მიდგომის შედეგად გირაოშეფარდებული ბრალდებული დაუსაბუთებლად იმყოფება გახანგრძლივებულ პატიმრობაში და ამასთან, იგი მოკლებულია შესაძლებლობას გაასაჩივროს აღნიშნული მოპყრობა.

შესავალი

თემის აქტუალობა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა პატიმრობას გირაოს უზრუნველყოფის მიზნითაც იყენებს. შესაბამისად, იმისათვის რათა სასამართლოს მიერ აღნიშნული სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას დაცული იქნას ადამიანის ძირითადი უფლებები და არ მოხდეს ზედმეტად ჩარევა პირის თავისუფლებაში, საჭიროა საკითხის სიღრმისეული კვლევა განხორციელდეს.

კვლევის საგანი. კვლევის საგანია გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენების სამართლებრივი პრობლემები. „საპატიმრო გირაოს“ გამოყენების წესს სასამართლო და პრაქტიკოსი იურისტები არაერთგვაროვნად განმარტავენ. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა აღნიშნული ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე, რის გამოც იმატებს საზოგადოების ინტერესი სამართლის შესაბამისი ნორმების მოქმედებასთან დაკავშირებით. ამგვარად, იკვეთება აღნიშნული საკითხის სამართლებრივი საფუძვლებისა და პრაქტიკის შესწავლის საჭიროება.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანს გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენების სამართლებრივი პრობლემების გამოკვეთა და ანალიზი წარმოადგენს. მოხდება იმის წარმოჩენა, თუ რა

საფრთხეები შეიძლება არსებობდეს „საპატიმრო გირაოს“ მოქმედი რედაქციით გამოყენების პირობებში. კვლევის ამოცანაა თემასთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო რეგულაციების შესწავლისა და პრობლემების გამოკვეთის შედეგად მოხდეს მისი გადაჭრის გზების მოძიება. აღნიშნული ამოცანის მიღწევა მოხდება როგორც ისტორიული წინამძღვრებისა და კონსტიტუციურსამართლებრივ ქრილში საკითხის წარმოდგენით, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის ნორმებისა და პრაქტიკის მოშველიებით.

კვლევის ეტაპები. წინამდებარე სტატიის შესავალში წარმოდგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 200.6 მუხლით ჩამოყალიბებული ნორმის შინაარსი და მისი ადგილი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

ძირითადი ნაწილი ეთმობა ქვეთავებს, რომლებიც ეხება ყველა იმ საფრთხეების ჩამონათვალსა და განმარტებას, რაც გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენების მოქმედი რედაქციის პირობებში იქმნება. კერძოდ, ავტომატური უარი გირაოს ნაცვლად გათავისუფლებაზე, განგრძობადი პატიმრობის საფრთხე, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ხარისხი, გირაოს თანხის გადაუხდელობის გავლენა ბრალდებულის თავისუფლებაზე, პატიმრობის გადასინჯვის საკითხი და ერთდროულად ორი სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სამართლებრივი შედეგები. თითოეული თემა განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ პრაქტიკასთან შესაბამისობის კუთხით.

დასკვნაში წარმოდგენილია შეჯამება და ავტორისეული მიდგომა, წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტის მიზნით.

ძირითადი ნაწილი

საერთაშორისო თანამეგობრობის ერთობლივმა ძალისხმევამ ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში არაერთი ქვეყანა გამონვევის წინაშე დააყენა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სა-

ხელმწიფოთა მისწრაფება შეიქმნას მაღალი სტანდარტი პირთა თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. ამ მხრივ დღემდე აქტუალობას არ კარგავს პატიმრობის გამოყენების საკითხი, რომელიც ადამიანისთვის მრავალი სხვა, მათ შორის, სოციალური უფლებების, რეალიზების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა პატიმრობას გირაოს უზრუნველყოფის მიზნითაც იყენებს. ამგვარად, სასამართლოს მიერ გირაოთი გათავისუფლებული პირი კვლავ რჩება პატიმრობაში მანამ, სანამ არ მოხდება გირაოს შეტანა შესაბამის ანგარიშზე.

„საპატიმრო გირაოს“ გამოყენების წესს სასამართლო და პრაქტიკოსი იურისტები არაერთგვაროვნად განმარტავენ. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ნორმის მოქმედი რედაქციის კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე, რაც გახდა კიდევაც საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველი. 2018 წლიდან დღემდე საკონსტიტუციო სასამართლო მსჯელობს პრაქტიკაში ჩამოყალიბებული მიდგომის ადამიანის უფლებებთან შესაბამისობის საკითხზე. შესაბამისად, დღემდე განხილვის საგნადაა ქცეული აღნიშნული თემის სამართლებრივი საფუძვლებისა და პრაქტიკის შესწავლის საჭიროება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 200.6 მუხლის თანახმად: „სასამართლო პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობას უფარდებს ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დაკავება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით, მის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე გირაოს სრულად ან ნაწილობრივ (მაგრამ არა ნაკლებ 50% - ისა) შეტანამდე“.

აღნიშნული, ე.წ. „საპატიმრო გირაო“ არ წარმოადგენს აღკვეთი ღონისძიების ცალკე, დამოუკიდებელ სახეს, ვინაიდან ამგვარ მითითებას სსს კოდექსი არ აკეთებს და ამასთან იგი გირაოს გამოყენების წესის განმსაზღვრელ

მუხლშია მოცემული. თუმცა, ე.წ. „არასაპატიმრო გირაოსგან“ განსხვავებით, მისი გამოყენებით შესაძლოა ბრალდებულთა უფლებები იქნეს დარღვეული.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია დასაბუთება იმისა, თუ რა სამართლებრივ საფრთხეს შეიძლება ატარებდეს გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენების დამკვიდრებული პრაქტიკა სისხლის სამართლის პროცესში.

ავტობიოგრაფიული უარი გირაოს სანაცვლოდ ბათავისუფლებაზე

მოქმედი კანონმდებლობა პირის პატიმრობაში დატოვების საკითხს განიხილავს როგორც ღონისძიებას, რომელიც უკიდურეს შემთხვევაში უნდა იქნას გამოყენებული. თუმცა ასეთი მიდგომის მიუხედავად საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას დატოვოს გირაოთი გათავისუფლებული ბრალდებული პირები პატიმრობაში სსსკ მე-200 მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილ შემთხვევებში. აღნიშნული ნორმა გამორიცხავს მოსამართლის მიერ საკითხის გადასინჯვის, შეფასების შესაძლებლობას. ამგვარად, სასამართლო ვალდებულია ავტომატურად უარი უთხრას დაკავებულ ბრალდებულებს გათავისუფლებაზე, რასაც სასამართლო პრაქტიკაც ადასტურებს.

სასამართლო განჩინებებში ვკითხულობთ, რომ ვინაიდან ბრალდებულთა მიმართ დაკავება იქნა გამოყენებული, პირი გირაოს შეტანამდე პატიმრობაში უნდა იქნეს დატოვებული. მეტიც, ერთ-ერთ შესწავლილ განჩინებაში საგამოძიებო კოლეგია პირდაპირ განმარტავს, რომ სსსკ მე-200 მუხლის მე-6 ნაწილი იმპერატიული შინაარსისაა.¹ სასამართლო პროკურორის შუამდგომლობის არარსებობის პირობებშიცაა ვალდებული დაკავებულ ბრალდებულს გირაოს უზრუნველსაყოფად პატიმრობა შეუფარდოს, რითაც ბრალმდებლის ფუნქციას ითვისებს.²

1 იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 29 ივნისის განჩინება, საქმე №-1გ/895-17, გვ. 6.
2 იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017

ამავე განჩინებაში კოლეგია უარყოფითად აფასებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკავებული ბრალდებულის მიმართ გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენებაზე უარის თქმას და აღნიშნავს, რომ მოსამართლე არ იყო უფლებამოსილი უარი ეთქვა ნორმის გამოყენებაზე და არასწორად განემარტა იგი.³ ვინაიდან გირაოს უზრუნველყოფად პატიმრობის შეფარდების გადაწყვეტილებას სასამართლო მხოლოდ ფორმალურად იღებს, გამოდის, რომ არა სასამართლო, არამედ ბრალდების მხარე წყვეტს „საპატიმრო გირაოს“ გამოყენების საკითხს.⁴

საყურადღებოა ისიც, რომ თუ ბრალდებულის მიმართ მოსამართლე სხვა აღკვეთის ღონისძიებას, მაგალითად, პირად თავდებობას, გამოიყენებს მაშინ იგი დაუყოვნებლივ, სხდომის დარბაზიდანვე უნდა იქნეს გათავისუფლებული.⁵ არ არსებობს საფუძვლიანი არგუმენტი იმისა, თუ რა განაპირობებს ამგვარ განსხვავებულ მიდგომას „საპატიმრო გირაო“ შეფარდებულ ბრალდებულთა მიმართ.

ავტომატური პატიმრობის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობის ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის პრეცედენტებთან შედარებისას აღმოვაჩინეთ მსგავსებას საქმესთან: „კაბალერო გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“. ორივე შემთხვევაში საქმე ეხება პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებაში ჩარევის საფუძვლებს, რომელიც კანონშია გაწერილი. აღნიშნულ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაკავების ავტომატურად გამოყენების საკითხი კონვენციის მიზნების სანინააღმდეგოდ შეაფასა.⁶

ამგვარად ცალსახაა, რომ სსსკ 200.6 მუხლის ჩანაწერი დაკავებულ ბრალდებუ-

ლებთან მიმართებით პატიმრობის ავტომატურად გამოყენებას ახდენს. შედეგად, მოსამართლეს თავად კანონი არ აძლევს დისკრეციულ უფლებამოსილებას, სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლოს გირაოშეფარდებული ბრალდებული.

სასამართლო მიერ „საპატიმრო გირაოს“ გამოყენების დასაბუთების საკითხი

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტიას, რომელიც საზოგადოების მხრიდან ხელისუფლების ამ შტოსადმი ნდობას განამტკიცებს. უფრო ვიწროდ თუ განვიმარტავთ, სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობით საზოგადოებას უჩნდება რწმენა, რომ „მხარის არგუმენტები მართლა იქნა მოსმენილი და გაგებული“⁷. ხოლო ვინაიდან საქმე ეხება აღკვეთის ღონისძიების ისეთ სახეს, რომელიც ბრალდებულებისთვის თავისუფლების თუნდაც მცირე ხნის შეზღუდვას ითვალისწინებს, მითუმეტეს უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ მიღებული ამგვარი გადაწყვეტილების დასაბუთება.

თუკი სსსკ 200.6 ნაწილის დებულებას დასაბუთების ქრილში გავნიხილავთ, სადაო არ იქნება ის გარემოება, რომ „დამსაბუთებლის როლს“ კანონმდებლის მიერ შექმნილი ნორმა ასრულებს. მისი გამოყენების წინაპირობა მხოლოდ ბრალდებულის დაკავების ფაქტის არსებობაა. ვინაიდან მოსამართლეს არ გააჩნია დისკრეცია თავად გადაწყვიტოს „საპატიმრო გირაოს“ გამოყენების საკითხი, მას დასაბუთებელიც არაფერი აქვს, იგი მხოლოდ ამ ნორმის ამსრულებლად გვევლინება. თუკი სასამართლო პრაქტიკას გადავხედავთ, განჩინებათა უმრავლესობაში მხოლოდ შაბლონურად ხდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მოხსენიება კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლების პრეზუმციის დაცვაზე და წარმოდგენილია მსჯელობა მხოლოდ

წლის 29 ივნისის განჩინება, საქმე №-1გ/895-17, გვ. 4.

3 იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 29 ივნისის განჩინება, საქმე №-1გ/895-17, გვ. 6.

4 იხ., ჯორბენაძე ო., (2018). „გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენება“, იხ. სამართლის ჟურნალი: „მართლმსაჯულება და კანონი“, 1'18, გვ. 105-110.

5 იხ., იქვე.

6 იხ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Caballero v. the United Kingdom*.

7 ტრეუსელი მ. (2009). ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, გვ 129.

გირაოს გამოყენების მიზნაშეწონილობაზე.⁸ მიუხედავად იმისა, რომ განჩინებებში სასამართლო ევროპული პრაქტიკის საფუძველზე გამორიცხავს პატიმრობის გამოყენების საჭიროებას, ეროვნულ კანონზე დაყრდნობით იგი მაინც იყენებს პატიმრობას ბრალდებულის მიმართ მანამ, სანამ გირაო იქნება შეტანილი. სწორედ კანონის საფუძველზე მიღებული, მაგრამ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიჩნია ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის საწინააღმდეგოდ ბოიჩენკოს საქმეში.⁹

„საპატიმრო გირაოს“ ავტომატურად გამოყენების შედეგია პრაქტიკაში სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის დაბალი ხარისხი პატიმრობის გამოყენების ნაწილში, რა დროსაც მოსამართლე მხოლოდ კანონის ჩანაწერზე მითითებით შემოიფარგლება.

განგრძობადი პატიმრობის საფრთხე დაკავების კანონიერების შემოწმებისას

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს პირის დაკავების ორ საფუძველს: სასამართლოს მიერ გაცემული განჩინების საფუძველზე, ან მის გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობისას.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არ არსებობს ჩანაწერი, რომელიც განამტკიცებდა ბრალდებულის უფლებას – მიემართა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოსათვის დაკავების კანონიერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის თაობაზე. განსაკუთრებით საყურადღებოა სასამართლოს განჩინების საფუძველზე დაკავების საკითხი, რადგან ასეთი გაჩინება შესაძლებელია არასწორად იქნეს გაცემული. ამ შემთხვევაში, ვინაიდან, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას გადასინჯოს იგი, ბრალდებული

შესაძლებელია განგრძობად პატიმრობას დაექვემდებაროს.¹⁰

განგრძობადი პატიმრობის საფრთხე არა მხოლოდ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას, არამედ „საპატიმრო გირაოს“ გამოყენების დროსაც არსებობს. გირაოს შეფარდებისას მისი პატიმრობით უზრუნველყოფის ერთადერთი განმაპირობებელი გარემოება – დაკავების ფაქტის არსებობაა. დავუშვათ ისეთი შემთხვევა, როდესაც სასამართლოს მიერ არასწორად მოხდა დაკავების განჩინების გაცემა, ხოლო დაკავებული ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით „საპატიმრო გირაო“ იქნა გამოყენებული. ვინაიდან, ასეთი დაკავების გასაჩივრება შეუძლებელია, ბრალდებული ხანგრძლივად, უკანონოდ დარჩება პატიმრობაში მანამ, სანამ კანონით განსაზღვრული პირობა არ იქნება შესრულებული. ამასთან, დაკავების კანონიერების გასაჩივრების ექვანიზმის არარსებობა იმ არგუმენტით, რომ იგი თავისუფლების მხოლოდ ხანმოკლე აღკვეთას ითვალისწინებს, გაუმართლებელია, ვინაიდან, მოსამართლის თუნდაც ერთ, არასწორად გაცემულ განჩინებას ბრალდებულის მიმართ, ავტომატურად, განგრძობადი, ცხრათვემდე პატიმრობის გამოყენება შეიძლება მოჰყვეს. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე განმარტავს სასამართლო, რომ პატიმრობის გაგრძელებაში იგულისხმება აღკვეთის ღონისძიების სახით პირველადი პატიმრობის შეფარდებაც.¹¹

დაკავების პროცესის წარმართვასა და მის გასაჩივრებასთან დაკავშირებით, საინტერესოა ევროპული ქვეყნების მიერ შემუშავებული პროცედურის განხილვა. ამ მხრივ გაერთიანებული სამეფო გამორჩეულია, ვინაიდან დაკავების კანონიერების შემოწმება ორჯერ, ექვსი საათისა და ცხრა საათის გასვლის შემდეგ ხდება. ნიდერლანდები კი აღნიშნული პროცედურა 6-დან 15 საათამდე ვადაში ხორციელდება. პოლიციელთა მხრიდან შესაძლო თვითნებობის შესამცირებლად სპეციალურად დანიშნული პირის ამოწმებს დაკავების კანონ-

8 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 14 თებერვლის №3/3/1341 საოქმო ჩანაწერი, I-7.

9 იხ. მაკბრაიდი ჯ., ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, სტრასბურგი, 2011 წ., გვ. 61.

10 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 14 თებერვლის №3/3/1341 საოქმო ჩანაწერი, I-8.

11 იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 29 ივნისის განჩინება, საქმე №-1გ/895-17, გვ. 4.

ნიერებას და დაკავების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს.¹² რაც შეეხება საქართველოს, სსსკ 174-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად პირის დაკავება დაუშვებელია 72 საათზე მეტი ვადით, ხოლო ბრალდების შესახებ დადგენილება დაკავებულს უნდა გადაეცეს არა უმეტეს 48 საათისა. წინააღმდეგ შემთხვევაში პირი უნდა იქნეს გათავისუფლებული. ჩამოყალიბებული პრაქტიკის შედეგად კი სამართალდამცავთა მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება უმეტესად 48 საათის მინუტულს ხდება.¹³ ამგვარად, საქართველოში საკანონმდებლო დონეზე განერილი დეტალური პროცედურის არსებობის მიუხედავად კვლავაც არსებობს საფრთხე უფლებამოსილი თანამდებობის პირთა მხრიდან თავიანთი ვალდებულებების არასრულყოფილად შესრულებისა. აღნიშნულ ვარაუდს კიდევ უფრო ამყარებს ის გარემოება, რომ დაკავების ვადა ზემოთხეხებულ ქვეყნებთან შედარებით საგრძნობლად განსხვავებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაკავების პროცედურული წესების სისწრაფე და ეფექტურობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემდგომში ბრალდებულთა თავისუფლებაზე. პირთა თავისუფლებაში ჩარევის შემთხვევაში მათი უფლებრივი მდგომარეობა ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს ასეთი ჩარევის კანონიერების შემოწმების შესაძლებლობას. სტრასბურგის სასამართლოს მიდგომა, ამ კუთხით ცალსახაა – დაკავებულს უნდა ჰქონდეს უფლება მოითხოვოს პროცედურული და არსებითი პირობების გადასინჯვა.¹⁴ ამ უფლების არსებობის დადებითი შედეგი აისახება არა მხოლოდ პატიმრობა შეფარდებულ ბრალდებულებზე, არამედ იმ პირებზეც, ვის მიმართაც გირაოს უზრუნველყოფის მიზნით ატიმრობა იქნება გამოყენებული. დაკავების გასაჩივრების მექანიზმის შემოღება მინიმუმამდე დაიყვანს ბრალდებულთა მიმართ განგრძობადი პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობას.

12 იხ. ბოხაშვილი ბ., მშვენიერაძე გ., ყანდაშვილი ი. (2016). ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში The Procedural Rights of Suspects in Georgia, გვ. 22.

13 იხ., იქვე.

14 იხ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Brogan and Others v. the United Kingdoms, §65.

გირაოს თანხის ბადაუნდებლობის გავლენა ბრალდებულის თავისუფლებაზე

სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებისას მხარეთა პოზიციების მოსმენის შემდეგ მოსამართლე ვალდებულია ბრალდებულს გირაოს სათანადო ოდენობა განუსაზღვროს. „საპატიმრო გირაოს“ დროს სწორედ გირაოს ოდენობაზე დამოკიდებული ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნა. იმ შემთხვევაში, თუკი გირაოს თანხის განსაზღვრისას მხოლოდ დანაშაულის სიმძიმე და მოსალოდნელი სასჯელის ზომა იქნება გათვალისწინებული, ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლების, ქონებრივი მდგომარეობის, ბრალად შერაცხული ქმედების ხასიათისა¹⁵ და სხვა გარემოებების დადგენის გარეშე, მოსამართლის მიერ შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის გირაოს გამოყენების საფრთხე შეიძლება შეიქმნას. თუკი თითოეული ბრალდებულის ინდივიდუალური მახასიათებლების გამოკვლევა არ ხდება, რთულია დადგინდეს თუ რა თანხის გადახდა შეუძლია ბრალდებულს. სასამართლოს მიერ გამოყენებული არასათანადო ოდენობის გირაოს გადაუხდელობის შედეგად კი პირი შესაძლოა გახანგრძლივებულ პატიმრობას დაექვემდებაროს. ერთი შეხედვით, აღნიშნული მოცემულობა თეორიულად ნაკლებ პრობლემურია ჩანს. რაც შეეხება პრაქტიკას, გირაოს გადაუხდელობისას განგრძობადი პატიმრობის საფრთხე განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც არ ხდება დადგენა გადაუხდელობის მიზეზისა: ბრალდებულს არ აქვს გადასახდელი თანხა, თუ იგი შეგნებულად ამბობს უარს მის გადახდაზე.¹⁶ თუკი იარსებებს მიდგომა, რომელიც გირაოს გადაუხდელობის მიზეზის გამოკვლევის გარეშე პატიმრობის ავტომატურად გამოყენების თუნდაც ერთ პრეცედენტს შექმნის, საქმე გვექნება ე.წ. „შეფარულ პატიმრობასთან“¹⁷

15 იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 დეკემბრის განჩინება, საქმე №-1გ/1244-14, გვ. 6.

16 იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 8 იანვრის განჩინება, საქმე №-1გ/19, გვ. 2.

17 იხ., იქვე.

სსსკ მე-200 მუხლის მე-6 ნაწილი, როგორც ზემოთ უკვე იქნა განხილული, იმპერატიული შინაარსისაა. შესაბამისად, უფრო საფრთხილოა გამოსაყენებელი გირაოს ოდენობის განსაზღვრის საკითხი, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც, მოსამართლის მიერ გამოყენებული გირაოს არაპროპორციული ზომა ბრალდებულის პატიმრობაში დატოვების საფუძველი შესაძლოა გახდეს. შედეგად, მიუხედავად სასამართლოს მიერ პატიმრობაზე უფრო მსუბუქი ღონისძიების – გირაოს – გამოყენების მიზანშეწონილად მიჩნევისა, ბრალდებული ფაქტობრივად პატიმრობაში დარჩება. ამის ერთადერთი მიზეზი, კი შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის გირაოს დადგენილ ვადაში შეუტანლობა იქნება, ხოლო საბოლოო შედეგი – განგრძობადი პატიმრობა. საყურადღებოა ამ საკითხზე ეროვნული სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმადაც ევროსასამართლო კონვენციის საწინააღმდეგოდ მიიჩნევა არა „საპატიმრო გირაოს“, არამედ განგრძობადი პატიმრობას.¹⁸ მართალია, ევროპული კონვენცია გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენებას არ კრძალავს, თუმცა მაშინ, როდესაც „საპატიმრო გირაო“ გახანგრძლივებული პატიმრობის საფრთხეს ქმნის, საქმე გვაქვს ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით დაცული უფლების დარღვევასთან.

პატიმრობის გადასინჯვა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის გადასინჯვის წესს ითვალისწინებს. სსსკ 206-ე მუხლის მე-8 ნაწილი ორიენტირებულია რა ბრალდებულის თავისუფლებისათვის უპირატესობის მინიჭებაზე, აღკვეთის ღონისძიების შეცვლისა და გაუქმების წესს ადგენს. ამ მუხლის თანახმად, შუამდგომლობის დასაშვებად მიღების შემთხვევაში, „ახალი, არსებითი მნიშვნელობის მქონე“ გარემოებების განსახილველად სასამართლო ზეპირ მოსმენას ატარებს. კანონ-

მდებელი ხაზს უსვამს აღნიშნული სხდომის მნიშვნელობას და მოსამართლეს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას მხარეთა პოზიციების მოსმენის შემდგომ აძლევს. სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლოა ბრალდებული პატიმრობიდან იქნეს გათავისუფლებული და შეეფარდოს სხვა აღკვეთის ღონისძიება, მაგალითად გირაო. სასამართლოს ხელში გათავისუფლების დისკრეციული მექანიზმის არსებობის მიზეზი კი არის ის, რომ პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების გამოყენების საჭიროება შესაძლოა აღარ არსებობდეს. აღნიშნული დანაწესი განპირობებულია თავისუფლების პრეზუმფციის არსებობით, რომელიც სსსკ მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დაპატიმრების აუცილებლობის გარდა ყველა სხვა შემთხვევაში ბრალდებულის გათავისუფლებას ითვალისწინებს.

თუკი აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის გადასინჯვის წესს გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენების პროცედურას შევადარებთ, არსებით სხვაობას დავინახავთ. კერძოდ, პატიმრობის (ანუ დაკავებაზე მძიმე ღონისძიების) გადასინჯვისას სასამართლო გათავისუფლების უფლებამოსილებითაა აღჭურვილი, ხოლო დაკავება – სავალდებულოს ხდის გირაოს უზრუნველსაყოფად პატიმრობის გამოყენებას¹⁹.

მიუხედავად იმისა, თუ რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს „საპატიმრო გირაო“ შეფარდებული პირების მიმართ კანონმდებლის მხრიდან ასეთ განსხვავებულ და იმპერატიულ მიდგომას, სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ შედეგი მაინც ასეთ ბრალდებულთა ფაქტობრივი პატიმრობაა. ვითარება არ შეიცვლება არც იმ შემთხვევაში, თუკი სსსკ მე-200 მუხლის მე-6 ნაწილით პატიმრობის ავტომატურად გამოყენების წესის არსებობას პრაქტიკოს იურისტთა მხრიდან ნორმის არასწორი განმარტებით ავხსნით, ვინაიდან, საბოლოოდ, მაინც გირაოთი ფორმალურად გათავისუფლებას ექნება ადგილი.

18 იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 29 ივნისის განჩინება, საქმე №-1გ/895-17, გვ. 8.

19 იხ., ჯორბენაძე ო., (2018). „გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენება“, იხ. სამართლის ჟურნალი: „მართლმსაჯულება და კანონი“, 1'18, გვ. 107.

გირაოსა და პატიმრობის ერთდროულად გამოყენება

გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენება, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ფორმალურად გირაოს, ფაქტობრივად კი პატიმრობის (გირაოს შეტანამდე) გამოყენებას გულისხმობს. თუმცა, ამგვარი რეგულაციის არსებობის პირობებში, ჩნდება კითხვა, ხომ არ ხდება სასამართლოს ერთი განჩინებით აღკვეთის ღონისძიების ორი სახის (გირაოსა და პატიმრობის) ერთდროულად გამოყენება?!

ამ მოსაზრების საპირისპიროდ, გამოთქმულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც გირაოს გადახდამდე პატიმრობა, ხოლო მისი შეტანის შემდეგ გირაოა გამოყენებული.²⁰

საკითხის ამ კუთხით უკეთ წარმოდგენის მიზნით, საინტერესო იქნება სასამართლო პრაქტიკის წარმოდგენა. გირაოს უზრუნველსაყოფად პატიმრობის გამოყენებისას, მოსამართლეები განჩინებებში ახდენენ გირაოს გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთებას. ხოლო რაც შეეხება ბრალდებულთა ფაქტობრივ პატიმრობას, მისი გამოყენების „დასაბუთებას“ ერთადერთი საფუძვლით – დაკავების ფაქტის არსებობით ხსნიან. იმ შემთხვევაში, თუკი ჯერ ერთის (პატიმრობის), ხოლო შემდეგ მეორე სახის აღკვეთის ღონისძიების (გირაოს) გამოყენებას ექნებოდა ადგილი, სასამართლო უპირობოდ ვალდებული იქნებოდა, ორივე სახის ღონისძიების გამოყენება ცალ-ცალკე დაესაბუთებინა. სასამართლოთა განჩინებებში ამგვარი განმარტება არ არის წარმოდგენილი. აღნიშნული დასაბუთებულობის სტანდარტის არარსებობის პირობებში უფრო მეტად გასაზიარებელი შეიძლება იყოს ის მოსაზრება, რომ ადგილი აქვს ერთდროულად ორი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, რომელთაგანაც პრაქტიკაში მხოლოდ ერთის (გირაოს) გამოყენების დასაბუთება ხორციელდება. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „საპატიმრო გირაოს“ გამოყენება სასამართლოს არ უნდა ათავისუფლებდეს პატიმრობის მიზანშეწონილობის დასაბუთებისაგან. საპროცესო კოდექსში არ-

სებული ამ ჩანაწერით შეიძლება ითქვას, რომ ყველა ასეთი განსახილველი საქმის (ინდივიდუალური მახასიათებლების) დასაბუთება მოსამართლის ნაცვლად კანონმდებელმა თავიდანვე მოახდინა.

შესაბამისად, ცალსახად იკვეთება საჭიროება, მოხდეს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა იმგვარად, რომ კანონის ჩანაწერმა ბრალდებულის გარანტირებული უფლებების საწინააღმდეგოდ არ იმოქმედოს. ზემოთ მოყვანილ მოსაზრებათა განსხვავებული აზრის მქონენიც კი თანხმდებიან, რომ ამ პრობლემის გადაჭრა ორი გზითაა შესაძლებელი: ნორმის განმარტების ცვლილებით, ან კანონში ცვლილების შეტანით.²¹ კანონის სტაბილურობის პრინციპიდან გამომდინარე, ისინი უპირატესობას ნორმის განმარტების ცვლილებას ანიჭებენ.²² თუმცა, ადამიანის უფლებების ხელყოფის საფრთხის მატარებელი ყველა ნორმის ახლებული განმარტების ჩამოყალიბების გზით გამოსწორება ყოველთვის არ არის ეფექტური. ამდენად, ამგვარი გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა თავად ნორმის შინაარსში გარკვევა და სხვადასხვა არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის გზით მისი კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება. შედეგად, კანონმდებლობის ყველა ანტიკონსტიტუციური ჩანაწერის გაუქმება და ადამიანთა უფლებების დაცვის გარანტიების არა მარტო პრაქტიკის, არამედ საკანონმდებლო დონეზე შენარჩუნებაც იქნება შესაძლებელი.

დასკვნა

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის მოქმედი ზოგადი, არაკონკრეტული საკანონმდებლო ნორმა – გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენების არსებული რეგულაცია – არაერთგვაროვნადაა განმარტებული თავად მოსამართლეთა მიერაც, რაც დაკავებულ ბრალდებულთა მიმართ განსხვავებულ მოპყრობას აყალიბებს. აზრთა

20 იხ., ლომსაძე მ. (2015). სისხლის სამართლის პროცესი, მე-5 გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, გვ. 254.

21 იხ., ჯორბენაძე ო., (2018). „გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენება“, იხ. სამართლის ჟურნალი: „მართლმსაჯულება და კანონი“, 1'18, გვ. 108.

22 იხ., იქვე.

სხვადასხვაობის აღმოფხვრის ერთადერთი გზა ისეთი განჭვრეტადი ნორმის შექმნაა, რომელიც კანონის ერთგვაროვანი გამოყენების პრაქტიკას დაამკვიდრებს. რაც შეეხება თავად ნორმის შინაარსს: იმ შემთხვევაში თუკი სასამართლოს ექნება დისკრეციული უფლებამოსილება, საქმეთა ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე თავად მიიღოს გადაწყვეტილება „საპატიმრო გირაოს“ გამოყენების თაობაზე, დაკავებულ ბრალდებულთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტი შეიქმნება. შედეგად, სასამართლო გადაწყვეტილებათა

დასაბუთებულობის ხარისხი ევროპული კონვენციით დადგენილ მოთხოვნებთან იქნება შესაბამისობაში, არ მოხდება თავისუფლების პრეზუმფციის დარღვევა და აღმოიფხვრება განგრძობადი პატიმრობის საფრთხე დაკავებულ ბრალდებულთა მიმართ. საბოლოოდ, კანონმდებლის მიერ ნორმის ამგვარი შინაარსით ჩამოყალიბების შემთხვევაში, დაცული იქნება როგორც კონვენციით (მე-5 მუხლით), ასევე საქართველოს კონსტიტუციით (მე-13 მუხლით) გარანტირებული ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება – თავისუფლება.

THE PROBLEM OF USING IMPRISONMENT TO SECURE BAIL IN CRIMINAL PROCEEDINGS

Dodo Jugheli

Master of law, Labour Inspection Office, Georgian Bar Association, Kutaisi, Georgia

KEYWORDS: Bail, Jail, Principle, Restriction, Harmonization

ABSTRACT

There is a provision in the criminal procedural legislation that creates a danger of covert violation of the basic human right – freedom. This threat arises at the first presentation session against the detained accused, when the court assigns the accused another, lighter, restraining measure instead of imprisonment. Despite the court's decision, the defendant is not immediately released from the courtroom. According to the Code of Criminal Procedure, at this time there is the use of imprisonment for the purpose of providing bail, i.e. "custodial bail".

The court's decision to release the person on bail is enforced later, after the provision of the law has been fulfilled. In particular, the arrested accused is obliged to pay a certain amount of money as bail, in order to enforce the decision against him. As a result, the determining factor for the accused's release is not the court decision, but his solvency. In case of non-payment of the amount, he remains in prison, which leads to an unjustified violation of the presumption of freedom. Making a decision on release by the court is of a formal nature, thus creating a practice of low protection of human freedom, incompatible with international standards. As a result of such an approach, the accused on bail is unjustifiably kept in prolonged detention and, moreover, he is deprived of the opportunity to appeal the said treatment.

ბიბლიოგრაფია:**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბოხაშვილი ბ., მშენიერაძე გ., ყანდაშვილი ი. (2016). ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში The Procedural Rights of Suspects in Georgia;
2. ლომსაძე მ. (2015). სისხლის სამართლის პროცესი, მე-5 გადაამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი;
3. ტრექსელი შ. (2009). ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი.

აქტუალური გამოცემები

1. ჯორბენაძე ო., (2018). „გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენება“, იხ. სამართლის ჟურნალი: „მართლმსაჯულება და კანონი“, 1'18.

სამართლებრივი აქტები

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (04.11.1950); <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>> [ბოლო ნახვის თარიღი: 9 სექტემბერი, 2022]
2. საქართველოს კონსტიტუცია (24.08.1995); <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [ბოლო ნახვის თარიღი: 9 სექტემბერი, 2022]
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (09.10.2009); <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=146>> [ბოლო ნახვის თარიღი: 9 სექტემბერი, 2022]

სასამართლო გადაწყვეტილებები/ განჩინებები

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Caballero v. the United Kingdom;
2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Brogan and Others v. the United Kingdoms;
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 14 თებერვლის №3/3/1341 საოქმო ჩანაწერი;
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს

BIBLIOGRAPHY:**References:**

1. Bokhashvili B., Mshvenieradze G., Kandashvili I. (2016). Procedural Rights of Suspects in Georgia The Procedural Rights of Suspects in Georgia;
2. Lomsadze M. (2015). Criminal Procedure, 5th Revised and Completed Edition, Tbilisi;
3. Trexel Sh. (2009). Human rights in the criminal justice process, Tbilisi.

Current Editions:

1. Zorbenadze O., (2018). "Use of imprisonment to ensure the use of bail", see Journal of Law: "Justice and Law", 1'18.

Legal Acts:

1. European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (04.11.1950); <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>> [last view date: 9 September, 2022]
2. Constitution of Georgia (24.08.1995); <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [last view date: 9 September, 2022]
3. Criminal Procedure Code of Georgia (09.10.2009); <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=146>> [last view date: 9 September, 2022]

Court decisions/judgments:

1. The decision of the European Court of Human Rights of February 8, 2000 in the case of Caballero v. the United Kingdom;
2. The decision of the European Court of Human Rights of November 28, 1988 in the case of Brogan and Others v. the United Kingdom;
3. Minutes of the Constitutional Court of Georgia dated February 14, 2020 No. 3/3/1341;
4. Judgment of Tbilisi Court of Appeal of June 29, 2017, case No.-1g/895-17;
5. Judgment of the Tbilisi Court of Appeal of December 9, 2014, case No.-1g/1244-14;
6. Judgment of Tbilisi Court of Appeal of January 8, 2015, case No.-1g/19.

- 2017 წლის 29 ივნისის განჩინება, საქმე №-1გ/895-17;
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 დეკემბრის განჩინება, საქმე №-1გ/1244-14;
 6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 8 იანვრის განჩინება, საქმე №-1გ/19.

NOTES:

1. See, judgment of the Tbilisi Court of Appeal of June 29, 2017, case No.-1g/895-17, p. 6. (In Georgian)
2. See, judgment of the Tbilisi Court of Appeal of June 29, 2017, case No.-1g/895-17, p. 4. (In Georgian)
3. See, judgment of the Tbilisi Court of Appeal of June 29, 2017, case No.-1g/895-17, p. 6. (In Georgian)
4. See, Zorbenadze O., (2018). "Use of imprisonment to ensure the use of bail", see Journal of Law: "Justice and Law", 1'18, p. 105-110. (In Georgian)
5. See, *ibid.*
6. See the decision of the European Court of Human Rights of February 8, 2000 in the case of Caballero v. the United Kingdom (In English)
7. Trexel Sh. (2009). Human rights in the criminal justice process, Tbilisi, p. 129 (In Georgian)
8. See, Minutes of the Constitutional Court of Georgia No. 3/3/1341 of February 14, 2020, I-7. (In Georgian)
9. See McBride J., Human Rights and Criminal Procedure, Case Law of the European Court of Human Rights, Strasbourg, 2011, p. 61. (In English)
10. See, Minutes of the Constitutional Court of Georgia No. 3/3/1341 of February 14, 2020, I-8. (In Georgian)
11. See, judgment of the Tbilisi Court of Appeal of June 29, 2017, case No.-1g/895-17, p. 4. (In Georgian)
12. See Bokhashvili B., Mshvenieradze G., Kandashvili I. (2016). Procedural Rights of Suspects in Georgia The Procedural Rights of Suspects in Georgia, p. 22. (In Georgian)
13. See, *ibid.*
14. See the decision of the European Court of Human Rights of 28 November 1988 in the case of Brogan and Others v. the United Kingdoms, §65. (In English)
15. See, judgment of the Tbilisi Court of Appeal of December 9, 2014, case No.-1g/1244-14, p.6. (In Georgian)
16. See, judgment of the Tbilisi Court of Appeal of January 8, 2015, case No.-1g/19, p. 2. (In Georgian)
17. See, *ibid.*
18. See, judgment of the Tbilisi Court of Appeal of June 29, 2017, case No.-1g/895-17, p. 8. (In Georgian)
19. See, Zorbenadze O., (2018). "Use of imprisonment to ensure the use of bail", see Journal of Law: "Justice and Law", 1'18, p. 107. (In Georgian)
20. See, Lomsadze M. (2015). Criminal procedure, 5th revised and updated edition, Tbilisi, p. 254. (In Georgian)
21. See, Zorbenadze O., (2018). "Use of imprisonment to ensure the use of bail", see Journal of Law: "Justice and Law", 1'18, p. 108. (In Georgian)
22. See, *ibid.*

ჟურნალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ
იხილოთ ჟურნალის ვებგვერდზე: www.lawandworld.ge
ელ. ფოსტა: info@lawandworld.ge
მისამართი: გურამიშვილის გამზირი 76. თბილისი. 0141
ტელეფონი: (+995 32) 2 000 171 (120); (+995 598) 12 25 24

The online version of the journal is available on the website:
www.lawandworld.ge
E-mail: info@lawandworld.ge
Address: 76 Guramishvili ave. Tbilisi. 0141
Phone: (+995 32) 2 000 171 (120); (+995 598) 12 25 24